

ჟ. ჟულბოლსკი

ჭეშმარიტი 1400 წლის ეპიქურეველი

მეორე შესწორებული და
შევსებული გამოცემა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო

7A9.1(09)
794.1(Ქ) (09)
3125

6 — 9 — 4

404 — 72 ᲐᲓᲒ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲐᲡᲬᲕᲔᲓᲔᲡ ᲛᲐᲡ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲛᲝᲣᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ: 1. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲛᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲔᲡ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲒᲐᲔᲚᲔᲜᲐ, 2. ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲠᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲠᲣᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ. ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲬᲣᲠᲐᲕᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲚᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲔᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲪᲣᲚ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲧᲐᲛᲗᲐᲐᲪᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲕᲔᲜᲐᲮᲐᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲐᲛᲝᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲣᲐᲜᲓᲔᲠᲫᲔᲚ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲐ. ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲜᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘᲡ Ნ. ᲠᲣᲓᲘᲜᲘᲡ [1] ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ. ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲪ „ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ 1400 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲨᲘ“[2] ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲘ „ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ“. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲬᲘᲒᲜᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲖᲔ (ᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ Თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ) ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲖᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲗ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲬᲐᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲡ ᲛᲔᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ-ᲫᲘᲔᲑᲔ.

---

[1] Н. М. Рудин, «От магического квадрата к шахматам», Москва, 1959 г.

[2] ᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 1957 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ.

ჭადრაკის ისტორიის საკითხისათვის

მეცნიერთა საერთო აღიარებით ჭადრაკის სამშობლოდ ინდოეთი ითვლება. ხოლო საკითხი მისი გამოგონების დროისა და გამომგონებლის ვინაობის შესახებ მეცნიერებაში დღემდე დაუზუსტებელი და საკამათოა.

გასული საუკუნის ბურჟუაზიული მეცნიერების აზრით ჭადრაკს თითქოს 5000 წლის ისტორია აქვს. თავის დროზე ამგვარი „ჭეშმარიტებანი" დასავლეთში მეტად პოპულარული იყო. ჩვენს დროშიც არიან არცთუ ისე ცოტა ენთუზიასტები, რომლებიც ამ აზრს იზიარებენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვილიამს ჯონსის[1] მიერ მოყვანილ ინდურ ლეგენდას იმის შესახებ, რომ ჭადრაკი გამოგონებული იყო ცეილონზე 3000 წლის წინათ მეფე ლიანკოს ცოლის რავანას მიერ, აგრეთვე ბერძნულ-რომაული კლასიციზმის წინაშე ევროპის ქედმოხრის პერიოდს, როდესაც ჭადრაკის გამოგონებას მიაწერდნენ ხან რომელიღაც ბერძენ ფილოსოფოს ქსერქსეს, ხან ლეგენდარულ ძმებს ლილოსა და ტირენუს, ხან კიდევ კაპიტან პალამედს[2], რჩება ძველი მატერიალური კულტურის მხოლოდ რამდენიმე ძეგლი, რომლებიც შეიძლება მოყვანილ იქნას დამამტკიცებელ საბუთად, ასეთებია:

1) ძველი ურის (ბაბილონის 3000 წელი ძვ. წ.) მეფეთა საფლავების გათხრებისას ნაპოვნი სადაფისა და ლილაქვისაგან დამზადებული დახაზული სათამაშო დაფა და რამდენიმე სათამაშო მრგვალი ძვალი. ცხადია, ეს მაგიდის რომელიღაც სათამაშოა, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს იგი ჭადრაკად მივიჩნიოთ.

---

[1] W. Jones, „On the indian Gance of Chess", 1790.

[2] ჭადრაკის თამაშის ამ ლეგენდარული გამომგონებლის სახელით „საფრანგეთში (XIX ს.) გამოდიოდა საჭადრაკო ჟურნალი.



ეგვიპტური სამაგიდო თამაშობანი

2) ფიბიში (ეგვიპტე) ფარაონ რამზეს III სასახლეში შემონახულია ფრესკა, რომელზეც ფარაონი მაგიდის რომელიღაც თამაშის მომენტშია გამოსახული. ეს თამაში ერთნაირი სვეტებისმაგვარი ფიგურებიანია და არაფრით არ შეიძლება ჭადრაკად მივიჩნიოთ;

3) ბრიტანეთის მუზეუმში, ეგვიპტურ გამოსახულებათა შორის პროფესორ ვეისენბახის მიერ ნაპოვნია აგრეთვე ერთნა-

ირი ფიგურებით მაგიდის თამაშის სცენა. ვეისენბახმა რატომ-ღაც ეს ჭადრაკად ჩათვალა და ამით უფრო მეტად გააცხოველა სენსაცია.

4) კურნეში ტაძრის ქვებზე ნაპოვნია დახაზული დაფები (ქვაზე გამოთლილი), მაგრამ უცნობია, რა თამაშს ეკუთვნოდნენ ისინი.

5) შემონახულია ტერაკოტის მცირე რომაული ჯგუფი სამი კაცისაგან. ისინი თამაშობენ 42-უჯრიან დაფაზე შაშის მსგავს თამაშს.

ასეთია ნუსხა ძველი სამყაროს ცნობილი ძეგლებისა, რომლებმაც გამოიწვიეს სენსაცია ბურჟუაზიულ მეცნიერებაში.

ჰომეროსი და ჰეროდოტე არაფერს ამბობენ ჭადრაკის შესახებ. ამრიგად, სერიოზული დამამტკიცებელი საბუთი არ მოგვეპოვება ჭადრაკის არსებობის დასადგენად. სამყარომ იცოდა თამაშები დახაზულ დაფებზე ერთნაირი ფიგურებით. ასეთი თამაშები, რომლებიც შაშს უფრო გვაგონებენ, იყო ბაბილონში, ასირიასა და ეგვიპტეში. მაგალითად, საბერძნეთში ერთ-ერთ ამგვარ თამაშს ეწოდებოდა „პეტეია", რომში „ლატრუნკული" და სხვ. აქ დაფები ერთნაირი ზომისა არ ყოფილა. ეგვიპტეში გვხვდება დაფა 7×9, რომში 42-უჯრიანი, შეღებილი სამფერად. ყველა ეს თამაში შაშის წინამორბედი უნდა იყოს, როგორც ჭადრაკზე უფრო ძველი თამაშისა (დ. სარგინისა და სხვა მკვლევართა აზრით). საყურადღებოა, რომ „საშაშო" თამაშებს ძველი მსოფლიოს ხალხებში მეტად მჭიდრო კავშირი ჰქონდა ასტრონომიასთან. ასეთივე მდგომარეობაში იყო შუა საუკუნეებში ჭადრაკი ინდოეთში და დასავლეთ ევროპაშიც. ამჟამადაც ტიბეტის ბუდისტები ჭადრაკს ასტროლოგიას უკავშირებენ. რიცხვი 63 (მიახლოებული ჭადრაკის დაფასთან) შეესაბამებოდა თხის რქის თანავარსკვლავედში ვარსკვლავთა რაოდენობას, რაც ძველი ასტრონომიის გაგებით ქარიშხალს (თამაში, ბრძოლა) იწვევდა. ევროპაში ლაზიერის სახელწოდება XII — XIII საუკუნეებში „Virgo" იყო, ე. ი. ქალწული — ტრადიციულად ნასესხებია რომაული სახელწოდება მინერვასაგან (Virgo bellica ან უბრალოდ Virgo). ამავე სიტყვით ცნობილია ქალწულის (ვარსკვლავი „ა") თანავარსკვლავედში ყველაზე დიდი ვარსკვლავი. მაგრამ ვინაიდან მეცნიერებაში ამ

საინტერესო დამოკიდებულების საკითხი სრულებით დაუმუშავებელია, ჯერჯერობით შეუძლებელია მთლიანობაში შევეხოთ მის არსსა და მნიშვნელობას.

ინდოეთი

ჭადრაკის სამშობლოდ რომ ინდოეთი ითვლება, ეს მტკიცდება ძველი, ავტორიტეტული წყაროებით და თანამედროვე მეცნიერული მონაცემებით. სამწუხაროდ, ჭადრაკის გამოგონების ზუსტი თარიღი და მისი გამომგონებლის ვინაობა (თუ დავუშვებთ, რომ ჭადრაკი საერთოდ ერთი გენიალური ადამიანის ქმნილებაა და არა დროის დიდ მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი) უცნობი რჩება. ევროპული მეცნიერება, რომელიც სისტემატურად სწავლობს ჭადრაკის ისტორიას მის სამშობლო ინდოეთში, შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. მას სულ რაღაც ორასი წლის ისტორია აქვს და დასაბამი ეძლევა ვილიამ ჯონსის შრომებით, რომლებიც ინდოეთის ტერიტორიაზე ძველ სანსკრიტულ დოკუმენტებს ემყარება. სანსკრიტული ხელნაწერების გაშიფვრაზე წარმოიშვა მისი ცნობილი ნაშრომი სახელწოდებით „On the indian Gance of Chess", რომელიც 1790 წელს კალკუტაში გამოიცა. შემდეგ ამ დარგში კვლევა-ძიებას განაგრძობენ კოლბრუკი, გაირამ კოკსი, დუნკან თორბსი და სხვები, რომელთა მოღვაწეობით ევროპელებმა შეძლეს ძველი ინდური ენის და ევროპაში მანამდე უცნობი ძველი ხელნაწერების შინაარსის გაცნობა. უძველესი (500 წლის ზევით) ინდური ხელნაწერების ისტორიული ორიგინალები ინდოეთში თითქმის არ შემონახულა, რადგან ამ ქვეყნის კლიმატური პირობები მასზე უარყოფითად მოქმედებდნენ. არსებობს ასეთი ძეგლების ასლები, რომლებსაც დროგამოშვებით ისევ აღადგენენ. ეს დოკუმენტები, რომლებიც შესწავლილ იქნა პირველი ევროპელი მკვლევარების მიერ, რომელთაგან უძველესი X საუკუნეს ეკუთვნიან (გალიაუდას ცნობილი შენიშვნები, რომლებშიც ლაპარაკია ჭადრაკზე) და უფრო მოგვიანო მასალები, არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან ჭადრაკის თამაშის წარმოშობის დროის შესახებ. მაგრამ ჭადრაკზე ნათ-

ქვამია, რომ ამ ქვეყანაში ეს თამაში დიდი ხანია ცნობილი.

ჭადრაკის წარმოშობის შესახებ არსებობს მრავალი ლეგენდა, რომლებშიც ალბათ ჭეშმარიტების სულ ცოტა ნატამალი მაინც არის. მოგვყავს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლეგენდა.

V საუკუნის დამდეგს ინდოეთში მეფე შახრამის (სხვა ვერსიით ბალგორის) დროს ერთმა ინდუსმა სისმა გამოიგონა ჭადრაკის თამაში, რომელშიც თუმცა მეფე გამოყვანილია წარჩინებულ ფიგურად, მაგრამ არ შეუძლია არც შეტევა, არც დაცვა თავის მხლებელთა დახმარების გარეშე. მეფეს ძალიან მოეწონა თამაში და მან სისს დიდი საჩუქარი შესთავაზა. სისმა მოითხოვა პურის იმდენი მარცვალი, რამდენიც გამოვა თუ პირველ უჯრაზე დადებენ ერთ მარცვალს, მეორეზე ორს, მესამეზე ოთხს, მეოთხეზე თექვსმეტს და ა. შ. 64 უჯრამდე, როგორც გეომეტრიულ პროგრესიაშია.

მეფე ღიმილით დაეთანხმა მცირე მრთხოვნას, მაგრამ შემოწმებისას გამოირკვა, რომ ამისათვის არ იკმარებდა დედამიწაზე არსებული პურის მარაგი. მართლაც დიდი რიცხვი გამოდის: 18 446 744 073 709 551 615 მარცვალი. იმისათვის, რომ მიახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დიდი რიცხვის შესახებ, ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: ვთქვათ დედამიწის ზურგზე ერთი მილიარდი ადამიანია და თითო ჰექტოლიტრი შეფასებულია 20 ფრანკად (ერთ ჰექტოლიტრში დაეშვათ 1 520 000 მარცვალია), საკმარისია გადასახადი დავადოთ მთელი დედამიწის მოსახლეობას და დავინახავთ, რომ ყოველ ადამიანს მოუწევდა 240 000 ფრანკის გადახდა, გამომგონებლის საჩუქრის ასანაზღაურებლად.

ინდო-სანსკრიტული დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც აღწერენ ჭადრაკის თამაშს (მაგალითად, გალიაუდას შენიშვნები), გვაგონებს ზემოთ მოთხრობილ ლეგენდას. როცა გალიაუდა ლაპარაკობს საჭადრაკო დაფის შესახებ, უჯრებს უწოდებს Kostragara, რაც პურის საწყობს ნიშნავს. საინტერესოა ლეგენდისა და სინამდვილის დამთხვევა.

მაგრამ არც ისაა მცირე მნიშვნელობის ფაქტი, რომ გამოჩენილი ჩინელი მოგზაური ფა-ჰიენი, რომელიც 399 — 414

წლებში ინდოეთში მოგზაურობდა და, რომელმაც აღწერა ინდოელთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და გართობანი, სრულებით არ იხსენიებს ჭადრაკს. ეს ამბავი ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ამ დროისათვის ჭადრაკი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი. იგი უფრო გვიან გამოჩნდა, როგორც ეს მტკიცდება ირანში VIII ს. წინადროინდელი ფეჰლევის ხელნაწერით „წიგნი ჩატრანგის შესახებ“ და ირანში ახალი ინდური გამოგონებული ჭადრაკის გამოჩენის დრო განისაზღვრება VI საუკუნით, მეფე სასანიდ ხოსრო ანუშერვანის მმართველობის დროს.

ეს თარიღი ამჟამად უფრო სანდოდაა მიჩნეული.

გალიაუდის შენიშვნების გარდა, ცნობები ჭადრაკის შესახებ არსებობს სხვა უფრო მოგვიანო დოკუმენტებში, მაგალითად, ინდური პურანა (თქმულება), რომელშიც მოყვანილია მეფე იუდუსტირას საუბარი ბრძენ ვიასთან ჭადრაკის შესახებ. არსებობს ჭადრაკზე საინტერესო მითითება „სამართლის დიდ ენციკლოპედიაში“ სათაურით „ბაგავანტის მზე“, რომლის ავტორია 1 600 ან 1 700 წლებში მცხოვრები ნილიაკანტა. განყოფილებაში ომის შესახებ ჭადრაკი მიჩნეულია, როგორც გონებაზე დაფუძნებული თამაში. ამ ორი ნაწყვეტის ავტორი, პირველისა — რაგუნანდანი და მეორესი — ნილიაკანტა, აგრეთვე მესამე ავტორი აკანტა არც თუ ისე შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ. პირველი ცხოვრობდა XIV საუკუნეში, ხოლო დანარჩენი ორი XVII — XVIII საუკუნეებში. მეცნიერებას უფრო ადრეული ინდური ცნობები ჭადრაკის შესახებ არ მოებოვება გარდა ცნობილი ინგლისელი მკვლევარის მერეის აღმოჩენისა. 600—650 წლის მანძილზე ჭადრაკს იხსენიებენ სანსკრიტული ავტორები, რომლებიც განგის ხეობაში კაუნპურიდან ჩრდილო-დასავლეთით 65 მილზე ცხოვრობდნენ. უფრო ადრეული ცნობები ბურუსითაა მოცული, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებულნი უფრო ნათელია. შესანიშნავ სახელმწიფოს წესრიგს აღწერს ბანა, რომელიც კანაუჯის სამეფოში რაჯა ხარშას (606—648 წწ.) დროს ცხოვრობდა. „მხოლოდ საჭადრაკო დაფები გვასწავლიან, როგორ განლაგდება არმიები“ — ჩატურანგა. მას მხედველობაში აქვს არმია და ჭადრაკი. დოკუმენტი, რომლის შესახებ ლაპარაკობს მერეი 1898 წელს, აღმოაჩინა პროფესორ-

მა ა. მაკდონალდმა და მიეკუთვნება VII საუკუნეს. იგი შეიცავს ბანის ავტორის ლექსობრივ ტექსტს. აღწერს რა ხარშის მეფობას, ავტორი სიტყვასიტყვით ასე ამბობს: „მისი (ხარშის) მმართველობის დროს არ იყო არავითარი სხვა უსიამოვნება, გარდა ფუტკრებს შორის ბრძოლისა თაფლისათვის... არ ჰყავდათ სხვა არმია, გარდა არმიისა 8×8 უჯრებიან დაფაზე (აშტაპადა)". უკანასკნელ წინადადებაში უნდა ვიფიქროთ, იგულისხმება ჭადრაკი (ჩატურანგა).

ამრიგად, ცნობილი ინდური წყაროები კონკრეტულად არ ხსნიან ჭადრაკის თამაშის წარმოშობის დროის საკითხს და მასზე ლაპარაკობენ, როგორც წარსულის, კარგად ცნობილი მოვლენის შესახებ.

1951 წელს საბჭოთა კავშირი ინახულა თვალსაჩინო ინდოელმა მეცნიერმა კრიშნამაჩარიარმა, რომელმაც გამოთქვა თავისი შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. კრიშნამაჩარიარი თავის სტატიაში წერს, რომ ინდოეთში ჭადრაკის გამოჩენა მიეკუთვნება V—VI ს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე, ე. ი. რელიგიური ლიტერატურის „რამაიანას" და „ვიშნაპურანას" წარმოშობის დროს, რომლებიც ინდოეთში ბუდიზმის წარმოშობამდე შეიქმნენ. დასახელებულ წიგნებში უკვე ლაპარაკია ჭადრაკის შესახებ. აქ მოხსენებულია ორი სახის თამაში: უძველესი ოთხისათვის — „დაივაპალი" თამაში ბედზე, სადაც კამათლით ირკვევა ფიგურის სვლა და თამაში ორისათვის — ბუდხიპალი", რომელიც გონებაზეა დაფუძნებული. თამაში „დაივაპალი", როგორც აზარტული თამაში, ჯერ კიდევ მანუს მეფობის დროს იყო აკრძალული. ამ პერიოდიდან გახშირდა „ბუდხიპალის" თამაში, რომელიც ასახულია წიგნებში „ხარშა-ჩარიტრა" და „ვიკრამადიტია". ხარშის მმართველობის დროს, ჭადრაკი ისწავლებოდა სამხედრო სკოლებში, როგორც სავალდებულო საგანი. ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ ჭადრაკის თამაშს ინდოეთში არანაკლებ 2000 წლის ისტორია აქვს და, რომ მრავალი ძველი სანსკრიტული დოკუმენტი და მათზე დართული შენიშვნები შეიძლება ამოკითხულ იქნას მხოლოდ სანსკრიტული ლექსიკონის „ამარას" საშუალებით. ეს ძეგლი აქამდე შეუსწავლელია და მისმა ამოკითხვამ შეიძლება შუქი მოჰფინოს ჭადრაკის საიდუმლოებით მოცულ წარსულს.

ჭადრაკის თამაში ინდოეთში ყველგან ერთნაირი როდია, არსებობს თამაშის სხვადასხვა წესი და ფიგურების განლაგება.

ინდოეთში არსებობდა ჭადრაკის ორი სახე: ჩატურანგა — თამაში ოთხისათვის და ჩატურაჯა — თამაში ორისათვის. მეორე თამაში დამოკიდებული იყო გონებაზე, პირველი იღბალზე, ე. ი. ამ თამაშში კამათელი განსაზღვრავდა ფიგურის სვლას. რომელი თამაშია უფრო ძველი? მეცნიერებს ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება აქვთ. ძველი ინდოელი ავტორები ხშირად ოთხისათვის თამაშს უფრო გვიანდელად თვლიან. ამ აზრს ეთანხმება ზოგიერთი ევროპელი მეცნიერიც: ჯონსი, კოლბრუკი, კოკსი, ვებერი და უკანასკნელ დროს მერეიც. ჭადრაკის ცნობილი მკვლევარი ლინდე უპირატესობას მეორე თამაშს ანიჭებს. ფიგურების განლაგება ინდურ თამაშში ორი მოთამაშისათვის გვაგონებს ჩვენს დღევანდელ ჭადრაკს, ოღონდ ორივე კუ დგას დღევანდელი ეტლის ადგილას, ხოლო ეტლები ან საბრძოლო ეტლები — Ratha იდგნენ დღევანდელი კუს ადგილას.

მეტად საგულისხმოა, რომ მხოლოდ რუსულ ჭადრაკში შემორჩა ფიგურებს ინდური სახელწოდება (მხედველობაში გვაქვს Слон, ქართულ ჭადრაკში ამ ფიგურას კუს უწოდებენ. ევროპაში კუ არ არის, ხოლო შუასაუკუნეებიდან არის Alphinus, ე. ი. მასხარა, უფრო გვიან ეპისკოპოსი).

ზოგიერთი ცნობით, ინდურ ჭადრაკში, განსაკუთრებით უძველეს პერიოდში კუ გამოსახულია შტოებით, ხოლო ეტლს (Ratha) წითლად ღებავდნენ.

ოთხისათვის თამაში ძვლის კამათლით მეტად დაწვრილებით აქვს აღწერილი ალ-ბირუნს (970—1030 წწ.), რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში, პენჯაფში.

მეტად საყურადღებოა ძველ ინდოეთში საჭადრაკო ფიგურების მიძღვნა პლანეტებისა და ზოდიაქოს ნიშნებისადმი, ძველი რწმენით, თითქოს ამას გავლენა ჰქონდა ადამიანის ბედიღბალზე. ამით ჭადრაკი, მასუდის გამოთქმით, „მაღალ სხეულთა ალეგორია“, ბუდიზმის რელიგიის ასტრონომიული კულტის ელემენტი ხდება. ბუდისტებთან ჭადრაკი გამოყენებულია ბადრი მთვარის დღესასწაულის დროს, ალბათ მკითხაობის მიზნით. ეს ჩვეა ჩაისახა ბუდიზმის წარმოშობამდე და ამ კულტის მიმ-

დევართა, მანამდე გაბატონებული ბრამის რელიგიის დევნის პერიოდში, გახიზნულებმა ეს მოძღვრება შეიტანეს სხვა ქვეყნებშიც: ირანში, შუა აზიასა და ალბათ ამიერკავკასიაშიც. შემდგომში იგი დასავლეთ ევროპაშიც გადავიდა და აისახა XIII საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ავხსნათ, თუ რისთვის უძღვნიდნენ ძველი ხალხები სხვადასხვა ფასეულობას ასტრალურ სხეულებს, ე. ი. პლანეტებსა და ვარსკვლავებს.

სამი-ოთხი ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სხვადასხვა ცრუმორწმუნეობის საფუძველზე არსებობდა ცრუ მეცნიერება, ე. წ. ასტროლოგია. ძველი აღმოსავლეთის ხალხები: შუმერები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, ასურელები და სხვ. კარგად იცნობდნენ ამ „მეცნიერებას", რომელშიც პლანეტები და საერთოდ ცის მნათობები ღვთაებრივად ითვლებოდნენ და თითქოს მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მთელი სამყარო, მათზე იყო დამოკიდებული მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალი. მათი აზრით, პლანეტებისა და ვარსკვლავების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ თვით ბუნების სტიქიური ძალებიც კი. ამ მეცნიერებას ჩვეულებრივ განაგებდნენ კულტის მსახურნი, ვარსკვლავთმრიცხველი ქურუმები. ადამიანს, თვლიდა რა თავს მთლიანად დამოკიდებულად ასტრალურ სხეულთა სიმეტრიულ მოძრაობაზე, ჩვეულებად ჰქონდა მისთვის გაუგებარი „ღმერთებისათვის" მიეძღვნა არა მარტო მატერიალური ფასეულობანი, არამედ კვირის დღეები და წლის დროებიც კი. თუ ჩვენ მივმართავთ ძველი ავტორების შრომებს, ძალიან ხშირად წავაწყდებით ამგვარ ფაქტებს. ამის შესახებ ვირგილიუსი ლაპარაკობს თავის „გეორგიკებში", პლინიუსი ამტკიცებდა, რომ ქარის მიმართულებაც სავსებით დამოკიდებულია ვარსკვლავებისა ან ვარსკვლავთა კრებულის ამოსვლასა თუ ჩასვლაზე. ავლ გელიუსი ამბობს: ყველაფერი რასაც ადამიანი აკეთებს — აკეთებს ვარსკვლავების ხელმძღვანელობით. მედიცინის ფუძემდებელი ჰიპოკრატე ფიქრობდა, რომ ცის მნათობთა გავლენა უეჭველად მედიცინაშიც შესამჩნევია. ძველ სახელმწიფოთა მმართველები არასოდეს არ იწყებდნენ რაიმე მნიშვნელოვან საქმეს, სანამ მის შესახებ წინასწარ არ იმსჯელებდნენ ასტროლოგ ქურუმებთან.

ირანში ზოროასტრიზმის დროს დიდად პოპულარული იყო ადამიანის ბედ-იღბალზე პლანეტების გავლენის რწმენა. შუა საუკუნეების ინდოეთმა, სადაც პირველად აღნიშნულია საჭადრაკო ფიგურების — პლანეტებისა და ზოდიაქოსადმი მიძღვნის ფაქტი, დიდი ხანია იცოდა ძველი აღმოსავლეთის მოწინავე ხალხებისაგან ასტროლოგიური დებულებანი. ეს ჩანს უძველესი ინდური ხელნაწერიდან „ატარვა-ვედაი", სადაც ლაპარაკია 28 ნაკშატრასის შესახებ, რომლებიც თითქოს გავლენას ახდენდნენ ადამიანის ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე. ასტროლოგიისადმი მიძღვნილი უფრო გვიანდელი ინდური ხელნაწერების მიხედვით მთელი ცა თითქოს ოცდაშვიდ ნაწილადაა დაყოფილი, რომელშიც ყოველ პლანეტას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ინდოეთიდან ასტროლოგიური ცრურწმენა გავრცელდა სიამსა და უფრო მოგვიანებით ტიბეტში.

ჩინეთში ასტროლოგიამ მიიღო განსაკუთრებული განვითარება V—III ს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე. იაპონიაში არსებობს ძველი სამედიცინო ტრაქტატი („კიუსიუ — გაგამი"), სადაც ისევე, როგორც ძველ ეგვიპტეში, იმას ამტკიცებენ, რომ ადამიანის ორგანიზმის ყველა ნაწილი ასტროლოგიური სხეულების გავლენის ან მფარველობის ქვეშ იმყოფება. საბერძნეთი და რომიც იცნობდა მეცნიერებას პლანეტებისა და ზოდიაქოს მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ბედის წინასწარმეტყველებაზე. ისტორიის მამის, ჰეროდოტეს შენიშვნის თანახმად, ასტროლოგია საბერძნეთში შემოიტანა მოგვმა ოსტანომ, რომელიც თან ახლდა სპარსეთის მეფე ქსერქსეს ელადაზე ლაშქრობის დროს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბერძენ პტოლემეოსის ასტროლოგიური შრომა, რომელიც შუა საუკუნეებში არაბულ ენაზე იქნა თარგმნილი. ასტროლოგიაზე აბუ-მაჯარას (IX ს.) და აბოაზანა-გალისა (XIII ს.) არაბული ტრაქტატები ევროპაში შემოვიდა და აქ ჰპოვა გავრცელება ბნელეთის მოციქულ „მეცნიერთა" მრავალ წრეში, განსაკუთრებით XIII—XVI საუკუნეებში. რამდენად დიდი გავლენა მოიპოვა შუა საუკუნეებში ამ ცრუმეცნიერებამ ევროპაში, იქედან ჩანს, რომ ასტროლოგიას ასწავლიდნენ ბოლონიის, პადუას, პარიზისა და სხვა დიდ უნივერსიტეტებშიც კი.

ასტროლოგია დიდი ხანია არსებობდა მეცნიერული ასტრონომიის გვერდით და XVII საუკუნიდან, როდესაც ზუსტმა გამოკვლევებმა განდევნეს ძველი ცრუმეცნიერება, დაუთმო ადგილი მეცნიერულ ასტრონომიას. იმის გამო, რომ ცრუმორწმუნეობა არსებობდა ათასეული წლების მანძილზე, ადამიანთა ყოფაში მისი სრულიად აღმოფხვრა ჩვენ დრომდე შეუძლებელი აღმოჩნდა და იგი ვლინდება მკითხაობის, თქმულებებისა და სხვათა სახით. მაგალითად, „გწამდეს შენი ვარსკვლავისა"-ო და სხვ. სწორედ ცის მნათობების ბუნებრივ მნიშვნელობაში ბრმა რწმენის გავლენის ქვეშ შეიძლებოდა ჩასახულიყო ჩვეულება მიეძღვნათ საჭადრაკო ფიგურები პლანეტებისადმი. ჭადრაკი იმ შორეულ წარსულში ითვლებოდა კაცობრიობის დიდ და ბრძნულ თამაშად, რომელიც ღირსი იყო მიძღვნილი ყოფილიყო ყოვლის შემძლე მსოფლიო ღმერთებისადმი.

მოვიყვანთ შუა საუკუნეების ერთი არაბი პოეტის მეტად საგულისხმო გამოთქმას ჭადრაკზე.

„ჭადრაკი ეს თვით სიბრძნეა, იგი იცავს ადამიანს სასოწარკვეთილებისაგან, ანელებს შეყვარებულის შიშს, უკიდურესობისაგან აკავებს ლოთს, ხიფათში მებრძოლს აძლევს რჩევას, და მძიმე წუთში მარტოობისას ამხანაგს გვაჩუქებს". ამ მოსაზრებით უნდა აიხსნას ის, რომ ტიბეტში ბუდისტური სამღვდელოება ჩვენ დროშიც ჭადრაკს ფართო პოპულარიზაციას უკეთებს თავის მორწმუნეთა შორის, ხოლო ლამებს შორის არის ბევრი ძლიერი მოჭადრაკე, რასაც მრავალი მოგზაური (ვერეშჩაგინი, ბოკლი, რუზველტი) აღნიშნავს. VI—VII ს. ინდოეთიდან ჭადრაკის თამაში გავრცელდა ირანში, შუა აზიაში (ჯერჯერობით საკამათოა სად უფრო ადრე გავრცელდა), ცოტა გვიან ჩინეთში, მონღოლეთსა და ტიბეტში. ჯერ კიდევ ბევრი გაურკვეველი და ბურუსით მოცული საკითხი რჩება ინდური ჭადრაკის ისტორიაში, მაგრამ ნათელი და საერთოდ მიღებული აზრია, რომ ინდოეთი ჭადრაკის სამშობლოა. მოგვიანო არაბული ლიტერატურაც (იბნ-ხალიკანი, გარდაიც. 1282 წ.) ჭადრაკის გამომგონებლად ასახელებს ინდოელს, ლეგენდარულ სისს — იბნ-დაგირას, რომელმაც თითქოს ეს თამაში მეფე შიგრამის დროს გამოიგონა.

რაც შეეხება ინდური ჭადრაკის ფიგურებისა და დაფის ად-

რეულ ფორმას, ძველი და მოგვიანო ავტორების აღწერით, ფიგურების სტილი მხეცებს მოგვაგონებდა, ე. ი. ცხოველები და ფრინველები იყო გამოსახული, ხოლო დაფა ერთფერად იყო დახატული.

სიმბოლური სვეტები, მარტივი თუ ჩუქურთმებიანი, ჩვენ გვიან შემოვიდა ხმარებაში. ეს შეცვლა განსაკუთრებით. მუსლიმანებმა შემოიღეს „ყურანის“ მიერ ცოცხალი არსებების ასახვის აკრძალვის შემდეგ. „ყურანი“ ლაპარაკობს „ო, მართლმორწმუნე, ჭეშმარიტად ღვინო, აზარტული თამაშები, გამოსახულებანი და სასწაულმოქმედი ჯოხები სატანის უმძიმესი გამოგონებაა“.

საჭადრაკო ფიგურების სახელწოდებები ინდოეთში

რაჯა — მეფე	Radjah — მეფე
მანტრი — ლაზიერი	Mantri — ლაზიერი
რატჰა — ეტლი	Gadjah — კუ
ხასტი — კუ	Ter — ეტლი
ასვა — მხედარი	Kuda — მხედარი
პადატა — პაიკი	Bidak — პაიკი



ინდური ჭადრაკის ფიგურები

უძველესი სახელწოდებები (850 წ.)

1. მეფისა და ლაზიერისა არ არის.
2. dvira — კუ
3. Ashwa — მხედარი
4. Ratha — ეტლი
5. Patti — პაიკი

(Ratnäkara)[1]

[1] რატნაკარა XI ს. ქაშმირის მცხოვრები იყო. მისი ხელნაწერი სანსკრიტულ ენაზე 1896 წელს ბონში აღმოაჩინა პროფ. ხ. იაკობიმ.

ჭადრაკის სავარაუდო წინაპრები



მექსიკელი აცტეკების თამაში „პაჩოლი“



ჯუნძულ მალდივის მკვიდრთა
თამაში „პაჩიზია“



ინდური თამაში
„ჩუპური“



ინდური თამაში „ჩაცურანგა“.

სინამდვილედ მიაჩნიათ იმის ვარაუდი, რომ ჭადრაკის გამოგონება ბუდისტებს ეკუთვნით. ეს მოსაზრება მტკიცდება იმით, რომ აღმოსავლეთში ჭადრაკის თამაში განსაკუთრებით გავრცელებულია იმ ხალხებში, რომლებსაც ბუდისტური რელიგია სწამთ: ბირმაში, სიამში, ტიბეტში, ჩინეთში, იაპონიაში, იავაზე და მონღოლეთში. ხოლო მეორე მხრივ აიხსნება, ალბათ ჭადრაკის თამაშის შესახებ სანსკრიტული ლიტერატურის შეგნებული დუმილი. ბრაჰმანებმა (ინდოელთა რელიგია ბუდიზმამდე) შემოიტანეს და მხარს უჭერდნენ ამ ლიტერატურას, როგორც დევნილი და საძულველი სექტის თხზულება.

ბრაჰმანების მიერ მკაცრად დევნილი ბუდისტები ინდოეთიდან გაიქცნენ.

ინდოეთის არქივებში შემდგომმა კვლევამ, აგრეთვე ჯერ კიდევ გაუშიფრავმა სანსკრიტულმა ხელნაწერებმა, შესაძლებელია, ნათელი მოჰფინოს იმ კითხვებს, რომლებიც ბნელით მოცული რჩება.

ირანი

ძველი, ჩვენამდე მოღწეველი ისტორიული დოკუმენტებით ირკვევა, რომ ირანმა ჭადრაკის თამაში ინდოეთისაგან VI საუკუნეში გადმოიღო. ამ ფაქტის შესახებ, მართალია, არაფერს ამბობენ ინდოეთის ჩვენთვის ცნობილი წყაროები, მაგრამ, სამაგიეროდ, ირანული წყაროები ავსებენ ამ ხარვეზს და შუქს ჰფენენ ჭადრაკის თამაშის სხვა მეტად საინტერესო საკითხებს, მაგალითად, იმდროინდელ ირანულ საჭადრაკო ტერმინოლოგიას. ჩვენამდე მოაღწია ირანელი ფეჰლევის VIII საუკუნის ხელნაწერმა (მხოლოდ XIII საუკუნის რედაქციით). იგი მოგვითხრობს ასეთ ამბავს: ინდოელმა მეფემ ირანში გაგზავნა ახლადგამოგონებული ბრძნული თამაში ჩატრანგა (ინდური ჩატურანგასაგან) და წინადადება მისცა ხოსროს სწავლულებს ამოეხსნათ იგი, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში მისთვის დიდი ხარკი გადაეხადათ. ბრძენმა ბუზურმიხრმა ამოხსნა თამაში და არ შეარცხვინა ირანელი მეცნიერები. შესაძლებელია, ირანულ, ან შუა აზიის ლიტერატურაში, ან ამ ხალხების XI საუკუ-

ნის ხალხურ ეპოსში კიდევ არსებობდა ჭადრაკის წარმოშობის შესახებ სხვა ვარიანტი, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. შეიძლება ამით ისარგებლა ფირდოუსმა თავის პოემა „შაჰნამეში“ ჰავასა და ტალხანდზე სიმღერაში. ძმასთან ბრძოლაში ტალხანდის სიკვდილის სამახსოვროდ იქნა შექმნილი ჭადრაკის თამაში მისი დედის — დედოფლის თხოვნით.

ფეჰლევის ხელნაწერი ძვირფასი დოკუმენტია, რომელიც გვამცნობს ირანული საჭადრაკო ფიგურების სახელწოდებებს. მოგვყავს ამ ხელნაწერიდან პატარა ნაწყვეტი: „...მეფე ჰგავს მზეს... ფრაკინი (ლაზიერი) — შეიარაღებული ეტლების უფროსს, მხედარი — კავალერიის უფროსს, პაიკები კი იმ ფეხოსანს, რომელიც წინა რიგშია...“

მეტად ძვირფასია ჭადრაკის შემდეგი განსაზღვრა: „ჭადრაკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბრძენთა ნათქვამის თანახმად გონება იმარჯვებს, გონების იარაღი კი შეიცნობა როგორც უმთავრესი“.

საინტერესოა ამ ძველ წიგნში მოყვანილი მოჭადრაკისათვის პრაქტიკული რჩევები:

1. მოთამაშე უნდა ცდილობდეს თავისი ფიგურების შენარჩუნებას; 2. მან უნდა გამოავლინოს სხვისი ფიგურების აყვანის დიდი მისწრაფება; 3. იმ მიზნით, რომ აიყვანო სხვისი ფიგურა, საჭირო არაა ცუდად წარმართო თამაში; 4. მოთამაშეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შემონახული ერთი ფიგურა სვლის გასაკეთებლად; 5. ნათელი გონებით უნდა ადევნოს თვალი თამაშს, რომ ყოველთვის იყოს მოძრაობა წინ. ამ რჩევას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ირანში აღნიშნულია ე. წ. ასტრონომიული ჭადრაკის („ნევარტაშირის“) შექმნა, რომლის ფიგურები მიძღვნილია პლანეტებისა და ვარსკვლავებისადმი. ამ ფაქტებმა გავლენა მოახდინა ინდოეთის ჭადრაკზე. ამის შესახებ არც ერთი ძველი დოკუმენტი არაფერს ლაპარაკობს. „წიგნში ჩატრანგზე“ ნათქვამია მხოლოდ ბრძენ ბუზურმიხრის მიერ ამ თამაშის გამოგონებაზე (ხოსროს დროს): „...ნევარტაშირის დაფას მე ვამსგავსებ სპანდარმედის მიწას; და ოცდაათ ქვას მე ვამსგავსებ ოცდაათ დღესა და ღამეს, თხუთმეტ შავსა ვამსგავსებ ღამეს და თხუთმეტ თეთრსა

ვამსგავსებ დღესა. ყოველ ძვალს (გარდანაკს)[1] ვამსგავსებ ვარსკვლავთა მოძრაობას და ცის მოძრაობას. ძვალზე ერთ წერტილს ვამსგავსებ ერთიან ორმუზდს (ყოველი კეთილი მან შექმნა), ორს ვამსგავსებ ცასა და მიწას, სამს — პირველ სფეროს, მეორე სფეროს, მესამე სფეროს, აზროვნებას, მეტყველებასა და მოქმედებას. ოთხს ვამსგავსებ ოთხ ტემპერამენტს, რომელნიც ადამიანებში არიან, როგორც აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის სამყაროს ოთხ ქვეყანას, ხუთს ვამსგავსებ ხუთ მნათობს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავს, ცეცხლს, ციალს, რომელიც ციდან მოდის და დღე-ღამის ხუთ დროს...

ნევარტაშირის განლაგებას დაფაზე ვამსგავსებ იმას, თუ ღმერთმა ორმუზდმა როგორ მისცა სამყაროს ყოველი ქმნილება. ქვების მოძრაობა იქით და აქეთ კამათლით მაგონებს დედამიწაზე ადამიანთა სულის კავშირს მნათობებთან. დგება დრო, ქვები ერთიმეორეს ამარცხებენ, დევნიან, და, როცა კამათლით მოძრაობით ყველა განიდევნება, მაშინ ადამიანებივით დედამიწის ზედაპირიდან მიდიან. როცა ქვებს ხელმეორედ აწყობენ, ისინი მკვდრეთიდან აღმდგარი ადამიანებივით კვლავ ცოცხლდებიან".

ასეთია ძველი ირანული წყაროთი ნევარტიშირის განმარტება. მათი მისტიკურ-რელიგიური არსი, ისევე, როგორც ინდური ჭადრაკისა, ეჭვგარეშეა. ნევარტაშირის თამაში ახლოა ძველ ჭადრაკთან. ცოტა მოგვიანებით, VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დამდეგს, ნევარტაშირმა ნარდის სახე მიიღო, სადაც აგრეთვე შერწყმულია ორი ელემენტი: გონება და ბედი. თამაშის ამ სახემ ძველ დროში აზარტული თამაშის ხასიათი მიიღო. X საუკუნის არაბი ავტორი მასუდი ამბობს: „როდესაც ინდოელები ჭადრაკსა და ნარდს თამაშობენ, ნაძლევზე დებენ ქსოვილებსა და ძვირფას ქვებს, მაგრამ ზოგჯერ ხდება ისე, რომ მოთამაშე კარგავს მთელ თავის ქონებას და ნაძლევზე თავისი სხეულის რომელიმე კიდურს დებს".

---

[1] შუა საუკუნეების, შვიდკუთხოვანი ვარსკვლავის ასტროლოგიური ემბლემა, რომელიც განსაზღვრავს კვირის შვიდ დღეს. ვარსკვლავის ყოველი კუთხე აღნიშნულია იმ მნათობით, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფება ესა თუ ის დღე. ეს ნიშანი აზრით სავსებით ანალოგიურია ასტროლოგიური ჭადრაკის შვიდკუთხოვან ძველ „გარდანაკთან",

ალფონს ბრძენის მიერ 1283 წელს თამაშებზე დაწერილ წიგნში, ე. წ. ესკურიალურ ხელნაწერში აღწერილ ასტრონომიულ ჭადრაკს აქვს პირდაპირი კავშირი ზემოთ ნათქვამთან. ასტრონომიულ ჭადრაკში გამოყენებულ ფიგურებს ჰქონდათ ძვლის შვიდკუთხიანი ფორმა.

ინდურმა ჭადრაკმა ირანში, ბუნებრივია, ზოგიერთი ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით ეს შეეხო ფიგურების მდგომარეობას, სადაც ირანული ჯარისათვის უცხო საბრძოლო ინდური Ratha—ეტლი შეიცვალა ზღაპრული რუხით (გმირების მფარველით). რუხი არის ძველი მითოლოგიური ფრთოსანი ძაღლი — სენმურვას თანმიმდევრული განვითარების აღმოსავლური სახე, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა აქენემიდების დროს. ამგვარი სახეცვლილება ცნობილია თითქმის აღმოსავლეთის ყველა ხალხში (მათ შორის შუა აზიის ხალხებშიც). ეს სახე ცნობილი იყო საქართველოშიც და დღემდე შემონახულია ნიკორწმინდას (XI ს.) სატაძრო ორნამენტში.

რუხი კარგად იყო ცნობილი ფირდოუსის დროსაც და მოხსენებულია როგორც საჭადრაკო ფიგურა (ეტლი) სიმღერაში ჰავასა და ტალხანდზე. საგულისხმოა, რომ ევროპაში რუხის სახე, რომელიც არაბებმა შემოიტანეს, Არსებობდა ძალიან ცოტა ხანს, მაგრამ მან შესამჩნევი კვალი დატოვა სიტყვა როქში: ფრანგული სიტყვა hoc — ციცაბო კლდე, იტალიური Rocca — ციცაბო რუხი ან როქი აღმოსავლურ ლექსიკონში. ეს სახელწოდება შექმნილია მეფის რუხთან გადაადგილებით, რითაც მეფე უკანასკნელის დაცვაში იმყოფებოდა.

უძველეს დროს შუა აზიაში რუხი გამოყვანილი იყო ფრინველად, შემდეგ მისი ფორმა გამარტივდა, მიიღო მხოლოდ გაშლილი ფრთების სახე. ეტლის ასეთი ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული აზიასა და ევროპაში და რამდენიმე საუკუნის მანძილზე კვალდაკვალ მიჰყვება სხვადასხვა ხალხის საჭადრაკო კომპლექტებს.

რაც შეეხება აღმოსავლეთში საჭადრაკო ფიგურების დამზადებას, სასანიდელ მეფეების ზღაპრულ ფუფუნებაზე შემონახული ცნობებით ფიგურები და დაფა გაკეთებული იყო ძვირფასი მასალისაგან, რომლებიც მნახველს აოცებს თავისი მდიდრული ნაკეთობით და მორთულობით.

ფეჰლევის ხელნაწერი აღწერს ჭადრაკს, რომელიც ხოსროს სასახლეში ინდოეთიდან ჩამოიტანეს: „ეზდანის სახელით ხოსრო ანოშროვანის მეფობისას ინდოელთა დიდმა მეფემ დევსარმა, სურდა რა გაესინჯა ირანელთა ´გონება და სიბრძნე, გაგზავნა თექვსმეტი ცალი ზურმუხტისა და თექვსმეტი ცალი ლალის ჩატრანგი“.

სხვა ცნობით, რომელიც „შაჰ-ნამეშია“ მოყვანილი, ჭადრაკი გაკეთებული ყოფილა სხვა, მაგრამ ძვირფასი მასალისაგან: „ამ დაფაზე ფიგურების ერთი ნაწილი სპილოს ძვლისა იყო, სრულფეროვანი, სხვა ფიგურები ტეკისა იყო“.

აღმოსავლეთში ჭადრაკის მდიდრულად მორთვა ისე ყოფილა გავრცელებული, რომ ისტორიკოსების ცნობით, სპარსელთა მეფის ხოსროს ჭადრაკის ფიგურები ზურმუხტისა და იაგუნდისა ყოფილა, ხოლო სპარსელთა სხვა მფლობელს ისეთი ძვირფასი ფიგურები ჰქონდა, რომ თითო ცალი 3000 ოქროს დინარი ღირდა.

ფიგურების ირანული სახელწოდება

1. Shäh
2. Ferz
3. Hateht
4. Cahura
5. Ruch
6. Chaïer

ცნობები
H. I. R. Murray „A. Hust. of Chess“

სასანიდ მეფეთა სახელებთანაა დაკავშირებული ჭადრაკის წარმოშობის ოფიციალური თარიღი, როგორც ინდოეთში, ასევე ირანშიც. უძველესი დროის საჭადრაკო ლიტერატურა მოგვითხრობს ხოსრო პირველზე, როგორც ჭადრაკის მფარველსა და პირველ პოპულარიზატორზე.

ხოსრო მეორე კი ცნობილია, როგორც ჭადრაკის დიდი მოყვარული, რომელსაც ირან-ბიზანტიის ომის დროსაც არ შეუწყვეტია ჭადრაკის თამაში. ირანელები ჭადრაკს გაეცვნენ ინდოელების მეშვეობით ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში. შესაძლებელია ეს უფრო ადრეც მომხდარიყო. მხედველობაში გვაქვს საინტერესო უძველესი დოკუმენტი ირანული ლიტერა-

შახ ხოსრო I ანოშროვანი

ტურიდან, ჯერ კიდევ ხოსრო პირველის მეფობამდე. საყურადღებოა ერთი ლექსი, რომელსაც სპარსეთის მეფეს ბახრამ გურუს (420 — 448 წწ.) აკუთვნებენ. ლექსში ავტორს ჩამოთვლილი აქვს ძველი დროის ირანული გასართობები და მათ შორის ჭადრაკიც. ეს ცნობა ჭადრაკზე უფრო ადრეულია, ვიდრე VI საუკუნით დათარიღებული. ამასთან იგი გვამცნობს ირანში ჭადრაკის დიდ გავრცელებაზე. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჭადრაკის გამოგონების ოფიციალური თარიღი ზუსტი არ არის[1].

[1] ბახრამ გურას მითითებული ლექსი ნაპოვნია ხოსროშირინის სასახლის ნანგრევებში არაბი აბუ-ტიბირ-ხათუნის მიერ (949—983 წწ.). იხსენიება აგრეთვე მასუდ ალ-აუფთან. ეს ლექსები შევიდა კრებულ „კიდაბადებალ-კუზარას“ ნუშრევანის განყოფილებაში.

შუა აზია

XIX საუკუნიდან მეცნიერებამ წინ წამოსწია მოსაზრება, რომ შუა აზიის ხალხებსაც (სოგდა, ხორეზმი, ბაქტრია) მიუძღვით ჭადრაკის აღმოსავლეთიდან დასავლეთში გავრცელების ისტორიული წვლილი. შუა აზიამ ირანზე ერთი საუკუნით ადრე ინდოეთიდან გაიცნო ჭადრაკი...

חִרוּזִים עַל שְׁחוּז שָׁה-מָת לְהַרְב אַבְרָהָם אֶבֶן-עֶזְרָא זַ"ל

Carmina-Rhythmica de Ludo Shâh-mât, R. Abraham Abben-Ezra, beatæ memoriæ

Th. Hyde „Mandragorias seu historia Shahilludii" 1694.

ნაწყვეტი ეზრას ებრაული პოემიდან

ფირდოუსი (X ს.) თავის პოემა „შაჰ-ნამეში" (შესაძლო მეტად ძველი ტაჯიკური ლეგენდა) ლაპარაკობს ჭადრაკის წარმოშობის შესახებ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ მოვიყვანთ აქ აბრამ-ბენ-ეზრას (გარდაიცვალა 1167 წ.) ებრაული პოემის ნაწყვეტს, რომელშიც გვხვდება რუსული სიტყვა „Шахматы". შეიძლება ეს მხოლოდ დამთხვევაა, შესაძლოა ეზრა ესპანეთში ცხოვრობდა, სადაც X საუკუნეში არაბულ-ებრაული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ხასდაი იბნ-შაფრუტიც ცხოვრობდა, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა ხაზარეთის მმართველ იოსებთან, ხოლო ხაზარეთში ამ დროს იუდაიზმის მორწმუნენი უკვე ბევრნი იყვნენ. შესაძლებელია, რომ სიტყვა „Шахматы", პოემის ავტორმა ხაზარებისაგან გაიგო, რომელთაგან ჭადრაკი სლავებმაც გადმოიღეს. შეიძლება აქედან მოხდა ტერმინების დამთხვევა.

შუა აზიის ხალხებთან სლავების ადრეულ კავშირზე ლაპარაკობს არაბი ხორდაბდე (IX ს.). პროფესორ ს. ტოლსტოის ცნობით ძველი ბაქტრიის ჯარს, ისევე როგორც ინდურს, ჰქონდა საბრძოლო ეტლი (Ratha). ტერმინი „რუხი", რომლის სახელ-

წოდებით ცნობილი იყო საჭადრაკო ფიგურა ეტლი, არსებობს X საუკუნიდან. იგი პოემა „შაჰ-ნამეში“ პირველად იხსენიება. ეს მეტად საყურადღებო ფაქტია და მეტყველებს ამ ტერმინის შუააზიურ წარმოშობაზე. დიდი მნიშვნელობის ფაქტია აგრეთვე საბჭოთა მკვლევარების მიერ შუა აზიაში ორი საჭადრაკო ფიგურის პოვნა, რომელიც VIII საუკუნითაა დათარიღებული. ფიგურები გაკეთებულია მდიდრულად, სპილოს ძვლისაგან. ერთი, რომელიც მხედრის გამოხატულებაა, ნაპოვნია ძველი სამარყანდის ნაქალაქარში, აფროსიაბში და მეორე, რომელიც ლეგენდარულ ფრინველ რუხს ასახავს, ნაპოვნია ძველი ფერგანის ადგილას.

საჭადრაკო ტერმინები შუა აზიის ხალხებში

ტაჯიკებში:	უზბეკებში:
შაჰი — მეფე	შაჰი — მეფე
ფარზინი — ლაზიერი	ფარზინი — ლაზიერი
რუხი — ეტლი	რუხი — ეტლი
ფილი — კუ	ფილი — კუ
ასპი — მხედარი	სატრანჯი — თამაში
პიადა — პაიკი	(მოტი — შამათი, ქშით — ქიში)

ძველი თქმულებანი, რომლებიც „შაჰ-ნამეს“ დიდ ნაწილს შეადგენენ, ამოღებულია ტაჯიკური ეპოსიდან.

ფირდოუსი თავის პოემაში იძლევა საჭადრაკო ბრძოლის სურათს, აღწერს იმ ჭადრაკს, რომელიც შექმნილი იყო ბრძოლაში მეფისწულის დაღუპვის სამახსოვროდ. აი, ისიც:

ბრძენმა მოაწყო ბრძოლის ველი, რომლის სიღრმეში შაჰს მიუჩინა ადგილი, მარჯვნივ და მარცხნივ რაინდებს და წინ ბრძოლის მწყურვალ ფეხოსნებს. შაჰის ხელთან — ბრძენი დატოვა, რომელიც აჩვენებს ბრძოლის გზებს: ორივე მხრიდან განალაგა საბრძოლო სპილოები, რომელთა ყურადღება ბრძოლისკენაა მიმართული; შემდეგ დგანან საბრძოლო ცხენები, ზედ წამომჯდარია წმინდა აზრების ორი მფლობელი; შემდეგ ორივე მხრიდან დააყენა მარჯვნივ და მარცხნივ ბრძოლის მაძიებელნი მოუსვენარი რუხები.

VIII ს. ჭადრაკის ფიგურა „რუხი“ (შუა აზია)

VIII ს. ჭადრაკის ფიგურა „მხედარი“ (შუა აზია)

ჩამოთვლის რა ჩატრანგის ფიგურებს, ფირდოუსი ამბობს: „გამოიცნონ ფეხოსანი, სპილო და რაინდი, რუხი და სვლა“.

დასასრულს მოგვყავს ნაწყვეტები სტატიიდან „ახალი ცნობები ჭადრაკის ისტორიიდან“, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „Шахматы в СССР“ 1951 წელს (№ 10) და ასახავს საბჭოთა მეცნიერების თვალსაზრისს ამ საკითხზე.

„... არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ჭადრაკი გამოგონებულია სწორედ ინდოეთში ეფტალიცების (V ს.) ბატონობის დროს, ე. ი. ჭადრაკი ერთბაშად როდი გახდა ცნობილი ბაქტრიაში, სოგდასა და ხორეზმში. გამოდის რომ, არა სასანიდების ირანი, არამედ შუა აზია არის ჭადრაკის მეორე სამშობლო“.

„თუ დავუშვებთ, რომ მერეის თარიღი (570 წ.) მეტად ზუსტად აღნიშნავს არა ჭადრაკის გამოგონების, არამედ ირანში მისი გაცნობის დროს, მაშინ გამოდის, რომ სასანიდების ირანი ინდოელების გამოგონებას შუა აზიაზე თითქმის ასი წლით გვიან გაეცნო“.

ამის უტყუარი საბუთია ის, რომ Ratha-ს ტაჯიკებმა სახელი „რუხით“ შეუცვალეს და მათგან ეს სახელწოდება ირანელებმა გადაიღეს, რაც დასტურდება ძველი ფერგანის ტერიტორიაზე ფიგურა რუხის პოვნით.

ჭადრაკი არაბებში

640 — 650 წელს სპარსეთი დაიპყრეს არაბებმა. ამ დროიდან იწყება მუსლიმანური სამყაროს მიერ ჭადრაკის გაცნობა.

არაბებმა სწრაფად აითვისეს თამაში სპარსელებისაგან. სპარსეთში მათი ბატონობის დრო წარმოადგენს საჭადრაკო ხელოვნების აყვავებისა და პოპულარიზაციის ბრწყინვალე პერიოდს. VII საუკუნის დამდეგს არაბულ ლიტერატურაში მოხსენებულია ჭადრაკი, ხოლო 700 — 750 წლებში უკვე გამოჩნდნენ ცნობილი ოსტატები, რომლებიც დაფაზე დაუხედავად თამაშობდნენ. ხალიფები დიდად აფასებდნენ ჭადრაკს და თავის გარშემო იკრებდნენ გამოჩენილ მოჭადრაკეებს. თვითონაც სიამოვნებით თამაშობდნენ.

ხალიფების ჭადრაკით გატაცებისა და მათ მიერ ბრძოლაში წარმატების თუ წარუმატებლობის გამო ღრმა განცდებს გვამცნობს სუსტი მოჭადრაკის ხალიფ-ალ-მამუნის (IX ს.) სიტყვები: „გასაკვირია, რომ მე ვმართავ ქვეყანას აღმოსავლეთში ინდიდან ანდალუზიამდე — დასავლეთში, მაგრამ ვერაფერი გავაწყე ოცდათორმეტ საჭადრაკო ფიგურასთან ორ-ორი მტკაველის სივრცეზე“. X საუკუნის არაბი მწერალი მასუდი მოგვითხრობს, რომ მოდაში შემოსულა ჩვეულება მდიდართა სახლში იყოლიონ კარგი მოჭადრაკეები, რაც მაშინ სასახლის განსაკუთრებულ სიამაყეს წარმოადგენდა. 800-იან წლებში არაბებმა შემოიღეს ამოცანების შედგენა და მათი ჩაწერა, ხოლო 850 წელს უკვე დაიწერა დიდი და საფუძვლიანი წიგნი ჭადრაკზე. ამ წიგნის ავტორია იმდროინდელი უძლიერესი მოჭადრაკე ალ-ადლი. ადლი წერს აგრეთვე სპარსული და ინდური ჭადრაკის თამაშის წესების განსხვავების შესახებ. დასაშვებია, რომ ჭადრაკის გაცნობის ადრეულ პერიოდში არაბები ხმარობდნენ ე. წ. მხეცების მაგვარი სტილის ფიგურებს, მაგრამ შემდგომ-

ში „ყურანის“ მიერ ცოცხალი არსებების გამოსახვის აკრძალვის · გავლენით შემოიღეს ფიგურები — სვეტები, რომლებიც ერთმანეთისაგან ფერითა და სიდიდით განსხვავდებოდნენ.

დაახლოებით VIII საუკუნიდან შემოიღეს უძლიერესი მოთამაშის გამოსავლენი მატჩები. ამ დროის გამოჩენილ მოჭადრაკეებიდან განსაკუთრებით ცნობილი არიან: რაბრაბი, ჯაბარი, ალ-ადლი, ას-სული, ალ-მავარდი და სხვა. ბევრი მათგანი შუა აზიის მკვიდრი იყო. თამაშის თეორია ამ ოსტატებმა კარგად დაამუშავეს. შემოღებულ იქნა სადებიუტო დაწყებანი (tabiat) მუჯანახ, საიალო და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა არაბი ავტორი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ჭადრაკის სამშობლოა ინდოეთი.

მერეის ცნობით, ჭადრაკს პირველად იხსენიებენ არაბულ ლიტერატურაში VII საუკუნის შემდეგ. მსოფლიოს პირველ საჭადრაკო წიგნში, რომელიც არაბ თეორეტიკოსს ალ-ადლის ეკუთვნის (850 წ.), მოცემულია დებიუტები, ამოცანები, იმ დროის საჭადრაკო პარტიები, მხედრის სვლის გარჩევა და მეტად საინტერესო ცნობები სპარსული და ინდური ჭადრაკის თამაშის წესების განსხვავებულობის შესახებ.

არაბი მწერლების მასუდის (IX ს.), იბნალ-ასირას (X ს.), ტაზარის (IX ს.), სა-ალიბის (XI ს.) ცნობები არაბული შატრანჯის განვითარების სრულ სურათს გვიხატავენ (შატრანჯი სპარსული ტერმინის შატრანგის და ფეჰლევის — ჩატრანგასაგან წარმოიშვა. ეს ტერმინები კი ინდო-სანსკრიტულ ტერმინ ჩატურანგასაგან შეიქმნა).

VII საუკუნიდან გარუნ-ალ-რაბიდის (833 — 842 წწ.) მესამე ვაჟიშვილის ხალიფ მუტაზიმა-ბილახომდე და შემდეგ, სახელდობრ 842 — 847 წლებში, ხალიფების ვატიკასა და მუტავაკილის მეფობისას ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები გამოჩენილ ოსტატებს შორის. მაგალითად, მატჩი ალ-ადლისა და ალ-რაზის შორის, რომელიც ალ-რაზიმ მოიგო.

არაბების მიერ შემუშავებულმა თამაშის წესებმა აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში იარსებეს ახალ რეფორმამდე, ე. ი. XVI საუკუნემდე, ხოლო რუსეთში არაბების გავლენა XVIII და XIX საუკუნეებშიც ემჩნეოდა.

არაბების გავლენის პერიოდში გავრცელებული იყო ე. წ.

დიდი ჭადრაკი — ასიანი და ასორმოცდათხუთრიანი დაფა დამშატებითი ფიგურებით,

საინტერესოა ჩვენამდე მოღწეული არაბული საკვალიფიკაციო წესები: „...მოთამაშეები იყოფიან ხუთ კლასად: პირველი კლასის მოთამაშეები ერთი და იმავე დროს სამზე მეტი არ არიან. მეორე კლასის მოთამაშეს არ შეუძლია პირველი კლასის მოთამაშეს ათში ორი-სამი პარტია მოუგოს. მესამე კლასის მოთამაშე პირველი კლასის მოთამაშისაგან წინ ლაზიერს[1] ღებულობს. მეოთხე კლასის მოთამაშე — ღებულობს მხედარს და მეხუთე კლასისა — რუხს (ეტლს). ეტლზე მეტის მიცემა შეიძლება მხოლოდ ქალებისათვის, ბავშვებისა და დამწყებთათვის“.

არაბული ჭადრაკის ფიგურა (IX—X სს.)

არაბული საჭადრაკო ფიგურების სახელები

შაჰ — მეფე	შაჰ — მეფე
ვეზირი — ლაზიერი	ფერსინი — ლაზიერი
ფილი — კუ	ფილი (ან ალფილი) — კუ
ბეგირი — მხედარი	ფარასი — მხედარი
როხ — ეტლი	რუხი — ეტლი
პედა — პაიკი	ბაიდაკი — პაიკი
(ცნობები გრიმის მიხედვით)	(ცნობები ლინდეს მიხედვით)

არაბმა ავტორებმა შექმნეს მდიდარი საჭადრაკო ლიტერატურა, რომლის ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია. ზოგი ცნობილია მოგვიანო თხზულებების მიხედვით. უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთში შუა საუკუნეების ჭადრაკის გამოჩენილი ოსტატები: ზაირაბი, ჯაბირი, აბდალჯაფარი, ნაიმი (VIII — IX სს) აგრეთვე თეორეტიკოსი-მკვლევარებიც იყვნენ, რადგან მომდევნო საუკუნის მწერლებს მოჰყავთ მათი ბევრი ამოცანა (მან-

[1] არაბულ ჭადრაკში ლაზიერი ყველაზე სუსტი ფიგურა იყო.

სუბი) და პოზიცია, რაც არაფრით არ შეიძლება შემონახულიყო ზეპირი გადმოცემით.

ეს მტკიცდება ისტორიკოს ალ-მასუდის (გარდ. 957 წ.) წიგნით „ოქროს მდელო", სადაც იგი ლაპარაკობს, რომ მის დროს არსებობდა ძველი საჭადრაკო წიგნები. ამ წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. საჭადრაკო წიგნი ალ-რაზისაც დაუწერია, მაგრამ ჩვენამდე ვერც მან მოაღწია. მისი წიგნით სარგებლობდა იმ დროის თვალსაჩინო საჭადრაკო ოსტატი ას-სული, რომელმაც ჭადრაკის მეცნიერულ ლიტერატურას შემატა თავისი გამოკვლევები, თეორიული ანალიზები.

ყველა ეს წიგნი ჩვენთვის ცნობილია მოგვიანო თეორიული კრებულების ცალკეული ნაწყვეტებიდან.

აბდულფარაჯა ლადლაჯას (ას-სულის მოწაფე, გარდაიცვალა 970 წ.) წიგნი შეიცავს შატრანჯის დებიუტებს და ჩვენამდე სრულად მოღწეულ ძველ აღმოსავლურ სპეციალურ საჭადრაკო ტრაქტატს წარმოადგენს.

აბდულახ ხორეზმი (IX — X სს.) ამოცანა-მანსუბების ავტორია. მისი ზოგიერთი მანსუბი ცნობილია შუა საუკუნეების (XV ს.) საჭადრაკო ხელნაწერების მიხედვით. ერთი მისი ამოცანა შესულია 1140 წლის კონსტანტინეპოლის კრებულში. ასეთი ტრაქტატის ოთხი ხელნაწერი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში: ერთია წიგნი ჭადრაკზე (შეიცავს დებიუტებსა და 127 მანსუბს), XII საუკუნეში შედგენილი, მეორე—აბუ-მუჰამედ-იბნ-ომარის (XVI ს.) წიგნის სპარსული თარგმანი.

შუა საუკუნეების ჭადრაკის გამოჩენილი არაბი „ალიები" (ოსტატები)

აბუ-ჰაფიზი (VIII ს.), ზეირაბ კატაი (819 წ.), ჯაბირ-ალ-კუფი (VIII — IX სს.), აბალ-ჯაფარ-ანსარი (VIII — IX სს.), ნაიმ-ალ-ხადიმი (VIII — IX სს.), ალ-ადლი (855 წ.), ალ-რაზი (IX — X სს.), სერახში (IX — X სს.), მავარდი (IX — X სს.), ას-სული (IX — X სს.), ლადლაჯი (X ს.), ალ-ბირუნი (970 — 1048 წწ.), ალ-კანაფი, იბნ-დენდანი, ალ-არი მოხსენებული არიან 1257 წლის ხელნაწერში, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში

ონახება. ჯალალედინი (ნახჩევანიდან,) ალ-შატრანჯი (თემურ-ლენგის კარის მოჭადრაკე). მუჰამედ კაზრუნი და აბდალაჰ ხოჯრეზმი (IX — X სს.) მოხსენებული არიან შუა აზიის ხელნაწერში (XV ,ს.).

ჭადრაკი შორეულ აღმოსავლეთში

ჩინეთში

ჩინური წყაროებით ჩინეთში ჭადრაკის თამაშს 537 წელს გაეცნენ. ეს თარიღი შეიძლება სადაო იყოს, შესაძლებელია ეს უფრო გვიან მოხდა. ჩინური ჭადრაკი ისევე როგორც იაპონური (შოგი) დღემდე ინარჩუნებს გენეტიკურ კავშირს ინდურ და ირანულ პროტოტიპებთან, მაგრამ თავის ნაციონალურ პიროებებში მრავალი ასეული წლის მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა სახისა და შინაარსის მიხედვით.

მერეის ცნობებით[1], ჩინეთში ჭადრაკი მოხსენებულია ერთ ჩინურ საჭადრაკო შრომაში, რომელიც დაახლოებით 800-იან წლებშია დაწერილი. ამ წიგნში მოცემულია აგრეთვე თამაშის წესები და ზოგიერთი რჩევა-დარიგება. წიგნის სათაურია Hsiang-ci (Sianghki)[2]. ამ თამაშის დაფა, რომელიც მრავალნაირია, შედგება 8×8 კვადრატებისაგან. დაფას შუაზე ჰყოფს ზოლი, ნეიტრალური ზონა ან მდინარე. ფიგურები მრგვალი და ბრტყელია. მათ აწერია ფიგურის სახელი. სამწუხაროდ, არც რუსულ ენაზე მოგვეპოვება რაიმე ცნობა ჩინური ჭადრაკის შესახებ, რომელიც მეტად სასარგებლო იქნებოდა, რადგან ჩინური ჭადრაკი თავისი ღრმა შინაარსით მეტად საინტერესოა.

შუა, დასავლეთ აზიის და ჩინურ ჭადრაკს შორის არსებული განსხვავება მიგვითითებს იმაზე, რომ ჩინური ჭადრაკის გამოყოფა მოხდა რამდენიმე საუკუნის წინათ.

---

[1] „A Hist. of Chess"—1913 წ.

[2] ამ სახელწოდებაში შეიმჩნევა თამაშის ინდური წარმოშობა. სი ჩინური სიტყვაა—ოთხი, ანგა სანსკრიტული სიტყვაა, კი ან ქი—ჩინურად თამაშს ნიშნავს.

ფიგურების რაოდენობა — ოცდათორმეტია, ყოველ მხარეს თექვსმეტ-თექვსმეტი ფიგურაა. მაგრამ ფიგურები კვადრატებზე კი არ დგანან, როგორც ჩვენს ჭადრაკში, არამედ კვადრატების გადაკვეთაზე. უკანასკნელ ხაზებზე განლაგებულია ცხრა ფიგურა და შვიდი ფიგურა გამოტანილია მეორე და მესამე ხაზზე უჯრების a7 და b7, g7, h7, და a6, b6, და c6, d6 და e6, f6 და g6 და h6 პირიპირზე. ასეთივე განლაგება აქვთ თეთრებსაც.



ჩინური ჭადრაკის უძველესი ფიგურა „შვიდი მეფე"

ჭადრაკის ფიგურების ჩინური სახელწოდებანი:

ლო-შუე — მეფე
ში — ლაზიერი
სიანი — კუ
მა — მხედარი
დიუ — ეტლი
პხაუ — ზარბაზანი
ბინი — პაიკი

ფიგურების შეფარდებითი ძალა შემდეგია:
ერთი ეტლი — ორი მხედარი, ან ოთხი პაიკი
ერთი ზარბაზანი — პაიკი და მხედარი, ან სამი პაიკი
ერთი მხედარი — ორი პაიკი
ერთი კუ — ერთი ლაზიერი, ან ერთი პაიკი

ჩინურმა ჭადრაკმა გადაუხვია რა თავისი ინდური პროტოტიპის გზას, განვითარდა ქვეყნის ნაციონალურ ჩარჩოში, ისე. რომ არ მოუხდენია არსებითი გავლენა მეზობელი ხალხების ჭადრაკის თამაშზე. ყოველ შემთხვევაში ამ თამაშის და მისი ისტორიის შესწავლა ჩინური წყაროებიდან, განსაკუთრებით ბუდისტთა არქივებით, დიდ სარგებლობას მოუტანდა ჭადრაკის ზოგადი ისტორიისა და კერძოდ, ჭადრაკის რელიგიურ კულტთან კავშირის საკითხის გაშუქებას[1]. უეჭველია, რომ ჩინეთში ცნობილი იყო ჭადრაკის ასტრალო-მისტიკური მნიშვნელობა, რასაც მერეიც ამტკიცებს.

ი ა პ ო ნ ი ა ში

ჭადრაკის შესახებ იაპონიაში თითქმის არაფერია ცნობილი. ჭადრაკს იაპონიაში უწოდებენ „შოგი“-ს, იგი იქ არსებობს დიდი ხანია და შესაძლებელია გაჩნდა ჩინეთში ჭადრაკის გაცნობისთანავე.

იაპონური „შოგის“ გარეგნობა ნაწილობრივ ჩინურ ჭადრაკს გვაგონებს, თუმცა საფიქრებელია, რომ მას სათავეები ჩინურ თამაშში აქვს. იაპონიაში ჭადრაკს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. მას ასწავლიან სამხედრო სკოლებში. არსებობს ბევრი საჭადრაკო კლუბი. პრესა ხშირად აქვეყნებს მასალებს შეჯიბრებებზე და თამაშის სხვა საკითხებზე.

„შოგი“ საინტერესოა, როგორც მასობრივი თამაში, რომლის გავრცელება წინ უსწრებს ჭადრაკის გავრცელებას ევროპასა და ამერიკაში.

---

[1] ბურიატები და ყალმუხები ამტკიცებენ, რომ მათ ჭადრაკი ჩინელებისაგან ისწავლეს. მაგრამ ეს ნაკლებად მისაღებია. უფრო შესაძლებელია, რომ ჭადრაკი მათთან ტიბეტიდან შემოვიდა.



იაპონური ჭადრაკის დაფა

„შოგის“ დაფა 9×9 უჯრაზეა, ათ პაიკს (ფუ) და II ფიგურას სამკუთხედის ფორმა აქვს. მათვე აწერია ფიგურის სახელწოდება. დაფაზე ფიგურა წვეტი კუთხით მოწინააღმდეგისაკენ დგას. საერთოდ კი, ფიგურები განლაგებულია ისე როგორც ჩვენს ჭადრაკში — უკანასკნელ ჰორიზონტალებზე, ხოლო ორი ფიგურა (კა-კუ და ხი-სია, ე. ი. კუთხის გენერალი და მფრინავი ეტლი) დგას მეორე ჰორიზონტალის უჯრებზე (ჩვენი ნოტაციით) — b2, b7, g2 და g7. „შოგის“ თავისებურებაა, რომ მასში ლაზიერი არ არის.

„შოგის“ საჭადრაკო ფიგურების სახელწოდებანი

ოტე — მეფე
იარი — ეტლი
კინი — ოქროს გენერალი
გინი — ვერცხლის გენერალი
ჯეიმი — მხედარი
კაკუ — კუთხის გენერალი
ხისია — მფრინავი ეტლი (შორსმსროლელი)
ფუ — პაიკი

კორეული ჭადრაკი ძალიან ჰგავს ჩინურს. დაფა, 8×9, ფიგურები მრგვალია, ეეტონის მსგავსი. აქვს სახელწოდების წარ-

ერები. ფიგურების განლაგება დაფაზე ისეთივეა, როგორც ჩინურში, ე. ი. უჯრების პირისპირ. ფიგურების რაოდენობა 32, თითოეულს 16 ფიგურა აქვს, ნეიტრალური ზონა არ არის. მეფეები დგანან შემდეგ უჯრებზე: თეთრები — d1, e1, d2, e2, შავები — d8, e8, d7, e7.

ტიბეტში

ჯერჯერობით ნათელია მხოლოდ ის, რომ არაფერი არ აქვს საერთო ჩინურ ჭადრაკს ცენტრალურ და ჩრდილო აზიის ჭადრაკთან, რომელიც ინდურ თამაშს (მის ნაირსახეობას) წააგავს.

მრავალი მოგზაურის (გიუკის, გობეს, ბორჯილის, რუზველტის, ვერეშჩაგინის) ცნობით ტიბეტში ჭადრაკი მეტად გავრცელებული თამაშია. იქ თითქმის მთელი სამღვდელოება ჭადრაკს თამაშობს, ამასთან ზოგიერთი ძალიან კარგად.

ტიბეტში სპილოს ძვლისაგან გაკეთებული საჭადრაკო ფიგურები გამოსახავენ ნადირებს. დაფა, სვლები და თამაშის წესები ევროპულის მსგავსია.

ევროპისა და ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტულ მეცნიერთა აზრით ტიბეტში ჭადრაკი შუა აზიის ინდო-არაბული გავლენით წარმოიშვა. დაახლოებული იყო რა ჭადრაკი ბუდის სარწმუნოებასთან და ფართოდ გავრცელდა ბუდისტური სარწმუნოების მიმდევარ ხალხთა შორის (ბურიატები, ყალმუხები, მონგოლები და სხვ.). ინდური პროტოტიპი (ჩატურანგა) საფუძვლად უდევს ტიბეტურ ჭადრაკს.

მოგვყავს ტიბეტური საინტერესო დიაგრამა, რომელიც თავისი ხასიათით, დაკავშირებულია ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილ ჭადრაკსა და ბუდისტური სარწმუნოების კულტთან. მოცემული დიაგრამა მერეიმ გამოაქვეყნა. მისი თქმით, ამ დიაგრამას ჩინეთშიც აქვს ანალოგია.

მერეი მოგვითხრობს: „საინტერესოა 8×8 დაფაზე პოზიციის გამოყენება, რომელიც, როგორც ირკვევა, ბუდისტურ თამაშს წარმოადგენს. ამ დაფაზე მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 რიგი დაკავებულია რელიგიური ხასიათის ფიგურებით. ფიგურა a8 — a7-ზე, წარმოადგენს ბოდისატყამანეუშრის პოზიციას,



ტიბეტური საკულტო ჰადრაკის დაფა

ხოლო h8 — h7 (ხე), ე. წ. „სიბრძნის შედეგს“ ანუ ცოდნის ემბლემას. მათ შორის მდებარე კენტი რიგები შეიცავენ ნაწილობრივ ცარიელ კვადრატებს, ხოლო ნაწილი შევსებულია ტიბეტური სიტყვებით“.

სამწუხაროა, რომ არ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდნენ ამ დიაგრამას ბუდისტები კულტის რიტუალური წესების შესრულების დროს. ცნობები, რომლებიც ამჟამად მეცნიერებას აქვს, ემყარება ტიბეტში ნამყოფ მოგზაურთა (რუსი მკვლევარის პ. კოზლოვის, ინდოელი სარატ-ჩანდრადასს) და მლოცველების (ბურიატების, ყალმუხების) გადმოცემებს. 1904 წელს ინგლისელთა რაზმმა ცენტრალურ ტიბეტში შეიარაღებული შეჭრით შეძლო მრავალი ცნობის მოპოვება უჰისა და ცზანის მონასტრების საცავებიდან.

მერეის ზემომოყვანილ მცირე ცნობებს კულტობრივი საჭადრაკო დიაგრამის შესახებ, საჭიროა მივუმატოთ ზოგიერთი ჩვენი განმარტება, რომელიც ძირითადად დაფის ზოგიერთ უჯრაში განლაგებულ ემბლემის არსს ეხება.

დაფაზე არის ორი მთავარი გამოსახულება (ერთი a7 — a8 კვადრატში, მეორე h7 — h8-ში). ეს ორი გამოსახულება: 1. ბოდისატვამანჟუშრი წელზე ხმლით და 2. განტოტებული ხე, თითქოს სათავეში უდგას მთელ დაფას. ბუდისტური პანთეონიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ბოდისატვამანჟუშრი (ან მანჯუგოშა) ითვლება ბუდისტების მეტად საპატივცემულო ღმერთად, იგი არის სწავლის, მართლმსაჯულების, ცოდნის მფარველი, ზეაწეული ხმალი კი სიჩქარეზისა და უვიცობის აღკვეთის სიმბოლო. ხე, რომელიც h7 — h8-ზე მდებარეობს მანჟუშრის სიმბოლოდ ითვლება „სიბრძნის შედეგის" აზრით.

ბუდიზმის ისტორიაში ხე მეტად პოპულარულია. თითქოს ხის ქვეშ ჯდომა უყვარდა თვით ბუდას, საკია-მუნის, სადაც იგი სიბრძნის ძალას იკრებდა. გარდა ამისა, ხესთან დაკავშირებულია ბუდასა და მის მოწაფეთა ცხოვრებიდან მრავალი ბუდისტური ლეგენდა.

ამ დიაგრამის დაფა 8×8-ზე, უნდა შეესაბამებოდეს ბუდის მოძღვრებას ცნობილ რვაგანზომილების ბილიკს (1. მარჯვე რწმენა, 2. მარჯვე გადაწყვეტილება, 3. მარჯვე სიტყვა, 4. მარჯვე საქმე, 5. მარჯვე ცხოვრება, 6. მარჯვე მისწრაფება, 7. მარჯვე აზრი, 8. მარჯვე თვითჩაწვდომა).

ყველა დანარჩენი ემბლემა, როგორც მერეი შენიშნავს, კულტობრივი ხასიათისაა, ზოგიერთი მათგანი შეიძლება აიხსნას ჩვენთვის ცნობილი სიმბოლიკისა და ემბლემატიკის ბუდისტური მოძღვრების და კერძოდ ჩრდილოეთის ბუდიზმის საფუძველზე. ასე, ნახატი a6 კვადრატში არის ღვთაებრივი ბურჰანა — ჭურჭლის გამოსახულება, რომელშიც თითქოს ინახება თავის სიცოცხლეში ბუდას გამოთქმული აზრები. ბუდისტებთან ამ ჭურჭელზე შუბლის მიდება ითვლება რწმენის მნიშვნელოვან აქტად. შესაძლებელია, h6 კვადრატში ნახატიც წარმოადგენს ბურჰანას ან მონუმენტური საფლავის წარწერას (სუბურგანს), რომელიც ესოდენ ხშირად გვხვდება ინდოეთში. დიდი ე. წ. ოქროს სუბურგანი არის ტიბეტის დალაილამას (პოტოლას) სასახლეში, ქ. ლხასაში.

g6 კვადრატში ჩართულია „მრავალი თვალის“, ე. ი. თამაშების სინონიმის საინტერესო ემბლემა. h4 და e8 კვადრატებში მოთავსებულია აზრით ერთნაირი მზის ემბლემა (e8 კვადრატში, ისე როგორც e1-ში, ჭადრაკში დგას მეფე. იქნებ აქედანაა ძველი ჩვეულება მეფე-ფიგურის მზისადმი მიძღვნა.). d4 კვადრატში მოჩანს გველი. სამწუხაროდ, შეუძლებელია განვსაზღვროთ სიკეთისა თუ ბოროტების აზრითაა იგი დაფაზე წარმოდგენილი.

ბუდის ისტორიაში არსებობს გველის ორი განსაზღვრა: 1. ბოროტი მაცდური — გველთა მეფე, განასახიერებს სიცრუეს (იხ. Samyntta Nikaya, მოთხრობათა კრებული, განყ. Maramutta) და 2. გველთა მეფე მუჩალინდი, რომელიც თავისი სხეულით იცავს ქარიშხალისა და წვიმისაგან (იხ. გ. ოლდენბერგის „ბუდა, მისი ცხოვრება და მოძღვრება და თემი“. რუსული თარგმანი, 1905 წ., გვ. 164).

e4 კვადრატში ჩვენ კვლავ ხეს ვხვდებით. შესაძლებელია, რომ მასში უნდა დავინახოთ სწორედ ის ხე-ურუვეში, რომლის ქვეშ ბუდამ მაღალ სიბრძნეს მიაღწია, ხოლო ჩრდილოეთის ბუდიზმის თქმულება მოგვითხრობს: ერთხელ ბუდა მიწვეული ყოფილა შეძლებულ ხან გეჰენ პლაგუსტანუსთან (ინდ. პრასპანჯითი). ხალხს შორის მყოფმა ბუდამ მიწაზე დააგდო თავისი კბილის ხის საჩიჩქნი, რომლისაგან გაიზარდა უზარმაზარი ხე 500 მილზე გაშლილი შტოებით. როდესაც ქარი არხევდა მის სურნელოვან შტოებს, მათგან ლოცვა ისმოდა. ბუდისტებთან ლოცვას მუდამ ორი მიზანი აქვს: ბუდისა და მოძღვრებაცოდნის თაყვანისცემა. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავიგოთ საჭადრაკო დიაგრამის e4 კვადრატში მდებარე ხე.

ძნელია თქვა, რომელი მონასტერია გამოსახული a2 კვადრატში და რას ნიშნავს იგი. არაა გამორიცხული, რომ ის ერთერთი მონასტერია ტიბეტში განთქმული სამი მონასტრიდან (სერა, ბრაბუნი ან გალდანი). სწორედ მონასტერ გალდანში (XV ს.) არის ცოდნისა და სამართლიანობის მფარველი ბოდისატვამანეუშრის (ტიბეტურად ჩენემიანის) გამოსახულება.

b2 კვადრატში ხარის გამოსახულება წარმოადგენს უძველესი ინდური კულტის, ამ ცხოველის გაღმერთების ასახვას. ანალოგიური მაგალითები უხვად მოიპოვება ახლო აღმოსავლეთში

(მაგალითად, ეგვიპტეში აპისის კულტი). ოდესღაც საქართველოშიც იყო თაყვანისცემა ხარისადმი, როგორც მიწათმოქმედებაში უძველესი–მუშა-საქონლისა. ეს წარმართული კულტი შემდგომ ქრისტიანობასაც გადმოჰყვა. მეტად საინტერესოა საქართველოში ამ კულტის ნიშნები, მაგალითად, ბოლნისის უძველესი ტაძრის გარეგან კეთილსახიერებაში და მცხეთის კათედრალური სვეტიცხოველის გარე კედელზე.

f4 კვადრატზე მოჩანს კიბე და ადამიანის ფიგურა. ეს საგსებით ნათელი ალეგორიაა, სულის კიბური დაყოფის თანმიმდევრული სრულყოფა ნირვანის გზაზე. ამ კიბის ბოლოს იქმნება მდგომარეობა წარმოდგენისა და შეგრძნების გარეშე, რომელიც თავისი კატეგორიული მდგომარეობით სიკვდილს (არსებობას, არარაობას ან ნირვანს) ნიშნავს, ე. ი. ბუდიზმში ადამიანის ყველაზე ამაღლებულ მდგომარეობას მოგვაგონებს.

g4 კვადრატზე მოთავსებულია სამსახიანი ღვთაება გუჰიასომაჯას გამოსახულება, რომლის დანიშნულება ამ საჭადრაკო დიაგრამაზე საგსებით გაურკვეველია. e6 კვადრატზე რომელიღაც წმიდა ან დიდი ბრძენი კბილანებიანი შარავანდედის მიხედვითაა გამოსახული.

სპილოს ნახატი ალბათ დაკავშირებულია ბუდისტურ ლეგენდასთან, რომელიც შემდეგს მოგვითხრობს: ვიწრო მოსახვევში მიმავალ ბუდას წინააღმდეგ მისმა მტრებმა გაუშვეს გარეული სპილო, რომელიც გაჩერებულ იქნა ბუდას სულიერი ძალით და მორჩილად გაბრუნდა უკან, ბუდასათვის რაიმე ზიანის მიუყენებლად.

d2 კვადრატზე ურჩხული წარმოადგენს ჯოჯოხეთის ძალას, რომელმაც გადაყლაპა ბუდას მოწინააღმდეგე დევადატა. რაც შეეხება ფრინველთა ხუთ გამოსახულებას b8, f8, c4, e2 და d8 კვადრატებზე, მათი აზრი და მნიშვნელობა გაურკვეველია.

საგსებით დასაშვებია აქ დავინახოთ წმიდა ფრინველი გარუდა, ინდურ მითოლოგიაში ფრინველთა მეფე, რომელიც ახლოა ღმერთების პანთეონთან და ხშირად გამოსახულია ბუდის ქანდაკებებზე დასრულებული ემბლემის სახით ან ემსახურება ცხენის მაგივრად მზის ღმერთს ვიშნუს. საინტერესოა უთავოდ დამჯდარი ფიგურა. ეს პირდაპირი ილუსტრაციაა ბუდიზმის ცნობილი ცნებისა, რომელსაც ასწავლიან საბერმონაზნო ორდენში

პირველად შემსვლელ ადამიანს. მცნება იუწყება: „... მსგავსად იმისა, როგორც არ შეუძლია ადამიანმა იცოცხლოს ტანით, როდესაც მოკვეთილი აქვს თავი, ბერი, რომელიც სქესობრივ კავშირს ეწევა, უკვე აღარაა ბერი; იგი არ არის საკია-მუნის მოწაფე. ამისაგან შენ თავი უნდა შეიკავო მთელი სიცოცხლის მანძილზე". დიაგრამაზე მოყვანილ ემბლემათა ჭეშმარიტი არსის ჩვენი განმარტებები შეიძლება მიახლოებითი იყოს მანამ, სანამ არ გამოქვეყნდება ტიბეტური, ჩინური ან ინდური ხელნაწერების სრული ტექსტები, ბადრი მთვარის დღესასწაულზე ყველა ემბლემისა და ჭადრაკის გამოყენების მთლიანი პროცედურის დაწვრილებითი აღწერა. რაც შეეხება თვით ბადრი მთვარისა და ახალი მთვარის დღესასწაულებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბუდისტები დღესაც დღესასწაულობენ, ისინი არ არიან ბუდისტური წარმოშობისა და მიეკუთვნებიან უფრო გვიანდელი ვედების კულტს.

ამრიგად შესაძლებელია, რომ ტიბეტმა თამაში უშუალოდ ინდოეთიდან ისწავლა და ამასთან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ციმბირის მრავალ ხალხში (თუ ყველასთან არა) ამ თამაშის დანერგვის საქმეში.

ჭადრაკი მონღოლეთში

მონღოლებში ჭადრაკის თამაში ცნობილია XII — XIII საუკუნეებში. მისი ფესვი ალბათ შუა აზიის შატრანგში უნდა იყოს.

ლიტერატურაში ცნობილია მონღოლთა მრისხანე დამპყრობელ თემურლენგთან დაკავშირებული საჭადრაკო ფიგურების სახელები, რითაც სარგებლობდა თვითონ ჭადრაკის დიდი მოყვარული თემურლენგი. ეს სახელწოდებები არაბულია, რაც ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ დროისათვის მონღოლებს არ ჰქონდათ ჭადრაკის საკუთარი ტერმინოლოგია. აი, თემურლენგის სათამაშო ფიგურების საჭადრაკო ტერმინოლოგია: 1. Shâh 2. Pherz, 3. Wazir 4. Giamal 5. Phil 6. Zurapha 7. Talia 8. Debbâba (Dabbâba) 9. Pharas 10. Ruch 11. Beidak.



თემურლენგის ჭადრაკის ფიგურების სახელწოდება არაბულ ენაზე.

თავის შრომაში ა. ტერეშჩენკო[1] მოგვითხრობს, რომ იგი თვითონ ძველი ურდოს დედაქალაქის სარაის შესწავლისას, ხშირად ნახულობდა პალმის ხიდან გაკეთებულ საჭადრაკო ფიგურებს.

ძველი მონღოლური ჭადრაკის აღმოჩენის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე ა. პაელოვიც თავის წერილში, ქ. კურგანის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების შესახებ[2].

იგი გამოთქვამს აზრს, „რომ თემურლენგის შთამომავალნი ზოგჯერ თავის ჯარებს აჩერებდნენ ჭადრაკის სათამაშოდ და ამით ერთობოდნენ“.

მონღოლეთში ჭადრაკის თამაში ამჟამადაც ძალიან გავრცელებულია ხალხში. ჭადრაკით დაინტერესებულნი არიან ყველაზე შორეულ სოფლებშიც. მონღოლეთში არსებობს აგრეთვე ხალხური რწმენა, რომ ჭადრაკის ოსტატები დიდხანს ცოცხლობენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი მონღოლური ლეგენდა, რომელიც ულან-ბატორში ს. კონდრატიევმა ჩაიწერა: „ერთი მონღოლი ხანი ბრამინს ჭადრაკს ეთამაშებოდა. თამაშის დროს ხანს გაუთავდა სიცოცხლის ვადა. სიკვდილის მბრძანებელმა ერლიკ-ხანმა მაშინვე გაუგზავნა ხანს თავისი მდევარი-ელჩი, რომელსაც დაავალა სასწრაფოდ ჩამოეყვანა ხანი. მაგრამ, საბედნიეროდ, თვითონ მდევარი ჭადრაკის მოყვარული გამოდგა. იგი ისე გაიტაცა ხანის თამაშის ოსტატობამ, რომ მბრძანებლის განკარგულება დაავიწყდა. ამ შემთხვევის მეოხებით ხანი ცოცხალი დარჩა და კიდევ დიდხანს ტკბებოდა ჭადრაკის თამაშით“.

მონღოლებში ჭადრაკს განსხვავებული წესებით თამაშობენ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ეს წესები ძალიან ჰგავს ტიბეტელთა თამაშის წესებს.

---

[1] А. Терещенко, «Быт русского народа», 1848 г., ч. IV.

[2] «Живописная Россия», 1884 г., т. XI.

მონღოლებთან ჭადრაკს ჰქვია ჩიდირა ან Shatara.

თანამედროვე მონღოლური საჭადრაკო ფიგურების ტერმინები:

ნოინი — მეფე
ბერზე — ლაზიერი
ტერგე — ეტლი
ტემე — აქლემი (კუ)
მორი — მხედარი
ხუ — პაიკი

ავინის ბურიატებისა და ყალმუხების საჭადრაკო ფიგურების სახელწოდებები

შატარა — თამაში

ხანი — მეფე
ბერზე — ლაზიერი
ტანი — კუ
ტერგენ — ეტლი
მერინი — მხედარი
კიუბუნი — პაიკი

სოიოტების (ურიანხოელების) საჭადრაკო ტერმინოლოგია

შოდრა — თამაში

ნოიონი — მეფე
ბარ-მერზე — ლაზიერი
ტერგე — ეტლი
ტებე — აქლემი (კუ)
ოტი — მხედარი
ოლი — პაიკი

როგორც ჩანს, ყალმუხებში, ბურიატებსა და აზიის მონღოლების სხვა მონათესავე ხალხებში საჭადრაკო ტერმინოლოგია ერთმანეთის მსგავსია.

უკანასკნელი ცნობებით[1] მონღოლები დიურბეტის ტომიდან, რომლებიც ტბა უბსას ნაპირებზე ცხოვრობენ, განსაკუთრებით გატაცებული არიან ჭადრაკის თამაშით. აქ მოთამაშეების გარშემო ყოველთვის დიდძალი ხალხი იკრიბება.

მათთან მიღებულია თავისი და მეტოქის სვლების ხმამაღალი კომენტირება, მაყურებლები ხმამაღლა განიხილავენ აგრეთვე პოზიციის შესაძლებლობებს.

ულან-ბატორში ახლაც იმართება საჭადრაკო შეჯიბრებები საყოველთაოდ მიღებული წესებით. ჰყავთ ოსტატებიც.

---

[1] Мурзаев, «Непроторенными путями».

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთს არ შეუმუშავებია ჭადრაკის თამაშის ერთიანი, მყარი სისტემა, როგორც ეს შემდგომში დასავლეთში გაკეთდა.

აღმოსავლეთში ჭადრაკის თამაში იყო და რჩება ნაირსახოვან_თამაშად სხვადასხვა წესებით.

ჭადრაკი ბიზანტიაში

ბიზანტიის სახელმწიფოში ჭადრაკი არაბებმა შეიტანეს. ბიზანტიის ღარიბი წყაროები არ გვაძლევენ საშუალებას ბევრი ვთქვათ ამ სახელმწიფოში ჭადრაკის შესახებ.

ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ორი დოკუმენტი.

უძველესი ეკუთვნის ნიკიფორე ლოგოფეტის (IX ს.) მმართველობის და მეორე — ალექსი I კომნენის (XII ს.) დროს. პირველი წარმოადგენს დიპლომატიურ დოკუმენტს, რომელიც მიწერილია არაბების ხალიფას გარუნალ რაშიდასადმი. ამ წერილში არის დამოწმება საჭადრაკო ფიგურების სახელწოდებებისა. სრულად მოგვყავს ეს დოკუმენტი:

„დედოფალი, რომელსაც მე ვმემკვიდრეობ, შენ გთვლიდა როკოდ (ასე ერქვა არაბებთან საჭადრაკო ეტლს, ე. ი. იმ დროს უძლიერეს ფიგურას), ხოლო თავის თავს უყურებდა როგორც პაიკს; ამის გამო იგი დათანხმდა შენთვის ხარკი გადაეხადა იმ დროს, როცა მას ამნაირი და კიდევ ორჯერ მეტი შენთვის უნდა მოეთხოვა, მაგრამ ეს მისი სქესის სისუსტით აიხსნება. ახლა მე მოვითხოვ, ამ წერილის მიღებისთანავე, დამიბრუნო ყველა ფული, რომელიც მისგან მიიღე. თუ ყოყმანობ, ხმალი გაასწორებს ჩვენს შორის ანგარიშს“ (ტექსტის თარგმანი მოჰყავს ა. გებელერს „Правила шахматной игры“, 1880 წლის გამოცემა).

მეორე დოკუმენტი არის „ალექსიადა“ (თავი XII), რომელშიც ალექსი კომნენის ქალიშვილი მწერალი ანა კომნენი მოგვითხრობს, რომ მამამისი დიდად ყოფილა გატაცებული ასირიიდან გადმოღებული ჭადრაკის თამაშით.

იყო თუ არა ჭადრაკის თამაში პოპულარული საერთოდ ბიზანტიელებს შორის, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ IX ს. ბიზანტიაში

ჭადრაკი მაინც იყო, მაშინ უკვე XII ს. მისი სასტიკი აკრძალვის გავლენით ჭადრაკის თამაში იქ შეუძლებელი იქნებოდა. მერეის ცნობით, ბიზანტიამ ჭადრაკი გაიცნო ჯერ კიდევ 800-იან წლებამდე (ალბათ არაბებისაგან).

ჭადრაკი დასავლეთ ევროპაში

ვეხებით რა დასავლეთ ევროპაში ჭადრაკის გავრცელების საკითხს უკვე არაბული „ოქროს საუკუნის“ პერიოდის შემდეგ (ან უფრო სწორედ მის დასასრულს), არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამ დროის შესანიშნავი დოკუმენტი, ე. ი. ესკურიალური ხელნაწერი. ამ დოკუმენტს ატყვია არაბული საჭადრაკო კულტურის გავლენა და დაწერილია ესპანეთში 1283 წელს კასტილიის მეფის ალფონს ბრძენის ბრძანებით.

ალფონსის პიროვნება კულტურის დარგში მისი მოღვაწეობით (ცნობილია მისი როლი XIII საუკუნის მეორე ნახევრის კასტილიის ლიტერატურის შევსებაში, ასტრონომიული ცხრილების შედგენაში), მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა მეცენატობით გვაგონებს ხოსრო ანუშირვანის პიროვნებას.

ესკურიალური დოკუმენტი თავისი ილუსტრაციების მეოხებით ეკუთვნის შუა საუკუნეების ევროპის უძვირფასეს ძეგლებს, რომლებმაც აითვისეს აღმოსავლეთის ნიშნები.

„შატრანგის“ ავტორები (ი. ორბელი და კ. ტრეევერი) სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ შემთხვევითი არაა ორი ფაქტის დამთხვევა — ერთი უძველესისა, როდესაც ხოსროს დროს, ჭადრაკის ხალხში დანერგვასთან ერთად იქმნება შესანიშნავი ლიტერატურული თხზულებანი, როგორიცაა, „ქილილა და დამანა“ იგავ-არაკების კრებული, და, მეორე შუა საუკუნეებისა, როდესაც ალფონს ბრძენი ჭადრაკს დიდ ყურადღებას აქცევდა და მასთან ერთად ქმნიდა იგავ-არაკების თარგმანების კრებულს.

თავისი დროის დიდი მოაზროვნეების ბრძნული დარიგებების მდიდარი შენაკრები წარმატებით გავრცელდა ხალხის ფართო მასებში. თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ალფონსი ჭადრაკს. როგორც გონივრულ თამაშს, რომელიც

ადამიანში დადებით თვისებებს იმუშავებს. ჩანს მისი წიგნის წინასიტყვაობიდან.

„... ვინაიდან ჭადრაკი არის მეტად კეთილშობილი, სხვებთან შედარებით დიდი ოსტატობის მომთხოვნი თამაში, ამიტომ ჩვენ პირველად მასზე მოგითხრობთ...“ ჭადრაკის არსის გადმოცემა მეტად გვაგონებს აზრს, რომელიც გამოთქმულია ძველ სპარსულ წიგნში ჩატურანგას შესახებ.

კასტილიის ხელნაწერი ძირითადად მოგვაგონებს ძველი აღმოსავლური წყაროების შინაარს, შესანიშნავი მინიატურებით გვიჩვენებს ჭადრაკის თამაშის გავრცელებას ხალხის სხვადასხვა წრეში: ხელოსნებში, ვაჭრებში, ჯარისკაცებში და ა. შ. ეს ხელნაწერი შუა საუკუნეების საჭადრაკო ბიბლიაა.

შევეხეთ რა ესკურიალური ხელნაწერის მნიშვნელობას შუა საუკუნეების ევროპაში ჭადრაკის განვითარების საკითხის გასაცნობად, ახლა გადავდივართ ისტორიული ფაქტების მიმოხილვაზე.

ცნობილია, რომ ევროპაში ჭადრაკის შესახებ უძველესი ცნობა გვხვდება ბენედიქტელი ბერის პეტრე დამიანეს (1007 — 1072 წწ.) თხზულებაში. რელიგიური რწმენით გაჟღენთილი ფანატიკოსი ბერი მასში ეშმაკის შფოთვას ხედავდა და ამიტომ ამხედრდა ჭადრაკის თამაშის წინააღმდეგ.

ფონ-დერ-ლაზას თავის ნაშრომში „ჭადრაკის თამაშის ისტორია და ლიტერატურა“ მოჰყავს დოკუმენტი, რომლიდანაც ჩანს, თუ ჭადრაკი შუა საუკუნეებში რამდენად აზარტულ თამაშად გადაიქცა. აკეთებს დასკვნას, რომ თავის წერილში დამიანე პროტესტს გამოთქვამდა არა საერთოდ ჭადრაკის თამაშის წინააღმდეგ, არამედ მისი დამახინჯებული, აზარტული ხასიათის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ ევროპაში ჭადრაკმა მიიღო.

ამ მოგონებიდან ჩანს, რომ ჭადრაკი იტალიაში უკვე არსებობდა; ალბათ იქ ის გაჩნდა მხოლოდ X საუკუნის დამლევს ან XI საუკუნის დასაწყისში, რადგან რიტორი ვერონსკი აღწერს რა იტალიის უმაღლესი სამღვდელოებისა და დიდებულთა ყოფას სხვადასხვა გასართობებით, ჭადრაკზე სრულებით არ ლაპარაკობს. XII საუკუნეში ჭადრაკს იხსენიებს მრავალი დოკუმენტი. ესპანეთი და იტალია ევროპის პირველი ქვეყნებია, რომლებმაც არაბებისაგან გადმოიღეს ჭადრაკი. შეიძლება ით-

ქვას, რომ ჭადრაკი ამ ქვეყნებიდან ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

გერმანიაში ჭადრაკის უძველეს წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ საგა[1] რუოდლიბეს შესახებ (ამჟამად პერგამენტული დედანი მიუნჰენის ბიბლიოთეკაში ინახება). მისი ნაწყვეტები გამოცემულია 1838 წელს. საგას ავტორად თვლიან ფროუმუნტას, თუმცა ეს საეჭვოთ არაა ცნობილი. მისი გამოჩენის დროდ XII საუკუნეა ნავარაუდევი.

ინგლისელები და ფრანგები ჭადრაკის თამაშს ალბათ უფრო ადრე გაეცნენ. ინგლისელ მეცნიერს ალექსანდრე ნეკამს თხზულებაში „De Naturis rerum" (1180 წ.) მოჰყავს ეიზორის მახლობლად ინგლისელებისა და ფრანგების ბრძოლის (1110 წ.) აღწერა და საინტერესო შემთხვევა, როცა უკან დახევისას ფრანგების მეფემ ლუდოვიკომ დაინახა რა მტრის მრახლოება გაჩერდა და დაიყვირა: „გაიქეცი, უვიცო და თავხედო რაინდო, რადგან მეფე ჭადრაკის თამაშში არ შეიძლება აყვანილ იქნეს".

ევროპის ჩრდილოეთმა ჭადრაკი XIII საუკუნეში გაიცნო (სნორე სტურლიასონის ცნობით).

როდესაც ჭადრაკის თამაში უკვე ფართოდ გავრცელდა მთელ დასავლეთ ევროპაში, სამღვდელოების მეტად ფანატიკურად განწყობილმა წარმომადგენლებმა დაიწყეს მისი დევნა.

1212 და 1255 წლებში პარიზის ტაძრები სასტიკად კრძალავდნენ ჭადრაკს. მეფე ლუდოვიკო IX 1254 წელს ამტკიცებდა ამ დადგენილებას. ინგლისელმა მეცნიერმა ნეკამმაც კი ჭადრაკზე უარყოფითი აზრი გამოთქვა, იმის საფუძველზე, რომ ყველა ეს ზომა გამოწვეული იყო ჭადრაკის ფულზე თამაშით, რომელიც ხშირად ნამდვილად ჩხუბით ან მკვლელობითაც მთავრდებოდა. მაგრამ დევნის და შევიწროების მიუხედავად ჭადრაკი ევროპის ხალხებში სულ უფრო სიმპათიას იმსახურებდა. 1512 წელს ხელნაწერებში უკვე ლაპარაკია ესპანეთსა და პორტუგალიის პირველხარისხოვან მოჭადრაკეებზე.

ლინდე აღნიშნავს, რომ XIV საუკუნეში ლომბარდები უძლიერეს მოჭადრაკეებად ითვლებოდნენ. ევროპაში მეტად პოპულარული იყო ჭადრაკზე ზნეობრივი თხზულებანი და დომინიკელი ბერის იაკობ ცესოლსკის (XIII ს. მეორე ნახევარი) ქადაგებანი, რომელთაც ჭადრაკის პროპაგანდის ხასიათი ჰქონ-

[1] თქმულება.

დათ, აგრეთვე მის მიერ დაწერილი სპეციალური ტრაქტატი ჭადრაკის თამაშის შესახებ. ტრაქტატი შეიცავდა ოთხ განყოფილებას: 1. ჭადრაკის თამაშის გამოგონების მიზეზი. 2. ოფიცრების შესახებ. 3. პაიკების შესახებ. 4. ყველა ფიგურის სვლის შესახებ.

ჭადრაკის შესახებ შუა საუკუნეების ეს პოპულარული ტრაქტატი შემონახულა სხვადასხვა ენაზე მრავალი ხელნაწერის სახით. მისი უგვიანესი გამოცემა 1473 წელს ეკუთვნის. ამას გარდა, XIV საუკუნიდან დაახლოებით 1536 წლამდე გამოიცა ახალგაზრდობისათვის მრავალი ლექსი და ჭადრაკის თამაშზე დარიგება.

მ. ი. ჩიგორინი სტატიაში „ნარკვევი ჭადრაკის თამაშის ისტორიიდან“ წერს: გერმანიაში არის სოფელი შტრებეკი, სადაც ჭადრაკი ნამდვილად მასობრივი თამაშია, ყველამ იცის იგი და მათ შორის არიან მეტად ძლიერი მოთამაშეებიც. ამ სოფელში ხალხური გადმოცემით ჭადრაკი ჩაისახა 1011 წელს და მის შემდეგ ტრადიციად გადაიქცა.

ამ საინტერესო ფაქტის შესახებ ლაპარაკობს ლინდეც.

საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ ნიკოლაი-დე ნიკოლაის ტრაქტატი ჭადრაკისა და სხვა თამაშების შესახებ, რომელსაც დართული აქვს 192 საჭადრაკო ამოცანა. ამ ხელნაწერის (XIV ს.) უძველესი პერგამენტი ინახება ფლორენციაში. ამ ტრაქტატს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭადრაკის თამაშის თეორიის შემდგომი განვითარებისთვის. იმით სარგებლობდა მრავალი ავტორი, XV და XVI საუკუნეების ცნობილმა თეორეტიკოსებმაც ბევრი რამ გადმოიღეს ამ ტრაქტატიდან.

თავის დროზე ფართოდ იყო ცნობილი ფრანცისკა ვისენტის საჭადრაკო კრებული, რომელიც 1495 წელს გამოიცა. ეს კრებული, როგორც მოგვითხრობს თავის სტატიაში მ. ი. ჩიგორინი, ინახებოდა მონსერატის ტაძარში (ბარსელონას მახლობლად) და ესპანეთის 1834 წლის შინაომის დროს ხანძარში დაიღუპა. ამ წიგნის არც ერთი ასლი არ დარჩენილა.

რიშარ-დე-ფურნივალმა (XIII ს.) თავის პოემა „De vetula“-ში დაგვიტოვა შესანიშნავი ძეგლი ე. წ. ასტრონომიული ჭადრაკისა, რომელიც დასავლეთ ევროპაში საჭადრაკო ფიგურების მნათობებისადმი მიძღვნის დამაჯერებელი ფაქტია.

ევროპაშიც ჭადრაკს მითიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთში, უეჭველია, რომ ეს ძველი ბუდიზმიდან არის ნასესხები.

პოემაში ლაპარაკია საჭადრაკო ფიგურების სვლებისა და მნიშვნელობის შესახებ. ტექსტის ბოლოს განმარტებულია, თუ რომელ პლანეტას ეძღვნებოდა ესა თუ ის ფიგურა: მეფე მზეს ეძღვნებოდა, ლაზიერი — ვენერას, რუხი — მთვარეს, კუ — იუპიტერს, მხედარი — მარსს და პაიკი — სატურნს. XII საუკუნეში ევროპაში ლაზიერმა უკვე დაკარგა რა მეფის მრჩევლის ან ვეზირის ძველი მნიშვნელობა, ქალის გამოსახულება მიიღო და ამიტომ მას დაერქვა ქალწული. სწორედ აქედანაა ვენერასადმი მისი მიძღვნა. უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღემდე ლაზიერი ვეზირის მნიშვნელობას ატარებს და ქალად არასოდეს არ გარდაქმნილა.

ევროპაში შუა საუკუნეებში დიდად აფასებდნენ მოჭადრაკე არაბებს, რომლებსაც შეძლებული ფეოდალები ხშირად იწვევდნენ საჩვენებელი თამაშებისათვის. 1266 წელს ცნობილმა მეცნიერმა გრაფმა გვიდო ნოველომ ფლორენციაში მიიპატიჟა არაბი მოჭადრაკე ბორცაგო, რომელიც ერთდროულად ქალაქის სამ უძლიერეს მოჭადრაკეს ეთამაშა. ამასთან ორ პარტიაში არაბი დაფაზე დაუხედავად თამაშობდა. ორი პარტია მან მოიგო, ხოლო ერთი ყაიმით დაამთავრა.

ევროპაში, მიუხედავად დიდი დევნისა, ჭადრაკი ფეხს იკიდებდა არა მარტო საერთო წრის საზოგადოებაში, არამედ სამღვდელოებაშიც. მაგალითად, ცნობილია, რომ თვითონ პაპს ლევ X ძალიან უყვარდა ჭადრაკი და ხშირადაც თამაშობდა. პაპ ინოკენტ VII მიაწერენ ტრაქტატს, რომელშიც ავტორი განიხილავს ხელმწიფეების და მათ მრჩეველთა საქმეებსა და ყოფაქცევას ჭადრაკის თამაშის ამა თუ იმ წესის საფუძველზე. ცნობილია აგრეთვე, რომ შუა საუკუნეებში საფრანგეთში ერთ-ერთი ტაძრის ყველა ბერი დიდად გაიტაცა ჭადრაკის თამაშმა. ისინი მიდიოდნენ ძველ სასაფლაოზე, მოშორებით აყენებდნენ სპეციალურ მეთვალყურე გუშაგებს, საფლავის ქვებზე ალაგებდნენ ჭადრაკს და გვიან დაღამებამდე თამაშობდნენ.

XVI საუკუნემდე ევროპაში არსებობდა მრავალი; სრულიად განსხვავებული თამაშის წესები.

არაბული შატრანჯი, მისი ყველა წესით და სახელწოდებებით, ევროპელისათვის გაუგებარი და უცხო იყო. ამიტომ სულ მალე იგი რეფორმირებული, აღმოსავლური სახელწოდებებით და ტერმინებით იქნა-შეცვლილი.

თვითონ თამაშს „შაჰ"-ის ტერმინისაგან მიეცა სახელწოდება „Judus scasshorum" (შაჰი — მეფე, იოანე ველსკისთან). აქედან წარმოსდგა ფრანგული les échecs, ინგლისური check. ჭადრაკის მთავარი ფიგურისაგან შეიქმნა საჭადრაკო დაფის სახელი Scaccokium. თვითონ სიტყვა „შაჰს" დიდი ხანი არ უარსებია და შეიცვალა სიტყვით „Rex" (Re, Rey, Roy, king და ა. შ.). დიდხანს არსებობდა ტერმინი ლაზიერი — Alderza ფორმით, თუმცა ა. ნეკამთან უკვე იყო ევროპული Regina. კუმ ინგლისელებში მიიღო სახელი Bishop (ეპისკოპოსი) ამ ფიგურის ეპისკოპოსის კვერთხთან მსგავსების გამო, გერმანიაში მას დაერქვა Alte, რაც ნიშნავს მოხუცს ან ბრძენს. მხედარი შეიცვალა ტერმინით Miles (Gavalier, Knygt, Ritter), მხოლოდ ირანო-არაბული სიტყვა „მატი" დარჩა ყველა ენაში უცვლელი.

ლინდეს აზრით სიტყვა Patt` წარმოიშვა იტალიურ patto-საგან (პირობა).

საჭადრაკო ფიგურების ევროპული ტერმინოლოგიით უძველესი სახელწოდებანი მოჰყავს თავის თხზულებაში. ა. ნეკამს (1180 წ.).

Rex — მეფე	Miles — მხედარი
Regina — ლაზიერი	Altnus — კუ
Rochus — ეტლი	Pedites — პაიკი

პირველ ხანებში, ევროპაში იყენებდნენ ისეთსავე ერთფეროვან საჭადრაკო დაფას, როგორსაც შატრანჯში, მაგრამ უკვე დაახლოებით XIII საუკუნის დასაწყისში ორფერიანი დაფა შემოიღეს. ორფერიანი დაფა აღწერილია იოანე ველსკისთან. ევროპამ არაბებისაგან ჭადრაკი გადმოიღო სიმბოლური სვეტების სახით, რომელიც შემოღებული იყო „ყურანის" მიერ ცოცხალი არსებების გამოსახულებათა აკრძალვის გამო. ეს კანონი ევროპისათვის უცხო იყო და ვერ აკმაყოფილებდა დიდებულ ფეოდალთა გემოვნებას.

მხატვრები კვლავ დაუბრუნდნენ ფიგურალურ გამოსახულებას და ზოგჯერ იყენებდნენ სრულიად განყენებულ სტილს. საჭადრაკო ფიგურა გამოირჩეოდა თავისი მდიდრული მორთულობით. როდესაც დასავლეთის რაინდები ქრისტეს საფლავისათვის წარუმატებელი ლაშქრობებიდან ბრუნდებოდნენ, მათთან მოიტანეს შაში, რომელიც ამის შემდეგ გახდა ცნობილი ევროპაში. იმ დროიდან მოყოლებული აღმოსავლეთის ხალხების მსგავსად, ამ ჭეშმარიტად მეფური თამაშის საჭადრაკო დაფასა და ქვებს მდიდრულად აფორმებდნენ. ამის დამამტკიცებელია ხელმწიფეთა და დიდებულთა კაბინეტური სიმდიდრენი.

ევროპა დიდხანს მიჰყვებოდა არაბულ სადებიუტო დაწყებებს (tabiat). ევროპელი ავტორების ნაწარმოებში არაბეთის კომპოზიციის გავლენა ამოცანების შედგენაში შესამჩნევია მრავალი საუკუნის მანძილზე. მხოლოდ შუა საუკუნეებში იქნა შემოღებული როქი. XV საუკუნეში ხდება რამდენიმე ფიგურის სვლების რეფორმა, ხოლო შემდეგ არაბული შატრანჯის წესებისაგან შესამჩნევი ჩამოცილება[1].

XVI საუკუნის ევროპულ საჭადრაკო ლიტერატურაში მოყვანილია წესები და რჩევა, რომლებიც არაბულ და ირანულ ლიტერატურაში მოყვანილ წესებს წააგავს. აი, ზოგიერთი მათგანი: „არც ერთი სვლა უმიზნოდ არ უნდა გაკეთდეს“, „არაფერი არ უნდა გამოგეპაროს“, „ნუ თამაშობ სწრაფად“, „როცა კარგი სვლა გაქვს, მაშინაც დააკვირდი, შეიძლება უკეთესი გქონდეს“ და ა. შ. დომინიანთა ეტლს ძველი აღმოსავლური სახელი Rocho (რუხი) ჰქვია.

ძველი წესების რეფორმამ თავისი ანარეკლი ჰპოვა XVI საუკუნის ლიტერატურაშიც.

ლოპეცის თხზულებაში (1584 წ.) „Giuocco de gliscachi“ უკვე ლაპარაკია როქზე, როგორც მტკიცედ დამკვიდრებულ წესზე. იმ დროისათვის ცნობილი თხზულებების საფუძველზე, რომლებშიც ძირითადი ყურადღება დათმობილი ჰქონდა არა ამოცანათა კომპოზიციის აგებას, არამედ პრაქტიკული პარტი-

---

[1] XV საუკუნის ფლორენციული ხელნაწერი, რომელიც 1854 წელს ნაპოვნია ფლორენციაში, წარმოადგენს ფიგურების ახალი სვლების ძაგალითს.

ების გარჩევასა და ანალიზს, XVII საუკუნეში დაწერილი იყოტრაქტატის ფორმის კარგად დასურათებული დიდი საჭადრაკო თხზულება „Das Schach oder Koenig-spiel von Gustavo Seleno". იგი დაწერა ჰუსტავ სელენემ (ჰერცოგ ავგუსტ ბრაუნშტვაიგ-ლიუქსემბურგსკის ფსევდონიმი), ვოლფენბიუტელის ცნობილი ბიბლიოთეკის დამაარსებელმა. პირველად ეს წიგნი 1616 წელს დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ იგი მრავალჯერ გამოიცა.

თუმცა ეს დიდი შრომა უფრო მკრთალია, ვიდრე ლოპეცის წიგნი, მაგრამ ევროპაში მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ წიგნის უკანასკნელი გამოცემა (კოხისა) საფუძვლად დაედო პირველი რუსი საჭადრაკო წიგნის ავტორის ი. ბუტრიმოვის წიგნს „ჭადრაკის თამაშის შესახებ", რომელიც 1821 წელს გამოქვეყნდა.

მოგვყავს გუსტავ სელენის წიგნიდან საყურადღებო ამონაწერი, რომელშიც მოცემულია რამდენიმე შამათის საინტერესო დახასიათება: თუ შამათი ლაზიერმა გამოაცხადა — დიდებულია, თუ კუმ — კეთილშობილია, თუ მხედარმა — პატიოსანია, თუ ეტლმა — მშვენიერია, თუ პაიკმა — არაა საქები, ლია შამათი — საუკეთესოა, შამათი დაფის ზედა ნაწილში — ალექსანდრიულია, შამათი დაფის შუა — უბედურია, შამათი დაფის გვერდით — სულელურია, შემთხვევითი შამათი — ცუდია".

1574/77 წლებში მადრიდში შედგა მსოფლიოში პირველი საჭადრაკო ყრილობა, რომელიც ფილიპე II თაოსნობით მოიწვიეს. ამის შესახებ ცნობები მოცემულია ალექსანდრე სალვიოს და პიეტრო კარერის ჩანაწერებში.

XVI საუკუნე, შეიძლება ითქვას, ჭადრაკის განვითარების ოქროს საუკუნე იყო. გარდა იმისა, რომ ჭადრაკის თამაში დაყვანილ იქნა ერთ სახესა და ერთიან წესებამდე, ეს საუკუნე ჭადრაკის ისტორიაში ლირსშესანიშნავია პრაქტიკული თამაშის ფართო განვითარებით, იმდროინდელი გამოჩენილი მოჭადრაკეების—ლოპეცის, ლეონარდო ბოის, სანტამარიას, ბუსნაროს, ავალოს, სკოვარას, ჯირონიმა კაშიოსა და სხვების მონაწილეობით მთელი რიგი შეჯიბრებებისა და მატჩების მოწყობით. ამ მოჭადრაკეთა პარტიები კეთილსინდისიერად ჩაუწერია გამოჩენილი იტალიელი ოსტატის ლეონარდოს თანაშემწეს ჯულიო



ფრანგული ჭადრაკის ფიგურები X ს.





გერმანული ჭადრაკის ფიგურები XIII—XIV სს.

ჩეზარეს. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავეცნოთ მათ ტექნიკას. მათი წესების ხასიათს და სადებიუტო დაწყებებს, რომელთაგან ბევრი დღემდე იხმარება. მაგალითად, მუციოს გამბიტი, იტალიური დასაწყისი, ორი მხედრის დებიუტი, შოტლანდიური პარტია და სხვ. ისინი XVI საუკუნის ჭადრაკის თამაშის თეორიის საგანძურში შევიდნენ.

ჭადრაკი შუა საუკუნეების ლიტერატურაში

სკანდინავიური „ედა“ (XII — XIII სს.) ვკითხულობთ: „...ეზოებში ერთობოდნენ და თამაშობდნენ ტავლეის...“ უ. ფონ ტიურგეიმის (XIII ს.) პოემაში „Wilhem von Oransee“ დედოფალი არაბელასა და ვილჰელმის საჭადრაკო პაექრობაა აღწერილი. საჭადრაკო ფიგურები და მნათობებისადმი მათი მიძღვნა აღწერილია რიბარი დე ფურნივალის პოემაში „De Vetula“ (XIII ს.). სწორედ სტიურლუსონის (XIII — XIV სს.) პოემაში „ვოლუსპაში“ ვკითხულობთ: „ფრიდტიოფე უჯდა სათამაშო დაფას“. სიმღერაში როლანდზე (XI — XII სს.) არის ასეთი სიტყვები: „ბაღში თეთრი აბრეშუმის ხალიჩებზე რჩეული ფრანგი რაინდები ისვენებდნენ, უფროსები ჭადრაკს თამაშობდნენ“. კრეტიენ-დე-ტრუას (XII ს.) რომანში „ლანსელოტი ან ტელეგის რაინდი“ ლაპარაკია იმაზე, რომ დედოფალ ჟენევრეს მეფე არტურთან ერთად მინიჭებული ჰქონდა ჭადრაკის ოსტატის სახელი. რომანში „ფლამენკა“ (XIII ს.) არის მითითება, ვაჟებისა და გოგონების აღზრდის წესებში ჭადრაკიც შედიოდა. პოემა „Clef d'amors“ (200 წ.) ვკითხულობთ: „...უჭკუოა ის ქალიშვილი, რომელსაც არ შეუძლია ჭადრაკს ჩაწვდეს“. XV საუკუნის რომანში „Huon de Bordeaux“ მოთხრობილია ადმირალ ივერენა და დე მონბრანის ქალიშვილზე, იმ დროის გამოჩენილ მოჭადრაკეზე. „ტრისტან და იზოლდაში“ წერია „... სამი დღე მათ ზურგის ქარი ჰქონდათ, მეოთხე დღეს ტრისტანი იზოლდას ჭადრაკს ეთამაშებოდა“. სკანდინავიურ საგაში გუნდაუგრზე (XII ს.) აღწერილია მშვენიერ ელგასთან გუნდაუგრისა და რაფის ჭადრაკის თამაშის სცენა.

კემპელენის საშადრაკო ავტომატი

XVIII საუკუნეში საქმოსან კემპელენის გონებამახვილურმა გამოგონებამ ევროპასა და ამერიკაში დიდი სენსაცია გამოიწვია. გამოგონებული იყო მანქანა, მასში ჩამჯდარი თოჯინა ადამიანით, რომელიც დამოუკიდებლად თამაშობდა ჭადრაკს და არა მარტო თამაშობდა, არამედ ბრწყინვალედ უგებდა გულუბრყვილო მაყურებელს, ბატონ კემპელენის სასარგებლოდ, არც თუ ისე ცოტა ფულს.

საჭადრაკო ავტომატი საკმაოდ რთული აგებულებისა იყო. გარედან ავტომატი ყრუდ ჩაკეტილ კარადას წარმოადგენდა, ჩანდა მხოლოდ აზიურ ტანსაცმელში გამოწყობილი თოჯინა, რომელიც ჭადრაკს უჯდა.

საჭადრაკო ავტომატით კემპელენი პირველად გამოვიდა პარიზში 1770 წელს. თამაშს ბევრი მაყურებელი და თოჯინასთან თამაშის ბევრი მსურველი ესწრებოდა. დასწრებისთვის მათ ფული გადაიხადეს. თამაშის წინ კემპელენი ავტომატის კარებს აღებდა და მაყურებელს აჩვენებდა მის რთულ მექანიზმს, რომელიც საათის მექანიზმს წააგავდა. ყველას შეეძლო დაენახა, რომ მასში შეუძლებელი იყო ადამიანი ჩატეულიყო. შემდეგ კემპელენი ავტომატს ქოქავდა ვეებერთელა გასაღებით და თოჯინას ხელი ფიგურით სვლას აკეთებდა. თოჯინა გამოირჩეოდა მიხვედრის განსაცვიფრებელი სიჩქარით და ხშირად 14 — 15 სვლაში ამსხვრევდა მეტოქის პოზიციას. „ქიშის გამოცხადებისას თოჯინა რაღაცას წაიბუტბუტებდა. ავტომატი სრულყოფილად მუშაობდა და კემპელენისათვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა.

პარიზში წარმატებით დებიუტის შემდეგ ავტომატი საგასტროლოდ გაემგზავრა ევროპის უდიდეს ქალაქებში. ავსტრიაში თოჯინა ეთამაშა ავსტრიის დედოფალს მარია-ტერეზას, რომელიც საკმაოდ ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა. თამაშის შედეგი დედოფლისათვის ძალიან ცუდი აღმოჩნდა: მან ყველა პარტია წააგო და ისიც არაუგვიანეს 18 სვლისა.

1796 წელს კემპელენმა ავტომატი პეტერბურგში ჩამოიტანა. სასახლეში თამაშს ეკატერინე II დაესწრო. თოჯინასთან ბრძოლაში ყველა დიდკაცი დამარცხდა. 1819 წელს კემპელენი შენბრუნის სასახლეში ჩავიდა, სწორედ იმ დროს, როცა იქ ნაპოლეონი გახლდათ. მან დიდ სარდალს აჩვენა ავტომატი. ნაპოლეო-

ონი კარგად თამაშობდა ჭადრაკს და საიდუმლოებით მოცულ თოჯინასთან თამაში ისურვა. ნაპოლეონმა აქ ვერ აჩვენა თავისი დიდი მხედართმთავრის ნიჭი და ყველა პარტია წააგო.



კემპელენის საჭადრაკო ავტომატი

ავტომატის გამარჯვებებმა ყველა დააინტერესა. პრინცმა ევგენი ბავარსკიმ მოინდომა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეგო ამ საჭადრაკო მანქანის საიდუმლოება და კემპელენისგან იყიდა ავტომატი 30 ათას ფრანკად! აი, რას წერდა ფრანგული საჭადრაკო ჟურნალი „პელამედი“ 1836 წელს: „და აი დადგა მომენტი, როდესაც საიდუმლოებას ფარდა აეხადა. გაიყვანეს ყველა მაყურებელი და პირისპირ დარჩნენ კემპელენი და პრინცი. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პატრონმა ერთდროულად კარადის ორივე კარი გააღო... სადღაც გაქრნენ თვლები, კბილანები, ცილინდრები... შიგ აღმოჩნდა ჩვეულებრივი ადამიანი. იგი იჯდა დაბალ მოძრავ სკამზე და ალბათ თავს მეტად ცუდად გრძნობდა“. მაყურებელს კემპელენი არასდროს უღებდა ორივე კარს. ერთი კარის გაღებისას მაყურებელს არ შეეძლო დაენახა ადამიანი ავტომატის კარადის კონსტრუქციის გამო. დახურულ კარებში მოჭადრაკე იჯდა თავის სკამზე. სხეულის ნაწილი თოჯინას შიგნით ჰქონდა. კარადის შიდა ნა-

წილი სანთლით ნათდებოდა. გარეთ გამოწეულ საჭადრაკო დაფას შიგნიდან გაგრძელება (ე. ი. მეორე დაფა) ჰქონდა. შინაგანი დაფის ყოველ უჯრას მიმაგრებული ჰქონდა თითო პატარა მგრძნობიარე ლითონის სვეტი. ფიგურების (რითაც მოწინააღმდეგე თამაშობდა) ფუძეებს მაგნიტი ჰქონდა. კარადაში დამალული ოსტატი სვლებს გებულობდა ამა თუ იმ სვეტის რყევით. ამ სვლებს იგი აღნიშნავდა ჯიბის ჭადრაკზე. გაყოფდა რა თავის ხელს თოჯინას ხელში, ოსტატი დამაჯერებლად აკეთებდა საპასუხო სვლას.

ცნობილია იმ მოჭადრაკეთა გვარები, რომლებიც ავტომატში მსხდარან. ესენი იყვნენ საერთაშორისო ოსტატები ალეიერი, ლიუსი და სხვები. ამის შემდეგ გასაგები გახდა იმ გამარჯვებათა საიდუმლოება, რომელთაც ავტომატი აღწევდა.

საიდუმლოების გახსნის შემდეგ კემპელენმა აპარატი მიჰყიდა ვინმე მენცელს, მეტად მოხერხებულ საქმოსანს, რომელმაც იგი ამერიკაში წაიღო. მენცელის გასტროლებს ამერიკაში არ ჰქონდა ისეთი წარმატება, როგორიც კემპელენს ევროპაში. ფილადელფიაში მენცელი დააპატიმრეს გაიძვერობისათვის. ხოლო აპარატი ჩამოართვეს და ქალაქის მუზეუმში დადგეს. 1854 წელს დიდი ხანძრის დროს ავტომატი დაიწვა.

ასეთია ანეკდოტური, მაგრამ სავსებით რეალური ისტორია იმ ავტომატისა, რომელშიც გამომგონებლის ნიჭმა ითამაშა არაკეთილსინდისიერი როლი და გულუბრყვილო მაყურებლის მოტყუებით გახდა იოლი შემოსავლის წყარო. მსგავსი ავტომატი გააკეთეს თბილისში 1925 წელს ბავშვების გასართობად.

ჭადრაკი რევოლუციამდელ რუსეთში

„ჭადრაკი ძველთაგან წარმოადგენს სასახელო ადამიანების—სამხედროების საყვარელ თამაშს, რომლებიც მასში-ომის მეცნიერებას ხედავენ და ბრძენთა საყვარელ გასართობს, რომელნიც მას თავის გონების ტრესად თვლიან“.

ი. ბუტრიმოვი

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჭადრაკის მრავალი მკვლევარი და ისტორიკოსი (ცლიუჩევსკი, ზაბელინი, იანიში და სხვ.) ფიქრობდნენ, რომ ჭადრაკის თამაში რუსეთში არც ისე ძველი მოვ-

ლენაა: ზაბელინი ვარაუდით ლაპარაკობდა, რომ რუსებმა ჭადრაკი ბიზანტიიდან გადმოიღეს; იანიში გამოთქვამდა აზრს, რომ რუსები ჭადრაკს მონღოლებმა აზიარეს მონღოლთა ბატონობის პერიოდში. მრავალი დასავლეთ ევროპელი ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ჭადრაკი რუსეთში ევროპიდან შევიდა მოსკოვის მეფეების დროს, როცა უკვე სავსებით განმტკიცდა სავაჭრო და დიპლომატური ურთიერთობა დასავლეთის სახელმწიფოებთან. ახლა ყველა ეს მოსაზრება უარყოფილია. ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილმა მთელმა რიგმა უძველესმა წყაროებმა და ზოგიერთმა არქეოლოგიურმა საჭადრაკო მონაპოვარმა საშუალება მოგვცა დავამტკიცოთ, რომ რუსეთში ჭადრაკი არსებობდა ბიზანტიურ გავლენაზე და მონღოლთა ბატონობის პერიოდზე უფრო ადრე.

რუსული ხალხური ეპოსი — თქმულებანი, რომელთაგან ზოგიერთი შექმნილი იყო უძველეს დროს, კიევის რუსეთის პერიოდში. უკვე იხსენიებენ ტავლეის საჭადრაკო ფიგურებს.

მრავალ რუსულ ხალხურ თქმულებას და ანდაზას პირდაპირი კავშირი აქვს ჭადრაკთან:

თქმულება „სადკო-ზე“ — „берет он гусли звончаты со хороши струны золоты, и берет он шахматницу дорогу со золоты тавлеями...“

თქმულება „მიხაილო პოტიკი“ — ვაჟი ივანეს ძისა — „у нас на Руси забавляются, играют во шашки, во шахматы“...

თქმულება „ჩურილა პლენკოვიჩი“ — „...Брала Катерина доску хрустальную, шахматы брала серебряные...“

თქმულება „კეთილ ვაჟკაცზე და მარცხიან ცოლზე“ — „Играли часто во шахматы турецкие“...

თქმულება „ილია და მეფე კალინი“ „...Сидят молодцы, забавляются, играют во шашки шахматы во тыи велен—золоченые...“

თქმულება „სტავრ ვოდინოვიჩი“ „...Говорил себе (Владимир) таково слово: разве сам Василия посла проведаю: стал с ним шахматы играть золотыми тавлеями. Первую заступь заступили: и ту посол поиграл (выиграл), другую заступь заступовали, и другую заступь посол же поиграл, третью заступь заступовали: шах да и мат, да и под доску...„ (т. е. игре конец).





რუსული ჭადრაკის ფიგურები XIII—XVI სს.

უკანასკნელი დროის მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვრები ცხადყოფენ რუსული ჭადრაკის სიძველეს. ცალკეული საჭადრაკო ფიგურები ნაპოვნია ნოვგოროდის, ვიშგოროდის და ჩერნიგოვის გათხრებში. ამასთან ისინი ყველა რუსული წარმოშობისაა და თარიღდებიან XI და XII საუკუნეებით. წამოყენებულია ახალი, სერიოზული მეცნიერული მოსაზრება, რომ სლავებმა ჭადრაკი გადმოიღეს ან შუა აზიის ხალხებისაგან ან, შესაძლებელია კიდეც, პირდაპირ ინდოეთიდან, IX საუკუნის წინა პერიოდში.

ეს, რასაკვირველია, ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოტეზაა, რომელიც კიდევ მრავალ დასაბუთებას მოითხოვს, თუმცა შემთხვევითი არაა, რომ მხოლოდ რუსულ ჭადრაკში დარჩა ზოგიერთი ძველი ინდური ფიგურების სახელწოდებანი, მაგალითად, სპილო (Слон), ნავი (Ладья).

შეჩერდა რა რუსეთის ამ ძველ პერიოდზე, მეცნიერებას ჯერ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა. ახლა გადავიდეთ იმ დროზე, რომლის შესახებ მოიპოვება ნათელი ცნობები მატიანეებსა და თანამედროვეთა მოგონებებში.

ივანე მრისხანეს დროს ჭადრაკი უკვე მტკიცეთ შეეიდა რუსი ბოიარებისა და თავადების ყოფა-ცხოვრებაში. თქმულებანი ლაპარაკობენ, რომ „თურქულ ჭადრაკს ბოიარები და ბოიარინები (ქალები), თავადები და ვაჭრები თამაშობდნენ.“

თვითონ ივანე მრისხანე დიდად იყო გატაცებული ჭადრაკის თამაშით, და, როგორც ისტორიიდან ცნობილია, იგი უეცრად გარდაიცვალა ჭადრაკის თამაშის დროს. მაგრამ რუსეთის სამღვდელოება, ჯერ კიდევ XII საუკუნეში, როდესაც ბიზანტიელი ზონარის გაშმაგებული ქადაგებანი პირველად შემოიჭრა რუსეთში, განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას ჭადრაკის თამაშის წინააღმდეგ, რადგან მას კამათლის თამაშის მსგავსად აზარტულ და მავნე თამაშად თვლიდა.

ივანე მრისხანეს დროინდელ ცნობილ წიგნში „Домострой“ (თავი 24) ლაპარაკია ჭადრაკის აკრძალვის შესახებ.

მაგრამ სამღვდელოების წინააღმდეგობამ ვერ შეძლო რუსული ყოფიდან ალმოეფხვრა ჭადრაკი. ივანე მრისხანეს შემდეგ თეოდორე იოანის ძის, გოდუნოვის, ვასილი შუისკისა და განსაკუთრებით პეტრე პირველის მამის, ალექსი მიხეილის ძისგან ჩვენამდე მოაღწია მეფეების ქონების აღწერამ, სადაც დიდი რაოდენობით ჩამოთვლილია საჭადრაკო კომპლექტები გაკეთებული ძვირფასი მასალებისაგან. ეს კომპლექტები მზადდებოდა კრემლში ხელოსნების განსაკუთრებული შტატით, რომლებსაც „შახმატნიკები“ ეწოდებოდათ. მათგან საუკეთესო ოსტატების სახელებმა ჩვენამდე მოაღწია იმ დროის სასახლის წიგნებით. ამ აღწერილობებში დასახელებული არიან გამოჩენილი რუსი ოსტატები, რომლებიც ჭადრაკს აკეთებდნენ. ამრიგად, ცნობილია ტიმოფეი რიაზანცევი, ნიკიფორე ბოვიკინი, ფილი-

პე პავლოვი, პეტრე აფანასიევი, ივანე მუსიუკოვი. ამ საქმეში განსაკუთრებით განთქმული იყვნენ ხოლმოგორელი ოსტატები, რომლებმაც 1669 წელს შეასრულეს მეფე ალექსი მიხეილის ძის ბრძანება ათი საჭადრაკო კომპლექტის დამზადების შესახებ, ესენი იყვნენ: დენის ზუბკოვი, ივანე კატერინინი და კირილე სალამატოვი. ყველაზე უკეთეს ოსტატად ითვლებოდა ევდოკიმ შეშენინი.

XVI — XVIII საუკუნეებში ჭადრაკი ბაზარზე იყიდებოდა. ეს ფაქტი მტკიცდება თანამედროვეთა წერილობითი დოკუმენტებით: 1666 წელს პატარა უფლისწულ ალექსისათვის მოსკოვში, ოვოშჩნოი რიადში 10 კაპიკად შეუძენიათ ხის ჭადრაკი. მისთვისვე ოსტატ ევდოკიმ შეშენინს 1661 წელს უყიდია ჭადრაკის ოთხი კომპლექტი და ოთხი დაფა.

ზოგჯერ მოსკოვის მთავრობა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნის დროს არ აქცევდა ყურადღებას ეკლესიის აკრძალვას და ჭადრაკს იჯარით აძლევდა კერძო პირებს, სასტუმროებაკების, სამეკიტნოს მეპატრონეებს და სხვ.

პეტრე პირველის ეპოქა პროგრესული იყო ჭადრაკის დარგშიც. თვითონ პეტრე კარგი მოჭადრაკე და ამ თამაშის მოყვარული იყო. მისი ჟურნალის ჩანაწერებში ჭადრაკი ხშირად იხსენიება. მასთან ყველა დაახლოებული პირი თამაშობდა ჭადრაკს. გამოირჩეოდნენ როგორც ძლიერი მოთამაშეები ა. დ. მენშიკოვი და რომოდანოვსკი. პეტრემ ჭადრაკის თამაში სავალდებულოდ შემოიღო საზოგადოებრივ საღამოებსა და ასამბლეებზე.

ფ. ბეოპოლკი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა მოსკოვსა და პეტერბურგში, საღამოებზე პირადად ხვდებოდა პეტრე პირველს. ის წერს, რომ პეტრე ჭადრაკს შესანიშნავად თამაშობს, ისე .როგორც რუს დიდებულთა დიდი ნაწილი.

XVIII საუკუნეში ჭადრაკი ჯერ კიდევ დიდებულთა სალონების კუთვნილებად რჩებოდა. უბრალო ხალხი ჯერ ისევ შაშს თამაშობდა, ხოლო კარისკაცების საყვარელი გასართობი ჭადრაკი იყო, რისთვისაც ცალკე ოთახიც იყო გამოყოფილი.

XVIII საუკუნიდან ცნობილია ზოგიერთი მოჭადრაკე ქალის სახელიც. ესენი არიან: დაშკოვა, რუსეთის აკადემიის პრეზიდენტი, მხატვარი გოლვინა („მოგონებების“ ავტორი, ისტო-

რიული მოამბე", 1899 წ., ტ. 75, გვ. 74) და თვითონ დედოფალი ეკატერინე II.

ამ საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა უკრაინის გეტმანი კ. გ. რაზუმოვსკის, შესანიშნავი მოჭადრაკის, ორგანიზატორისა და მეცენატის სალონი. მისი სალონი და მაგიდა ყოველთვის გაშლილი იყო ჭადრაკის მოყვარულთათვის.

XVIII საუკუნეში იქმნებოდა მომავალი კლუბების საფუძველი.

ამ დროს დასავლეთ ევროპაში ჭადრაკი ფართოდ გავრცელდა როგორც სპორტული სახეობა. იქ იმართებოდა შეჯიბრებები პროფესიონალი ოსტატების (ფილიდორის, სტამის, სალვიოს და სხვ.) მონაწილეობით. იქ უკვე არსებობდა დიდი საჭადრაკო ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის რუსეთში უკვე ცნობილი იყვნენ მაღალი წრის ძლიერი მოჭადრაკეები (გ. პოტიომკინი, ი. ბეცკი, ა. კურაკინი, ს. პოროშინი, ფ. კლინგერი და სხვ.). რუსეთს მაშინ ჭადრაკის დარგში ბევრი არაფერი შეუქმნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1775 წელს გამოქვეყნებულ ა. ლეონტიევის (ჩინეთში რუსეთის საელჩოს მდივნის) სტატიას „ჩინური ჭადრაკის თამაშის აღწერას" და 1791 წელს რუსულ ენაზე თარგმნილ ფრანკლინის სტატიას „ჭადრაკში მორალის შესახებ"-

XIX საუკუნის პირველი ნახევარი უკვე საკმაოდ მდიდარი იყო საჭადრაკო სალონებით, მოჭადრაკეები კერძო ბინებში იკრიბებოდნენ.

პირველ ხანებში მოჭადრაკეები თავს იყრიდნენ ისეთ მდიდარ დიდებულთა სალონებში, როგორიც ი. პ. ლიტას, ჭადრაკის მოთამაშეების მფარველის, სახელგანთქმული სალონი იყო, აქ ჩამოყალიბდა ძლიერი მოჭადრაკეების წრე, რომელშიც შედიოდნენ გ. კუშელევ-ბეზბოროდკო, ა. სოკოლოვი, თეორეტიკოსი ი. ბუტრიმოვი, ადმირალი ი. კრუზენშტეინი, პ. შილინგი (მსოფლიოში პირველი ელექტრომაგნიტური ტელეგრაფის გამომგონებელი), კარლ ამელუნგი, კ. იანიში, ა. პეტროვი (პირველი რუსი ჭადრაკის ოსტატი) და სხვ. სალონში დადიოდნენ აგრეთვე ა. პუშკინი, ა. მიცკევიჩი და ზოგიერთი დეკაბრისტი.

შედარებით მოგვიანებით სხვადასხვა კერძო ბინაში ჭადრაკის სათამაშოდ სხვადასხვა წრის ადამიანები იკრიბებოდნენ. ასეთი თავშეყრის ადგილები იყო ვ. პოგოდინის, ი. კირეევსკი-

სა და ა. პეტროვის წრეები. აქ იყვნენ ლ. ტოლსტოი, ი. ტურგენევი, ი. შუმოვი, ს. ურუსოვი, პოეტი ი. პოლონსკი, ნ. რენიშევსკი, კომპოზიტორი ი. გლინკა. ისინი ჭადრაკს თამაშობდნენ, მსჯელობდნენ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ საკითხებზე. მუშაობამ, რომელსაც ეწეოდა წრეები და კლუბები კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებთან, დიდი როლი შეასრულა როგორც ჭადრაკის განვითარების საქმეში, რომელმაც მტკიცე ნიადაგი მოუმზადა მ. ჩიგორინის ეპოქას, ისე სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების წამოჭრასა და განვითარებაში.

რაც შეეხება ძველი რუსეთის ჭადრაკის ფიგურებს, XVI და XVIII საუკუნეებში მათ ფორმასა და გარეგნობას. უნდა ითქვას, რომ ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევია იმ დროის კომპლექტებს. არის მხოლოდ ცალკეული ნიმუშები, რომლებიც შემთხვევით გადარჩენილა კერძო კოლექციებში (ამჟამად მუზეუმებშია), ეს არის თავის დროს ცნობილი შჩუკინის კოლექცია, ზოგი სხვადასხვა არქეოლოგიურ გათხრებში უპოვიათ.

სამწუხაროდ, არ არსებობს არც ერთი რუსული აღწერა, თუ როგორ ვითარდებოდა ჭადრაკის თამაში რუსეთში.

ა. პეტროვი

ა. პ ე ტ რ ო ვ ი
(1799—1867 წწ.)

XIX საუკუნის პირველი რუსი ჭადრაკის ოსტატი, გამოჩენილი თეორეტიკოსი და კომპოზიტორია. საზღვარგარეთის პრესა მას გამოჩენილ ფრანგ მოჭადრაკეს ანრი ფილიდორს ადარებდა, როცა წერდა: პეტროვი არის „ჩრდილოეთის ფილიდორი“.

კ. იანიში
(1813—1872 წწ.)

XIX საუკუნის გამოჩენილმა მოჭადრაკემ და თეორეტიკოსმა კარლ იანიშმა დიდი ღვაწლი დასდო ჭადრაკის განვითარებასა და პოპულარიზაციას. ეს დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ მან გამოაქვეყნა ჭადრაკისადმი მიძღვნილი შრომები. ძველი თამაშისადმი იანიშის სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ მან თავი დაანება საზღვაო საინჟინრო სამსახურს და მთელი ძალღონე სამამულო ჭადრაკის განვითარებას მოახმარა.

რუსი ხალხის ყოფაში ჭადრაკის გავრცელების შესახებ უძველესი ცნობა XVI საუკუნეს ეკუთვნის. ესაა „ჩანაწერები" ინგლისელი გორსეისა, რომელმაც დიდხანს დაჰყო მოსკოვში, როგორც ინგლისის ელჩმა. გორსეი ხშირად ტრიალებდა კრემლში, მეფე ივანე მრისხანეს მახლობელთა წრეში და კარგად იცოდა იმ დროის დიდებულთა ყოფა-ცხოვრება. გორსეი ასახელებს მეფის ახლობელთაგან ჭადრაკის დიდ მოყვარულებს გოდუნოვს, ივანე გლინსკის. აღფრთოვანებით იგონებს რუსი ხალხის ჭადრაკის თამაშს მეორე უცხოელი ოდერბორნი, რომელიც ამბობს: „... ისინი ამ თამაშში მართლაც იმდენად დახელოვნებული არიან, რომ არ ვიცი, იქნება თუ არა სხვა ისეთი ხალხი, რომელნიც შეძლებენ მათთან შეჯიბრებას".

საყურადღებოა ტაბუეს მითითება. 1675 წელს რუსეთიდან გაგზავნილ წერილში ის აღნიშნავდა: „კარტს აქ არ თამაშობენ, ჭადრაკი ძველისძველი დროიდან ცნობილია და დიდი სიყვარულით სარგებლობს".

ფრიდრიხ ვებერი, რომელმაც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ხუთი წელი პეტერბურგში დაჰყო და პირადად ესწრებოდა პეტრე პირველის ასამბლეებს, წერს: „ამ ასამბლეებზე ერთი ოთახი წინასწარ განკუთვნილი იყო ცეკვებისათვის, მეორე კარტის ყოველგვარ თამაშისათვის და განსაკუთრებით ჭადრაკისათვის".

თავის დროის რუს მკვლევარს დ. ი. სარგინს მოჰყავდა რა „Слово о полку Игореве"-დან ტერმინი „Шереширы", გა-

მოთქვამდა ვარაუდს, რომ ეს სიტყვა ანალოგიურია ძველი სლავიანური „Шегами“-ს ან „Шеренгами“ (ჭადრაკი)-ისა, რაც ლაპარაკობს რუსების ჭადრაკის ინდურ წარმოშობაზე. Шахматы არის ინდური ჩატურანგას სახეცვლილებაო.

საბჭოთა მკვლევარი მ. ს. კოგანი არჩევს რა სარგინის ამ ჰიპოტეზას, ამბობს: აღმოსავლეთის ხალხებთან სლავების ძველი ურთიერთობის ცნობების სიღარიბის გამო საჭიროა ამ ჰიპოთეზას ფრთხილად მოვეკიდოთ, თუმცა ამ ორი ტერმინის მსგავსება დამაფიქრებელია.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გარკვევაში აგრეთვე ძველ საეკლესიო ხელნაწერებს. მათში არსებობს პირდაპირი ცნობები ჭადრაკზე, როგორც ეკლესიის მიერ აკრძალულ თამაშზე. ასეთ უძველეს დოკუმენტად შეიძლება ჩავთვალოთ „Первоначальный Славяно-русский новоканон“, რომლის თარგმანი ალბათ IX — X საუკუნეს მიეკუთვნება. შემდეგ სერბიის 1262 წლის სჯულის კანონის სია, რომელიც რუსეთში მიღებულ იქნა ზონარის ბიზანტიურ კანონებთან ერთად; Свиток законной 1282 г., „Пасиевский сборник“ (XIV—XV вв.), „Домострой“ 1580 г., „Вопрошение апостольское Господа о муках и грехе по покоянии, и обретении милости Господня (ნოვგოროდის სოფიის ტაძრის ხელნაწერი, XVII ს.).

დიდ ინტერესს იწვევს XVII საუკუნის დოკუმენტი, მღვდელმონაზონ ბერინდას მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც ჭადრაკი უკვე აღარაა გაკიცხული; იგი მიჩნეულია ჭკვიანურ თამაშად.

ზოგიერთი ხელნაწერის და ლიტერატურული ძეგლის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველმა რუსეთმა ჭადრაკი იცოდა X — XI საუკუნეში და შეიძლება უფრო ადრეც.

საჭადრაკო ფიგურები პოლონურ და რუსულ ჰერალდიკაში

ჰერალდიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ რუსეთში აზნაურთა გერბები გაჩნდა XVII საუკუნეში ან რამდენადმე ადრეც მისი დასავლეთის მეზობლის, პოლონეთის გავლენით, სა-

დაც გერბების სისტემა შემჩნეულია დაახლოებით X საუკუნეში. რუსეთში საგერბო სისტემების შემოღებისას ძირითადად ეყრდნობოდნენ პოლონურ ჰერალდიკურ შრომას Okolshi Odis Polonus Krakow, (1597 წ.). შემდგომში ბევრი რუსული გვარი წარმოიშვა პოლონელებისაგან, რომლებიც რუსეთში საცხოვრებლად გადმოვიდნენ. ასეთი გვარების გერბები ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავის წინაპართა ძველ სიმბოლურ ნიშნებს. ინტერესმოკლებული არ არის გავეცნოთ ორ მათგანს, რომლებსაც კავშირი აქვთ ჭადრაკთან. არსებობს აგრეთვე ორი რუსული აზნაურული გვარის (პუშკინისა და პიოვის) გერბები, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი პოლონური წინაპრების ემბლემა.

გერბების აღწერა მოგვყავს რუსული ჰერალდიკური შრომიდან („Русская геральдика, 1855 წ.). პოლონური გერბი „გართობა" („Zabawa") შედგება ორად გაყოფილი ფარისაგან, რომლის მარცხენა ნახევარი წითელი და თეთრი ფერების საჭადრაკო დაფაა, ხოლო მეორე ნახევარი სადაა ცისფრად შეღებილი. ამ გერბის წარმოშობა ეკუთვნის XI საუკუნეს და ფიქრობენ, რომ იგი შემოტანილია სილეზიიდან.

პოლონურ გერბებში: პერშხალა, როხ, კოლიუმნა (Pirschata, hoch, Kolumna) გვხვდება ჭადრაკის ელემენტები. ვერცხლის ველზე შავი კოშკი, რომელიც ჭადრაკის ეტლს მოგვაგონებს. თამაშობდა რა ჭადრაკს მოზოვეცის თავადთან, ეს გერბი შეიძინა ვინმე პერშხალამ XV საუკუნეში. ამ გერბისაგან წარმოიშვა რუსი აზნაურების პუშკინებისა და პიოვების გერბები, წერს ა. ლაკიერი.

XIX საუკუნის რუსეთის საჭადრაკო ლიტერატურის შესახებ

ჩვენი სამამულო საჭადრაკო ლიტერატურა ფაქტიურად გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში. ამის მიზეზია ის, რომ იმდროინდელ რუსეთში ჭადრაკი დიდებულთა ვიწრო წრით იფარგლებოდა და გართობის მხოლოდ ძირითად სახეს წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ჭადრაკის თამაშის ერთიანი წესებიც არ არსებობდა. ასე გრძელდებოდა 50 — 60-იან წლებამდე. რუსი არისტოკრატიული თავკაცობა XVIII საუკუნეში დაინტერე-

სებული არ იყო; თამაშის თეორიის სპეციალური შესწავლით და ამ წრიდან არავის უცდია ჭადრაკის სახელმძღვანელოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა ჭადრაკის თამაშის ხალხში გავრცელებას. ამგვარი სახელმძღვანელოს შედგენის პირველი ცდები მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში მოხდა რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ.

მაგრამ იმ დროს რუს დიდებულებს ნაკლებად აინტერესებდათ თავისი საკუთარი ხალხის კულტურა, ისინი უცხოურს ელტვოდნენ და სავსებით ბუნებრივია, რომ საჭადრაკო ლიტერატურის პირველმა ავტორებმა ყურადღება არ მიაქციეს თავისი ხალხის ჭადრაკის ისტორიას, არ შეისწავლეს ეს თამაში რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებში და ჭადრაკის ჭეშმარიტების ძებნა საზღვარგარეთ დაიწყეს.

XVIII საუკუნეში თარგმნილი საჭადრაკო ლიტერატურა (ვ. ფრანკლინის ორი შრომა „A moral of chess", გამოიცა 1791 წ. და გ. გალეს „Magi oder die Zauber-Kraft der Natur", დაიბეჭდა 1799 — 1804 წლების პერიოდში) სრულიადაც არ არის საკმარისი. პირველ მათგანში, რომელიც მხოლოდ 12 გვერდისაგან შედგება, თითქმის არაფერია ნათქვამი ჭადრაკის შესახებ. მეტნაკლებად აქ განყენებული ფილოსოფია მორალზე. მეორე შრომას საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს ჭადრაკთან. მხოლოდ მთარგმნელმა ვ. ლევშინმა თავის მხრივ დაურთო რამდენიმე საჭადრაკო ამოცანა წიგნიდან „Trattato del Cinventione et arte Ciberale de gioco di scacchi" (ა. სალვიო, 1694 წ.). ეს არის და ეს.

პირველ სერიოზულ შრომად შეიძლება ჩაითვალოს 1821 წელს შედგენილი ი. ბუტრიმოვის სახელმძღვანელო „О шахматной игре". შემდეგ 1828 წელს მოსკოვში გამოვიდა პატარა ბროშურა ჭადრაკის თამაშის წესების შესახებ, რომელიც გაურკვევლად და არეულად იყო დაწერილი.

დაახლოებით ამ დროს სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოში გამოჩნდა რამდენიმე წერილი, ლექსი და შენიშვნები ჭადრაკზე.

1839 წელს გამოვიდა ნ. კრიუკოვის თარგმნილი შრომა ლაბურდონეს ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო, რომელმაც მაშინდელ რუსულ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

40 — 60-იანი წლების პერიოდიდან უნდა აღინიშნოს, პირ-

ველ ყოვლისა, გაზეთ „„Санкт-Петербургские Ведомости“-ში საჭადრაკო განყოფილების გახსნა კ. იანიშის რედაქციით; პატარა საჭადრაკო შენიშვნები, ამოცანები და პარტიები (პ. მორფისა) „Живописная русская библиотека“ -ში; დიდი საჭადრაკო ჟურნალის „Шахматны листок“-ის გამოსვლა მიხაილოვის რედაქციით. მიხაილოვი იყო ჭადრაკის მეცენატის გ. კუშელევ-ბეზბოროდკოს უახლოესი თანამშრომელი.

„Шахматный листок“ ჯერ „Русское слово“-ს დამატებად, ხოლო 1862 წლიდან გ. კუშელევ-ბეზბოროდკოს შუამდგომლობით დამოუკიდებლად გამოდიოდა, მაგრამ მან დიდხანს ვერ იარსება. გამოცემა იმდენად საზარალო იყო, რომ გ. კუშელევ-ბეზბოროდკომ უარი განაცხადა მის მატერიალურ დახმარებაზე და ჟურნალმაც შეწყვიტა არსებობა. დიდ სიძნელეებს წააწყდა მ. ი. ჩიგორინიც, რომელმაც ითავა 1876 წელს ჟურნალის გამოცემის განახლება.

ზოგიერთი შეძლებულის (რობერტ გოლიკის და სხვ.) ფინანსური დახმარებით ჟურნალმა მხოლოდ 1880 წლამდე იარსება. სწორედ ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე საჭადრაკო ჟურნალი, რომელსაც ე. ს. შიფერსის თანამშრომლობით სცემდა მარკოვი. ჟურნალმა ორ-სამ წელიწადს ძლივს იარსება.

ასეთი მცირედროიანი დებიუტის მიუხედავად, რუსეთში ამ პირველ საჭადრაკო ჟურნალებს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი ინტელიგენციის ფართო მასებს შორის ჭადრაკის პროპაგანდის საქმეში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულმა ლიტერატურამ პირველად და საფუძვლიანად გააცნო რუს მკითხველებს, როგორც ჭადრაკის თამაშის ისტორიის, ისე თეორიის საკითხები და აგრეთვე საკომპოზიციო (ამოცანათა) ჟანრის პრობლემები. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ჟურნალ „Шахматное обозрение“-ს, რომელმაც XIX საუკუნის ბოლო წლებში დაიწყო გამოსვლა. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე პირველი რუსი ოსტატის ა. პეტროვის და სხვათა მოთხრობები და შენიშვნები რუსული პრესის სხვადასხვა ორგანოში. საინტერესოა მისი სტატიები მიძღვნილი მუციოსა და კუს გამბიტებისადმი.

გამოქვეყნდა აგრეთვე კარლ იანიშის შემდეგი შრომები:

ფრანგულ ენაზე „Découvertes sur le cavalier (Echecs)“ 1857 წ.

1842 — 43 წლებში გამოვიდა რუსი მოჭადრაკეებისათვის მნიშვნელოვანი კაპიტალური სახელმძღვანელო, რომელიც ორჯერ ითარგმნა ინგლისურ ენაზე. 1862 — 63 წლებში დაიბეჭდა მისი წიგნი „მათემატიკური ანალიზის გამოყენების ცდები ჭადრაკის თამაშში“. იანიშის ბევრი სტატია დაიბეჭდა საზღვარგარეთულ და რუსულ ჟურნალებში.

ცნობილი მოჭადრაკისა და ჟურნალისტის ი. შუმოვის მიერ 1867 წელს გამოქვეყნებულ იქნა საინტერესო შრომა სახელწოდებით: „Собрание скахографических и других шахматных задач, в том числе полный букварь, ноты политические, юмористические и фантастические. მასვე ეკუთვნის სტატია შოტლანდიური გამბიტის თეორიის შესახებ 1850 წელს „Chess Players Chronicle“-ში დაბეჭდილი.

1885 წელს მ. ჩიგორინის რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „Шахматный Вестник“ (გამოცემა შეწყდა 1887 წელს). ჩიგორინი რედაქტორობდა აგრეთვე საჭადრაკო განყოფილებას ჟურნალში „Всемирная иллюстрация“-ში, სადაც მანამდე შუმოვი იყო რედაქტორი.

1894 წელს რიგაში გამოიცა ა. აშარინის წიგნი „Сборник юмористических рассказов, очерков и афоризмов“. —

ჭადრაკის პროპაგანდის საქმეში დიდი მუშაობა გასწია მ. ჩიგორინის ერთ-ერთმა გამოჩენილმა თანამედროვემ ე. სტაშიფერსმა. ის ხელმძღვანელობდა საჭადრაკო განყოფილებებს ჟურნალ „Нива“-სა და „Петербургская газета“-ში. მან დაწერა ჭადრაკის საყურადღებო სახელმძღვანელო „Самоучитель шахматной игры“, რომელიც მრავალჯერ გამოიცა.

ამით ამოიწურება XIX საუკუნის რუსული საჭადრაკო ბიბლიოგრაფია.

რუსული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი მ. ჩიგორინი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთში ჭადრაკი უკვე აღარ იყო მხოლოდ მოყვარულთა კუთვნილება. ამ თამაშით გატაცებული რუსული კულტურის მთელი რიგი წარმომადგენლებისა

და არც ისე მცირე რაოდენობის მოყვარულთა (ძირითადში მოსკოვისა და პეტერბურგის მცხოვრებნი) გარდა, რუსულ საჭადრაკო სამყაროს შეეძლო წარმოედგინა ძლიერი პროფესიული მოჭადრაკეების მთელი პლეადა: შუმოვი, შიფერსი, ალაპინი, ბესკროვნი, შმიდტი, სოლოვცოვი და სხვ. ისინი 70-იან წლებში იკრიბებოდნენ პეტერბურგის კაფე „დომინიკში", რომელიც იმ დროს დედაქალაქის საჭადრაკო ცხოვრების ცენტრი იყო. არ შეიძლება, რასაკვირველია, ითქვას, რომ საჭადრაკო მუშაობა ამ კაფეში იდეალური და უანგარო გატაცება იყო, როგორც, მაგალითად, ჩვენს დროში. იქ თამაშობდნენ ფულზე. ნაძლევზე თამაშის დაწყებამდე ფიგურის მიცემით, ძლიერები უგებდნენ სუსტ მოთამაშეებს. არაჯანსაღი მდგომარეობის მიუხედავად, კაფეში იწვრთნებოდნენ და იზრდებოდნენ ჭადრაკის ნიჭით დაჯილდოებულნი.

1874 წელს ამ კაფეში დაიწყო სიარული ახალგაზრდა მ. ი. ჩიგორინმა (1850 — 1908 წწ.), რომელმაც შემდეგ დიდებით შემოსა რუსეთი და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით პრაქტიკასა და თეორიაში გახდა ე. წ. რუსეთის საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი. ამ დროს ჩიგორინი ჯერ კიდევ არ იყო გაწვრთნილი მოჭადრაკე. მცირე გამოცდილება ჰქონდა მიღებული „დომინიკამდე" არსებულ „შუსტერ-კლუბში". იმდროინდელ საჭადრაკო ჰორიზონტზე ე. შიფერსი გამოჩენილი პიროვნება იყო. იგი ეთამაშებოდა მ. ჩიგორინს, რომელსაც თამაშის დაწყებამდე ჯერ მხედარს აძლევდა, მერე პაიკსა და ორ სვლას. 1872 — 74 წლების აქ გამართულ ტურნირებში ჩიგორინი. როგორც მეორე თანრიგის მოთამაშე პირველთანრიგოსნებისგან თამაშის დაწყებამდე რომელიმე ფიგურას ღებულობდა. ერთ-ერთ ასეთ ტურნირში მან მესამე ადგილი დაიკავა. ამ წარმატების შემდეგ ჩიგორინი უკვე როგორც პირველი თანრიგის მოჭადრაკე მონაწილეობდა მრავალ შეჯიბრებაში, რომლებშიც ხშირად პირველ ადგილზე გამოდიოდა.

მ. ჩიგორინი ტურნირებში მონაწილეობის პარალელურად 1876 წელს შეუდგა საჭადრაკო ჟურნალის „Шахматный листок"-ის გამოცემას. დიდი სიძნელეების გადალახვით იმავე წლის სექტემბერში ჩიგორინმა ჟურნალის პირველი ნომერი დასტამბა. მძიმე საგამომცემლო მუშაობა, მატერიალური სახსრების უქონლობა

მ. ჩიგორინი

გამომცემლისაგან დიდ ენერგიას მოითხოვდა. 1881 წელს, ხუთი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჟურნალი დაიხურა.

თავისი უდღეურობის მიუხედავად ჟურნალმა დიდი სარგებლობა მოუტანა რუსულ საჭადრაკო მოძრაობას. მასში იბეჭდებოდა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეების პარტიები, ამოცანები, ნარკვევები, ჭადრაკის თამაშის ისტორიის მიმოხილვები. შუქდებოდა აგრეთვე საჭადრაკო ცხოვრება რუსეთში და საზღვარგარეთ.

ჟურნალის გამოცემის პერიოდში ჩიგორინი განაგრძობს მონაწილეობას ტურნირებსა და მატჩებში. მაგალითად, 1878

წელს იგი უგებს მატჩს იმ დროის უძლიერეს რუს მოჭადრაკეს ე. შიფერს (+7—3).შემდეგ ამარცხებს ალაპინს (+7—3) და შმიდტს (+6—2). იმავე წლის დიდ ტურნირში ჩიგორინი ბრწყინვალე თამაშით პირველ ადგილზე გამოდის. ამ ტურნირში მოსკოვისა და პეტერბურგის უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ.

1881 წელს რუსეთის საუკეთესო მოჭადრაკედ აღიარებული ჩიგორინი ტოვებს სამსახურს და პროფესიული მოჭადრაკე ხდება. ამ წლიდან იგი სისტემატურად მონაწილეობს ტურნირებში, ატარებს ერთდროული თამაშის სეანსებს. პეტერბურგის ტურნირში მისმა დიდმა წარმატებამ საზღვარგარეთის პრესა აალაპარაკა. იგი მიიწვიეს ბერლინის საერთაშორისო ტურნირში, სადაც პოლონელ ვინავიერთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო (პირველი და მეორე იყვნენ ბლეკბერნი და ცუკერტორტი). ამ ტურნირით დასაბამი მიეცა რუსეთის საჭადრაკო კავშირს ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

მხოლოდ ფიზიკური დაძაბულობით და გადაღლით შეიძლება აიხსნას ჩიგორინის წარუმატებლობა ვენის 1882 წლის ტურნირში, სადაც მან მეცამეტე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, მომდევნო წელს ლონდონში მონაწილეთა მეტად ძლიერ შემადგენლობიან ტურნირში ჩიგორინმა მეოთხე ადგილი დაიკავა, რითაც ბევრ გამოჩენილ მოჭადრაკეს გაუსწრო.

ჩიგორინი მეტად აგრესიული სტილის მოთამაშე იყო და ყველა პარტიას მხოლოდ მოგებაზე თამაშობდა.

1883 წელს პარიზში გასტროლების დროს ჩიგორინმა დაამარცხა გამოჩენილი ფრანგი ოსტატი დე რიეიერა (+5—4=1). სამშობლოში დაბრუნებისას ჩიგორინი სათავეში ჩაუდგა პეტერბურგსა და ლონდონს შორის მოწყობილ მატჩს, რომელიც პეტერბურგმა მოიგო. ამ წარმატებით აგულიანებულმა ჩიგორინმა კვლავ მოჰკიდა ხელი საგამომცემლო საქმეს და დაიწყო ჟურნალ „Шахматный листок“ -ის გამოცემა, რომელმაც 1887 წლამდე იარსება. იგი აგრეთვე რედაქტორობს საჭადრაკო განყოფილებას „Всемирная иллюстрация“-ში, რომელიც მას ი. შუმოვის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა. იმდროინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ვ. სტეინიცმა აღნიშნა, რომ ჩიგორინში იგი ხედავს მსოფლიო ჩემპიონის სახელის უახლოეს პრეტენდენტს.

1889 წელს ჰავანის საშადრაკო კლუბის ინიციატივით ჩიგორინმა მიიღო მსოფლიო ჩემპიონის ვ. სტეინიცის ოფიციალური მიწვევა მატჩზე. ისტორიული ორთაბრძოლა დაიწყო 1889 წლის 20 იანვარს ჰავანაში და მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვებით დამთავრდა — 10,5:6,5. ამ შეხვედრაში რუსმა ოსტატმა ღია პარტიებში ვ. სტეინიცზე სრული უპირატესობა გამოამჟღავნა. საზღვარგარეთული პრესა მის მწვავე თამაშს პ. მორფის სტილს ადარებდა. ჩიგორინის წარუმატებლობის მიზეზად ბევრს ჰავანას უჩვეულო კლიმატური პირობები მიაჩნდა.

მატჩის შემდეგ ჩიგორინმა მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკის დიდ ტურნირში და ვეისთან პირველ-მეორე ადგილები გაიყო. 1890 წელს კვლავ ჰავანის საშადრაკო კლუბის თაოსნობით ჩიგორინმა მატჩი ეთამაშა ჰუნსბერგს, რომელიც აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტად ითვლებოდა. ორთაბრძოლა ყაიმით (11,5 — 11,5) დამთავრდა. 1890 წლის თებერვალში ჩიგორინმა სატელეგრაფო მატჩი ეთამაშა ვ. სტეინიცს. ეს მატჩი, რომელიც ორი პარტიისაგან შედგებოდა (წინასწარი მოლაპარაკებით პარტიები დაიწყო ევანსის გამბიტით და ორი მხედრის დებიუტით), ჩიგორინის გამარჯვებით დასრულდა. მსოფლიო ჩემპიონმა მეტოქის თამაშის შესახებ თავისი აზრი ასე გამოხატა: „ჩიგორინის თამაში თავიდან ბოლომდე წარმტაცი იყო“. ამ წარმატებამ კვლავ აალაპარაკა მსოფლიო. მოითხოვდნენ მატჩ-რევანშის გამართვას. ვ. სტეინიცი თანახმა იყო და 1891 წელს ჰავანის საშადრაკო კლუბის ხელშეწყობით შედგა ეს მატჩი. თამაშობდნენ 10 მოგებამდე. ორთაბრძოლის პირველი ნახევარი ჩიგორინის სასარგებლოდ დამთავრდა (+5—3=4). მეორე ნახევარში უპირატესობა სტეინიცს ჰქონდა და მან მცირე უპირატესობით მოიგო მატჩი. ჩიგორინს რომ უკანასკნელი პარტია მოეგო (იგი აშკარად მოგებული ჰქონდა, წაგო უხეში შეცდომით), მაშინ ანგარიში +9—9 იქნებოდა და ბრძოლაც გაგრძელდებოდა.

მატჩის შემდეგ ვ. სტეინიცი წერდა ჩიგორინზე, როგორც ძველი საშადრაკო სკოლის იდეოლოგზე, რომელიც რაც არ უნდა დაუჯდეს, ეძებს კომბინაციებსა და მწვავე პოზიციებს. „ჩიგორინი სუსტად თამაშობს დახურულ დებიუტებს, რომელიც ნაკლებადაა შერწყმული მის გაბედულ სტილთან, — წერ-

და ფრანგული პრესა, — ასე, რომ მისმა შორსმჭვრეტელმა მოწინააღმდეგემ მატჩის დასასრულს შეძლო ამით ესარგებლა, რათა ჩიგორინისათვის გამარჯვება წაერთმია".

თვითონ ჩიგორინი თავის თავს არასოდეს არ აკუთვნებდა რომელიმე სკოლას, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს საჭადრაკო წრეებში მეტად სერიოზულ მნიშვნელობას აძლევდნენ „ორი სკოლის" ბრძოლის საკითხის განსჯას. ჩიგორინი არასოდეს არ ყოფილა მტერი, ე. წ. „ახალი სკოლისა", რომელსაც სათავეში სტეინიცი ედგა. იგი ილაშქრებდა მხოლოდ მისი დოგმების წინააღმდეგ, ჰგმობდა თამაშის ზოგიერთ „ურყევ" და „სრულყოფილ" კანონს. შესანიშნავად იყო ნათქვამი ჩიგორინზე, როგორც მოჭადრაკეზე, ინგლისურ საჭადრაკო ჟურნალში (იხ. „Шахматы" მ. ჩიგორინის რედაქციით, 1891 წ.): " ჩიგორინი არსებითად ბრწყინვალე მოჭადრაკეა, გამბედავი და მამაცი, მაგრამ ამ თვისებებს იგი ზოგჯერ მკვეთრ შეცდომაში შეჰყავს. იგი ღრმად ფლობს თამაშს და იყენებს ე. წ. „ახალი სკოლის" მრავალ პრინციპს, რომლის შემქმნელი არის სტეინიცი, მაგრამ ამ პრინციპებს თავისი გენიის ბორკილებად არ აქცევს. იგი არაა პედანტი, მისი კონცეპცია მაღალია, იდეები შესანიშნავი, სტილი სწორი". ჩიგორინის როგორც მოჭადრაკის ასეთი შეფასება სამართლიანია და ობიექტური.

მ. ბოტვინიკი ჩიგორინის შემოქმედების შესახებ ამბობს: „იმისათვის, რომ ჩიგორინის შემოქმედების შესახებ წარმოდგენა იქონიო, უნდა იცოდე, რომ ჩიგორინი ხშირად საჭადრაკო პარტიაში ეძებდა წესებს კი არა, არამედ წესიდან გამონაკლისს".

სტეინიცთან შეხვედრის შემდეგ ჩიგორინი ბრუნდება სამშობლოში და ორთაბრძოლაში ამარცხებს მოსკოვის უძლიერეს მოჭადრაკეს ა. სოლოვცოვს. 1893 წელს, ბერლინის საჭადრაკო კლუბის წინადადებით, ჩიგორინი თამაშობს მატჩს გამოჩენილ გერმანელ ოსტატ ზ. ტარაშთან. ეს მატჩი ჩიგორინის წინადადებით, რომელიც პეტერბურგის საჭადრაკო საზოგადოების სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებას, პეტერბურგში შედგა. სპორტულად დაძაბული ბრძოლა ყაიმით (+9—9=4) დამთავრდა. უნდა ითქვას, რომ ამ დროს ტარაში მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა. მას მონაწილეობა მიუღია შვიდ

საერთაშორისო ტურნირში, სადაც შვიდჯერ პირველი პრიზი მოუპოვებია. მომდევნო წელს ჩიგორინი აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგ-პარიზის სატელეგრაფო მატჩში.

ჩიგორინის, როგორც თეორეტიკოსის მუშაობა ძირითადად ოთხმოციან წლებს მიეკუთვნება.

1895 წელს ჩიგორინი მიიწვიეს ჰასტინგსის (ინგლისი) საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც თავისი შემადგენლობით იმ დროის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. ტურნირში მონაწილეობდნენ ლასკერი, სტეინიცი, პილსბერი, ტარაში, ჰუნსბერგი, ბლეკბერნი და მსოფლიო სახელის მქონე სხვა ოსტატები. ჩიგორინმა ამ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა (პირველი პილსბერი იყო).

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ჩიგორინი წარუმატებლად გამოდის გამოჩენილ ოსტატთა ექვსწრიან მატჩ-ტურნირში, რომელიც 1895 — 1896 წწ. პეტერბურგში მოეწყო. უნდა ითქვას, ჭადრაკის მსოფლიო საზოგადოებრიობა გეგმავდა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ე. ლასკერის (მან სტეინიცი დაამარცხა) და ჩიგორინის სამატჩო შეხვედრას. მატჩ ტურნირში ჩიგორინის დიდმა წარუმატებლობამ ამ განზრახვაზე მათ ხელი ააღებინა. მეორე წარუმატებლობა ჰქონდა ჩიგორინს იმავე წელს აგრეთვე ძლიერშემადგენლობიან ნიურნბერგის საერთაშორისო ტურნირში. ძნელი სათქმელია, თუ რით იყო გამოწვეული რუსი მოჭადრაკის წარუმატებლობა. შესაძლოა მატჩებსა და ტურნირებში შეუსვენებელმა გამოსვლებმა გადაღალეს იგი.

ჩიგორინის სერიოზულმა წარუმატებლობებმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „ნიჭის ჩასვენების“ შესახებ. ამის შემდეგ ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილის აღებას არ შეეძლო აღედგინა საჭადრაკო საზოგადოებრიობის თვალში მისი უწინდელი ავტორიტეტი. ძნელ შეჯიბრებებში ორგანიზმის გადაღლა აშკარა იყო. შემდეგ ბერლინის ტურნირში ჩიგორინს თამაში უკვე გაუჭირდა. მან აქ ოც მონაწილეთა შორის მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა. შემდგომში მის წარმატებებს კელნის 1908 წლის, მონტე-კარლოს 1907 წლის, ჰონოვერის 1902 წლის, კემბრიჯ-სპრინგსის 1904 წლის, ბარმენის 1905 წლის და ნიურნბერგის 1906 წლის ტურნირებში, რომ-



პეტერბურგის 1895—96 წ. მატჩ-ტურნირი (მარცხნიდან) ჩიგორინი, ლასკერი, პილსბერი და სტეინიცი.

ლებშიც იგი მეორე-მეშვიდე ადგილებს იკავებდა, აშკარა ჩავარდნები ენაცვლებოდა. ოსტენდში (1905 წ.) მან ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. ხოლო ჩემპიონების ტურნირში 1907 წელს უკანასკნელი. თავის უკანასკნელ საერთაშორისო ტურნირში (კარლსბადი, 1907 წ.) მეთექვსმეტე-მეთვრამეტე ადგილები გაიყო ოცდაერთ მონაწილეთა შორის. უნდა ითქვას, რომ წარუმატებლობის მიუხედავად, ჩიგორინი ბრწყინვალედ თამაშობდა გამბიტურ ტურნირებში, სადაც ბრძოლა წინასწარ გაპირობებულია ამა თუ იმ დაწყებით. მაგალითად, 1903 წელს ვენაში პირველი პრიზი მოიპოვა, ინგლისში მატჩი მოუგო მსოფლიო ჩემპიონს ე. ლასკერს (რაისის გამბიტი).

თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით ჩიგორინს უკვე აღარ შესწევდა ძალა წარმატებით ებრძოლა საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ რუსეთში ის მაინც უძლიერეს მოჭადრაკედ რჩებოდა (პირველი პრიზები სრულიად რუსეთის ჩემპიონატებში, მატჩში სძლია სრულიად რუსეთის IV ტურნირში გამარჯვებულს სალვეს (+7—3=3). ამით კიდეც მთავრდება ჩიგორინის ბრწყინვალე მოღვაწეობა. ავადმყოფობა სძლევდა მის სულიერ და ფიზიკურ ძალებს. მ. ჩიგორინი გარდაიცვალა 1908 წელს ქ. ლიუბლინში (დაკრძალულია პეტერბურგში).

ამ მოკლე ნარკვევს ვამთავრებთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ბოტვინიკის სიტყვებით: „მიხეილ ივანეს ძე ჩიგორინმა მკვეთრად გაუსწრო თავის დროს, მისი შემოქმედება ჩვენთვის ყოველთვის იქნება საჭადრაკო იდეების განვითარებისა და სრულყოფის უშრეტი წყარო“.

დიდებული რუსი მოჭადრაკის სტილს თავის დროზე „ძველ სკოლად“ შერქმეულს, რასაკვირველია არაფერი აქვს საერთო სტეინიცამდე არსებულ ნამდვილ ძველ სკოლასთან. მისი „სკოლა“ თუ შეიძლება ასე ვთქვათ, პარტიის მსვლელობის მეთოდისადმი მიდგომა არის უფრო „მომავლის სკოლა“ (როგორც სამართლიანად ლაპარაკობს ნ. გრეკოვი „„Русская школа в шахматном искусстве“ “-ში), რადგან ჩიგორინმა თვითონ გაუსწრო „ახალ სკოლას“, მის მედროშეს სტეინიცს, რომელსაც კარგად ესმოდა მეტოქის საჭადრაკო ხელოვნების არსი და არა ერთხელ გამოუთქვამს პრესაში ჩიგორინის თამაშზე ჭეშმარიტებასთან ახლო მოსაზრება.

ჩიგორინის ხელოვნების შეუფასებლობა სტეინიცის დახასიათებაში ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ რუსი ოსტატი არ მისდევდა ჭადრაკის იმ დოგმებს, რომელთაც თავის კაპიტალურ ნაშრომებში სტეინიცი ქადაგებდა.

დიდია ჩიგორინის როლი რუსული საჭადრაკო მოძრაობის განვითარების საქმეში. იგი ამყლავნებდა დიდ ინიციატივას რუსეთში საჭადრაკო კლუბების ორგანიზაციაში, უძლიერესი საერთაშორისო კლასის მოჭადრაკეების საჩვენებლად მატჩებში, მიწერ-მოწერით ტურნირების მოწყობაში. პეტერბურგში ჭადრაკის შემსწავლელ კურსებზე იგი თვითონ კითხულობდა ლექციებს. მან არნახულ სიმაღლეზე აიყვანა რუსეთის საზოგადოებრიობის ინტერესი ჭადრაკისადმი.

ჩიგორინის სკოლის გავლენა ემჩნეოდა მასთან ახლო მყოფ ოსტატებს, რომლებიც მისი თანამედროვენი იყვნენ (შიფერსი, სოლოვცოვი, აშარინი, ლევიტსკი, ლევინი, გონჩაროვი, იზბინსკი, ევენსონი და სხვები).

ჩიგორინის სკოლის მთავარი პრინციპები: შემოქმედების თავისუფლება, დოგმების მიმართ შეუბორკავი გამბედაობა, თამაში გონიერ გართულებაზე, მოგებაზე — უნებლიედ ახდენდნენ გავლენას უცხოელ მოთამაშეებზეც.

ჩიგორინის გავლენა განიცადეს მთელმა რიგმა გამოჩენილ. მა რუსმა და უცხოელმა ოსტატებმა. ჩიგორინის თანამედროვენი და ჭადრაკში მისი იდეების განმგრძობნი პოპლავსკი, პშეპიურკა, კვიჩალა, დაბრუსკი, ხარუზეკი, დურასი, ტრეიბალი, ვიდმარი, იანოვსკი, გენიალური ალიოხინი და სხვები ყოველთვის აღიარებდნენ ჩიგორინის გავლენას. ჩვენი საბჭოთა



პეტერბურგის 1914 წლის ტურნირის მონაწილეთა ჯგუფი:

1. სხედან: ს. გუნსბერგი (ლონდონი), 2. ბლეკბერნი (ლონდონი), 3. ლასკერი (ბერლინი), 4. ტარაში (ნიურნბერგი), 5. ბურნი (ინგლისელი მწერალი), 6. ზებგარდი (გერმანია), 7. რუბინშტეინი (ვარშავა), 8. კაპაბლანკა (ყუნძული კუბა), 9. იანოვსკი (პარიზი), დგანან 10. მარშალი (ნიუ-იორკი), 11. ალიოხინი (პეტერბურგი). 12. ნიმცოვიჩი (რიგა), 14. ზნოსკო-ბოროვსკი (პეტერბურგი).

ოსტატების თაობა, რომლებმაც დაიპყრეს მსოფლიო პირველობის ყველა მწვერვალი, აღიზარდა ჩიგორინის მემკვიდრეობის მადლიან ნიადაგზე. პრაქტიკული მიღწევები იმის უარმყოფელი ფაქტია, რომ ჩიგორინისებურ ჭადრაკის თამაშში შემოქმედებითი ძიების პრინციპები უფრო სწორი აღმოჩნდნენ. ვიდრე სტეინიცის, ლასკერისა და კაპაბლანკას მეცნიერული დოგმები, რომელთაც თავისი განვითარება ჰპოვეს თანამედროვე საზღვარგარეთელი ოსტატების ფაინის, რეშევსკის, ეივეს და სხვათა თამაშში.

ჰადრაკი საბჭოთა კავშირის ხალხებში

შუა აზიის ხალხებმა საჰადრაკო მემკვიდრეობა მიიღეს ხორეზმის, სოგდის ძველი ხალხებისაგან და ბაქტრიის ხალხისაგან, რომლებმაც ადრეულ საუკუნეებში ინდოელებისაგან გადმოიღეს ჰადრაკი. ისინი ახლოს იდგნენ ირანისა და არაბთა კულტურასთან.

ასეთი თვალსაზრისის დასასაბუთებლად შეიძლება მოყვანილ იქნას არც ისე მცირემნიშვნელობის ფაქტი ჩინეთსა და ტიბეტის ხალხების არაბებთან ურთიერთდამოკიდებულების ისტორიიდან 618 — 960 წლებში. ამ დროს არაბებში ჰადრაკის თამაში განსაკუთრებულ აყვავებას განიცდიდა.

ვიცით, რომ ჩინეთსა და ტიბეტს შორის რეგულარული ურთიერთობა დამყარებული იყო ტიბეტის სამხედრო ძლიერების განვითარების პერიოდში, სახელდობრ VII — IX საუკუნეებში, როდესაც ტიბეტელთა ძლიერი არმიები წარმატებით ლაშქრობდნენ ინდოეთსა და ჩინეთში და ერთ დროს კიდეც განაგებდნენ ჩინეთის სამ პროვინციას: გან-სუნს, სი-ჩუანსა და იუნ-ნანს. ტიბეტელები ჩინეთის ტახტზეც დამკვიდრებულან ქალაქ ჩენ-დუ-ფუში, ტანის დინასტიის დედაქალაქში. ამ პერიოდში ტიბეტისა და ჩინეთის მმართველები ხშირად არაბების მოკავშირენი ყოფილან, თავისი სამხედრო ძლიერებით მხარში ამოდგომიან ბაღდადის ხალიფებს. უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ დროს არაბული შატრანგი ცნობილი გახდა ჩინეთსა და ტიბეტში. უკანასკნელებმა იგი გადმოიღეს ან არაბი მეომრებისაგან შეერთებული ლაშქრობების დროს ურთიერთობის გზით, ან კარის წრეებისა და თანამდებობის პირთა ხშირი მიმოსვლით ჩინეთსა და ბაღდადს შორის. შემდეგ, როდესაც ტიბეტის დიქტატორები განდევნეს ჩინეთიდან და ორივე ხალხს შორის მტკიცე პოლიტიკური კავშირი შეიკრა, ჰადრაკმა სხვადასხვა ეროვნულ პირობებში დაიწყო განვითარება. დროთა მსვლელობაში არაბულმა შატრანგმა მეტად არსებითი ცვლილება განიცადა, დაკარგა მსგავსება თავის არაბულ პროტოტიპთან, ხოლო ტიბეტში თამაშის არაბული ფორმები უფრო დიდხანს შემოინახა, მაგრამ მას არ დაუკარგავს თავის პროტოტიპთან საერთო მსგავსება.

ამრიგად ჩინური და ტიბეტური ჭადრაკის წარმოშობის ერთიანობის განხილვის დროს მკვლევარებმა უპირატესობა არაბულ წყაროებს უნდა მიანიჭონ.

ხალხებს, რომელნიც თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით ახლო არიან საჭადრაკო კულტურის ქვეყნებთან, უეჭველად შეეძლოთ მოეცათ ჭადრაკის გავრცელების საყურადღებო ფაქტები: განსაკუთრებით ჩრდილოეთის ხალხებს, რომელნიც მონღოლთა ჯგუფს (ბურიატები და ყალმუხები) მიეკუთვნებიან და რომლებიც ჭადრაკს შორეული აღმოსავლეთის გზით ეზიარნენ ჩინეთისა და ტიბეტის გარკვეული გავლენით. შესაძლოა ამ ხალხებმა ჭადრაკი პირველად გაიგეს როგორც ბუდის კულტის ატრიბუტი. ხალხები, რომლებიც სხვა ჯგუფებს (ნენცებს, იაკუტებს და თათრებს) ეკუთვნიან. და მონგოლურ ჯგუფებთან არიან დაკავშირებული გეოგრაფიულად ან ეთნოგრაფიულად შეუძლიათ ბევრი მნიშვნელოვანი რამის მოცემა შატრანგის (ჭადრაკის) თავისებურებისა და ევოლუციის საკითხში. ასეთი ევოლუციის შედეგად მოხდა, როგორც ცნობილია, ჭადრაკის დიდი ცვლილება, რაც სრულიად ცხადი ხდება მაგალითად, ჩინურ-კორეულ-იაპონური თამაშის არაბულ და ინდო-ირანულ თამაშთან შედარებისას.

- როგორ და როდის მოხდა ეს ცვლილება, რა უწყობდა ხელს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ შეუპოვარი და გულმოდგინე შრომის შემდეგ. ადვილი შესაძლებელია კვლევის არაპირდაპირი გზით, ეთნოგრაფიის ან ლინგვისტიკის მეშვეობით მოინახოს ჩვენთვის საინტერესო ფაქტი. შეუძლებელია აქსიომად მივიღოთ მ. კოგანის მოსაზრება, რომელიც დაბეჯითებით ლაპარაკობს, რომ ჩინური თამაში, რომელიც ესოდენ განსხვავდება გარეგნობით და ხასიათით ინდო-არაბულისაგან, უნდა განვიხილოთ როგორც სრულიად თავისებური ჩინური მოვლენა, რომელიც უკანასკნელთან არაფრით არ არის დაკავშირებული. ჩინური ცნობებითაც (ლექსიკონი Haipies) თამაში „Sianghki" ჩინეთში ინდოეთიდან შემოვიდა 537 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე Vonti--ის მბრძანებლობის დროს. აქ შეიძლება საეჭვო იყოს მხოლოდ დათარიღება, რომელიც უფრო გვიანდელ ეპოქას მიეკუთვნება. მაგრამ რატომ უნდა დავეჭვდეთ თვითონ ფაქტში და შევედაოთ წინაპრებს?

მეორე საბჭოთა ავტორი (ს. კონდრატიევი) სხვა აზრისაა, ვიდრე მ. კოგანი. თავის სტატიაში „Шахматы у китайцев“ („Шахматы в СССР“, 1931 წ. № 11) იგი წერს: „არსებითი განსხვავება შუა და დასავლეთ აზიისა და ჩინეთის ჭადრაკს შორის მიგვითითებს იმაზე, რომ ჩინური თამაშის გამოყოფა მოხდა მრავალი ასეული წლის წინათ“. ამ შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ. ამ საკითხის გარჩევამ ნაწილობრივ აგვახვევინა გვერდი ძირითადი თემისაგან.

არ შეიძლება ჭადრაკის ისტორიაში ავხსნათ ბევრი საკითხი ისე, რომ მხოლოდ პირველად გამოთქმულ აზრს დავეყრდნოთ. პრობლემის ყველაზე უფრო პრინციპული საკითხების გადაჭრისას ყოველთვის იქნება მკვლევარებისათვის იგი მიუწვდომელი, რადგან საპირო ხდება ორი თვალსაზრისის (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლის) შექმნა. ეს ინდოარაბული ჭადრაკის პრობლემაა და სწორედ რომ ვთქვათ შორეულ აღმოსავლეთის ჭადრაკის პრობლემა. მაშინ იაპონური და კორეული ჭადრაკიც უნდა ავხსნათ, როგორც სავსებით თვითმყოფი მოვლენა.

ფიქრობენ, რომ ჭადრაკს შუა აზიის თანამედროვე ხალხებში მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, რომელიც თავისი ფესვებით აღწევს ხორაზმის სახელმწიფოს უძველეს პერიოდს. ამას ინდოეთში ჭადრაკის გამოგონების უახლოეს საუკუნემდე მივყავართ.

ეს მოსაზრება, რომელიც უკანასკნელ ხანს საბჭოთა მეცნიერებმა წამოაყენეს, ადრეც ზოგიერთი რუსი და უცხოელი მეცნიერის მიერ იყო გამოთქმული. შუა აზიაში ახლახან არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი ორი უძველესი ფიგურა (ამჟამად ისინი ერმიტაჟში ინახება) და აგრეთვე XV საუკუნის ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც IX — X საუკუნეების შუა აზიის მრავალ მოჭადრაკეზე მოგვითხრობს, სრულ საფუძველს გვაძლევს დავიცვათ ჩვენი მეცნიერების თვალსაზრისი ჭადრაკის ისტორიაში შუა აზიის ხალხების წამყვანი როლის შესახებ. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ცოტაა ფაქტობრივი მასალები, რომ ამ თეორიას სრული უპირატესობა მივცეთ. მაგრამ არ იქნება შეცდომა მივიღოთ ის აზრი, რომ შუა აზიაა ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული პუნქტი, რომლის გავლით შატრანგმა ჰპოვა გავრცელება

მსოფლიოში, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებში. ყველა ეს ფაქტი თანამედროვე შუა აზიის შესახებ ჭადრაკისადმი დიდ ინტერესს იწვევს. მაგრამ არაფერი არ ვიცით ჩვენ ამის შესახებ, გარდა ცალკეული ცნობებისა, რომელთა ნაწილი გასულ საუკუნეშია შეგროვებული В. Верещагин „От Оренбурга до Ташкента“ 1867—68 г. Черневский „Шахматы в Туркестане“, И. Савенков „К вопросу эволюции шахматной игры“ და სხვ. და ნაწილი საბჭოთა მკვლევარებისა М. Коган „Очерки по истории шахмат в СССР“. ამ წიგნში ძირითადად ძველი, უკვე ცნობილი ფაქტებია განმეორებული და სხვ.

მოსკოვის 1925 წ. საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი.

ვერეშჩაგინი ხოჯენში ნახულ ჭადრაკს აღწერს და ამბობს, რომ დაფას პირდაპირ მიწაზე ხაზავენ, მასზე ნაცრისფერ ქვებს ამოძრავებენ და თამაშით მოსახლეობა მეტად გატაცებული არისო.

ბუხარაში შემორჩა ჭადრაკის თამაშის ორი სახე „დედოფლის თამაში“ და „ბუხარის თამაში“. პირველში არის შორსმსროლელი ლაზიერი და როქიც. მეორეში სხვა წესებია: ლაზიერი ყველაზე სუსტი ფიგურაა, კუ (როგორც შატრანგში) დადის

ღიაგონალით მხოლოდ სამ უჯრაზე და შეუძლია ფიგურას გადა-ახტეს. თამაშის მეორე სახე უძველესად უნდა მივიჩნიოთ. უზ-ბეკებში თანამედროვე საჭადრაკო ტერმინოლოგიამ სავსებით შეინარჩუნა არაბული შატრანჯის ფიგურების სახელწოდებანი. თურქმენებმა იციან და უყვართ ჭადრაკი. ისინი მას ლაშქრო-ბებშიც დაატარებდნენ. დაფა ჩვეულებრივ კეთდება ტილოსა-კან, ფიგურები ხისაა, მაგრამ უბრალო ნაკეთებია.

ჭადრაკი საქართველოში *

უხსოვარი დროიდან ქართველი ერის სულიერ საგანძურს ჭადრაკიც ამშვენებს. მისი წარსული ჩვენში უაღრესად მდიდარი და მრავლისმეტყველია. კიდევ უფრო ვრცელია ჭადრაკის ის-ტორია საბჭოთა საქართველოში. ამ ისტორიის მიმოხილვა ერთ პატარა წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ამიტომ მოკ-ლედ გთავაზობთ მხოლოდ არსებითს.

* * *

ჩვენში ჭადრაკი პირველად მოხსენებულია ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთა“, რომელიც XI საუკუნის გამო-ჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ და მთარგმნელმა გიორგი ათონელმა (1009 — 1065 წწ.) გადმოაქართულა.

თხზულებაში ვკითხულობთ: „რამეთუ უკუეთუ განგი-ტევნე და დავჰხსნა შესაკრებელი ასე, რომელნიმე ჭადრაგთა მიმართ წარვიდნენ და რომელთამე ტაბლით მღერისა მიის-წრაფონ“. ეს ნიშნავს: თქვენ რომ გაგიშვათ და დავშალოთ ეს კრება, ზოგი ჭადრაკის და ზოგი ტაბლის (ე. ი. კამათლის) სა-თამაშოდ გაეშურებაო.

როგორც ირკვევა, ბასილი დიდის თხზულებაში ჭადრაკი გიორგი ათონელმა თავისით ჩაუმატა. ეს მეტად ყურადსაღე-ბი ამბავია. იგი მიგვანიშნებს, რომ იმდროინდელ ქართულ სა-ზოგადოებაში ჭადრაკი საკმაოდ გავრცელებული და პატივდე-ბული თამაში ყოფილა. მაშასადამე, მას ჩვენში უფრო შორე-ული წარსული აქვს.

---

* ამ თავის ავტორია თენგიზ გიორგაძე.

* * *

როდის ეზიარნენ ჭადრაკს ჩვენი წინაპრები? ეს რთული საკითხია და ამის შესახებ რაიმე საყურადღებო ცნობა ჟამთააღმწერლებს არ დაუტოვებიათ, მაგრამ ქართველი ერისა და ჭადრაკის ისტორიის შესწავლის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველები ჭადრაკს გაცნობიან არაბების შემოსევამდე, ესე იგი VI საუკუნის მეორე ნახევრიდან VII საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის მანძილზე. არაბები საქართველოში VII საუკუნის 40-იან წლებში შემოვიდნენ, ხოლო საბოლოოდ გაბატონდნენ VIII საუკუნის 30-იან წლებიდან.

რა გვაძლევს ამის თქმის უფლებას? ის, რომ თვით თამაშის სახელწოდება — ჭადრაკი — ქართულია. საქართველოში შემოსევის პერიოდში არაბებთან ჭადრაკს შატრანჯი ერქვა. ეს ორივე ტერმინი სპარსული ჩატრანგიდან წარმოიქმნა. ცნობილია, რომ არაბებმა ჭადრაკი სპარსეთის დაპყრობისას გაიცნეს. მათ ენაში არ არის ასოები ჩ და გ, და ამიტომ ჩატრანგმა შატრანჯის სახე მიიღო.

აქ თავისთავად იბადება კითხვა: ვინ გააცნო ჭადრაკი ჩვენს წინაპრებს? არსებობს ორი მოსაზრება: ერთნი ამბობენ, რომ ამ თამაშს სპარსეთთან კულტურული ურთიერთობის წყალობით ვეზიარეთ; მეორენი ფიქრობენ, რომ იგი ჩვენში შემოიტანეს ინდოელმა ვაჭრებმა ან გამოქცეულმა ბუდისტებმა, რომელთაც ბრაჰმანები დევნიდნენ.

VI საუკუნეში საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სპარსეთთან. ეს ჭადრაკშიც გამოიხატა, რასაც თვით თამაშის სახელწოდების წარმოშობა გვიდასტურებს.

მ. ვადბოლსკის აზრით არქეოლოგ გ. ლომთათიძის მიერ 1945 წელს არმაზის გათხრებში ნაპოვნი კამათლის მსგავსი ძვალი ჩატურანგასი უნდა იყოსო. ასეთი კამათლით ინდოეთში თამაშობდნენ ჭადრაკს. როგორ აღმოჩნდა იგი საქართველოში, ფუ არა ინდოელი ვაჭრების ან ბუდისტების მეშვეობით?

მ. ვადბოლსკის მიაჩნია, რომ ქართული ეტლი და ინდური რატჰა ნათესაურ კავშირში უნდა იყვნენ. ის წერს: „ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ეტლის მეორე ქართული სახელწოდე-

ბა შარუხი (ასეა „ვისრამიანში“) ახლოა ინდურ რატჰასთან, რაც აგრეთვე ეტლს ნიშნავს, და რომელიც ინდოეთში თანამედროვე ეტლის ადგილს იკავებდა. გარდა ამისა, ძველად ამ სიტყვის აზრი ბედის ვარსკვლავს ან ცთომილს ნიშნავდა. შეიძლება ამაში იყოს კავშირი ინდურ ჭადრაკთან, სადაც ჭადრაკის თამაშის ყოველი ფიგურა ყველაზე ადრეულ პერიოდში პლანეტებისადმი ან ზოდიაქოს ნიშან-ვარსკვლავებისადმი იყო მიძღვნილი. ეს ხომ არ ნიშნავს კავშირს იმასთან, რომ ბუდისტები იყენებდნენ ჭადრაკს მკითხაობის მიზნით ბადრი მთვარის დღესასწაულის დროს? თუ ამ კავშირის დამტკიცება შეიძლება დამატებითი ფაქტებით, მაშინ თამამად შეიძლება დამტკიცდეს ქართული და ინდური ჭადრაკის თამაშის ნათესაობა“.

ორივე მოსაზრება ნამდვილად საინტერესოა, მაგრამ მათთან დაკავშირებული ბევრი კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება.

* * *

ჭადრაკი ქართველების გართობისა და ლხინის დამამშვენებელი იყო მუდამ. დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის მამამ — საკმაოდ ძლიერმა მოჭადრაკემ როსტომმა თქვა: „ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო, ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩვენი ქვეყნის ჩვეულებას ვადგივარო...“ ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ქართველი კაცის დამოკიდებულება ჭადრაკისადმი. რა თქმა უნდა, ამ ბრძნული თამაშისადმი სიყვარული ქართულ ლიტერატურაშიც აისახა.

„ვისრამიანში“ (XII ს.) კარგად არის მოცემული საზოგადოების დამოკიდებულება ძლიერი მოჭადრაკის მიმართ. რომანის გმირს ერთ-ერთ ლირსებად იმას უთვლიან, რომ იგი „მოჭადრაკე მხიარული“ არის.

მოსე ხონელი „ამირანდარეჯანიანის“ (XII ს.) ერთ-ერთ თავში დიდებულთა მოლხენის აღწერისას შენიშნავს: სტუმრები ჭადრაკსაც თამაშობდნენ.

შუა საუკუნეებში, როცა საქართველოში მონღოლები დათარეშობდნენ, ჭადრაკი მხოლოდ XV საუკუნის მწერალმა ზ.

ფანასკერტელ-ციციშვილმა მოიხსენია თავის თხზულებაში „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“. აღორძინების ხანის ქართულმა მწერლობამ ქება უძღვნა ჭადრაკის სიბრძნეს, მიმზიდველობას. მეფე-პოეტს არჩილს (XVII ს.) ჭადრაკის თამაში, ისე როგორც ბურთაობა, ცხენოსნობა, მშვილდოსნობა და სიმღერა ადამიანის მაღალ ზნეობად მიაჩნდა. რუსეთში გადახვეწილი არჩილი სევდიანად იხსენიებს იმ დროს, როცა სამშობლოში ჭადრაკით ერთობდა თავს.

უფრო ღრმად ჩასწვდა ჭადრაკის არსს დიდი მწერალი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი (XVIII ს.). „სიბრძნე სიცრუის“ არაკების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორბელიანს ჭადრაკის ძლიერი მოთამაშე ჭკვიან ადამიანად მიაჩნდა. გაიხსენეთ არაკი ქოსაზე, რომელმაც ოსტატური თამაშით ისე მოაწონა თავი მეფეს, რომ მას ვეზირიც კი შეაცვლევინა.

ორბელიანმა „სიტყვის კონაში“ ჭადრაკის ტერმინებსაც საყურადღებო ადგილი მიუჩინა. სწორედ ამ ტერმინების შესწავლით ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში ყოფილა ჭადრაკისა და ნარდის სათამაშო ადგილი — „სამორინე“.

ჭადრაკის ქართული ტერმინების დადგენის საქმეში დიდი ღვაწლი დაგვდო მეფე-პოეტმა თეიმურაზ მეორემ (XVIII ს.), რომელმაც პირველმა დაგვისახელა ჭადრაკის ქართული ტერმინები ზმით დაწერილ ერთ-ერთ თავის ლექსში. აი ეს ტერმინები: ჭადრაკი, მეფე, ლაზიერი, კუ, მხედარი, ეტლი, პაიკი, რუხი, რუკა, ქიშ, შამათი, ქოსი.

როგორც ჩანს, თეიმურაზ მეორე კარგი მოჭადრაკეც ყოფილა. ერთ ლექსში იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჭადრაკის ნამდვილ მოთამაშეს ძალიან სწყინს შამათის მიღება და თამაშში „აჯობებს, თუმცა ძმა იყოს, ეწყინოს გასაკვირათა“.

აღორძინების პერიოდის მწერლები და პოეტები, მაგალითად, მეფე ვახტანგ მეექვსე, იოსებ ტფილელი, იოანე ბატონიშვილი, ნოდარ ციციშვილი და სხვები ხშირად იხსენებდნენ ჭადრაკს თავიანთ თხზულებებში.

* * *

სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ქართველმა კაცმა ეროვნული მოტივების ყაიდაზე გამოჭრა ჭადრაკის ფიგურები. 50-იანი წლების დამლევს მ. ვადბოლსკი წააწყდა ქართულ ჭად-







ქართული ჭადრაკის ფიგურები (XII—XIII სს.)

რაკს პროფ. დ. ციციშვილის კოლექციაში. ეს იყო XVII — XVIII საუკუნეების დროინდელი კომპლექტი, რომელსაც დიდგვაროვანი ოჯახები ქართველ ასულებს მზითევად ატანდნენ.

ამ ჭადრაკის ფიგურები ოსტატურადაა გამოჭრილი სპილოსა და ლომთევზას ძვლისაგან. მათ სასიამოვნო გარეგნობა აქვთ.

დამახასიათებელია ფიგურების სფერული ფორმა· ეს, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის. აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა 1937 წელს დმანისის გათხრებში მიაკვლია ჭადრაკის სამ ფიგურას, რომლებიც მეცნიერმა XII საუკუნის ნიმუშად მიიჩნია. ერთ-ერთი ამ ფიგურებიდან ეტლია და ისიც სფერული ფორმისაა. ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ძველი ოსტატების ხელოვნებამ საუკუნეებს გაუძლო.

რას ნიშნავს სფერული ფორმა? მ. ვადბოლსკის აზრით, ამას ასტროლოგიასთან უნდა ჰქონდეს კავშირი. სფერული ფორმა ალბათ ანალოგიურია ხილული ცის ფორმისა, რომელიც ჰორიზონტზე იკვრება.



მხატვრული ქართული ჭადრაკი

ქართული ჭადრაკის ფიგურების ორნამენტისთვის დამახასიათებელია აგრეთვე კონცენტრული წრეხაზები. მაგალითად, მხედრის თვალები. მ. ვადბოლსკი აქაც ასტროლოგიასთან კავშირს ხედავს, როცა აღნიშნავს: ორნამენტის კონცენტრული ნაჭდევები შეიძლება კოსმოსის ასტროლოგიურ დაყოფასთან იყოს დაკავშირებული.

არსებობს ქართული მხატვრული ჭადრაკიც, თუმცა სრული კომპლექტი არ არის. იგი შექმნა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ვ. სიდამონ-ერისთავმა XX საუკუნის დასაწყისში.

ჩვეულებრივ მხატვრული ჭადრაკის ფიგურებში ასახულია ეროვნული მოტივები: შრომისა და ბრძოლის იარაღი, ჩაცმულობა, ზნე-ჩვეულება და სხვ. ასეთივეა ქართული მხატვრული ჭადრაკიც.

დააკვირდით ამ სურათს: ლაზიერს, კუსა და პაიკებს ეროვნული იერი აქვთ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „პაიკები“: ერთმანეთს უპირისპირდებიან თეთრები — გრძელჩოხიანი, ფაფახიანი ლეკები, და შავები — მოკლეჩოხიანი, კახურქუდიანი აღმოსავლეთ საქართველოს გლეხები, რომელთა ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ საუკუნეებს გასდევს და მათი ყოფისთვის დამახასიათებელია.

* * *

ჭადრაკი დიდად გავრცელდა XIX საუკუნის საქართველოში. ამ ეპოქაში ბრძნულმა თამაშმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მთელ მსოფლიოში, რასაც კაპიტალიზმის განვითარებამაც შეუწყო ხელი.

ქართველი ახალგაზრდები, ინტელიგენცია მეტი გატაცებით თამაშობენ ჭადრაკს ოჯახებში, სალონებში. უფრო მეტიც, მ. ჩიგორინის საჭადრაკო ჟურნალის ცნობით, 70-იანი წლების დამლევს თბილისში საჭადრაკო წრეებიც ყალიბდება. სწორედ ამ დროს თბილისელი მოჭადრაკე ვექილი ა. სმიტენი ეთამაშა მოსკოვის ჩემპიონს, ცნობილ პიანისტს ა. სოლოვცოვს. მერე მოსკოველი ოსტატი ქართველ მოჭადრაკეს ა. დადიანს შეხვედა.

საჭადრაკო სამყარო კარგად იცნობდა ა. დადიანს (1850 — 1910 წწ.), რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული ევროპისა და რუსეთის საჭადრაკო ცხოვრებაში. მას მეგობრობდნენ ცნობილი მოჭადრაკეები, მათ შორის, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვ. სტეინიცი. ა. დადიანის პარტიები საფრანგეთის, ამერიკის, ინგლისის, რუსეთის საჭადრაკო ჟურნალებში ისტამბებოდა. ერთხელ (1892 წ.) ინგლისურმა ჟურნალმა „ჩესს მანსლიმ“ მთელი ნომერი მიუძღვნა ქართველი მოჭადრაკის შემოქმედებას. ა. დადიანმა დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იცოდა ექვსი ევროპული ენა და რუსეთის არმიაში სამსახურით გენერალ-ლეიტენანტის ჩინამდე მიაღწია. 1903 წელს კიევში გამოსცა ფრანგულ ენაზე თავისი რჩეული პარტიების დაბოლოებათა კრებული, რომელიც შეადგინა გამოჩენილმა რუსმა მაესტრომ ე. შიფერმა, მანვე დაურთო წინასიტყვაობაც.

ა. დადიანი

ა. დადიანი თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდა (იგი კიევში ცხოვრობდა), სადაც უძლიერეს მოჭადრაკეებს ეპაექრებოდა. მან ორჯერ მოუგო მატჩი ა. სმიტენს.

XX საუკუნის დამდეგს თბილისის ძლიერ მოჭადრაკედ ხარლამპი სირბილაძე მიაჩნდათ. ახალგაზრდობაში ხარლამპი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და ჭადრაკის სათამაშოდ ცნობილ კაფე „დომინიკში" დადიოდა. აქ იკრიბებოდნენ იმდროინდელი რუსეთის უძლიერესი მოთამაშეები. ქართველმა მოჭადრაკემ სწორედ ამ კაფეში გაითქვა სახელი. ერთხელ ხარლამპიმ თვით მ. ჩიგორინსაც მოუგო პარტია (დიდი რუსი მოჭადრაკე მას უმხედროდ ეთამაშა). სამშობლოში დაბრუნებისას სირბილაძე იშვიათად თამაშობდა. მხოლოდ 1920 წელს

მიიღო მან მონაწილეობა თბილისელ მოჭადრაკეთა 25-კაციან ტურნირში და პირველი ადგილი დაიკავა. ამ საინტერესო მოჭადრაკის ცხოვრება ჯერ კიდევ ელის მკვლევარს.

საჭადრაკო ცხოვრებამ დააინტერესა სახელოვანი მამულიშვილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვანო მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვები. არსებობს ბევრი მოგონება მათი ჭადრაკით გატაცების შესახებ.

* * *

ჭადრაკი ჭეშმარიტად სახალხო თამაშად იქცა საბჭოთა საქართველოში. ძველისძველი თამაშის გავრცელებას ხელს უწყობს თვით მთავრობა. ამიტომ სულ მალე საქართველოში დიდი საჭადრაკო მოძრაობა გაიშალა.

1925 წელს ჩატარდა თბილისის ვაჟთა პირველი ჩემპიონატი, ხოლო 1928 წელს მოეწყო საქართველოს ჩემპიონატი. 1926 წელს თბილისში გაიმართა დიდი მასობრივი შეჯიბრება, რომელშიც 600 მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. ქალთა ტურნირში თავი ისახელა ვენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ელენე ზაუტაშვილმა, ვაჟთა შეჯიბრებაში — 16 წლის მოსწავლემ, შემდგომ გამოჩენილმა მოჭადრაკემ და ეტიუდისტმა ჰ. კასპარიანმა.

ქართულ ჭადრაკში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ვ. გოგლიძის გამარჯვება ოსტატ ვ. ნენაროკოვთან მატჩში (1930 წ.). ამ წარმატებისათვის ქართველ მოჭადრაკეს თანამემამულეთა შორის პირველს მიენიჭა ჭადრაკის ოსტატის წოდება.

ვიქტორ გოგლიძეს (1905 — 1964 წწ.) დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციის საქმეში. იგი აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ტურნირებში. ნიჭიერმა ოსტატმა სამჯერ ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში (1931 — 33 — 37 წლებში) და ბედნიერება ჰქონდა შეხვედროდა ჭადრაკის კორიფეებს ე. ლასკერსა და ხ. კაპაბლანკას. 1941 წელს ვ. გოგლიძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ვ. გოგლიძე ნაყოფიერ პედა-

ვოგიურ მუშაობას ეწეოდა, მისი თაოსნობით 1957 წელს თბილისში პირველად ჩვენს ქვეყანაში, გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა, რომელიც დღესაც ზრდის ნორჩ მოჭადრაკეებს.



ვ. გოგლიძე

30-იან წლებში ვ. გოგლიძის მხარდამხარ საჭადრაკო სარბიელზე მოღვაწეობდნენ ოსტატები ნ. სოროკინი, ა. ებრალიძე, ჰ. კასპარიანი (1936 წლიდან იგი ერევანში დასახლდა) და ახალგაზრდა მოჭადრაკეები მ. შიშოვი, ა. ფალავანდიშვილი, ბ. ვეიზერი, კ. ღამბარაშვილი, ა. ფირცხალავა, შ. ცინცაძე და სხვები.

კიდევ უფრო მძლავრი საჭადრაკო ცხოვრება დაიწყო საბჭოთა ხალხის ჰიტლერელ ფაშისტებზე გამარჯვების შემდეგ. გაჩნდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა ახალი თაობა — ტ. პეტროსიანი (შემდგომ მსოფლიო ჩემპიონი), ა. ბლაგიძე, ვ. მალაშხია, ა. ბუსლაევი, ბ. გურგენიძე. მერე, 50 — 60-იან წლებში, სარბიელზე გამოვიდნენ თ. ლომაია, თ. კიკიანი, ა. ბოკუჩავა, რ. ჯინჯიხაშვილი, თამაზ გიორგაძე, ი. ჩიქოვანი, ა. იზვოზჩიკოვი და სხვები. სულ ახლახანს კი ე. უბილავა და ს. ჩეჩელიანი.

ყველა ეს მოჭადრაკე თამაშის კლასს ხვეწდა, პირველ ყოვლისა, საქართველოს ჩემპიონატებში. ჩემპიონები ყოფილან: ვ. გოგლიძე (1928 წ.), ნ. სოროკინი (1928 — 47 — 51 წწ.), ა. ებრალიძე (1938—39—46 წწ.), მ. შიშოვი (1944— 48 — 52 — 55 — 56 წწ.), ტ. პეტროსიანი (1945 წ.), ა. ფირცხალავა (1949), ა. ბლაგიძე (1950 — 53 — 57 წწ.), ა. ბუსლაევი (1954 წ.), ბ. გურგენიძე (1958—59 — 60 — 61 — 62 — 63 — 64 — 65 — 68 წწ.), რ. ჯინჯიხაშვილი (1965 — 66 — 67 — 69 წწ.). 1970 წლის ჩემპიონატში I—III ადგილები გაიყვეს ბ. გურგენიძემ, რ. ჯინჯიხაშვილმა და ე. უბილავამ. 1971 წლისში I-II ადგილები ა. ბოკუჩავამ და ზ. მიქაძემ.

ბ. გურგენიძე

მოჭადრაკე ვაჟთათვის ჩვენში რამდენიმე დიდი ტურნირი ჩატარდა: 1934 წელს ავსტრიელი ჰ. კმოხის მონაწილეობით (I. ვ. გოგლიძე), 1965 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირი (I ბ. გურგენიძე), 1966 წელს ბათუმის საერთაშორისო ტურნირი, სადაც I — IV ადგილები გაიყვეს ბ. გურგენიძემ, ლ. ციმა

(გდრ), ბ. კურაიცამ (იუგოსლავია) და ვ. ბაგიროვმა (აზერბაიჯანი). 1969/70 წელს თბილისში გაიმართა ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი (I — II — ბ. გურგენიძე და მ. ტალი), რომელშიც ბ. გურგენიძემ პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მოიხვეჭა.

ბუხუტი გურგენიძე (დაიბ. 1933 წ.) ღრმად მოაზროვნე და დახვეწილი გემოვნების მოჭადრაკეა. მისი ყოველი პარტია შემოქმედებითი ძიებით აღინიშნება. თვალსაჩინოა ბ. გურგენიძის სპორტული მიღწევებიც; მან რვაჯერ ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში, ოთხჯერ მონაწილეობდა სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო პირველობაში და ორჯერ ჩემპიონი გახდა. მან ითამაშა ბუქარესტის, კისლოვოდსკის საერთაშორისო ტურნირებში, სადაც გამარჯვებაც მოიპოვა. მეორე ათეული წელია ბ. გურგენიძე თავკაცობს საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდს სსრ კავშირის ჩემპიონატებში, ხალხთა სპარტაკიადებში, საერთაშორისო მატჩებში. ყველა ამ სასახელო წარმატებასთან ერთად ბ. გურგენიძე ამ ბოლო დროს მწვრთნელის ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა (ნ. ალექსანდრიას ამეცადინებს). მას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

საქართველოს მოჭადრაკეები ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ახლა მათ რიცხვშია ორი დიდოსტატი (ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი — ეს უკანასკნელი კიევიდან თბილისში გადმოვიდა), ერთი საერთაშორისო ოსტატი (რ. ჯინჯიხაშვილი), ოორმეტი სპორტის ოსტატი, სამ ათეულამდე ოსტატობის კანდიდატი და რამდენიმე ასეული პირველთანრიგოსანი.

* * *

დიდად გაითქვეს სახელი ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა. საჭადრაკო სამყაროში ეს უდიდესი აღიარება თავისთავად არ მოსულა, იგი დიდი მეცადინეობისა და თავდადების ნაყოფი იყო. ეს გამარჯვება, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილისა და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის ნანა ალექსანდრიას ბრწყინვალე გამარჯვებების შედეგია.

ჩვენში ქალთა ჭადრაკის განვითარებას ხელი შეუწყო თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებმა. ამ ტრადიციულ ტურნირებში აღიზარდნენ და იზრდებიან ჩვენი მოჭადრაკე ქალები.

თბილისის ქალთა პირველი ჩემპიონატი 1927 წელს გაიმართა, საქართველოს კი 1935 წელს. დედაქალაქის პირველი ჩემპიონი ე. ზაუტაშვილი გახდა. საქართველოს ჩემპიონები იყვნენ: ფ. კაცი (1935 — 36 წწ.), ბ. კრეზბერგი (1936 — 37 წწ.), ვ. ზარგარიანი (1938 — 39 წწ.), ქ. გოგიავა (1940 — 47 — 50—52 წწ.), ლ. გელოვანი (1947—48 წწ.), ე. კაკაბაძე (1953—54—55—57 წწ.), ნ. გაფრინდაშვილი (1956—59—60—61 წწ.), მ. ტოგონიძე (1958 წ.), ა. ჩაიკოვსკაია (1963—64 წწ.), ნ. ალექსანდრია (1964 — 65 — 68 წწ.), ც. კახაბრიშვილი (1966 — 70 წწ.) ც. კობაიძე (1969 წ.). და ს. კალანდარიშვილი (1971 წ.)

შესანიშნავ ტრადიციად იქცა საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირების ჩატარება. ამ შეჯიბრებებში, როგორც წესი, ევროპის უძლიერესი ოსტატები მონაწილეობდნენ. პირველი ტურნირი 1960 წელს გაიმართა (1. ლ. ვოლპერტი, II. ნ. გაფრინდაშვილი), მომდევნო ტურნირები ჩატარდა 1961, 1962, 1964 (სამივეში 1 — ნ. გაფრინდაშვილი), 1968 (I — ნ. ალექსანდრია) და 1970 წლებში (I — ა. კ. ნიკოლაუ).

ქართველ მოჭადრაკე ქალთა თვალსაჩინო მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ქარსელაძეს (1919 — 1966 წწ.). 50-იან წლებში თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში ამ სასახელო მამულიშვილმა მოჭადრაკე გოგონებთან დიდი მუშაობა გააჩაღა. ვ. ქარსელაძე პედაგოგის ალლოთი, ტალანტების მიგნების საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ერუდირებული მწვრთნელი თავდადებით ამეცადინებდა ნორჩ მოჭადრაკეებს (მათ შორის ვაჟებიც იყვნენ—რ. ჯინჯიხაშვილი, ი. ჩიქოვანი, ა. ბოკუჩავა და სხვ.). ვ. ქარსელაძის სკოლამ მალე „იბარტყა". მისი აღზრდილები ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, ნ. გაფრინდაშვილი, თამამად გავიდნენ დიდი ჭადრაკის შარაგზაზე, მათ ნ. ალექსანდრიაც მიჰყვა. ღვაწლმოსილი მწვრთნელისგან სხვებმაც (ა. ჩაიკოვსკაია, თამაზ გიორგაძე) ბევრი რამ ისწავლეს. საბჭოთა მთავრობამ ლირსეულად დააფასა ვ. ქარსელაძის მოღვაწეობა.

ნ. გაფრინდაშვილი

ნ. ალექსანდრია

მას დამსახურებული მწვრთნელის წოდების გარდა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო სახელი მიენიჭა. ვ. ქარსელაძე დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის". საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ შემოიღო მისი სახელობის მემორიალი — დიდი ტურნირი. I მემორიალი 1968 წელს ჩატარდა გორში (I მ. ტალი, II — III. ბ. გურგენიძე, ე. გელერი).

საჭადრაკო სამყაროს საყოველთაო სიყვარულით და აღიარებით სარგებლობენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია.

ნონა გაფრინდაშვილმა საარაკო წარმატებები მოიპოვა. 1962 წელს მან დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, რომელიც ორჯერ შეინარჩუნა შეუპოვარ ბრძოლაში. 1964 წელს ნონამ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა. მისი სპორტული ბიოგრაფია აღსავსეა თვალსაჩინო წარმატებებით საერთაშორისო სარბიელზე. საკმარისია ითქვას, რომ ნონა სამჯერ თავკაცობდა სსრ კავშირის გუნდს მსოფლიოს გუნდურ პირველობაში და სამივეჯერ ჩემპიონი დაბრუნდა შინ. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნონა გაფრინდაშვილი მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში. იგი ერთადერთი მოჭადრაკე ქალია, რომელიც წარმატებით მონაწილეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. სწორედ ამ დიდი გამარჯვებებისთვის დააჯილდოვა საბჭოთა მთავრობამ ნონა, ერთადერთი მოჭადრაკე ქალი, ლენინის ორდენით (მანამდე იგი დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისთვის"). მსოფლიო ჩემპიონის თამაშის სრულყოფაში გარკვეული დამსახურება მიუძღვის ოსტატ მ. შიშოვს, რომელიც 1957 — 1965 წლებში ავარჯიშებდა ნონას. ამ მუშაობისთვის მ. შიშოვს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიეკუთვნა.

დიდი მომავალი აქვს 22 წლის ნანა ალექსანდრიას. ნიჭიერმა გოგონამ ფართო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მოხიბლა საჭადრაკო სამყარო. მისი წარმატებები მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლიან, მაგრამ ყველა მიღწევა საყურადღებოა. პირველად ნანამ 1966 წელს მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი მან 1968 წელს მოიპოვა, მესამე კი 1969 წელს. ამ წლებში ნ. ალექსანდრიამ გაიმარჯვა თბილისის (1968 წ.), ბელგრადის (1969 წ.) და ვეიკ-ან-ზეეს

(1970 წ.) ქალთა საერთაშორისო ტურნირებშიც. მოასწრო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში (სუბოტიცა, 1967 წ.) და სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს გუნდურ პირველობაში (ლიუბლინი, 1969 წ.) მონაწილეობაც.

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ოჯახი ითვლის ერთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს (ნ. გაფრინდაშვილს), სამ საერთაშორისო ოსტატს (ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია), ოთხ სპორტის ოსტატს (მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ც. კობაიძე, თ. ხუგაშვილი) და ათობით მზარდ პირველთანრიგოსანს, ქ. გოგიავა და ლ. წეროძე ჭადრაკში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდებას ატარებენ.

* * *

სპეციალური საჭადრაკო წიგნები პირველად საბჭოთა საქართველოში დაისტამბა. პირველი წიგნი — მ. საყვარელიძის „ჭადრაკი" (მოკლე სახელმძღვანელო) 1926 წელს გამოვიდა. შემდეგ ა. ებრალიძემ აამეტყველა ქართულად ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, მ. ეიეფს სახელმძღვანელოები. მათგან ზოგიერთი ორჯერაც გამოიცა. 1948 წელს ვ. გოგლიძემ და ჰ. კასპარიანმა დაბეჭდეს ბროშურა „მსოფლიო ჩემპიონების 100 კომბინაცია". იმავე წელს ვ. გოგლიძემ გამოუშვა თავისი რჩეული პარტიების კრებული რუსულ ენაზე.

50-იან წლებში გამოიცა ა. ფირცხალავას ნაშრომი „ბოტვინიკ-ბრონშტეინის მატჩის პარტიების კრებული" (1954 წ.), მ. ვადბოლსკის „ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე (1957 წ.), გ. მახარაძის „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები" (1959 წ.).

60-იან წლებში მკითხველმა მიიღო მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ნ. გაფრინდაშვილის ბრძოლის ამსახველი წიგნები: მ. შიშოვის „დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე" (1962 წ.), თ. გიორგაძის „გზა მწვერვალისკენ" (1963 წ.), „დედოფალი არ შეცვლილა" (1966 წ.) და „ტახტზე მესამედ ავიდა" (1970 წ.). აგრეთვე გამოიცა თ. გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი" (1965 წ. — თამაშის სახელმძღვანელო), „თორმეტთა ტურნირი სოხუმში" (1964 წ.), „ჭადრაკს გამიჯნურებულნი" (1967 წ.), „ჭადრაკი

ძველ საქართველოში“ (1970 წ.), გ. გამრეკელის „ჩემპიონები და პრეტენდენტები“ (1964 წ.) და სხვა.

თბილისში გამართული დიდი ტურნირების დროს გამოდიოდა სპეციალური ბიულეტენები ნათამაშევი პარტიებით, სტატიებით და სხვ. 1964 წელს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ დასტამბა კრებული „ნონა გაფრინდაშვილი — მსოფლიო ჩემპიონი“.

რა თქმა უნდა, ეს ქართულ ენაზე გამოცემული საჭადრაკო ლიტერატურის სრული ნუსხა არ არის.

* * *

ხალხის ფართო ფენებში ჭადრაკის პოპულარიზაციის, მაღალთანრიგოსან მოჭადრაკეთა აღზრდის საქმე მუდამ იყო და არის ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის მიზანდასახული მუშაობისა და მზრუნველობის საგანი.

20-იან წლებში საქართველოში ჭადრაკის გავრცელების გარიჟრაჟზე ფედერაციას ხელმძღვანელობდნენ ისეთი ენთუზიასტები, როგორიც იყვნენ გამოჩენილი ძალოსანი გ. ჩიკვაიძე, ჟურნალისტი ა. პეტრაკოვსკი, ჭადრაკის ოსტატი ა. სმოროდსკი, ვექილი ი. ბლიაძე, დ. სამუშია, პოეტი პაოლო იაშვილი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, პუბლიცისტი ს. ყანჩელი, მოჭადრაკეები ვ. გოგლიძე, ე. ტალვიკი და ნ. სოროკინი. სწორედ მათი თაოსნობით 1927 წელს თბილისში გაიხსნა პირველი საჭადრაკო კლუბი. დღეს კლუბისთვის საგანგებო სამსართულიანი შენობა შენდება.

ენთუზიასტები ხშირად იწვევდნენ თბილისში საპაექროდ ცნობილ ოსტატებს გ. ლევენფიშს, პ. რომანოვსკის, ნ. გრიგორიევს, თ. დუზ-ხოტიმირსკის, ა. ილინ-ჟენევსკის და სხვებს. მათი თაოსნობით 1937 წელს თბილისში პირველად ჩატარდა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი.

ეს ტრადიცია არც სამამულო ომის შემდეგ დაკარგულა. ბოლო 30 წლის მანძილზე ჩვენს ფედერაციას საზოგადოებრივ საწყისებზე თავმჯდომარეობდნენ ვ. გოგლიძე, ჟურნალისტი მ. კაკაბაძე და პროფესორი გ. ჯაბუა. ამჟამად ფედერაციას თავკაცობს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ა. ჭირაქაძე. საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატებები მათი შრომის ნაყოფიცაა.

თბილისში ბევრჯერ ყოფილა დიდი საჭადრაკო პაექრობის სარბიელი. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ჩატარებული ტალ — სპასკის მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტობისთვის 1965 წელს და მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირის 1969 წლის მატჩის პირველი ნახევარი. აგრეთვე უნდა მოვიხსენიოთ თბილისში ჩატარებული სსრ კავშირის 1959 და 1967 წლების ვაჟთა ჩემპიონატები და 1952 და 1964 წლების ქალთა პირველობები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭადრაკი საქართველოში დიდი აღმავლობით ვითარდება. იგი ჭეშმარიტად მილიონობით ადამიანის კუთვნილებად იქცა.

ჭადრაკი სომხეთში [1]

ძნელია დაასახელო ჭადრაკის დამკვიდრების ზუსტი თარიღი სომხეთში. მაგრამ, როგორც აკადემიკოსი ი. ორბელი ვარაუდობს, იგი უნდა წარმოშობილიყო ჩვენი წ-ის IX საუკუნეში. თუ იმდროინდელ ისტორიულ მოვლენათა და პოლიტიკური ურთიერთობის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ სომხურმა ჭადრაკმა არაბული გავლენა განიცადა.



სომხური ჭადრაკის ფიგურები XVIII ს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მთლიანად ვერ იქნა გამოყენებული მატენადარანის და სხვა საგანძურთა ხელნაწერების ის უდიდესი სიმდიდრე, რომელთაც შეუძლია ჩვენთვის საინტერესო ფაქტების დადასტურება. მაგრამ ის მცირედიც კი, რაც გაგვაჩნია და დღეისათვის ცნობილია, იმაზე მეტყველებს, რომ ჭადრაკი სომხეთში უძველესი დროიდან არსებულა და, როგორც მოვლენა, იგი საკმაოდ ნაცნობია სომხებისათვის. ჯერ კიდევ XII საუკუნის პოეტი გრიგორ ტრა იხსენიებს ჭადრაკს თავის პოემაში ჯვაროსანთა ლაშქრობისას იერუსალიმზე, რომელშიც სომხეთის ლაშქარიც მონაწილეობდა. XIII საუკუნის ისტორიკოსი და ბიბლიოგრაფი ვახტანგ არეველი მოგვითხრობს ჭადრაკის პოპულარობაზე მისი დროის

9

შუასაუკუნეების ფიგურა „რუხი“ (ი. ორბელი „შატრანგი“)

[1] სომხეთში ჭადრაკის წარსულის უფრო ვრცელი მიმოხილვა იხილეთ ამ წიგნის პირველ გამოცემაში (1957 წ.).

წარჩინებულთა შორის. მოგვიანო ხანის ვენეციელი მხითარისტების სომხურ ლიტერატურაში, კერძოდ, „თამაშობები ძველ სომხეთში“ მითითებულია ჭადრაკზე.

ძველ პერიოდთან შედარებით თეთრ ლაქად რჩება დრო XVI საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე.

საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში 1920 წელს დამყარდა, ხოლო 1925 — 26 წლებში დაიწყო საჭადრაკო ცხოვრების მღელვარე დღეები. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჭადრაკის უსაზღვრო ენთუზიასტს ს. ოვიანს (1869 — 1942 წწ.). მან არათუ შეძლო ფართო მასების ჩაბმა ჭადრაკში, არამედ გამოიყენა ყოველგვარი შესაძლებლობა, რათა იგი უფრო პოპულარული გაეხადა. ს. ოვიანმა პრესის ფურცლები გამოიყენა და უამრავი სტატია და თარგმანი მოათავსა სპორტის ამ სახეობის გასამდიდრებლად.

გამოჩენილი მწვრთნელის ა. აკოფიანის სახელი 1927 წლიდან არის ცნობილი. 1937 წელს მისი რედაქციით გამოიცა კრებული „კასპარიან — ჩეხოვერის მატჩი“. დღეს ა. აკოფიანი სომხეთის ყველა დიდი ტურნირის თავკაცი და საერთაშორისო არბიტრია.

სომხეთის საჭადრაკო ცხოვრებაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე მსოფლიოს არაოფიციალურმა ჩემპიონმა საჭადრაკო კომპოზიციაში (ეტიუდებში) და საერთაშორისო ოსტატმა ჰ. კასპარიანმა. იგი დღესაც ნაყოფიერად მუშაობს ერევნის „მოჭადრაკეთა სასახლეში“, სადაც ნორჩ კადრებს ზრდის.

სომეხი ხალხის სასახელო მოჭადრაკეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დიდოსტატი ტ. პეტროსიანი, რომელიც თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში მწვრთნელის ა. ებრალიძის ხელმძღვანელობით დაოსტატდა.

გარკვეული დამსახურება მიუძღვის სომეხ მოჭადრაკეთა უფროს თაობას—ა. კალანტარს, ა. სარქისიანს, ლ. კალაშიანს, ა. მოკაციანს, მოგვიანებით—ე. მნაცაკანიანს და ვ. ზახარიანს.

სომხეთის დიდ ქალაქებში ერევანში, კიროვაკანში, ლენინაკანში გახსნილია საჭადრაკო კლუბები, სადაც იზრდებიან ახალგაზრდა მოჭადრაკეები. აქ დახელოვდნენ დიდოსტატი რ. ვაგანიანი, ოსტატები ა. პეტროსიანი, კ. და ლ. გრიგორიანები და სხვები.

1934 წელს სარბიელზე გამოჩნდნენ სომეხი მოჭადრაკე ქალები — ს. მაკინეცი, მ. მირზა-ავაქიანი, ლ. კალაშიანი, ს. კარაპეტიანი, ა. ასლანიანი, მ. მელიქ-კაშაიანი, რ. მარჯარიანი, რ. მანუკიანი, გ. ლიაპუნოვა, მ. ვართანიანი, თ. ბოიახჩიანი და სხვები.

სომხეთის საჭადრაკო ცხოვრებას სათანადოდ აშუქებს პრესა. სომხურ ენაზე შექმნილია საჭადრაკო ლიტერატურის ფონდი.

ჭადრაკი აზერბაიჯანში [1]

ძნელია იმ თარიღის დადგენა, რომელიც ზუსტად გვამცნობს აზერბაიჯანში ჭადრაკის გაბატონებას. არსებობს მონაცემები, რომ ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით VIII საუკუნის ბოლოს ან IX საუკუნეში. თუ მხედველობაში მივიღებთ აზერბაიჯანისა და ირანის ტერიტორიულ სიახლოვეს და ირანულ კულტურასთან ადრეულ კავშირს, ჭადრაკი აზერბაიჯანში შემოტანილი უნდა იყოს ირანელების, ანუ სასანიდების მიერ მათი ამ ქვეყანაში დროებითი ბატონობის ერთ-ერთ პერიოდში. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის ადრეული ხანის მრავალ ლიტერატურულ ძეგლში ჭადრაკი ისე მოიხსენიება, როგორც უკვე მაღალი განვითარების პერიოდში, კერძოდ, მედიცინის, ასტრონომიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფილოსოფიის, პოეზიის, მუსიკის, ფერწერისა და სხვა მეცნიერებათა გაფურჩქვნის პერიოდში.

X — XII საუკუნეთა უდიდესი პოეტები ჭადრაკს აფასებდნენ როგორც ძალზე სასარგებლო გასართობს. ამას ამბობდნენ პოეტი ქალი მეხსეთი, ხაგანი, დიდი ნიზამი „ხოსროვი და შირინში“ და მაჰმუდ ფაზული პოემაში „ლეილ და მეჯნუნში“ (XIV ს.). XIX საუკუნის პოეტი და საზოგადო მოღვაწე მირზა ფატალი ახუნდოვი თავის ლექსებში ჭადრაკს ადიდებს. თამაშს მ. საბირიც იხსენიებს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აზერბაიჯანის საჭად-

[1] იხ. შ. კულიევი, „ჩვენი საჭადრაკო ისტორიის ფურცლები“ (აზერბ. ენ.) 1966 წ.

რაკო ცხოვრებამ ნამდვილი სახალხო აღიარება მოიპოვა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები 1925 წელს გადაიდგა. გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ ფურცლებზე გამოჩნდა საჭადრაკო ცნობები. მაგალითად, კ. ალიევის ერთდროული თამაშის სეანსის ამბავი და სხვ.

აქედან მოყოლებული ჭადრაკს დიდი სამსახური გაუწიეს დაუღალავმა მესვეურებმა და მოჭადრაკეებმა: ნ. რუდნიოვმა, ძმებმა მ. და ვ. მაკოგონოვებმა (განსაკუთრებით გამოირჩეოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ვ. მაკოგონოვი), ა. გურვიჩმა, ნ. პოტიომკინმა, ო. როსტოვცევმა, კ. სარიჩევმა, გ. სელიმხანოვმა და სხვ. შემდგომ აქტივისტების პლეადა შეავსეს პირველმა აზერბაიჯანელმა ოსტატმა ს. ჰალილბეილიმ, ა. ზეინალიმ, ე. სარდაროვმა, ა. ჟილაკოვმა. საერთაშორისო ოსტატმა ვ. ბაგიროვმა და თბილისიდან გადახულებმა ოსტატმა და მწვრთნელმა ს. აბრამიანმა და ბ. ლევიტასმა.

ბევრი რამ შესძინეს ჭადრაკის განვითარებას აზერბაიჯანში მოჭადრაკეებმა: ოსტატებმა ჩ. აბაკაროვმა (ახლა კიევში ცხოვრობს), ლ. ლისტენგარტენმა, ლ. გულდინმა (ახლა მოსკოვში ცხოვრობს), ოსტატობის კანდიდატებმა ტ. შახტახტინსკიმ, რ. ამირხანოვმა და სხვ.

მოჭადრაკე ქალებიდან დიდად გაითქვა სახელი ბაქოელმა ინჟინერმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა და საერთაშორისო ოსტატმა ტ. ზატულოვსკაიამ. ცნობილი არიან სხვა მოჭადრაკეებიც: ტ. გორბულოვა, ა. პირბუდაგოვა, მ. მარტიროსოვა, ა. პოლიცკაია, ნ. ავანესოვა და სხვები.

ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის

ჭადრაკის თამაშს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის, ე. ი. თავისი დროის უძლიერესი მოჭადრაკის სახელი მხოლოდ ეს უკანასკნელი ასი წელია შემოიღეს.

XIX საუკუნეში სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარებამ დიდი როლი შეასრულა საჭადრაკო კავშირის დამყარების საქმეშიც.

1851 წელს ლონდონში გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო 16 ქვეყნის სახელგანთქმული მოჭადრაკე. იმდროინდელმა რუსეთის გამოჩენილმა მოჭადრაკეებმა: ა. პეტროვმა, კ. იანიშმა და ი. შუმოვმა, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა უძლიერესთა ასპარეზობაში. ტურნირმა მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ა. ფილიდორი

საინტერესოა აღინიშნოს ამ შეჯიბრების რამდენიმე თავისებურება. ტურნირის მონაწილენი ერთმანეთში სამ-სამ პარტიას თამაშობდნენ, შეჯიბრებიდან გადიოდა ის, ვინც ორ პარტიას წააგებდა, ყაიმის შემთხვევაში პარტია უნდა გადათამაშებულიყო. სვლების მოფიქრებისთვის დრო არ იყო შეზღუდული. ამიტომ ზოგიერთი მოჭადრაკე ამ გარემოებას ბოროტად იყენებდა და სვლის მოფიქრებას ზოგჯერ 10 — 11 საათს ანდომებდა.

ა. ანდერსენი

ტურნირი დამთავრდა მათემატიკის მასწავლებლის გერმანელი ადოლფ ანდერსენის (1818 — 1872 წ.) გამარჯვებით, რომელიც თუმცა აღიარეს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მისთვის არ მიუკუთვნებიათ.

ანდერსენი საჭადრაკო რომანტიზმის ტიპიური წარმომადგენელი იყო. მისი თამაშის ძირითად ძიზანს წარმოადგენდა მეფეზე იერიში. ჭადრაკის ისტორიაში ანდერსენი შევიდა, როგორც კომბინაციის შესანიშნავი ვირტუოზი.

მეტეორივით გაიელვა საჭადრაკო სარბიელზე ამერიკელმა მოჭადრაკემ პაულ მორფმა (1837 — 1884 წ.). ჭადრაკის დიდი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ჭაბუკმა, 20 წლის მორფმა მოკლე დროის მანძილზე ორთაბრძოლებში დაამარცხა ამერი-

პ. მორფი

კისა და ევროპის თითქმის ყველა გამოჩენილი მოჭადრაკე. მორ-ფის თამაში ხიბლავდა შესანიშნავ რუს მოჭადრაკეებს მ. ჩიგორინსა და ა. ალიოხინს, რომლებიც ამერიკელ მოჭადრაკეს გენიას უწოდებდნენ.

თვით ანდერსენი, რომელსაც მორფმა მატჩი (8:3) მოუგო, ნიჭიერი ახალგაზრდის თამაშს ასეთ შეფასებას აძლევდა: „მორფ-თან მოთამაშემ უნდა დაკარგოს იმის იმედი, რომ დაიჭიროს იგი ყველაზე შენიღბულ ხაფანგში, ამასთან უნდა იცოდეს, რომ მორფი საჭადრაკო დაფაზე ყველაფერს გარკვეულად ხე-დავს, რომ მის მხრიდან შეცდომით სვლაზე ლაპარაკიც ზედმე-ტია“.

საჭადრაკო თეორიის განვითარებაში მორფს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. მან თავისი პარტიებით ჩამოაყალიბა სადე-ბიუტო განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — ცენ-

ანდერსენ-მორფის მატჩი

ტრის დაპყრობით ფიგურების სწრაფი და შეთანხმებული განვითარება, შემდგომში დაუყოვნებლივი ფრონტალური იერიშით.

საჭადრაკო ასპარეზზე მორფმა იმოღვაწა მხოლოდ ორი წელი და 1859 წელს მოულოდნელად ჭადრაკს სამუდამოდ ჩამოსცილდა. ამის შემდეგ უძლიერესის სახელი კვლავ ანდერსენს დაუბრუნდა.

მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონი პრაღის მკვიდრი ვილჰელმ სტეინიცი (1836 — 1900 წ.) იყო. 1866 წელს ინგლისში ყოფნისას მან ანდერსენს მოუგო მატჩი (8:6), მაგრამ მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, როდესაც სტეინიცმა შეუპოვარ ორთაბრძოლაში დაამარცხა იმ დროის უძლიერესი მოჭადრაკე

ვ. სტეინიცი

ცუკერტორტი. მას ოფიციალურად მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

სტეინიცმა მსოფლიო ჩემპიონის „გეორგეინი“ 28 წელიწადს ატარა.

სტეინიცს დიდი დამსახურება მიუძღვის საჭადრაკო თეორიის განვითარების საქმეში. მან ჩამოაყალიბა თამაშის საკუთარი მოძღვრება, რომლის ძირითადი პრინციპი ლაპარაკობს: კომბინაციურ გეგმას უნდა ჰქონდეს პოზიციური ბაზა, კომბინაცია იქმნება არა იმდენად მოჭადრაკის გამომგონებლობით, რამდენადაც პოზიციის მონაცემებით.

სტეინიცის თეორიის დებულებათა უმრავლესობა ზოგად ხასიათს ატარებდა. ის ანგარიშს არ უწევდა პოზიციის კონკრეტულობას და ბრძოლის მრავალნაირობის ფაქტორებს.

გენიალური რუსი მოჭადრაკე მ. ჩიგორინი ილაშქრებდა სტეინიცის შეხედულებათა დოგმატური დებულებების წინააღმდეგ და პრაქტიკულ შეხვედრებში თვით სტეინიცთან ამტკიცებდა თავის შეხედულებათა სიმართლეს.

ე. ლასკერი

1894 წელს სტეინიცი ძლეულ იქნა ახალგაზრდა გერმანელი ოსტატის ემანუილ ლასკერის (1868 — 1941 წ.) მიერ. ორი წლის შემდეგ სტეინიც-ლასკერის მატჩ-რევანშში ლასკერმა კვლავ დაამარცხა ხანდაზმული გროსმაისტერი.

ლასკერი დიდი პრაქტიკული ძალის მოჭადრაკე იყო. მთელი მისი საჭადრაკო კარიერა წარმატებისა და შემოქმედებითი მიღწევების შარავანდედით მოსილი გზაა. სამი ათეული წლის მანძილზე ლასკერის პრობლემა გადაუჭრელი იყო. მისი თამაშის თავისებურება დიდხანს ამოუხსნელი რჩებოდა. ლასკერი საჭადრაკო სარბიელზე სტეინიცის მოძღვრების აპოლოგეტად გამოვიდა, მაგრამ შემდგომ მან გაიზიარა ჩიგორინის ზოგიერთი მოწინავე შეხედულება. ლასკერმა საჭადრაკო ბრძოლაში შეიტანა ფსიქოლოგიზმის ელემენტები. იგი სწავლობდა თავისი მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის გემოვნებას, ინდივიდუალურ მიდრეკილებას. განიხილავდა რა ლასკერი ჭადრაკს,

ხოსე რაულ კაპაბლანკა

როგორც „ორი ადამიანის ხასიათის ბრძოლას“, იგი საჭადრაკო შერკინებაში ცდილობდა მეტოქისთვის თავს მოეხვია მისი სტილისათვის საწინააღმდეგო სტრატეგიული გეგმა. ამის გაკეთება მაშინ მხოლოდ ლასკერს შეეძლო, ამიტომ მას მიაკუთვნებენ ინდივიდუალური სტილის მოჭადრაკეთა ჯგუფს, რომელთაც არ შეუქმნიათ საკუთარი სკოლა.

ლასკერს ეგონა, რომ იგი ჩაწვდა ჭადრაკის „საიდუმლოებას“ და მისი ღირსეული მეტოქე არ მოიძებნებოდა.

მაგრამ 1921 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა კუნძულ კუბას მცხოვრები ხოსე კაპაბლანკა (1888 — 1942 წ.) ჯერ კიდევ 1911 წელს სან-სებასტიანოს საერთაშორისო ტურნირზე საერთო ყურადღება მიიპყრო ჭაბუკ კაპაბლანკას თამაშმა, რომელიც ადვილად ამარცხებდა სახელმოხვეჭილ კორიფეებს და საბოლოოდ ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა. ამის შემ-

დეგ კაპაბლანკა აღიარებულ იქნა მსოფლიო ჩემპიონობის სერიოზულ პრეტენდენტად. პეტერბურგის 1914 წლის საერთაშორისო ტურნირზე კაპაბლანკა მეორე ადგილზე გამოვიდა ლასკერის შემდეგ და მსოფლიო ჩემპიონს ოფიციალური გამოწვევა გაუგზავნა. წინადადება ლასკერმა მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ მიიღო. ორთაბრძოლა ჰავანაში (კუბა) შედგა და როდესაც უკვე გათამაშებული იყო 14 პარტია, რომლებიდან ოთხი მოიგო კაპაბლანკამ და ათი ყაიმით დამთავრდა, ლასკერმა უარი განაცხადა დარჩენილი ათი პარტიის გათამაშებაზე და დათმო მატჩი.

კაპაბლანკა „აკადემიური" პოზიციური სტილის მოჭადრაკე იყო. მას ჰქონდა თამაშის ვირტუოზული ტექნიკა და პოზიციის სწორი შეფასების განსაცვიფრებელი ინტუიცია.

ბრწყინვალედ დაწყებულმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ, იოლმა გამარჯვებებმა კაპაბლანკას მიაღებინეს მცდარი გეზი — იგი დაადგა მშრალ ტექნიციზმს, გაურბოდა ყოველგვარ კომბინაციურ გართულებებს. ამან მალე უარყოფითი შედეგი გამოიღო. კაპაბლანკა 20-იანი წლების საერთაშორისო ტურნირებში როდია ყოველთვის პირველ ადგილებზე. იგრძნობა მისი შემოქმედებითი მარცხი. 1927 წელს კაპაბლანკას ართმევენ მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის სახელს.

კაპაბლანკას დამარცხება არც ისე იოლი იყო. ტიტანი, რომელმაც შეძლო ესოდენ დიდი ერუდიციისა და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაპაბლანკასთვის "მსოფლიო ჩემპიონის სახელის ჩამორთმევა იყო გენიალური რუსი მოჭადრაკე ალექსანდრე ალიოხინი (1892 — 1946 წ.).

კაპაბლანკასთან საბრძოლველად ალიოხინი თოთხმეტი წლის მანძილზე ემზადებოდა. მაშინ როდესაც ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონი ლასკერი იყო, ალიოხინმა იცოდა, რომ კაპაბლანკა შეცვლიდა მას. ალიოხინი დაუღალავი შრომით სულ უფრო უახლოვდებოდა სანუკვარ ოცნებას. იგი ნიუ-იორკის 1924 წლის, ბადენ-ბადენის 1925 წლის საერთაშორისო ტურნირებზე ბრწყინვალე შედეგს აღწევს, რითაც ნათელჰყოფს გრანდიოზული ბრძოლისთვის მზადყოფნას. მაგრამ კაპაბლანკა ალიოხინისაგან მატჩზე უფლების მისაღებად დიდ ფულად თანხას ითხოვდა, რომელიც ალიოხინს არ ჰქონდა. ბოლოს ბრწყინვალე თამაშით ალი-

ა. ალიოხინი

ოხინმა დაიყოლია საზოგადოებრივი აზრი თავის სასარგებლოდ, რომელმაც მოითხოვა კაპაბლანკასაგან შეხვედროდა ალიოხინს. ფულადი სახსრებიც გამოჩნდა და 1927 წლის სექტემბერში ბუენოს-აირესში დაიწყო თავისი დაძაბულობითა და დრამატიზმით აღსავსე ორთაბრძოლა.

სამი თვე მსოფლიო შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს კორიფეთა შერკინებას. წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე გამარჯვებული იქნებოდა ის, ვინც ადრე მოიგებდა ექვს პარტიას (ყაიმი ანგარიშში არ შედიოდა), მხოლოდ 34-ე პარტიის მოგებით მოიპოვა ალიოხინმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. ყველაზე მეტად მატჩის წაგებას არ მოელოდა თვითონ კაპაბლანკა. მართალი იყო ჩეხი დიდოსტატი რეტი, როცა მატჩის წინ წერდა, ლასკერის თამაში წარსულს ეკუთვნის, კაპაბლანკასი — აწმყოს, ხოლო ალიოხინის — მომავალსო.

ალიოხინის გამარჯვება იყო ახლის, შემოქმედებითისა და პროგრესული თამაშის გამარჯვება ამერიკულ ტექნიკიზმზე, ბშრალ, უგულო თამაშზე. ალიოხინმა სინამდვილედ აქცია გენიალური მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ოცნება, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რუსული საჭადრაკო სკოლის საუკეთესო წარმომადგენელს მოეპოვებინა.

ალიოხინი კომბინაციის ჯადოქარი, ბრწყინვალე და მოქნილი იერიშების ოსტატი, მხატვარი და მოაზროვნე ოთხი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს საჭადრაკო შემოქმედების აზრს ბრწყინვალე შედეევრებით ამდიდრებდა. ბლედისა და სან-რემოს საერთაშორისო ტურნირებზე მსოფლიო ჩემპიონი მაღალნიჭიერი პარტიებით აღაფრთოვანებდა მოჭადრაკეებს ახალ, ორიგინალურ და ღრმა იდეების ძებნისათვის.

„საბჭოთა მოჭადრაკეები, — წერს გროსმაისტერი კოტოვი, — ალიოხინს განსაკუთრებით აფასებენ იმისათვის, რომ მან განავითარა, გაფართოვა და გაღრმავა რუსული საჭადრაკო სკოლის შემოქმედებითი პრინციპები, რომლებზეც აღიზარდნენ უძლიერესი საბჭოთა ოსტატები“.

ალიოხინი 1921 წლამდე საბჭოთა მოჭადრაკე იყო. მაგრამ თეთრგვარდიელთა აგიტაციით საფრანგეთში ყოფნის დროს ალიოხინმა მოულოდნელად გადაწყვიტა დაეტოვებინა სამშობლო. მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვების შემდეგ ალიოხინმა იგრძნო თავისი დანაშაული. იგი მტკივნეულად განიცდიდა მშობლიურ ქვეყანასთან დაშორებას. პირადმა ტრაგედიამ მის საჭადრაკო ძალაზე გავლენა იქონია. ამით მოხდენილად ისარგებლეს ჰოლანდიელმა საქმოსნებმა და მორალურად გატეხილი ალიოხინი 1935 წელს შეახვედრეს შედარებით სუსტ გროსმაისტერს მაქს ეივეს. ჰოლანდიელ მოჭადრაკეს არც ერთ დიდ ტურნირზე არასოდეს არ აუღია პირველი პრიზი. მიუხედავად ამისა ის აღმავლობით ეთამაშა ალიოხინს და გაიმარჯვა ანგარიშით 15,5:14,5. ამ დამარცხებამ ალიოხინი გამოაფხიზლა. ორი წლის შემდეგ ალიოხინმა მატჩში ბრწყინვალედ გაიმარჯვა დიდოსტატ ეივეზე და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. შემდგომ ალიოხინი ხუმრობით ამბობდა: „ჰოლანდიელები კმაყოფილნი უნდა იყვნენ. მათ ეივეს მე ორი წლით ვათხოვე მსოფლიო ჩემპიონობაო“.

მ. ეივე

30-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვან, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს საბჭოთა საჭადრაკო სკოლა, მისი საუკეთესო წარმომადგენლის მიხეილ ბოტვინიკის სახით. ნოტინჰემის 1936 წლის, მოსკოვის მეორე და მესამე საერთაშორისო და ამსტერდამის 1938 წლის დიდოსტატთა ტურნირებზე ბოტვინიკი თავისი მაღალი სპორტული შედეგებით და შემოქმედებით აღიარეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის უახლოეს პრეტენდენტად. ალიოხინი დათანხმდა შეხვედროდა ბოტვინიკს ორთაბრძოლაში, მაგრამ მოლაპარაკების მსვლელობას ხელი შეუშალა ომმა და საჭადრაკო შეჯიბრების მოწყობა მრავალი წლით გადაიდო.

1946 წელს, როცა განახლებულ იქნა ალიოხინ-ბოტვინიკის ორთაბრძოლაზე მოლაპარაკება, მსოფლიო ჩემპიონი მოულოდნელად გარდაიცვალა. მსოფლიო დარჩა უჩემპიონოდ.

ა. ალიოხინის საფლავი პარიზში

1948 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მორიგ კონგრესზე საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციამ წინადადება შეიტანა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის გამოსავლინებლად ჩატარებულიყო მატჩ-ტურნირი მსოფლიოს ექვსი უძლიერესი მოჭადრაკის: ბოტვინიკის, კერესის, სმისლოვის (სამივე საბჭოთა კავშირიდან), რეშევსკისა და ფაინის (ორივე ამერიკის შეერთებული შტატებიდან) და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ეიველს (ჰოლანდია) მონაწილეობით. შემდგომში ფაინმა უარი განაცხადა თამაშზე.

სამ თვეს გაგრძელდა (1948 წლის 1 მარტიდან 16 მაისამდე) მატჩ-ტურნირი. რომელიც მიმდინარეობდა ჰაგასა და მოსკოვში და ხუთ წრედ ჩატარდა.

მ. ბოტვინიკი

ბრწყინვალე თამაშით პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა საბჭოთა დიდოსტატმა მიხეილ ბოტვინიკმა. II ადგილზე გავიდა ახალგაზრდა გროსმაისტერი ვ. სმისლოვი III — IV ადგილები გაიყვეს პ. კერესმა და ლ. რეშევსკიმ.

შეჯიბრებამ ცხადყო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის უპირატესობა, მისი შემოქმედებითი პოზიციების სისწორე და პროგრესულობა. ბოტვინიკი მრავალმხრივი სტილის მოჭადრაკეა. მისი პარტიები მეცნიერული და მხატვრული ღირსებით საჭადრაკო შემოქმედების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენდნენ. ბოტვინიკის შემოქმედებაზე აღიზარდა და იზრდება ათასობით მოჭადრაკე.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის XX კონგრესმა ბოლო მოუღო მსოფლიო ჩემპიონის გათამაშების არასწორ სისტემას, რომელიც ასი წლის მანძილზე არსებობდა ბურჟუაზიულ საჭადრაკო სამყაროში. მსოფლიო ჩემპიონები თავისი ნებასურვილით ირჩევდნენ მეტოქეს. ზოგჯერ მას მიუღებელ ფი-

ნასურ მოთხოვნას უყენებდნენ. ფედერაციამ დაამტკიცა გათამაშების ახალი სისტემა.

მსოფლიო ჩემპიონი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უძლიერეს მოჭადრაკესთან მატჩში (24 პარტიიდან) იცავს თავის ტიტულს. უძლიერესის გამოსავლინებლად ჯერ იმართება ზონალური ტურნირები (მსოფლიო დაჰყვეს შვიდ ზონად), რომლებშიც გამარჯვებულები შეადგენენ საზონათაშორისო ტურნირს, ამ უკანასკნელში საპრიზო ადგილზე გამოსულნი ერთმანეთს ხვდებიან უკვე მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში, რომელშიც პირველ ადგილზე გასული ორთაბრძოლაში ხვდება მსოფლიო ჩემპიონს.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ 1948 წელს პირველად მოაწყო საზონათაშორისო ტურნირი, რომელიც საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონების პრეტენდენტთა ტურნირზე პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს საბჭოთა დიოსტატმა დ. ბრონშტეინმა და ი. ბოლესლავსკიმ. დამატებით მატჩში ბრონშტეინმა დაამარცხა ბოლესლავსკი და მოიპოვა უფლება შეხვედროდა ბოტვინიკს.

1951 წელს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონის სახელზე ბოტვინიკ-ბრონშტეინის მატჩი. ამაღელვებელი, შინაარსიანი და შეუპოვარი ბრძოლა ყაიმით (12:12) დამთავრდა, ბოტვინიკმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1952 წელს კვლავ შედგა საზონათაშორისო ტურნირი, ხოლო 1954 წელს ციურიხში პრეტენდენტთა შეჯიბრება. მსოფლიო ჩემპიონთან მატჩზე უფლება ამჯერად დაიმსახურა საბჭოთა დიდოსტატმა სმისლოვმა.

1954 წელს ბოტვინიკს კვლავ ორთაბრძოლაში მოუხდა თავისი „საჭადრაკო გვირგვინის" დაცვა. ბოტვინიკ-სმისლოვის მატჩში დაძაბული, სპორტული შერკინების შემდეგ ორთაბრძოლა ყაიმით (12:12) დამთავრდა. ბოტვინიკმა კვლავ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტული.

1957 წელს სმისლოვი ისევ შეხვდა ბოტვინიკს მატჩში. ამჯერად მან უფრო მძლავრად ითამაშა და გაიმარჯვა — 12,5:9,5. მაგრამ 1958 წელს ბოტვინიკმა შეძლო მატჩ-რევანშის მოგება (12,5:10,5) და ჩემპიონის სახელი დაიბრუნა.

ვ. სმისლოვი

1960 წელს ბოტვინიკს ახალ პრეტენდენტთან მოუწია ბრძოლამ. ეს გახლდათ მიხეილ ტალი. ახალგაზრდა დიდოსტატმა სძლია ბოტვინიკს — 12,5:8,5. მაგრამ ვერც მან შეინარჩუნა ჭადრაკის მეფის ტახტი: 1961 წლის მატჩ-ტურნირში ბოტვინიკმა დაამარცხა იგი — 13:8. ეს იყო 50 წლის ბოტვინიკის უბეღელი ნიჭის ახალი ამობრწყინება.

1963 წელს ბოტვინიკის მეტოქე იყო ტიგრან პეტროსიანი. უაღრესად მძიმე ბრძოლაში პეტროსიანმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — 12,5:9,5. სამი წლის შემდეგ პეტროსიანს მოუწია ტიტულის დაცვა ბორის სპასკისთან მატჩში. მან სძლია მეტოქეს (12,5:11,5) და შეინარჩუნა ტახტი. მაგრამ 1966 წელს სპასკი კვლავ შეხვდა პეტროსიანს. ამჯერად პრეტენდენტი უკეთ იბრძოდა და გაიმარჯვა — 12,5:10,5. სპასკი მსოფლიოს მეათე ჩემპიონია.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ 1927 წელს შემოიღო მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის.

მ. ტალი

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჭადრაკის თამაშის ისტორიაში შეჯიბრებებში ქალთა მონაწილეობა დაახლოებით შემჩნეულია ჯერ კიდევ VIII საუკუნეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია აღმოსავლეთის ჩემპიონების სახელებს და არც მათი თამაშის აღწერას.

ევროპაში ქალების ჭადრაკით გატაცება მიეკუთვნებოდა XII — XIII საუკუნეს. ამ დროის ლიტერატურა გვაწვდის ბევრ ფაქტს. მეტად დამახასიათებელი შენიშვნაა, მაგალითად, 1200 წელს დაწერილ პოემა „Clet d'amors"-ში ერთი ადგილი: „არაა ჭკვიანი ის ქალიშვილი, რომელსაც არ შეუძლია გაიგოს ჭადრაკი". XII საუკუნის რომანში „ლანსელოტეს შესახებ" (ავტორი კრეტენ დეტრუა) მოყვანილია მაგალითი, როცა დედოფალ ჟენევრას მიენიჭა ჭადრაკის თამაშის ოსტატის სახელი. ყველა ეს შორეული დროის ლიტერატურული ფაქტები მეტად

ტ. პეტროსიანი

ლაკონურია და მათი მიღება, როგორც ისტორიულად სწორის, შეუძლებელია. მაგრამ აქედან ჩანს, რომ უკვე იმ დროს ევროპელი ქალები და ქალიშვილები ახლო ყოფილან საჭადრაკო ველოვნებასთან.

უფრო მოგვიანო დროიდან, მაგალითად XVII საუკუნიდან, ჩვენ მოგვეპოვება უფრო ზუსტი ცნობები: „Relations d' Island" ავტორს ლაპეირერს 1644 წ. მოჰყავს საინტერესო ფაქტები დანიის ძლიერ მოჭადრაკე გრაფინია ილფელდზე, რომელსაც საჭადრაკო დაფასთან თვითონ შეხვედრია. XVIII საუკუნეში ძლიერ მოჭადრაკედ ცნობილი იყო დიდი გერმანელი პოეტის გოეთეს დედა კატერინა გოეთე, რომელიც თამაშში თავი-

ბ. სპასკი

სი წრის მამაკაცებსაც ჯობნიდა. ცნობილი იყო აგრეთვე ელიზა კელერი ქ. მაინციდან, რომლის შესახებ დადებითად "ლაპარაკობს ჭადრაკის გამოჩენილი მკვლევარი ლინდე. საფრანგეთიდან შეიძლება დავასახელოთ მწერალი ქალი დე-სევინი, რომელმაც კარგად იცოდა ჭადრაკის თამაში და აღწერა თავისი დროის ფრანგი ქალების ჭადრაკით გატაცება.

რუსეთში ჭადრაკის თამაშში გამოირჩეოდნენ დედოფალი ეკატერინე II და რუსეთის აკადემიის პირველი პრეზიდენტი დაშკოვა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილია ფრანგი ქალის მარკიზა რემიუზას სახელი, ერთ-ერთი მისი პარტია ნაპოლეონთან 1804 წელს გათამაშებული, გამოაქვეყნა ტიერმა; მასში გამოთქმულია აზრი, რომ ბონაპარტთან მისი წაგებები გამოწვეული იყო დიდი დიპლომატური მოსაზრებებით.

გერმანიაში ძლიერი თამაშით სახელგანთქმული ყოფილა ლუიზა ბისმარკი ცნობილი კანცლერის ოტო ბისმარკის დედა, თავის დროზე იგი ბერლინის უძლიერეს მოჭადრაკე ქალად იყო ცნობილი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლება დავასახელოთ ორი გამოჩენილი მოჭადრაკე ქალი, რომელთა თამაში ძალზე უ ახლოვდებოდა ოსტატთა თამაშს, ერთი ჭადრაკის ცნობილი ოსტატის ე. შალოპის და ანა შალოპი. მისი ზოგიერთი პარტია თავის დროზე გამოქვეყნდა (1871), მეორეა — გამოჩენილს მოჭადრაკის ლუი პაულსენის და, ამალია პაულსენი (ქმრის გვარი ლემანი). 1857 წელს ნიუ-იორკში ამალიამ ძმასთან ითამაშა ოფიციალური მატჩი. ექვსი პარტიიდან ძმამ მოუგო მატჩი მხოლოდ ერთი ქულ ის განსხვავებით. მეორე ძმასთან, რომელიც აგრეთვე მოჭადრაკე იყო. ბრძოლა ყაიმით+2 — 2 = 2 დამთავრდა. ამალია პაულსენი გარდაიცვალა 1879 წელს, მაგრამ მანამდე უკვე რამდენიმე წელი მას ჭადრაკისთვის თავი ჰქონდა დანებებული ოჯახზე ზრუნვისა და ბავშვების ავადმყოფობის გამო.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველად მოიხვეჭა ჩეხმა ქალმა ვერა მენჩიკმა (1909 — 1944 წ.). მენჩიკი ღირსეულად ატარებდა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალის სახელს. მას შვიდჯერ მოუხდა საპატიო ტიტულის დაცვა. მენჩიკი წარმატებით თამაშობდა ვაჟთა ტურნირებში და არაერთხელ დაუმარცხებია ცნობილი მოჭადრაკეები. მაგალითად, დიდოსტატი ეივე.

მენჩიკის გარდაცვალების შემდეგ. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით 1950 წელს ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლინებლად. ტურნირში შესანიშნავი თამაშით მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა მოჭადრაკემ ლიუდმილა რუდენკომ.

მსოფლიო ჩემპიონის სახელის კანდიდატის გამოსავლინებლად საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შეიმუშავა გათამაშების ისეთივე სისტემა, როგორიც ვაჟებისათვის არსებობს. 1952 წელს საერთაშორისო ტურნირზე გამოვლინდა მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატი საბჭოთა მოჭადრაკე ელიზავეტა ბიკოვა. 1953 წელს რუდენკო-ბიკოვას მატჩში ბიკოვამ მოიპოვა

ვ. მენჩიკი

მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 1956 წელს მსოფლიო ჩემპიონის სახელი ბიკოვას წაართვა საბჭოთა მოჭადრაკემ ო. რუბცოვამ.

1958 წელს ბიკოვა მატჩ-რევანშში შეხვდა რუბცოვას და სძლია იგი. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბიკოვას კვლავ მოუხდა ჭადრაკის დედოფლის ტიტულის დაცვა, ამჯერად კირა ზვორიკინასთან ორთაბრძოლაში ბიკოვამ შეძლო ეს.

1961 წელს მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლება მოიპოვა 20 წლის ნონა გაფრინდაშვილმა. 1962 წელს მოსკოვში შედგა მათი ისტორიული მატჩი. ქართველმა გოგონამ სასტიკად დაამარცხა (9:2) მსოფლიო ჩემპიონი. ნონა გაფრინდაშვილმა მალე მოიხვეჭა დიდი მოჭადრაკის სახელი. იგი დიდი წარმატებით მონაწილეობს ქალთა და ვაჟთა ტურნირებში.

1965 წელს გაფრინდაშვილს მოუხდა ჩემპიონის სახელის

6. გაფრინდაშვილი

დაცვა ალა კუშნირთან მატჩში. გაიმარჯვა ნონამ — 8,5:4,5 ოთხი წლის შემდეგ გაფრინდაშვილის მეტოქე კვლავ კუშნირი გახდა. მსოფლიო ჩემპიონმა მოცილე ამჯერადაც ანგარიშით 8.5:4,5-ზე დაამარცხა და მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

1927 წლიდან ტრადიციად იქცა მსოფლიოს გუნდური პირველობის — საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარება. საბჭოთა გუნდმა ოლიმპიადაში პირველად 1952 წელს მიიღო მონაწილეობა და ჩემპიონიც გახდა. შემდგომ წლებში (ოლიმპიადა ყოველ მეორე წელს ტარდება) მან კიდევ რვაჯერ გაიმარჯვა.

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა 1959 წლიდან იმართება აქაც იმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა: მათ ჩემპიონის ოქროს მედლები ყველა ოლიმპიადაზე (1959, 1963, 1966, 1969 წწ.) დაისაკუთრეს.

მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების დემოკრატიულობა, რომელიც შემოიღეს საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით, ხელს უწყობს საჭადრაკო ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა საჭადრაკო მოძრაობა

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის პასუხად საბჭოთა მოჭადრაკეებმა სამამულო საჭადრაკო სკოლის საუკეთესო ტრადიციების გაღრმავებით მოიპოვეს მსოფლიო პირველობა ჭადრაკში.

საბჭოთა საჭადრაკო სკოლა მთელ მსოფლიოში აღიარებულია, როგორც პროგრესული და უძლიერესი. გენიალური რუსი მოჭადრაკეების მ. ჩიგორინისა და ა. ალიოხინის ღრმა მემკვიდრეობის განვითარებით საბჭოთა მოჭადრაკეებმა გამოიმუშავეს საჭადრაკო ხელოვნებისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელიც შემოქმედებისადმი კრიტიკულ მიდგომას გულისხმობს. ისინი აღრმავებენ და სრულყოფენ თამაშის თეორიას. პრაქტიკულ გამოსვლებში საბჭოთა დიდოსტატებსა და ოსტატებს ახასიათებთ გაბედულება. ინიციატივა, აზრის სიღრმე და სიმწვავე, ნებისყოფა ბრძოლისა და გამარჯვებისადმი. პარტიაში სპორტულ წარმატებასთან ერთად ისინი ცდილობენ ჩააქსოვონ შემოქმედებითად ღრმა შინაარსი.

ჭადრაკმა საბჭოთა კავშირში განვლო განვითარების მეტყველი გზა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ჭადრაკის მასობრივად გავრცელებასა და განვითარებას.

1920 — 1923 წლებში მოსკოვსა და პეტროგრადში ჭადრაკის საბჭოთა პირველ პროპაგანდისტთა ძალღონე მიმართული იყო იქითკენ, რომ ჭადრაკი გამხდარიყო არა ადამიანთა ვიწრო წრის, არამედ ხალხთა ფართო მასების კუთვნილებად. ახალგაზრდა საჭადრაკო ორგანიზაციებს პირველ რიგში ევალებოდათ ჭადრაკი ჩვენს ქვეყანაში გადაექციათ მშრომელთა კულტურული ზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად.

1924 წელს საბჭოთა მთავრობის დადგენილებით „ყველა საჭადრაკო ორგანიზაციები“ გაერთიანდნენ მასობრივ-ფიზკულტურულ ორგანიზაციის სისტემაში. ამ დროიდან საჭადრაკო ხელოვნების განვითარების საქმე სახელმწიფოსა და პროფკავშირების მხარდაჭერით სარგებლობს. ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში არსდება ჭადრაკის შემსწავლელი წრეები. სულ უფრო იზრდება ჭადრაკისადმი მშრომელთა ინტერესი. განსაკუთრებით მას დაეწაფა ცოდნისმოყვარე ახალგაზრდობა.

ჭადრაკი გადაიქცა ხალხის საყვარელ თამაშად და იგი მტკიცედ დამკვიდრდა მათ ცხოვრებაში, გახდა მათი კულტურული მოთხოვნილების ორგანული ნაწილი.

საბჭოთა ქვეყნის საჭადრაკო ძალების პირველ დათვალიერებად გადაიქცა სრულიად რუსეთის საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც 1920 წელს მოსკოვში ჩატარდა. შეჯიბრებამ თავი მოუყარა ძველი რუსეთის საუკეთესო მოჭადრაკეებს. ოლიმპიადაში გაიმარჯვა გამოჩენილმა რუსმა გროსმაისტერმა ა. ალიოხინმა, მეორე ადგილზე გავიდა პ. რომანოვსკი — გამოჩენილი ოსტატი და საბჭოთა კავშირში საჭადრაკო მოძრაობის ერთ-ერთი თავდადებული მოღვაწე.

ამ ოლიმპიადის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ოცდაოთხი ჩემპიონატი და შვიდი საერთაშორისო ტურნირი (ქალთა შეჯიბრებების ჩათვლით), მატჩები მოსკოვი-პრაღა, მოსკოვი-ბუდაპეშტი, სსრ კავშირი-ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.

ჭადრაკის პოპულარობის საქმეს დიდი სამსახური გაუწია 1925 წელს მოსკოვში გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმ დროის მსოფლიო ჩემპიონმა ს. კაპაბლანკამ, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ე. ლასკერმა, დიდოსტატებმა ა. რუბინშტეინმა, რ. შპილმანმა და სხვებმა. საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდნენ ოსტატები გ. ლევენფიში, თ. დუზ-ხოტიმირსკი, გ. ვერლინსკი, ა. ილინ-ჟენევსკი და სხვები. ამ ესოდენ გრანდიოზული ასპარეზობის პერიოდში საჭადრაკო ხელოვნებამ შეიძინა მრავალი ათასი მოყვარული.

საბჭოთა კავშირის VII ჩემპიონატში, რომელიც მოეწყო

1931 წელს თავი ისახელეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაზრდილმა და ჩამოყალიბებულმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა; ამ ტურნირში დაწინაურდნენ მ. ბოტვინიკი, ნ. რიუმინი, მ. იუდოვიჩი, გ. ლისიცინი, ვ. გოგლიძე და სხვები. მ. ბოტვინიკმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი. ამ გამარჯვებამ ცხადყო, რომ ბოტვინიკის სახელით ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო კლასის მოჭადრაკე ჰყავდა. ეს სულ მალე მან დაამტკიცა საზღვარგარეთის ახალგაზრდა უძლიერეს გროსმაისტერ ფლორთან ორთაბრძოლაში. 1933 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში შედგა ფლორ-ბოტვინიკის მატჩი, რომელიც ყაიმით დამთავრდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფლორი თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტი იყო, ბოტვინიკის შედეგი უდავოდ დიდი მიღწევაა.

შემდეგ წელს საბჭოთა ოსტატების ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნა ჰოლანდიელი დიდოსტატი მაქს ეივე და ავსტრიელი ოსტატი ჰ. კმოხი. ტურნირი, რომელიც ლენინგრადში მოეწყო, დამთავრდა მ. ბოტვინიკის გამარჯვებით. მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს პ. რომანოვსკიმ და ნ. რიუმინმა. დიდოსტატი ეივე მხოლოდ მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

მსოფლიოს საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია 1935 წელს გამართულმა მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირმა. იგი გადაიქცა საბჭოთა ახალგაზრდა ოსტატებისა და უცხოელი დიდოსტატების შემოქმედებითი შერკინების დემონსტრაციად. საბჭოთა საჭადრაკო სკოლის წარმომადგენლებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

მ. ბოტვინიკმა ს. ფლორთან ერთად I — II ადგილი გაიყო, რითაც გაუსწრო მხცოვან დიდოსტატს ე. ლასკერს (მესამე ადგილი), მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ხ. კაპაბლანკას (მეოთხე ადგილი) და სხვებს. დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს ნ. რიუმინმა, ვ. ალატორცევმა, პ. რომანოვსკიმ, ვ. გოგლიძემ, გ. ლისიცინმა, რომლებმაც ჩამოიტოვეს უცხოელი მოჭადრაკეები. საბჭოთა კავშირის ჩემპიონს მ. ბოტვინიკს შეჯიბრებაში განსაკუთრებული წარმატებისათვის ჩვენს ქვეყანაში პირველს მიენიჭა საბჭოთა დიდოსტატის სახელი.

1936 წელს მოსკოვის მესამე საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა მოჭადრაკეები მ. ბოტვინიკი, ვ. რაგოზინი, ი. კანი საპრიზო ადგილებზე გადიან.

მსოფლიოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ნოტინჰემის 1936 წლის საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები: მსოფლიო ჩემპიონი ეივე, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი, ახალგაზრდა დიდოსტატები ბოტვინიკი, რეშევსკი, ფაინი, ფლორი და სხვები.

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა მ. ბოტვინიკისა და ხ. კაპაბლანკას გამარჯვებით, რომლებმაც გაიყვეს I — II ადგილი, საბჭოთა მთავრობამ ამ დიდი მიღწევისათვის მ. ბოტვინიკი დააჯილდოვა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1939 წელს მ. ბოტვინიკი კვლავ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდება. მეორე ადგილი დაიკავა ახალგაზრდა მოსკოველმა ოსტატმა ა. კოტოვმა, რომელსაც ამ წარმატებისთვის დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

სამამულო ომის წინ, 1941 წლის გაზაფხულზე, მოეწყო ჩვენი ქვეყნის ექვსი უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით მატჩ-ტურნირი საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელზე. ამ შეჯიბრებამ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს გარეთაც დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი ადგილი დაიკავა მ. ბოტვინიკმა, მეორე — პ. კერესმა, მესამე — ვ. სმისლოვმა, მეოთხე — ი. ბოლესლავსკიმ, მეხუთე და. მეექვსე — ა. ლილიენტალმა და ი. ბონდარევსკიმ. ახალგაზრდა 20 წლის მოსკოველ ვ. სმისლოვს მიენიჭა დიდოსტატის სახელი.

მ. ბოტვინიკის მატჩ-ტურნირში დიდმა გამარჯვებამ, მისმა მიღწევებმა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე წამოჭრეს საკითხი მსოფლიო ჩემპიონ ა. ალიოხინთან მისი მატჩის ორგანიზაციის შესახებ. თვითონ ალიოხინი ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად ასახელებდა.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

სამამულო ომის წლებში საბჭოთა მოჭადრაკეები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტებზე სრული გამარჯვებისათვის. ზოგი მოჭადრაკე (ბოტვინიკი, კოტოვი

და სხვ.) მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდა ორდენებით. მრავალი მოჭადრაკე საბჭოთა არმიის დაჭრილ მეომრებს ჰოსპიტალში უწევდა საშეფო მომსახურებას, უკითხავდა ლექციებს, ატარებდა ერთდროული თამაშის სეანსებს, მართავდა ტურნირებს.

1945 წელს XIV საკავშირო პირველობაზე ბოტვინიკმა მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი. მეორე ადგილზე გასულ ი. ბოლესლავსკის მიენიჭა დიდოსტატის სახელი. ტურნირში მესამე ადგილზე გავიდა 21 წლის დ. ბრონშტეინი.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, შემოდგომაზე გაიმართა ჭადრაკის ისტორიაში პირველი საერთაშორისო შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდებს შორის. მატჩი მიმდინარეობდა რადიოთი. მოწინააღმდეგეებს ერთმანეთს აცილებდა 9000 კილომეტრი. თვითეული პარტიის ხანგრძლიობა 8 — 13 საათს აღწევდა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ 15,5:4,5-ზე მოიგეს მატჩი. აღსანიშნავია, რომ ბოტვინიკმა ორივე პარტია მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს დენკერს, სმისლოვმა — დიდოსტატ ს. რეშევსკის. ი. ბოლესლავსკიმ გროსმაისტერ ფაინთან ერთი პარტია მოიგო, მეორე ყაიმით დაამთავრა.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებას მაღალი შეფასება მისცა.

1946 წელს ინგლისელების ინიციატივით მოეწყო რადიომატჩი ინგლისისა და საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდებს შორის. აქაც საბჭოთა დიდოსტატებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მატჩი დამთავრდა 18:6 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა მოჭადრაკე ქალებმა ლ. რუდენკომ და ვ. ბორისენკომ.

ამავე წლის ბოლოს მოსკოვში საბჭოთა მოჭადრაკეებთან მეორე მატჩის სათამაშოდ ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. ამერიკელები რევანშისთვის კარგად იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ მაინც დამარცხდნენ (7,5:12,5), ვერც ინგლისელებმა აიღეს რევანში. როდესაც ლონდონში 1947 წელს მათ საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდი ესტუმრა, კვლავ გაიმარჯვეს (15:5) ჩვენმა დიდოსტატებმა.

ომის შემდეგ ყველაზე დიდი საერთაშორისო ტურნირი მოეწყო 1946 წელს გრონინგენში (ჰოლანდია), რომელშიც პირველ ადგილზე მ. ბოტვინიკი გავიდა. მეორეზე მ. ეივე, ხოლო მესამეზე — ვ. სმისლოვი.

ომის შემდეგ საჭადრაკო შეჯიბრებებზე საბჭოთა საჭადრაკო სკოლამ, მისმა შემოქმედებითმა პრინციპებმა სრული გამარჯვება მოიპოვა. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ საბჭოთა საჭადრაკო კულტურამ, რომელიც სოციალისტური კულტურის განუყოფელი ნაწილია, განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

საბჭოთა მოჭადრაკეების წინაშე წამოიჭრა საკითხი, რომ მოეპოვებინათ მსოფლიოში ჩემპიონის ოფიციალური წოდება. ა. ალიოხინის გარდაცვალების შემდეგ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ, რომლის წევრი საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაცია 1947 წელს გახდა, შეიმუშავა მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების ახალი სისტემა. ამ სისტემით 1948 წლიდან იმართება მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა შეჯიბრებები მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად.

1948 წელს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაისაკუთრა საბჭოთა დიდოსტატმა მიხეილ ბოტვინიკმა.

მომდევნო შეჯიბრებებში დაწინაურდნენ ახალგაზრდები, რომლებიც წარმატებით მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირებში: ე. გელერი, ტ. პეტროსიანი, მ. ტაიმანოვი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი და სხვები. საზოგადოებრიობამ ისინი გაიცნო საკავშირო პირველობებში მაღალნიჭიერი თამაშით. ჩვენი ქვეყანა კარგი მოჭადრაკეების გამოვლინების უწყვეტი წყაროა, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონატები — მზარდი მოჭადრაკის გამოზრდის საუკეთესო სკოლა.

შემთხვევითი როდია ის, რომ მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაცვა მხოლოდ საბჭოთა დიდოსტატებთან (დ. ბრონშტეინი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ტ. პეტროსიანი) შერკინებაში მოუხდა. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მსოფლიო ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტები მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკეები არიან.

საბჭოთა მოჭადრაკეები დიდი წარმატებით მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირებსა თუ მატჩებში. შორს წაგ-

ვიყვანს მათი ყველა გამარჯვების ჩამოთვლა. ამ წარმატებათა მწვერვალია 1970 წლის გაზაფხულზე ბელგრადში (იუგოსლავია) გამართული მატჩი საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდისა მსოფლიო რჩეულ დიდოსტატთა ნაკრებთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მოიგეს (20,5:19,5).

მოსკოვის 1925 წლის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ჭადრაკმა დიდი ინტერესი გამოიწვია ქალებს შორის. დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, მუშათა კლუბებთან ჩამოყალიბდა ჭადრაკის შემსწავლელი წრეები ქალებისთვის. 1927 წელს პირველად გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა, რომელშიც გაიმარჯვა მოსკოველმა ოლგა რუბცოვამ. ამჟამად იგი მსოფლიოს ექს ჩემპიონია. ამის შემდეგ ქალებისთვის იმართება მრავალი სახის ტურნირები. მათ უქმნიან ყოველგვარ პირობებს შემოქმედებითი ზრდისათვის. დღემდე გათამაშებულია საბჭოთა კავშირის 29 პირველობა.

ჩვენი მოჭადრაკე ქალები შესანიშნავად გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე. ყველგან სასურველი სტუმრები არიან. ამ ბოლო წლებში საგრძნობლად ამაღლდა მოჭადრაკე ქალთა თამაშის კლასი. ამიტომ ისინი თამამად მონაწილეობდნენ ვაჟთა ტურნირებში.

საბჭოთა მოჭადრაკეების დიდი წარმატებები კანონზომიერ მოვლენად გადაიქცა. იგი წარმოადგენს მასობრიობის, ჭადრაკის ხალხურობის, პრაქტიკისა და თეორიის კარგი შერწყმის ანარეკლს, ჭადრაკისადმი ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული მიდგომის, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგს.

ავტოგრაფი, როგორც პიროვნების სიმბოლო

ადამიანის ხელწერა, დიდი ხანია, რაც მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ეს სავსებით გასაგებია, რადგან ხელწერა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ითვლებოდა ადამიანის, ანუ პიროვნების გამომსახველ საშუალებად, ამ ხელწერას მუდამ განსაკუთრებული იურიდიული უფლება-მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როგორ, რა საფუძველზე დაიმკვიდრა ხელწერამ ამგვარი

უფლება? ამ კითხვის საიდუმლოების ამოხსნის მეცნიერული საფუძველია თანამედროვე გრაფოლოგია. ჯერჯერობით კი საიდუმლოება საიდუმლოებად რჩება და ჩვენ მხოლოდ ვარაუდებს ვეყრდნობით.

ჯერ კიდევ იმ უხსოვარ დროს, ე. ი. კლასიკურ ბერძნულ და რომაულ კულტურამდე, ადამიანებს დაებადათ აზრი, რითიმე დაედასტურებინათ თავიანთი „მე", საკუთარი პიროვნება. ისინი ხელწერაზე შეჩერდნენ. ინსტიქტურად გრძნობდნენ, რომ ადამიანის ხელის მოძრაობაში, რომელსაც ნიშნების (ასოების) საშუალებით საკუთარი სახელი გამოჰყავს, აგრეთვე მონაწილეობს ორგანიზმის უცნობი სულიერი ძალები, რომლებიც თითქოს გონებისა და ნერვული სისტემის ურთიერთმოქმედების კარნახით გადასცემენ ხელს თავიანთ სურვილს.

ადამიანებმა, რომლებმაც მეცნიერულად ვერ დაასაბუთეს ამგვარი ურთიერთმოქმედება, იგი ღვთის ძალებს მიაწერეს.

ავტოგრაფის წარმოქმნის პერიოდშიც ხელწერა რაღაც მისტიკური საიდუმლოებით მოცულ ბურუსში იყო გახვეული, ამიტომ მას ძალზე ინდივიდუალური მნიშვნელობა მიანიჭეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელწერა და ადამიანის პიროვნება ერთმანეთს გაუტოლეს და მას აბსოლუტური, იურიდიული კანონიერება ანუ სამართლებრივი საფუძველი მისცეს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, ანუ უფრო სწორად, პრობლემა, შინაგანი, სულიერი ძალების მეცნიერული აღქმაა, რასაც ჩვენი წინაპრები „ღვთიურ ძალებს" მიაწერდნენ. ამ სახის შინაგანი ფუნქციები ძალიან რთული და გაუგებარია. რომელიღაც სპეციალური ნერვი ხელის თითებს გადასცემს ცენტრის.— დიქტატის ნება-სურვილს, ეს ცენტრი სხვადასხვა ადამიანის ხელწერას განსაკუთრებულ სუბიექტურობას ანიჭებს. „სუბიექტურობა" აქ ასე უნდა განვიხილოთ, როგორც პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებანი. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით (კატეგორიული ფორმით) აუცილებელია ფსიქოლოგთა, მედიკოსთა, ფილოსოფოსთა და სხვა დარგის მეცნიერთა აზროვნების კორდინირება. აქამდე ამგვარი სამეცნიერო სამუშაო არ ჩატარებულა. გრაფოლოგ-სპეციალისტთა შორის საუკეთესონი მხოლოდ ინსტინქტით ხსნიდნენ ადამიანის, ინდივიდის ხასიათის თავისებურებებს. ასეთი ახსნა ზოგჯერ

პ. მორფი

მ. ჩიგორინი

ვ. სტეინიცი

ა. ალეხინი

ე. ლასკერი

ტ. მოგოლუბოვი

ზ. კაპაბლანკა

ვ. სმისლოვი

ფ. მარშალი

ზ. ნპასკი

ს. ტარტაკოვერი

ტ. პეტროსიანი

ჯ. მარიუსი

ბ. ბოგუნიაკი



ა. ნიმცოვიჩი



ბ. ყალი



ჩ. ჩეტი

ე. ბერი



მ. ვიდმარი



ფ. ბრონშტეინი

ა. რუბინშტეინი

ს. ფლორი



რ. შპილმანი

ე. ლარსონი

სწორი, ზოგჯერ მცდარი აღმოჩნდებოდა, თუმცა სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. სწორედ ეს იწვევდა გრაფოლოგიის, როგორც მეცნიერების რწმენის შელახვას. მაგრამ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამ მეცნიერების მომავალს, რადგან საზოგადოების რჩეულ ადამიანებს ესმით, რომ გრაფოლოგია სერიოზული მეცნიერებაა და მას საზოგადოებისათვის მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია. შეიძლება დავასახელოთ ამ ადამიანთა სახელები: ლაიბნიცი („Doctrina moribus"), ჟორჟ სანდი, გოეთე და სხვ.

ოციანი წლების დასაწყისში პროლეტარიატის დიდ მწერალს მ. გორკის გრაფოლოგ დ. დოევ-ინხოროვისადმი გაგზავნილ წერილში გრაფოლოგიაზე ასეთი აზრი აქვს გამოთქმული: „გრაფოლოგიის როგორც მეცნიერების მნიშვნელობაზე მე აზრის გამოთქმა არ შემიძლია, რადგან არ ვიცნობ ამ მეცნიერებას, არც მისი კანონები და მეთოდებია ჩემთვის ცნობილი. განა აქვს კი მას კანონები და მეთოდები?!

რა თქმა უნდა, ეჭვი არ მეპარება ზოგიერთი სუბიექტის გასაოცარ ნიჭზე, ხელწერით განსაზღვროს მისთვის სრულიად უცნობი ამა თუ იმ ადამიანის სულიერი სტრუქტურა. ჩემთან ცხოვრობს მხატვარი ივანე ნიკოლოზის ძე რაიცკი, რომელსაც ეს ნიჭი საოცრად აქვს განვითარებული.

თქვენ მიერ ჩემი პიროვნების შესახებ გრაფოლოგიური ნარკვევის გამოქვეყნებაზე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს."

ა. პუშკოვი
სორენტო 8/11—27 წ.

გთავაზობთ ზოგიერთი გამოჩენილი მოჭადრაკის ავტოგრაფს. რჩევას გაძლევთ ყურადღება მიაქციოთ წერის მანერის სხვადასხვაობას. ფსიქოლოგიური არსის ამოცანებისა და მასში ჩაწვდომის უნარი მხოლოდ იმ სპეციალისტ გრაფოლოგს აქვს, ვინც ამ მეცნიერების ყოველგვარ წვრილმანში ერკვევა.

უძველესი ფიგურების ნიმუშები

ეს ნიმუშები წარმოადგენს VIII — IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე მოყოლებული სხვადასხვა სახის საჭადრაკო ფიგურების ნათელ, მაგრამ არასრული ნიმუშების ჩამოთვლას. ნი-

შუშების მიხედვით შესაძლებელი ხდება დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ფიგურების ევოლუცია ამ არც თუ ისე მოკლე დროის მანძილზე. ჩვენ ვეცნობით სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ სტილს, იმდროინდელ მხატვართა გემოვნებას, ძვლისგან, ხისგან, ლითონისა და ბროლისაგან სათამაშო ფიგურების საუცხოო ნიმუშების დამზადებით ხელოვნებას. ჭადრაკი თავისი არსებობის პერიოდში აღმოსავლეთში რაჯების, მეფეთა, შაჰების, ხალიფებისა და შეძლებულ დიდებულთა ფუფუნებით მორთულ სასახლეების კუთვნილება იყო. ბუნებრივია, მათთვის ფიგურები და დაფა მზადდებოდა მეტად ძვირფასი და იშვიათი მასალებისაგან, რომლებიც შეეფერებოდა მათ მდიდრულ სასახლეებს. ადრეული პერიოდის საჭადრაკო ფიგურების რთული გამოსახულება, მხატვრული ძერწვის სიძნელე, ამასთან ფიგურების დამზადება ძვირფასი მასალებისაგან, როგორიცაა ზურმუხტი, ლალი, ქარვა, სრულფეროვანი ძველი სპილოს ძვალი და სხვა. ცხადია ჭადრაკის ასეთი ფიგურებიანი კომპლექტი მიუწვდომელი იყო ხალხის ფართო მასებისათვის.

ასეთი საჭადრაკო კომპლექტები ღირსშესანიშნავად ითვლებოდა მეფეთა, ხალიფებისა და რაჯების სასახლეებში, მით ამაყობდნენ აღმოსავლეთის მბრძანებლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფუფუნებაში. ასეთი აღმოსავლური წარმოშობის ფიგურები ჩვენამდე შემონახულია, მაგრამ მეტად მცირე რაოდენობით. რამდენიმე ცალი დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში.

ფიგურალობით გატაცებას, ორიგინალური ფორმისადმი მისწრაფებას აქვს ადგილი აგრეთვე XVI — XVIII ს. რაც შეეხება მასალას, ჭადრაკს შუასაუკუნეების ევროპაში ამზადებდნენ სპილოს ძვლის, ბროლის, ოქროს, ხის ძვირფასი ჯიშებისა და სხვა ძვირფასი მასალებისაგან. საჭადრაკო კომპლექტები, რომლითაც ამაყობდნენ პატრონები, მოწიწებით ინახებოდა ფეოდალთა სასახლეებში. არც ისე იშვიათად ფეოდალები თავისი სიკვდილის წინ ჭადრაკს ანდერძით უტოვებდნენ ეკლესიას, სადაც ისინი ათეული, ზოგჯერ ასეული წლობით ინახებოდა. საჭადრაკო ფიგურების გამოსახულება, სხვადასხვა მასალაზე მათი ჩარხვა, მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზია, სრულ უფლებას იძლევა ასეთი ნამუშევარი მივაკუთვნოთ მხატვრულ-გამოყენებით

ხელოვნების სფეროს, რომელსაც ზურგს უკან, დიდი, 1400 წლის პრაქტიკული გამოყენების პერიოდი აქვს. სამწუხაროა, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ძველი რუსული, მთლიანი საჭადრაკო კომპლექტი, არც აღმოსავლეთის ადრეული პერიოდის ჭადრაკის სრული კომპლექტი. მეტად მცირეა აგრეთვე ჩვენამდე მოღწეული დასავლეთ ევროპის ძველი ჭადრაკის კომპლექტების რაოდენობა. მაგალითად, ევროპის სხვადასხვა მუზეუმში ინახება არა უმეტეს 6—7 აღმოსავლური ნამუშევრის ცალკეული საჭადრაკო ფიგურები, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ:

1) ორი ფიგურა ლენინგრადის ერმიტაჟში (მხედარი და რუხი);

2) კუ ფლორენციის ბარჯელოს მუზეუმში;

3) მეომარი სპილოზე საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში;

4) ორი-სამი პაიკი ბრიტანეთის მუზეუმში;

5) ბროლის მხედრის ფიგურა ჰამბურგის მუზეუმში;

6) ცალ ფეხზე დაჩოქილი მეომრის ფიგურა, რომელიც ნაპოვნი იქნა არც ისე დიდიხანია ირანის დომბანის გათხრებში ამით იფარგლება ევროპის საცავებში აღმოსავლური უნიკუმები.

ჭადრაკი და ასტროლოგია

შემოთავაზებულმა რამდენადმე უჩვეულო თემამ, შესაძლოა ერთბაშად დააბნიოს კიდეც მკითხველი — როგორ, ჭადრაკი და ასტროლოგია?! რა უნდა ჰქონდეთ საერთო ჭადრაკსა და შუა საუკუნეების ბნელ, მისტიკურ ცრურწმენას? მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი ურთიერთკავშირი მაინც არსებობდა და იმდენად მტკიცე იყო იგი, რომ ათას წლებს გაუძლო მოყოლებული VI საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით. ჭადრაკი იმ ხანაში იწყებს არსებობას, როცა აღმოსავლეთში ქალდეური ასტროლოგიის სხვადასხვა სისტემაა გაბატონებული. ამ სისტემამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ირანში ზოროასტრიზმის ეპოქაში, ანუ იმ დროს, როცა ამ მხარეში ჭადრაკს გაეცნენ.

ასტროლოგიის საფუძველი იყო მოძღვრება რწმენაზე, რომ ვარსკვლავები და თანავარსკვლავედები იდუმალ ზემოქ-

მედებას ახდენდნენ ადამიანთა ცხოვრებაზე მათს მოქმედებასა და ზრახვებზე.

ეს იყო საზოგადოების თავდაპირველი ასტრალური კულტის გადმონაშთი, კულტი მზისა და მთვარისა, ღვთაება-მოციქულთა, კულტი ადამიანებსა და კოსმოსს შორის შუამავალთა.

ყველაზე დიდი სიბრძნე, უმდიდრესი რამ, რაც კი ადამიანს შეუქმნია თავის დროზე, ციური ძალებისათვის მიუძღვნია. ამგვარ ჩვეულებას, რა თქმა უნდა, ადამიანთა გონების გამომხატველი ჭადრაკიც ვერ გაექცეოდა. ჭადრაკის თამაში არის ღვთიური ძალების მიერ ადამიანთა სიბრძნის გამოცდაო, სიბრძნისა, რომელიც ისევე უსასრულოა, როგორც 64 უჯრის შესაძლებლობა.

ამიტომ იყო, რომ ჭადრაკის დაფა და ყველა 32 ფიგურა, არაბი მეცნიერის მასუდის თქმით, აყვანილი იყო თანავარსკვლავთა კანონებზე დამყარებულ „მაღალ სხეულთა ალეგორიის“ საგნამდე. ამ „ალეგორიების“ ცრუ რწმენის შედეგად ყალიბდებოდა უამრავი საიდუმლოებით მოცული „მეცნიერებანი“, რომელთაც საკულტო მეცნიერებებს უწოდებენ: ნეკრომანტია, მისნობა, თეურგია, თეოსოფია და სხვ. ისინი შემდგომ სიბრძნის დარგის რთულ სისტემად ჩამოყალიბდნენ. აღმოსავლური ასტროლოგიის ჩანასახმა ფართო განვითარება ჰპოვა და იგი ჯერ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა. მერე ისევ უკან დაბრუნდა და აღმოსავლეთშიც მოიკიდა ფეხი. თავდაპირველად ასტროლოგიამ მისტიკის ქსელში გაახვია ახლო და შორეული აღმოსავლეთის ხალხები, ხოლო ახლო მომავალში მთელი მსოფლიოს მეცნიერებას ჩაუდგა სათავეში. მხოლოდ კოპერნიკის, ჯორდანო ბრუნოს, გალილეისა და ნიუტონის უდიდესმა აღმოჩენებმა შეულახეს ავტორიტეტი „უძველეს მეცნიერებას“.

დარტყმა სერიოზული აღმოჩნდა, მაგრამ მომაკვდინებელი მაინც არ იყო, ვინაიდან ასტროლოგიამ ზუსტ მეცნიერებათა აღმოჩენის შემდეგაც კიდევ სამას წელს იარსება. ჯერ კიდევ მეცნიერებასთან სრული კავშირის გაწყვეტამდე ასტროლოგიას, ამ „ეშმაკის მოძღვრებას“, ქრისტიანული ეკლესია საბოლოოდ ჩამოსცილდა.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ასტროლოგიასა და ალქიმიაში თავიდანვე მოსისხლე მტრები დაინახა. მტრები, რომლებიც

წარმართობის წარმომადგენლები და საეკლესიო კანონებისათვის უცხო იდეის პროპაგანდისტები იყვნენ. ქრისტიანული რელიგიის სამღვდელოება მიისწრაფოდა საბოლოოდ გაენადგურებინა მტრები. „ღმერთსა და ეშმაკს“ შორის სასტიკი ბრძოლა გამოცხადდა და მან ათასობით ხალხი შეიწირა, მაგრამ წარმართობის დაძლევა ადვილი არ აღმოჩნდა. უძველესი მეცნიერების ცრუ რწმენებმა ძალიან ღრმად გაიდგეს ფესვები ადამიანთა აზროვნებაში, ხოლო რაც შეეხება ჭადრაკს, ასტროლოგია მასზე გავლენას XVI საუკუნემდე ახდენდა. ამ დროის საჭადრაკო ტრაქტატები უკვე არაფერს ამბობენ „ალეგორიებზე“. მხოლოდ უძველესი სპარსული ხელნაწერების და განსაკუთრებით არაბული და შუასაუკუნეების დასავლეთევროპული ავტორებისაგან შეიძლება „მაღალ სხეულთა ალეგორიების“ არც თუ ისე ზუსტი სურათის აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ დასაგმობია ყოველგვარი კულტი, მაინც უნდა ითქვას, აზროვნების ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა ასტროლოგიამ. თავის დროზე საზოგადოების ცოდნის არსის გასაფართოებლად ბევრი რამ გაკეთდა ასტრონომიის, ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის სფეროში. ეს მემკვიდრეობა შემდეგში კიდევ უფრო განვითარდა და დაიხვეწა.

ჭადრაკისა და ასტროლოგიის კავშირი ჯერ კიდევ დაახლოებით XVII საუკუნეში შეწყდა და პრაქტიკული თვალსაზრისით საკვლევად უკვალოდ გაქრა. მაგრამ, როგორც ისტორიულმა ფაქტმა, რომელსაც ოდესღაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აუცილებლად უნდა მიიპყროს მეცნიერთა ყურადღება. უფრო გამძლე აღმოჩნდა ასტროლოგიური მეცნიერებების „მოძღვრებათა“ სხვა სფეროები. XX საუკუნის პირველ ნახევარში, გასართობი ლიტერატურის სახით გამოდიოდა შემდეგი წიგნები: ი. პროტასოვის „იმქვეყნიური ცხოვრების საიდუმლოებანი“, ა. ტროიანსკის „ასტროლოგიური ლექსიკონი“, პარაცელსის „უმაღლესი მაგია“, „მაგიური ქვები“, საკულტო მეცნიერებათა ჟურნალი „იზიდა“ და სხვ.

ჩვენი შრომის მიზანია ჭადრაკის ისტორიის გარკვეული მონაკვეთის აღდგენა და თამაშის განვითარების პროცესის შეცნობა. ასტროლოგიისა და ჭადრაკის კავშირის საკითხი ჯერ კიდევ თე-

თრი ლაქაა, რომლის შესავსებად მეცნიერულმა აზროვნებამ დღემდე ვერ მოიცალა.

ჩვენ რა თქმა უნდა, პრეტენზიას არ ვაცხადებთ პროგნოზებისა და დასკვნების სრულყოფაზე, რადგან შეუძლებელია ამომწურავად გავეცნოთ იმ ზღვა მასალას, რომლებიც მოიპოვება ძირითადად ახლო და შორეული აღმოსავლეთის გამოუქვეყნებელ დოკუმენტებში.



შუა საუკუნეების ასტროლოგიური ჰადრაკის სქემა
ამოღებულია წიგნიდან: „მაგიდის თამაშობები".
ალფონს ბრძენის ესკურიალური ხელნაწერი 1283 წ.

ცა, პლანეტები, ზოდიაქოს ნიშნები შვიდი მოთამაშისათვის განკუთვნილ „ასტრონომიული ჰადრაკის" ელემენტებს წარმოადგენდა. თამაში ცენტრალური წრეებისაგან შედგენილ მრგვალ დაფაზე მიმდინარეობდა. პლანეტების მდებარეობა განსაზღვრული იყო პტოლემეოსის სისტემის მიხედვით, ე. ი. მთვარე, მერკური (ოტარიდი), ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი (მუშთარი)

და სატურნი (ზუალი). ზოდიაქოს ზოგიერთ ნაწილში აღნიშნულია ამა თუ იმ ფიგურის ანუ პლანეტის საწყისი პოზიცია. თითოეული მოთამაშე ერთ ცას განასახიერებდა.

ჭადრაკის ასტროლოგიურ კავშირთა ანალიზის ცდა

(უძველესი თამაშობანი და მათი ასტროლოგიური საფუძვლები)

ჭადრაკის გამოჩენა ინდოეთში ჩვენი წელთაღრიცხვის V—VI საუკუნეთა მიჯნაზე სამართლიანად აღიარებულია შუა საუკუნეების ხალხთა კულტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფაქტორად.

ეს არ არის უბრალო მახვილგონივრული თამაში, რომელსაც მხოლოდ გართობის მიზნით იყენებდნენ, ასეთი თამაშობები გამოჩნდებიან და ქრებიან, ბრძნული თამაში კი მარადიულია. ჭადრაკი მხოლოდ გასართობი როდია. ის მარტო ორი ან ოთხი ინდივიდის (ჩატურანგა—ოთხი კუთხე)[1] შეჯიბრება კი არ არის, არამედ თავისებურ განკერძოებულ ცენტრს, ფილოსოფიურ რადიუსს წარმოადგენს, რომელშიც უძველესმა ხალხებმა ადამიანთა უამრავი ცოდნა და რწმენა ჩააქსოვეს. ასტრალური კულტის ელემენტები, მითოლოგიური სახეები, მათემატიკური ცოდნა (რიცხვების მისტიკური ფილოსოფია) ხელოვნება ღრმად შეიჭრა ოთხკუთხა მაგიური დაფის უსასრულო სიღრმეში, ე. ი. შეითვისა ყველაფერი მნიშვნელოვანი ათასეული წლების მანძილზე დაგროვილი ადამიანის შემოქმედებითი გენიის მდიდარი არსენალიდან. სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ჭადრაკი ისე დავახასიათოთ, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი კაცობრიობის კულტურის გამოვლინებისა. ამაშია ბრძნული აღმოსავლური თამაშის უკვდავების მიზეზი. ჭადრაკის განსაზღვრის დასადასტურებლად ჩვენთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს საკითხს — იყო თუ არა ჭადრაკი რომელიმე ერთი კაცის გამოგონება (მაგალითად, ლეგენდარული სისა ბენ დიგორისა), თუ იგი წარმოადგენს ხალხური სიბრძნის, ხალხური შემოქმედების უძველეს ტრადიციათა დაგროვების პროდუქტს.

[1] ამ თამაშის სახელიდან წარმოდგა: ჩატრანგი, შატრანგი, შატრანჯი, სატრანჯი და სხვ., მათ შორის ქართული ჭადრაკიც.

ეს საიდუმლეობა ალბათ ვერასოდეს ამოიხსნება და ვერც ისტორიულად დასაბუთდება, რადგან საუკუნეები ეჭვით ხურავენ ჭადრაკის უამრავ საიდუმლოებას, მის წარმომავლობას თუ პროგრესს, ბევრი რამ ჯერჯერობით ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია. ამგვარ „თეთრ ლაქებს“ შორის უმთავრესია ურთიერთკავშირი ჭადრაკისა ასტროლოგიურ პრინციპებთან, მათემატიკური რიცხვებისა მისტიკასთან და მითოლოგიის მიერ შექმნილ უძველესი დროის ასტრალურ კულტებთან. აი, ეს წარმოადგენს ჩვენი ანალიზის საგანს.

მაგრამ სანამ ამ კავშირის საერთო ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა წინასწარ მოკლედ მიმოვიხილოთ ასტროლოგიის საგანი და მისი წარმოშობის ისტორია, რადგან იგი ნათელ ფონს შექმნის ჩვენი თემის ძირითადი საკითხების გასაშუქებლად.

თანამედროვე მეცნიერება სავსებით და მთლიანად როდი გამორიცხავს ასტროლოგიის მნიშვნელობას მეცნიერების ღრმად შესწავლის მიზნით თანამედროვე პროგრესის გზაზე. მაგალითად, უამრავ საიდუმლოს ამოცნობა შეიძლება ქიმიისა და ფიზიკის სფეროში მისტიკოსალქიმიკოსების მეშვეობით. არ არის უარყოფილი აგრეთვე მნათობების ზეგავლენაც ბავშვების ჯანმრთელობისა და გონებრივ შესაძლებლობებზე, ე.ი. უძველესი ჰოროსკოპების შედგენის ერთ-ერთი მეთოდი, და ა. შ. როგორც ცნობილია კალენდარის შედგენა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ასტროლოგიასთან, პლანეტების მოძრაობასა და ზოდიაქოსთან. თანამედროვე მატერიალისტური მეცნიერება უსიტყვოდ უარყოფს მხოლოდ ასტროლოგიის მისტიკურ-რელიგიურ მხარეს, კერძოდ, ცრუმორწმუნეობას, ეშმაკებს, ალქაჯებს, თეოსოფიას და მისნობას. დაბოლოს, უძველეს თამაშობათა მატერიალური კულტურის ძეგლების (კერძოდ ჭადრაკისა) მიხედვით ირკვევა ასტროლოგიის გავლენა არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ გარეგან ფორმებზეც.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: სათამაშოს ძველისძველი ნიმუში ნაპოვნია უძველესი ურას (3000 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მეფეთა სამარხებში. იგი შედგება ორი მაგიური კვადრატისაგან, რომელთა მოყვანილობაც უძველესი შელოცვის ნიშნების სისტემაშია ცნობილი[1] და სიმბოლური თანავარ-

[1] კვადრატების მნიშვნელობასა და რიცხვების ცრუმორწმუნეობაზე იხ. ვასილევი, „რიცხვთა ცრუმორწმუნეობაზე,“ 1885 წ.

სკვლავედების გამოსახულებებს წარმოადგენს; ეგვიპტური სათამაშო დაფა ცის სფეროების რადიუსებით; უძველეს აცტეკთა თამაში დაფაზე, რომელზედაც შელოცვის ნიშანი — ჯვარი[1] და თანავარსკვლავედთა პირობითი ნიშნებია გამოსახული; ბოლოს, ტიბეტური საკულტო ჭადრაკი დაფის ბუდისტური სიმბოლოებითა და მისტიკური ორნამენტით მარადისობის თვალთა „ყოვლისმხილველთა". ეს დამაჯერებლად მეტყველებს, რომ უძველეს ხანაში მაგიდის თამაშობები მიაჩნდათ, როგორც მოქმედება, რომელსაც ხელმძღვანელობს ღვთაება და მის ნებასურვილზეა დამოკიდებული. ამაზე მოგვითხრობს ინდოეთის, არაბეთისა და აგრეთვე შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის საჭადრაკო ლიტერატურა[2].

მკითხაობის მიზნით გამოყენებული ტიბეტური საჭადრაკო დაფის საწყის უჯრაზე გამოსახულია ბოდისატვი მანჟუშრი (ტირი—სომხებში და მერკური—ევროპელებში), ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი.

მესამე რიგში ზემოდან, უჯრაში (თუ მხედველობაში მივიღებთ თეთრი ფიგურების ბანაკს) „ყოვლისმხილველი" თვალის იმავე სინონიმს ვამჩნევთ, როგორიც ურას დაფაზეა.

უძველეს თამაშობათა ნიმუშები იმ დროს წარმოიშვნენ, როდესაც კაცობრიობა ასტროლოგიის კანონებს ემორჩილებოდა. ეს კანონები ყურადღებას იქცევენ ცალკეული დეტალების ანალოგიის დროს, რაც ნაწილობრივ მაინც ადასტურებს ჰიპოთეზას იდეოლოგიურ ტრადიციათა ღრმა სიძველეზე, რომელმაც ოცდაათ საუკუნეზე მეტს გაუძლო. ამ ტრადიციების განხილვისას ერთი საკითხი იჩენს თავს; როგორ დავუკავშიროთ ერთმანეთს ტერიტორიულად საკმაოდ დიდ მანძილზე დაშორებული, ვთქვათ, ახლო აღმოსავლეთში მდებარე ურა და ამერიკის მატერიკზე აცტეკების სამეფო. როგორი ისტორიული კავშირის გზით ხდებოდა ამ იდეების მიგრაცია?

ამ საკითხებს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი ასტროლოგიის ისტორიის მიმოხილვის გამო ძირითად თემას ოდნავ გადავუხვევთ.

---

[1] ჯვარს ქრისტიანობამდე, როგორც შელოცვის ნიშნის ემბლემას, ავგაროზის მნიშვნელობა ენიჭებოდა.

[2] იხ. ალფონს ბრძენის ესკურიალური ხელნაწერები.

უძველეს დროს, როდესაც ადამიანთა საზოგადოება წარმოიშ-ვა, ხალხი ბუნების ძალებს, ციურ მნათობებს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს ეთაყვანებოდა. მათ სწამდათ, რომ ისინი ამ კოს-მოსურ ძალებზე — ღვთაებებზე არიან დამოკიდებულნი. ასე აღმოცენდა რელიგიებს შორის უძველესი ასტრალური კულტი.

ჩვენთვის ცნობილი ბაბილონის საკულტო ლიტერატურა იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთმა მარდუკა ბელმა დააწესა პლანეტების, მზისა და მთვარის მოძრაობა. შუმერების, ქალ-დეველების, ხეთების, ეგვიპტელების, აგრეთვე ირანელების, ინდოელებისა და არაბების მოგვიანო ხანის დოკუმენტები ასა-ხავენ ასტროლოგიის მიერ შექმნილ საკულტო იდეებს და ზოომ-ორფულ ღვთაებათა: მზესა და მთვარეს, ზეცასა და დედამიწას შორის შუამავალ კულტის სიმბოლურ სახეებს.

ამ სახეთა უმრავლესობა, იდეოლოგიურად შეისისხლხორცა საქადრაკო ტერმინოლოგიამ და იგი საგვარტომო-იდეურ ქრო-ნიკად გადააქცია.

გადიოდნენ საუკუნეები, ვითარდებოდა ადამიანის აზროვ-ნება, შემოქმედებითი იდეები, ხდებოდა გარესამყაროს შეც-ნობა, წამოიჭრა რთული წარმოდგენები კოსმოსურ სამყაროზე. ადამიანთა შემოქმედებითმა ფანტაზიამ დაიწყო მითოლოგიუ-რი ხასიათის სახეებით შექმნა: ცხოველების, ფრინველების, ფრთოსანთა და უფრთოთა, გველების, თევზების, რომელთაც მზისა და მთვარის პანთეონების კეთილ და ბოროტ მაცნეებად წარმოგვიდგენდნენ. ბოროტ სულთაგან თავდაცვის სურვილმა წარმოქმნა ავგაროზების უდიდესი სიმბოლიკა, შელოცვის ნიშნები, ოჯახის მფარველთა სახეები და სხვ.

უფრო გონიერმა და მოხერხებულმა ადამიანებმა ხელთ იგ-დეს ძალაუფლება და გაბატონდნენ მათზე. შექმნეს ეკლესიის მსახურთა მისნებისა და ქურუმთა კიტა, რომელმაც თავს იდო მისია ეშუამავლა ღმერთებსა და ადამიანებს შორის, აეხსნა ციურ მნათობთა ძალების ზემოქმედება და ეწინასწარმეტყვე-ლა მომავალი.

ასტრალური კულტის განვითარებამ მოითხოვა დასაბუთე-ბული სისტემის ჩამოყალიბება; სწორედ ასეთი სისტემა აღმოჩ-ნდა მეცნიერებათა შორის უძველესი მეცნიერება — ასტრო-ლოგია. მიაჩნიათ, რომ ასტროლოგია როგორც სისტემა ჩამოა-

ყალიბეს ქალდეველებმა 3000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ანუ ხუთი ათასი წლის ისტორიული პერიოდით ჩვენი წელთაღრიცხვით. ასტროლოგიის მიხედვით ღვთაებათა მთლიანი კოსმოსური ანსაბლი არსებობს მხოლოდ დედამიწისათვის (გეოცენტრიზმი). მისტიკურ-რელიგიურ იდეათა და ცრურწმენათა განვითარებასთან ერთად გაჩნდა ზუსტი მეცნიერებების ჩანასახებიც: ასტრონომია, მათემატიკა, ფილოსოფია, ლიტერატურა და სახვითი ხელოვნება. გონივრულ თამაშობებს განსაკუთრებული, მისტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო სათამაშო დაფებს ეძლეოდა შესალოც ნიშანთა — ჯვრის, კვადრატების, წრეების, სწორკუთხედებისა და სხვა მოყვანილობა. წლის დროს დღეებს, კვირებს, ძვირფას ლითონებს და ქვებს ანდა ამა თუ იმ ფერს ათასგვარ ცრურწმენას უკავშირებდნენ. ის კი არა, მედიცინაშიც გავრცელდა ისეთი ცრურწმენები, რომელიც მეცნიერულ ცდებსაც ეფარდებოდა.

ქალდეურმა ასტროლოგიამ თავდაპირველად ახლო და შორეული აღმოსავლეთი დაიპყრო. გამარჯვებული შეიჭრა დასავლეთ ევროპის კულტურაში და თითქმის ორი ათასი წლით დაიმონა იგი. ბაბილონიდან და ეგვიპტიდან ასტროლოგიამ ინდოეთსა და ირანშიც შეაღწია. ციურ მნათობთა გავლენას კოსმოსურ სარწმუნოების სისტემაზე მოგვითხრობს ინდური „ვედები“, რომელიც ჩამოყალიბდა XV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ძველი საბერძნეთის ავტორები მათ შორის ისტორიკოსი ჰეროდოტე, გვიმოწმებს, რომ ასტროლოგია საბერძნეთში ქალდექალებისაგან გავრცელდა. უფრო სწორად — ბერძნები ქალდეურ ასტროლოგიას ეგვიპტის მეშვეობით გაეცნენ. მთელმა რიგმა ბერძენმა მეცნიერებმა: პითაგორამ, ანაქსიმანდრემ, ანაქსაგორამ, პლატონმა და სხვებმა მოიარეს ეგვიპტე და ეგვიპტურ ტაძართა ქურუმების შემწეობით გაიცნეს ასტროლოგია, აქვე დაეუფლნენ ისინი ძველ სწავლულთა მეცნიერულ ასტრონომიას.

მათივე გავლენით წერს პითაგორა ასტრონომიულ-ასტროლოგიური ხასიათის შრომას „სფეროთა ჰარმონიაზე“, ხოლო პლატონის მოწაფე თავისი დროის გამოჩენილი ასტროლოგი ევდოქსეს კნიდიელი (408 —353 წ. ჩვ. წ-მდე) ამუშავებდა რამდენიმე თემას ასტროლოგიაში, რომლებსაც ჩვენამდე არ მოულ-

წევია. უდიდესი ნაშრომი — „ასტროლოგიის შესავალი", დაგვიწერა ევდოქსეს თანამედროვემ გემინიოს როდოსელმა. ამავე თემაზე წერდა არატსოლიელი (270 წ. ჩვ. წ-მდე). მისმა ნაშრომებმა ევდოქსეს ნაშრომთა მსგავსად ორიგინალის სახით ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია. მათ მხოლოდ ციცერონის, კეისრის, გერმანიკის, რუფისეს და ფესტა ავიენას ლათინური თარგმანებით ვეცნობით. მაგრამ ამ პერიოდის უფრო დიდი ნაშრომია ემპიდოკლეს ნაწარმოებები. ასტროლოგიამ ყველა თავისი მისტიკური განხრით, ფართოდ გაითქვა სახელი ბერძენი ისტორიკოსების წყალობით, განსაკუთრებით გამოირჩევა ქრისიპე (280 — 206 წ. ჩვ. წ.-მდე.) და დიოგენი. მისნობას მოიხსენიებს აგრეთვე ჰომეროსიც თავის „ოდისეას" მეთერთმეტე სიმღერაში. ამავე დროს ცნობილი იყო ჯადოქარ ფეორიას სახელიც, რომელზედაც მოგვითხრობს დემოსთენე. ფეორია ღმერთთა აბუჩად აგდების გამო სასტიკად დასაჯეს. მიუხედავად ამისა ასტროლოგიური მისტიკით, მისნობით და სხვა გატაცებით გამოვლენილი მეცნიერები, მაგალითად, პლატონი, იმ აზრისა იყვნენ, რომ საჭიროა და სასარგებლოც ყოველგვარი საკულტო მეცნიერებების აკრძალვაო. ასტროლოგიამ თავისი განვითარების ზენიტს საბერძნეთში მიაღწია 150 წ. ჩვ. წ-მდე. კლავდიუს პტოლემეოსის კაპიტალურ მოძღვრებაში „Opus quadripartitum seu de apotelesmatibus et iudicis astrorum libri quatuor" მისმა სისტემამ საუკუნეებს გაუძლო. პტოლემეოსი უარყოფდა ვარსკვლავთა გავლენას ცალკეულ არსებებზე, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდა ასეთი აზრი, რომ მიწიერი ცხოვრების შეცვლა შესაძლებელია ვარსკვლავების დახმარებით (საინტერესოა ისიც, რომ ასეთივე აზრი გამოთქვა დიდმა კეპლერმა 1500 წლის შემდეგაც). ძალიან ბევრს მუშაობდა ასტროლოგიის დარგში მათემატიკოსი პროკლე დიადოხოსი (410 — 485 წწ.) რომმა ასტროლოგია ბერძნებისაგან ისესხა, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ აგრეთვე ეგვიპტელთა, ქალდეველთა და ებრაელთა როლს ამ საქმეში.

საიდუმლო მისნობა, ცრუმორწმუნეობა და ჯადოქრობა იმდენად ფართოდ შეიჭრა რომაელთა ყოფაში, რომ სახელმწიფო იძულებული გახდა მის შესაზღუდად გადამწყვეტი ზომები მიეღო და ისინი 12 ტაბულის კანონებში (450 წ. ჩვ. წ-მდე) მოექ-

ცია. ამ კანონებით გათვალისწინებული იყო სასტიკი დასჯა ჯადოქრებისა და შანტაჟისათვის. მაგრამ ზოგიერთი რომაელი იმპერატორი, მაგალითად, სეპტიმიუს სეევერი და ალექსანდრე სეევერი, თვითონვე იყო გატაცებული ასტროლოგიური საიდუმლოებებით და შემოიღო კიდეც საიდუმლო მეცნიერებების მასწავლებელთა თანამდებობა. ამ დროს ასტროლოგი ცენზორი (138 წ.) უამრავ შრომას წერს სფეროთა მუსიკაზე. მუშაობენ ასტროლოგები: ტრაზიბულე (225 წ.), ანდრუცაგარი (230 წ.), თემიოსი (250 წ.) და სხვები რომელთა ნაშრომებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.[1] პერიოდულ აკრძალვას არ შეეძლო შეეჩერებინა „ქალდეველებისა" და „მათემატიკოსების" მიერ (ასე უწოდებდნენ საიდუმლო მეცნიერებათა პროპაგანდისტებს) მოწოლილი მისტიკური ტალღა. თვით 'გნოსტიკოსებისა და პროსციანელების ქრისტიანული სექტებიც კი იშველიებდნენ ხოლმე ასტროლოგიურ ფორმულებს. ევროპული ცივილიზაციის ამ ადრეულ პერიოდში უძველესი ასტროლოგია ზუსტ მეცნიერებებს, განსაკუთრებით კი ასტრონომიას, ფეხდაფეხ მისდევდა. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი მათგანი წარმოადგენდა მეცნიერებათა ზრდის სტიმულს ბაბილონის, ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის (ნაწილობრივ ბიზანტიის) ეპოქაში.

ასტროლოგია არ ყოფილა მეცნიერების ანდა ცივილიზაციის პროგრესის დამმუხრუჭებელი, როგორც ეს შუა საუკუნეების ევროპაში მიაჩნდათ. ქრისტიანული ეკლესია სასტიკი მტერია ყოველივესი, რაც მიეწერება არა ღმერთს, არამედ ავსულს, ანტიქრისტეს. ამიტომაც იგი სასტიკ ბრძოლას უცხადებს ასტროლოგიასა და მის პროპაგანდისტებს.

იმპერიის ადრეულ პერიოდში სახელმწიფო მხარს უჭერს და საშინელ კანონებს სცემს „ავი სულების აპოსტოლების" წინააღმდეგ. მოვიყვანთ ამ კანონის ერთ-ერთ ტექსტს, რომელიც იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ იქნა გამოცემული: „არსებობენ ადამიანები, რომლებიც დემონების დახმარებით

---

[1] რომაულ ეპოქაში ასტროლოგიის ფართო გავრცელებაზე მოგვითხრობენ ოვიდიუსი, სერენასამონიკი, პლინიუსი, პლატონი, ვირგილიუსი, იუვენალი, ციცერონი და სხვ.

გზავნიან ქარიშხალს და თავს ესხმიან ხალხის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. თუკი მათ რომში მივაკვლევთ, გადავცემთ ნადირთა დასაგლეჯად ცირკს, ხოლო თუ პროვინციებში მოვიხელთებთ, წამება არ ასცდებათ: ხორცთა გლეჯა და შემდეგ სიკვდილი!"

ასეთმა სასტიკმა კანონებმაც კი ვერაფერი დააკლეს ასტროლოგიური ერების გავრცელებას. მისნობამ, კულტის თაყვანისმცემლობამ, ჯადოქრობამ აქ ძველ რომზე უფრო მეტად გაიდგა ფესვები. საინტერესოა, რომ თვით კონსტანტინე დიდის სასახლეშიც კი მუშაობდა ასტროლოგი ფირმიკიოს მატერნი. სხვა იმპერატორები კი, მაგალითად, იულიანე განდგომილი, თვითონვე მფარველობდნენ მეცნიერებებს. ქრისტიანული საუკუნეების დიდ ასტროლოგთა შორის უნდა გამოვყოთ მათემატიკოსი სინოპიდან აქვილეს პონტიკუსი. 150 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით იგი ეკლესიიდან გააძევეს თავისი ნაშრომების გამო. სექტემპირიკოსმა საკულტო მეცნიერებას უამრავი გამოკვლევა დაუტოვა. მათემატიკოსმა თეონმა (365 წ.) დაწერა „პტოლემეოსის განმარტებანი", ასტროლოგიის სფეროში მუშაობდა თვით ეპისკოპოსი თეოდორიტეც (481 წ. ჩვ. წ-ით).

ამ ეპოქის უკანასკნელი დიდი ასტროლოგი იყო იოანე ლავრენტი ლიდიელი (490 — 565 წ. ჩვ. წ-ით). მისი ნაშრომები ჩვენთვის უცნობია.

ასტროლოგიის გავლენის ქვეშ მოექცა აგრეთვე ბიზანტიური ჭადრაკიც. მრგვალი დაფა მზესა და ცის სფეროებს გამოხატავდა, რომელთა რადიუსშიც ჭადრაკის ფიგურები მოძრაობდნენ. ასეთი ასტროლოგიური ჭადრაკი თავისი დაფით წაგავდა ეგვიპტურ თამაშს მრგვალ დაფაზე და პროტოტიპს წარმოადგენდა XIII საუკუნეში ალფონს ბრძენის[1] მიერ აღწერილი ასტრონომიული ჭადრაკისას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩინეთში ცნობილი იყო ჭადრაკი ოთხი მოთამაშისათვის. აქაც ფიგურები რადიუსების მიმართულებით აკეთებდნენ სვლებს[2].

ტიბეტის მსგავსად უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი ჩინეთში ჭადრაკზე მკითხაობა.

---

[1] „წიგნი მაგ დის თამაშებზე", ესკურიალური ხელნაწერი, 1283 წ.

[2] იხ. ლეონტიევის შრომა „ჩინური ჭადრაკის თამაშის აღწერა", 1775 წ.

ასტროლოგიური და ასტრონომიული ნიშნების განვითარებისა და დახელოვნების მიზნით ბევრი რამ გააკეთეს არაბებმა. ისინი დიდად აფასებდნენ კლავდიოს პტოლემეოსის შრომებს და მას ალმაჯესტს, ე. ი. ადამიანის გონების უდიდეს შემოქმედს უწოდებდნენ. არაბული ასტროლოგიის მამამთავრად ითვლება ალბუჰატერი (500 წ. ჩვ. წ-ით), რომელმაც დაწერა შრომა ჰოროსკოპების შედგენის სისტემებზე, ანუ სქემა ადამიანთა ცხოვრების ბედ-იღბალზე („Liber genethliacus sive de navitatibus"). მისი მიმდევარი იყო აბალახია 568 წ. — ასტრონომი და ასტროლოგი. ცნობილია თავისი გამოგონებებით ხალიფა ალი-მანსური (მართავდა 754 — 776 წწ.) ისტორიული ანალიზისა და ცნობების მხრივ მეტად საყურადღებოა ჯიაფარ ალ-მასეშერი ხორანელის (დაიბ. 805 წ.) შრომა. მის ნაშრომში „სიმართლეზე" მოყვანილია საინტერესო დეტალები ინდოელების, ეგვიპტელებისა და ირანელების ასტროლოგიაზე. შემდეგ ცნობილი იყო აბუ-ალკენდი ბასრელი, რომელიც ბაღდადში არისტოტელეს ფილოსოფიას, ასტროლოგიასა და მისნობას ასწავლიდა. მისი უდიდესი ნაშრომია: „introductio ad judicia astrologiae de radiis".

აბუაზან გალმა და აბუ-მაჯარმა უდიდესი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების ევროპული ასტროლოგიის განვითარებისათვის.

დიდი წვლილი მიუძღვით ასტროლოგიის განვითარებაში ებრაელ მეცნიერებს: ტაბენ ბენ-კორახის (860 — 900 წწ.) ნაშრომი „De Mogia naturalis", „De signilicatione planetarum" ძალზე პოპულარული იყო. გამოჩენილ ასტროლოგებად ითვლებოდნენ აგრეთვე არცახელ ბენ-ეზრა და ცნობილი ასტრონომი, თეოლოგი და ფილოლოგი აზოფი აბრაას ბენ-ეზრა (1093 — 1168 წწ.). ებრაელ ასტროლოგთა სკოლები იფურჩქნებოდა არაბი ხალიფების მფარველობის წყალობით.

შორეულ აღმოსავლეთში ასტროლოგია ისეთივე ძველთაძველი მოვლენაა, როგორიც იგი ახლო აღმოსავლეთში იყო. მაგალითად, იაპონიაში ასტროლოგია არაბეთის მსგავსად მედიცინას ემსახურებოდა („კიუსიუგაგამის" ტრაქტატი).

ჩინეთში ჯერ კიდევ V — VI საუკუნეებში არსებობდა კარგად დამუშავებული ასტროლოგია (ამავე პერიოდს განეკუთ-

ვნება ახალი სახის ჭადრაკის „სიანცის“ წარმოშობაც; რომელიც ჩვენს დრომდე ძალაშია). ჩინეთში უამრავი ასტროლოგიური სკოლა ებრძოდა ერთმანეთს და იმპერატორი თსი-ჩიხიანგი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა, რათა დაეწვათ ამ სკოლების წიგნები და ტრაქტატები. შემდგომ ეს წიგნები კვლავ აღადგინეს.

ასტროლოგიის კულტი ტიბეტში, ციურ მნათობთა შემეცნების მისტიკა უძველეს მითოლოგიასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა, ხოლო შემდეგში სრულ ერთიანობაში იყო ბუდისტურ კულტებთან. ასეთია სურათი ასტროლოგიის ადრეული განვითარებისა. თუ ძველ სამყაროს შეიძლება ვუწოდოთ ასტროლოგიის პირველი სამშობლო, მაშინ შუა საუკუნეების ევროპა უნდა ჩავთვალოთ მის მიერ მეორე სამშობლოდ, რადგან ასეთი გაფურჩქვნა არც ერთ მეცნიერებას არ განუცდია.

ეს გასაგებიცაა, ამ შავბნელი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ფეოდალთა განუწყვეტელი ომები, საიდუმლო და აშკარა მკვლელობა, წამება, რომელშიაც ეკლესია ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ინკვიზიცია, მუდმივი შიში უძლურისა ძლიერის მიმართ, რომელიც ადამიანებში ნერგავდა ველურ ცრურწმენებს, ერთი მხრივ, რელიგიური ფანატიზმის და, მეორე მხრივ, ჭეშმარიტების ძიებას ჯადოქრობის საიდუმლოებებში, მისნობისა და სხვათა წინაშე.

შუა საუკუნეების ასტროლოგია მთელი ძალით უპირისპირდება ქრისტიანულ ეკლესიას. ეს იყო ორთაბრძოლა ღმერთსა და ეშმაკს შორის. შეუცნობელი ზეცა და ჯოჯოხეთი ბოჭავდა ადამიანთა გონებას და ისინი უგუნურებასა და შიშში ჰყავდა მოქცეული. ძალიან დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ასტროლოგია მაინც ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. ასტროლოგიასთან კავშირი ძალზე საპატიოდ ითვლებოდა — ყველაფერი საუკეთესო და გონიერი, რაც კი ადამიანს შეუქმნია, ციურ მნათობთა მფარველობის ქვეშ ექცეოდა.

ამ პერიოდში ჭადრაკი იდეოლოგიურად დაუკავშირდა უმდიდრეს ძველთაძველ მითოლოგიას.

წარმართული იდეოლოგიის შავბნელ, ასკეტურ დროში ოქროს გვირგვინით დამშვენებული ჭადრაკი შუა საუკუნეთა ეპოქაში შევიდა და ქრისტიანული ეკლესიის სახით უდიდესი და სასტიკი მტერი გაიჩინა.

ევროპის ნიადაგზე ფესვმომაგრებულმა ასტროლოგიამ გაფურჩქვნა იწყო თეოსოფიის, მისნობის, ჯადოქრობისა და სხვა სახით. ციურ მნათობთა კულტს ევროპულ ასტროლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, კერძოდ დაიწყო ჰოროსკოპებით, მკითხაობით, მისნობით განკურნება, ალქიმიკოსობა და „ფილოსოფიური ქვის“ დაუცხრომელი ძიება.

ერთ-ერთი პირველი ევროპელი ასტროლოგები იყვნენ ინგლისელი აიგმუნდი (846 წ.) და ვინმე პავლე, რომელსაც მეტსახელად „ფილოსოფოსი“ შეარქვეს. მათ ნაშრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ერთადერთია პავლეს „გამოცხადება“.

საიდუმლო მეცნიერება ყურადღებას იპყრობდა არა მარტო ეკლესიის წინააღმდეგ განწყობილ ხალხისა, არამედ ზოგიერთი რომაელი პაპისაც. ასეთებია სილვესტრ II (999 — 1002 წწ.), იოანე XX (1024 — 1035 წწ.), იოანე XXX (1277 წ.) და აგრეთვე ეკლესიის უმაღლესი მსახურები. მაგალითად, არქიეპისკოპოს გილდებერგ ტურიელი (1057 — 1136 წწ.), რომელმაც დაწერა ნაშრომი „მათემატიკა“, ასტროლოგიის მნიშვნელობაზეა საუბარი.

1114 — 1187 წწ. მოღვაწეობდა ერთ-ერთი თვალსაჩინო ევროპელი ასტროლოგი ექიმი, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი გერჰარდ ანდალუზიელი (ევროპაში არაბული ციფრების გავრცელების ინიციატორი). იგი ცნობილია როგორც პტოლომეოსის მთარგმნელი და დიდი შრომის „გეომანტია და პლანეტების მეცნიერება“ („Geomantia et practica planetarum“) ავტორი. სრული და საგულდაგულო გამოკვლევა ასტროლოგიაში (ასტროლოგიის გამოყენება პრაქტიკულ მედიცინაში, ადამიანის ბედის განსაზღვრა და მოვლენათა წინასწარმეტყველება) ეკუთვნის ალბერტ დიდს — „Speculum astronomiae“. მისი თანამედროვეა გამოჩენილი ავსტრიელი ასტროლოგი ერაზმ ერცოგი ფრეისანგელი ეპისკოპოსი ლეოპოლდი.

1489 წელს აუგსბურგში დაიბეჭდა მისი შრომა „Inactatus de astrorum scientia“, რომელიც დაწერა 1200 წელს. ასტროლოგიამ თანდათანობით განიმტკიცა პოზიციები და თავის ორბიტაში შეიყვანა უმაღლეს საფეხურზე მდგარი სამოქალაქო თუ სასულიერო წოდების პირები. ძველ ტრადიციებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებით დაინტერესდნენ მკვლე-

ვარებიც. თავისი უძველესი მითოლოგიით მკვლევართა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ჭადრაკის ისტორიამაც. მოდაში შემოვიდა არაბული ლიტერატურა საერთოდ, და ჭადრაკისა კერძოდ. XIII საუკუნის ბოლოს კასტილიის მეფე ალფონს ბრძენი მაგიდის თამაშობებზე წერს თავის ცნობილ წიგნს, სადაც დიდ ადგილს უთმობს ასტრონომიულ ჭადრაკს, რომელიც მთლიანად ასტროლოგიის პრინციპზეა დამყარებული. ამავე დროს ფრანგი ავტორი ფურნევალი სტამბავს პოემას „be Vetula"[1], რომელიც ჭადრაკის უძველეს ასტროლოგიურ ტრადიციებს ეძღვნება. აქვე განიხილავს ჭადრაკის, პლანეტებისა და ზოდიაქოს ურთიერთკავშირს.

ბოლოს და ბოლოს ასტროლოგიამ ისეთ ლეგალიზაციას მიაღწია, რომ იგი „მაღალი წრის მეცნიერებად" იქცა. „მაღალი წრის" სიაში, რომელიც ასტროლოგ-ისტორიკოსმა კ. კიზეველტერმა შექმნა, ჩამოთვლილია მეფეები თანამდებობის პირები, უმაღლესი სასულიერო წოდების ადამიანები და სხვები, ვინც ასტროლოგიას ეცნობოდნენ და სწავლობდნენ. დიდად გაითქვა სახელი სამეფო კარის ასტროლოგმა და მეცნიერმა მიხეილ შოტლანდიელმა. მისი ნაშრომებია „ფიზიოგნომიკა" და „ბუნების საიდუმლოებაზე". ეს ავტორი ცნობილია აგრეთვე არისტოტელეს და ავიცენას თარგმანებით.

მეფე ჰენრიხ მესამეს თავისი ასტროლოგი, ვილჰელმ პარმელი, ჰყავდა, რომლის რჩევის გარეშეც არც ერთ ბრძოლას არ იწყებდა.

ასტროლოგიის გაფურჩქვნის პერიოდში ნელ-ნელა იზრდებოდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგობის ტალღა. ამ ბრძოლის გამოჩენილი პიროვნება იყო ალბერტ დიდის მოწაფე თომა აქვინელი (1227 — 1274 წწ.). კათოლიციზმის ფანატიკოსმა და რელიგიის თეორეტიკოსმა თავის ნაშრომებსა და წიგნში „Summa Theologia" განავითარა თეორია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე კათოლიკური ეკლესიის დოგმად იქცა.

ასტროლოგიის ისტორიკოსები დაცინვით უწოდებდნენ მას წმინდანს, რომელიც თითქოს ერთ ბოროტებასთან ბრძოლის

[1] „...Rex est Sol, pedes est saturnus, mars quoque miees, regia viegia Venus, Alphinus Episcopus ipse est jupiter, et roccus dis currens Luna"...

დროს მეორეში გადავარდა. მან აკრძალა მისნობა და ნეკრომანტია, მაგრამ დაუშვა ავგაროზები ღვთაებათა ლოცვებით, ყოველგვარი წმიდა ბალახი და რელიქვიები.

XIII საუკუნეში ფეხს იკიდებს ინკვიზიცია, სამსჯავრო, წამება, დასჯა, გამოდის კანონი ასტროლოგთა წინააღმდეგ და სასტიკად ისჯება ის, ვინც შენიშნული იქნება წარმართული ერესების პროპაგანდასა და ავსულებთან ურთიერთკავშირში.

ბევრი ასტროლოგი აშკარად ქადაგებს საკუთარ შეხედულებებს. მაგალითად, როჯერ ბეკონი (1214 — 1294 წწ.) ცდილობს მეცნიერულად დაასაბუთოს ასტროლოგია, ე. ი. ამოიღოს მისგან ყოველგვარი ფანტასტური და მეცნიერულად დასაბუთებული ფორმულით განამტკიცოს. ბეკონი ალქიმიის სფეროშიც მუშაობს. ამავე ეპოქაში მოღვაწეობს ექიმად არა მარტო თავისი ცოდნით, არამედ უდიდესი შემოსავლითაც. მას დღეში 400 კრონი შემოსდიოდა. ავსულებთან კავშირის გამო ალბანო გაასამართლეს და ციხე მიუსაჯეს. ციხეში იგი მოწამლეს კიდეც. აუხსნელი რჩება ერთი რამ: სულ მალე ალბანოს გარდაცვალებიდან პადუაში მის სადიდებლად ძეგლი ააგეს.

ტრაგიკულად დაიღუპა მეორე ასტროლოგი, დიდად განსწავლული ადამიანი, დანტეს მეგობარი ცენკო დასკოლი. იგი იყო ფილოსოფოსი, თეოლოგი, მათემატიკოსი, პოეტი და ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი. პირველად დასკოლი სამართალში მისცეს ქრისტეს ცხოვრების ასტროლოგიურ შეხედულებათა გამო. მეორედ მას დასწამეს კალაბრიის ჰერცოგის მეუღლის, მარია ვალუასა და მისი ასულისათვის ჰოსოსკოპების შედგენა, რითაც მან ქალებს ამორალური ცხოვრება უწინასწარმეტყველა.

ხანგრძლივად და შემოქმედებითად მუშაობდა ასტროლოგი, ასტრონომი და იურისტი გვიდო ბონატი (1230 — 1300 წწ.). იგი მეფის სასახლის წევრი იყო და ლექციებს კითხულობდა პარიზსა და ბოლონიაში. ასტროლოგიის ორიგინალურ რენეგატად ითვლება, თავადი დე-მირანდოლა (1463 — 1494 წწ.) თავდაჯერებული ბნელეთის მოციქული, უეცრად ბოროტად ესხმის თავს ყველაფერს, რაც კი ასე თუ ისე ასტროლოგიას შეეხება. საკუთარი მუქარა გამოხატა მან კაპიტალურ ნაშრომში („Disputationes in astrologikau"), სადაც მთლიანად უარ-

ყოფს პლანეტებისა და ვარსკვლავების გავლენის მნიშვნელობას დედამიწის მცხოვრებლებზე. დე-მირანდოლას წინააღმდეგ უამრავი მეცნიერი ასტროლოგი აღსდგა, მათ შორის იყო ცნობილი თეოლოგი, ასტრონომი, ექიმი და მათემატიკოსი პეტრე ვირველა.

დიდი ხმაური გამოიწვია აგრეთვე თქმულებამ მსოფლიო წარღვნაზე, რომელიც ტიუბინენგენის უნივერსიტეტის პროფესორმა, მათემატიკოსმა და კოსმოგრაფმა იოანე შტეფლერმა (1452 — 1531 წწ.) იწინასწარმეტყველა, წინასწარმეტყველება არ გამართლდა და შტეფლერიც ძლივს გადაურჩა ეკლესიის მსახურთა სასამართლოს, რომელიც მარტინ ლუთერმა მოითხოვა. ამასობაში შტეფლერი უეცრად გარდაიცვალა და ეკლესიამ აკრძალა მისი დამარხვა. მაგრამ იგი საიდუმლოდ დაკრძალა ოთხმა დედაბერმა, რომლებიც ამის გამო ციხეში ჩასვეს.

თემა მსოფლიო წარღვნაზე ასტროლოგ აბრამ ზაიდელსაც იტაცებდა. მარცხით დამთავრდა გამოჩენილი ასტროლოგის პეტრე აილის მოძღვრებაც, რითაც იგი ცდილობდა დაემტკიცებინა შემდეგი, რომ ისტორიული მოვლენები აუცილებელ კავშირში არიან მნათობებთან. ამ იდეებისათვის იგი სახალხოდ დაწვეს სორბონაში.

XV საუკუნეში ასტროლოგიის დამცველებად გვევლინებიან მაღალი წრის წარმომადგენლები: მეფე ჰენრიხ VI—ინგლისელი, მეფე ლუდოვიკო XI—ფრანგი (ჰადრაკის დიდი მოყვარული) ვისკონტი მილანელი, იმპერატორი ფრიდრიხ III და სხვები. მათი ინიციატივით ასტროლოგთა შრომები დაიწერა და გამოიცა.

დიდი კეპლერი ზოგჯერ ასტროლოგიურ მისტიკას ეძლეოდა ხოლმე. იგი მატერიალური ხელმოკლეობის გამო იძულებული იყო ჩვეულებრივ შტატიან ასტროლოგად ემსახურა ერთ-ერთ ცნობილ, წარჩინებულ პირთან.

XV საუკუნემდე ყველა ასტროლოგი ბრმად იზიარებდა კლავდიუს პტოლემეოსის მოძღვრებას. პირველი ვინც განთავისუფლდა მისი გავლენისაგან იყო გერმანელი ასტროლოგი რეგიომანტუსი (1436 — 1477 წწ). ფრიად განათლებულმა მეცნიერმა შეისწავლა დიალექტიკა, ასტრონომია, არითმეტიკა და

გეომეტრია. დაწვრილებით გაეცნო ძველ ბერძნულ მანუსკრიპტებს და შექმნა საკუთარი დიალექტიკა, ასტრონომია, არითმეტიკა და გეომეტრია, ასტროლოგიური სისტემა. მისი ტაბულები გამოიყენა პაპმა სიქსტეს IV 1475 წლის კალენდრის შედგენის დროს. რომში იგი პაპის მიწვევით ჩავიდა, სადაც მოწამლეს გეორგ ტრაპეზუნდელის ვაჟიშვილებმა.

მიაჩნიათ, რომ რეგიომანტუსი იყო უდიდესი ასტროლოგი პტოლემეოსიდან კოპერნიკის პერიოდამდე. რეგიომანტუსის სიკვდილში იდეოლოგიური მტრის შურისგების ხელი ურევია. მკვლელი ცნობილი ნაშრომის „თაღლითობის შესახებ“ („De autiscüs“) ავტორის ასტროლოგ გეორგ ტრაპეზუნდელის სასტიკი მტერი იყო.

კოპერნიკის შრომის პირველი გამომცემელია ასტროლოგი იოანე შენერი (1477 — 1547 წწ.). იგი ასტროლოგ პარაცელსუსთან ერთად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ასტროლოგიური ფორმულები თავისუფლად შეიძლება დაემთხვას კოპერნიკის სისტემის ზუსტ ცნობებს.

ერთ-ერთი ასტროლოგი ფაუსტი (1490 — 1549 წწ.), როგორც ცნობილია, გოეთეს ნაწარმოების „ფაუსტის“ გმირის შთაგონების წყაროდ იქცა. XVI — XVII საუკუნეების გამოჩენილ ასტრონომს და მეცნიერს ტიხო-დე-ბრაგეს სწამდა ასტროლოგიისა და მას რელიგიურ მოტივებსაც კი უკავშირებდა.ამ ეპოქის ასტროლოგ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდნენ გრაფი ჰენრიხ რანცაუ, ავტორი უამრავი ტრაქტატისა ასტროლოგიასა და მისნობაში; აგრეთვე ფრანც იუნქტინი (1523 — 1580 წ.). მეცნიერი, მათემატიკოსი ფილოსოფოსი და თეოლოგი, რომელმაც უზარმაზარი შრომა შექმნა ასტროლოგიაში ალფონს ბრძენისა და კოპერნიკის ასტრონომიის მიხედვით. აქვე შეიტანა მან პურბახის მზის დაბნელების ტაბულები, ამერიგო ვესპუჩის მოგზაურობანი და სხვ. ამ ნაშრომს დართული აქვს ზუსტი სია ყველა უძველესი თუ შემდეგი დროის ასტროლოგისა.

XVI — XVII საუკუნეების ასტროლოგიის სფეროში მუშაობდა უდიდესი ბეკონი ვერულამელი. მისი აზრით, ასტროლოგია სავსებით გამოსაყენებელია მეტეოროლოგიაში, მიწათმოქმედებასა და მედიცინაში.

XVI საუკუნის დასასრული აღსანიშნავია ასტროლოგთა სასტიკი დევნით. ორლეანის, ბლუარას, ბორნოსა და სხვა ქალა-

ქების მცხოვრებლებმა დაუწყეს დევნა და სასამართლო პასუ-ხისმგებლობა დააწესეს ასტროლოგიურ ლიტერატურაზე. პაპი სიქსტ V 1536 წელს აქვეყნებს ბულას ასტროლოგების, ქირო-მანტებისა და მისნების წინააღმდეგ. გერმანიაში 1799 წელს რაიპ-სტაგმა გამოიტანა ასეთი დადგენილება: აიკრძალოს ასტრონო-მიულ დოგმათა ყოველგვარი პროპაგანდა. პრუსიის მეფემ ფრიდრიხ II (დიდმა) მოითხოვა შეედგინათ კალენდარი ყოველ-გვარი ასტროლოგიის გარეშე. მიუხედავად შიშისა, რომ თავი-სუფლებას ჩამოართმევდნენ, ზოგიერთი ენთუზიასტი რისკზე მიდიოდა და მაინც განაგრძობდა მუშაობას. პარიზში მუშაობ-და ასტროლოგ ჟან-ბატისტ მორენი, მათემატიკის პროფესორი, რომლის რჩევასაც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე რიშელიე მა-ზარინი და აბდიამი (1597 — 1669.). იგი ოცნებობდა ასტროლო-გიის ოქროს ხანის დაბრუნებაზე.

მუშაობას განაგრძობდა აგრეთვე კარლოს პირველის სა-საბლის კარის ასტროლოგი უილიამ ლილი (1602—1681 წწ.).

XVIII საუკუნე ასტროლოგიის აგონიის ხანაა. ზუსტი აღმო-ჩენები, მეცნიერთა თეორიებისა და პრაქტიკის ზეიმი, თანდა-თანობით აძევებენ ასტროლოგიურ ფანტაზიებს, კულტს, შავ და თეთრ მისნობას; ვოლტერი ამბობდა, ასტროლოგია სიცრუე და უაზრობაა, მაგრამ უმრავლესობას მაინც სჯერა მისიო.

მომაკვდავი ასტროლოგიის უკანასკნელი აკორდი იყო რუქე დე-ლილის ცდა, რათა ასტროლოგია ზუსტ მეცნიერებასთან შეეთანხმებინა, მაგრამ ეს ცდა მხოლოდ ცდად დარჩა. მიუხე-დავად „კლასიკური“ მისტიკის აშკარა მარცხისა, აქა-იქ ჯერ კიდევ ჩანდა ამ უძველესი მეცნიერების სიცოცხლის ნიშან-წყალი.

მაგალითად, XVIII — XIX საუკუნეთა მიჯნაზე საფრანგეთში გამოვიდა ცრუმორწმუნეობის თაყვანისმცემლის, ვინმე მორის (La magie et l'astrologie dans l'antiguite et an moyen — âge“) ნაშრომი, რომელშიც მოცემულია უძველეს და შუა საუ-კუნეთა ასტროლოგიის ისტორიული ანალიზი.

იყო სხვა ცდებიც, კერძოდ, შლეიდენის, ულემანის, მენსინ-გის, გებლერის და სხვათა, როცა უეცრად XIX საუკუნის შუა ხანებში მეხივით გადაიგრგვინა ასტროლოგმა იოჰან კარლ ფოგ-ტმა. მისი წინასწარმეტყველება ისტორიულ მოვლენათა შესახებ

ბოლოს სინამდვილედ იქცა. მაგალითად, ყირიმის ომი, სევასტოპოლის დაცემა, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის სიკვდილი და სხვ. ასევე აალაპარაკა სამყარო იოჰან ვილჰელმ პფაფმა (1774 — 1835 წწ.), ქ. დერპტის უნივერსიტეტის — მათემატიკის პროფესორი ტოვებს რუსეთს და გერმანიაში ვიურცბურგისა და ერლანგენის უნივერსიტეტის კათედრებს იბარებს. პფაფი იყო ასტროლოგი, ასტრონომი და ფიზიკოსი. იგი ითვლებოდა პეტერბურგისა და მიუნჰენის აკადემიების ნამდვილ წევრად. მთელი რიგი შრომები უძღვნა ასტროლოგიის საკითხებს.

ამ სახელებით სრულდება ფაქტიურად ასტროლოგიის მრავალსაუკუნოვანი ერა.

ამგვარად, მცირე ისტორიული ექსკურსი ასტროლოგიის გარშემო დამთავრდა. იგი შეძლებისდაგვარად შემოგთავაზეთ განმარტების სახით. თუ რა იყო ასტროლოგია ისტორიულ წარსულში, როგორ ვითარდებოდა იგი და რა კავშირი ჰქონდა მას ჭადრაკთან.

* * *

ასტროლოგიური ელემენტების არსებობა ჭადრაკში შეინიშნება ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან და გრძელდება შუა საუკუნეების დასასრულამდე. იგი შემთხვევით წარმოქმნილი მოვლენა როდია. ეს არის უძველეს საუკუნეთა ტრადიცია, ტრადიცია უფრო ძველი თამაშობებისა, ვიდრე თვით ჭადრაკია. ასეთი თამაშობები ფეხმოკიდებული იყო ოდესღაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და კერძოდ, თვით ინდოეთშიც.

ეს კავშირი სხვა არაფერია, თუ არა საპატიო შარავანდედი, რომელიც ხაზს უსვამს უძველეს ხალხთა ცნობიერებაში ადამიანთა გონების ღვთაებრივ გულწრფელობას, შემოქმედებითი აზრის სიბრძნეს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ამა თუ იმ ბრძნულ თამაშში და რომელიც აღიარებულია სხვადასხვა დროის სიბრძნის ღერძად.

ამ მოვლენაში არაფერია საძრახისი და უარყოფითი, არც მისნობა და არც ნეკრომანტია, ვერც სიცრუესა და თაღლითობას დავწამებთ მას. უძველესი ასტრალური კულტი თავისთავად უფრო მატერიალისტური რელიგიის სახით არის წარ-

მოდგენილი, ვიდრე მოგვიანო ხანის რელიგიათა შორის იყო. იგი კოსმოსის რეალურ სხეულთა თაყვანისმცემელი და ციურ მნათობთა წინაშე მუხლმოდრეკილი მავედრებელია, რომელთა მიღმა არ დგანან ღმერთთა ასკეტური ჩრდილები ადამიანთა შემოქმედებითი გონების სამტროდ.

ქართველი და სომეხი ხალხების ასტროლოგია ახლო დგას ჭადრაკთან. მათ "არაბების, სპარსელებისა და ინდოელებისაგან შეითვისეს მნათობთა სისტემის გავლენა ჭადრაკზე. თვით ტერმინოლოგიაშიც შემონახულა იგი (მაგალითად, ჭადრაკის ფიგურებში). ამ ტერმინებში შეიმჩნევა ასტრალური მოტივები.

თამაშობების მრავალსაუკუნოვანი ღრმა სიმბოლიზმი, რომელიც წინ უსწრებდა ჭადრაკის წარმოშობას, გვიდასტურებს ამ კავშირის ტრადიციულობას უძველესი დროის ასტროლოგიასთან, არითმეტიკულ სიმბოლიზმსა და გეომეტრიული ფორმების საკულტო ფილოსოფიასთან[1]. ჭადრაკის პოლონელი ისტორიკოსი ე. გიეიცკი მიგვითითებს რომელიღაც სტატიაზე (ავტორს არ ასახელებს), რომელიც 1825 წელს პარიზში დაიბეჭდა. მისი აზრით, ეს სტატია იმის საბუთია, რომ ჭადრაკი ძველი ეგვიპტური კაბალისტიკური წარმოშობისაა. მას ფიგურების სვლა მაგიურ ციფრთა კომბინაციების საფუძველზე აქვს წარმოდგენილი, რომელთაც ეგვიპტური კალენდრის ასტროლოგიურ სიმბოლოებს უკავშირებს. ამით ავტორი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ჭადრაკი ეგვიპტური წარმოშობისაა. ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, სიმართლეს მოკლებულია, ვინაიდან ჭადრაკის ინდოეთიდან წარმომავლობის ფაქტები მთელი რიგი ისტორიული დოკუმენტებითაა დამოწმებული. მაგრამ ჭადრაკზე უფრო უძველეს თამაშობათა შესახებ თუ ვილაპარაკებთ, მაშინ მაგიური კაბალისტიკის მაგალითები სავსებით სწორია, ყველაზე უფრო ადრეულ ჭადრაკში ფიგურების ტერმინოლოგიის შეცვლასთან დაკავშირებით შემონახულია ტრადიციული კავშირი დროის ასტროლოგიურ მითოლოგიასთან, მაგრამ აქედან არ შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ჭადრაკი ეგვიპტეში

[1] იხ. კ. ბაშე-დე-მეზირიანის ნაშრომი „მათემატიკაზე დამყარებული თამაშობები და ამოცანები" (XVII ს. გამოცემა).

ანდა სხვაგან თითქოს ჩვენს ერამდე იყოს წარმოშობილი. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ძველ სამყაროში ჭადრაკს კი არა, მის პროტოტიპს დავუწყებთ ძიებას, ანდა ახლო აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის ჭადრაკს ერთ ძირს ვუპოვით.

ასეთი ისტორიული კავშირები არსებობს და შეუძლებელია მათი უგულებელყოფა, ვინაიდან ყოველგვარი სიახლის ფესვები, თავდაპირველი მიზეზები წარსულში უნდა ვეძებოთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიყვანოთ ერთი მეტნაკლებად შესაძლებელი ვერსია იმისა, თუ როგორი მსგავსებაა ზოგიერთი ძველი თამაშების, ინდური ჩატურანგის პირველადი სახისა და ძველჩინური ჭადრაკის „სიანცის“ შორის.

როგორც ითქვა, ჯერჯერობით აუხსნელი რჩება ამ თამაშობების ისტორიული მიგრაციის გზები.

შეიძლება თუ არა ამ თამაშობების ნიმუშების შედარებისას უარვყოთ ანალოგია? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ უკვე ერთხელ ნათქვამზე მათი დეტალების მსგავსების შესახებ და ასევე საერთო ასტროლოგიურ საფუძველზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ, კერძოდ, უფრო სწორი იქნება, თუ დავამტკიცებთ, რომ უძველესი თამაშობების საბრძოლო დაფის ჯვრის მაგვარი მინდვრების ტრადიცია იდენტურია „ჩატურანგის“ ოთხი კუთხისა, რაზედაც საკმაო მტკიცების საბუთს გვაძლევს ოთხივე კუთხის საერთო მოხაზულობა — სწორი ჯვარი წინა სამ სახეობაში და ოთხკუთხა კვადრატი „ჩატურანგში“. ჯვარი შეიძლება კვადრატამდე დავიყვანოთ, ხოლო ასევე შეიძლება კვადრატიც თავისი წყობით ჯვარს დავამსგავსოთ.

ასეთი ჰიპოთეზა ძალზე ახლოა ჭეშმარიტებასთან.

როგორც ძველთაძველი თამაშობების მაგალითები გვარწმუნებს, ასტროლოგია საფუძველი იყო არა მარტო თვით თამაშის პროცესისა, ანუ, ასე ვთქვათ, ბედის გამოცდისა, არამედ დაფის მოყვანილობისაც ყოველგვარი მისტიკური ნიშნებით, რომლებიც არა თუ მართავენ და გზას უჩვენებენ ბედნიერებისაკენ ანუ გამარჯვებისაკენ, არამედ ხელს უწყობენ თვით ადამიანთა გონების მუშაობას, რათა მან გასამარჯვებლად — მოსაგებად ამა თუ იმ გზას დაადგეს. ტყუილად როდია გამოსახული უძველესი დროის აცტეკებთან სათამაშო დაფაზე ღვთაებე-

ბის ფიგურები, ანუ საიდუმლო ძალები, რომლებიც მფარველობენ ადამიანთა სიბრძნის შეჯიბრებებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასტროლოგიურმა ტენდენციამ, რომელიც ოდესღაც ადამიანთა კულტურის წარმოშობის საფეხურზე ჩაისახა და ძველთაძველი სამყაროს საზოგადოების ყოფაში დამკვიდრდა, ავტომატურად გადმოაბიჯა ახალი ერის ზღურბლს და ჭადრაკზეც განაგრძო ბატონობა.

ჩინური ჭადრაკის ჩასახვასა და განვითარებაზე იმდენად მცირე ცნობებია, რომ არ გვეძლევა შესაძლებლობა პარალელი გავავლოთ და შევუდაროთ იგი ინდოეთის ჭადრაკს, ანდა დავასაბუთოთ ასტროლოგიური კანონების ზეგავლენა ჩინურ ჭადრაკზე.

* * *

იყო თუ არა რუსეთში ცნობილი ასტროლოგია? ამ საკითხზე პასუხს გავცემთ პატარა ნარკვევით.

რელიგიური კულტის თავდაპირველი ფორმები ძველ სლავებში იგივე იყო, როგორიც მსოფლიოს სხვა ხალხებს გააჩნდათ. ეს არის ასტრალური კულტი ანუ ციური მნათობებისადმი თაყვანისცემა და უპირველესად მზისა და მთვარისადმი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტერესი ცისა და ვარსკვლავებისადმი ძველ სლავებს ძალიან ადრე გაეღვიძათ და იგი უმთავრესად გამოწვეული იყო არა რელიგიური მოტივებით, არამედ პრაქტიკული აუცილებლობითაც, კერძოდ, სწორი ორიენტირების მიზნით შორეული მოგზაურობისა და საზღვაო-სამხედრო ექსპედიციების დროს. მაგრამ თეორიული ცოდნა ასტრონომიის დარგში სლავებში გავრცელდა ბიზანტიისა და ბულგარეთისაგან უფრო მოგვიანებით, დაახლოებით მე-10 საუკუნეზე უფრო ადრე, ე. ი. რუსეთში მართლმადიდებლობის ანუ ბერძნული სარწმუნოების მიღების პერიოდში.

ცნობილია, რომ მეცნიერებას უმთავრესად მონარქები მისდევდნენ. მათი ბრძანებით მემატიანეები აღნუსხავდნენ სახელმწიფოში ღვთისმსახურებისა და ისტორიულ ამბებს. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში რუსეთის სახელმწიფოში გაფურჩქვნის გზაზე მდგარი კულტურა მონღოლების შემოსევამ მთე-

ლი 200 წლით შეაფერხა (XIII — XVI სს.). წარმართობის პერიოდშივე ჰქონიათ რუსეთის სლავებს კალენდარი, რომელიც შემდეგ ბიზანტიურმა კალენდარმა განდევნა. დამოუკიდებელი ასტრონომიული ჩანაწერები იწყება დაახლოებით 1064 წლიდან. საინტერესოა, რომ ბიზანტიასთან მჭიდრო ურთიერთობის პერიოდშივე უამრავმა ასტრონომ-ასტროლოგიური ხასიათის ლიტერატურამ იწყო დინება. რუსეთის სამღვდელოება, რომელსაც საზოგადოებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა და გადაემალა ის ხელნაწერები, რომლებიც თითქოსდა რელიგიურ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგებოდნენ. XII ს-ში ბერი კური პირდაპირ, დაუფარავად მოითხოვდა ასეთი ხელნაწერების განადგურებას. „ეს წიგნები ცეცხლს უნდა მივცეთ“ — ქადაგებდა იგი. წმიდა ეფრემის „სიტყვაში“, რომელიც XIV საუკუნეს განეკუთვნება, მოხსენებულია ასტრონომიისა და ვარსკვლავმრიცხველი წიგნი, რომელიც ამოღებული უნდა იქნესო. ვოლოკოლამსკის მონასტრის იღუმენი სანინი (ვოლოცკი) საყვედურობდა პოლიტიკურ მტრებს, რომ ისინი „ასწავლიან ვარსკვლავთკანონებს და აგრეთვე იმასაც, თუ ვარსკვლავების საშუალებით როგორ ამოიცნონ ადამიანის ბედ-იღბალი, ღვთის წიგნებს კი მტრულად შესცქერიან და სძაგთ“ (იხ. ბ. ვორონცოვ-ველიამინოვის „ნარკვევები ასტრონომიის ისტორიიდან რუსეთში“). აქედან დასკვნა, რომ ჯერ კიდევ რუსების მიერ ასტრონომიისა და ასტროლოგიის თავდაპირველი გაცნობისას, ეკლესიამ მასში საკუთარი მტერი შეიცნო და მის წინააღმდეგ მთელი ძალებით გაილაშქრა.

XIII ს-ის რუსული ლიტერატურული საეკლესიო ძეგლი „ტოლკოვაია პალეა“ („პალეას განმარტებანი“) წარმოადგენს რუსი სასულიერო პირების პირველ ცდას წინა პლანზე წამოსწიოს სასულიერო-თეორიული ფარი, საზღვარგარეთელ ასტრონომ, ასტროლოგ და „მათემატიკოსებისაგან“ დასაცავად.

ძალიან პოპულარული იყო კოზმა ინდიკოპლოვის წიგნი „ქრისტიანული ტოპოგრაფია“. მან ინდოეთში იმოგზაურა XVI საუკუნეში და იქაური შთაბეჭდილებებით აღსავსემ ფანტასტიკურად აღწერა დედამიწა და ზეცა. ადრეული პერიოდის „ასტრონომიული“ ლიტერატურიდან უნდა დავასახელოთ XIII — XIV სს. „ენუქის წიგნი“ და ეპიფანე კიპროსელის „ექვსდღი-

ური“, სადაც ბიბლიის მიხედვით არის აღწერილი ის ექვსი დღე, როცა სამყარო შეიქმნა. ამ წიგნს დართული აქვს ვასილ დიდისა და სხვათა შენიშვნები. XV ს-ში მეცნიერული ხასიათის ლიტერატურა მაგ. „კოსმოგრაფია“ და სხვ. იკრძალება, მისი წაკითხვისათვის კი სასტიკად ისჯებიან. ეს ნაშრომები იკრძალება აგრეთვე ებრაელთა დევნის პერიოდში. ისინი ერესში ხედავდნენ არა სექტას, რომელიც იბრძოდა საეკლესიო იდეოლოგიის წინააღმდეგ, არამედ თავისუფალ ნააზრევს, იმ ადამიანებისა, რომლებიც იღწვოდნენ ასტროლოგიისა და ასტრონომიის მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენისათვის. „ერესში“ დიდი ადგილი ეჭირა ებრაელს ზაქარია სკარას, რომელსაც იმდროინდელი რუსეთის თავისუფალ მოაზროვნეთა ინტელიგენციის წრეში იდეოლოგიის როლს აკუთვნებდნენ. მიუხედავად ასეთი წიგნების სასტიკი დევნისა და განადგურებისა, ზოგიერთმა მათგანმა ჩვენამდე მაინც მოაღწია. ასეთია, მაგალითად, „ექვსფრთიანი“, „საიდუმლოებათა საიდუმლოება“, „ასტროლოგია“ და სხვ. XV ს-ის რუსეთში განსაკუთრებული ინტერესი იღვიძებს ასტრონომია-ასტროლოგიის ცოდნისადმი. დასავლეთევროპელ ინკვიზიტორთა მაგალითით, რუსული ეკლესია შეუბრალებლად სჯის თავისუფალ მოაზროვნეთა წარმომადგენლებს. 1490 წლიდან დაწყებული აწამეს და დაწვეს მღვდელი ი. კურიცინი, დ. კონოპლევი, ი. მაქსიმოვი. ივანე მესამემ, რომელიც ებრაელებს სასტიკად დევნიდა თავდაპირველად თავისუფალ მოაზროვნეთა დასჯა აკრძალა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ამას ფრთები შეესხა.

XVI ს-დან რუსეთში საზღვარგარეთიდან მასობრივად იწყო შემოსვლა მეცნიერულმა ლიტერატურამ. მათ რიცხვში მრავლად იყო ასტროლოგიური ხასიათის ნაშრომებიც.

ასტროლოგიას სწავლობდა თავადი მიხეილ გლინსკი, ბოიარინი ჭარპოვ-დოლმატოვი (რომელმაც ასტროლოგია საზღვარგარეთ შეისწავლა და სხვ.).

ამ პერიოდის ლიტერატურიდან უნდა დავასახელოთ ასტრონომიულ-ასტროლოგიური ხასიათის ნაშრომები: თავად ბელსკის „მსოფლიო ქრონიკა“ (ამ წიგნის ავტორი ჭადრაკის მოყვარულიც ყოფილა, რასაც ასაბუთებს ა. ტერეშჩენკო თავის „რუსი ხალხის ყოფაში“, ნაწ. IV, პეტერბურგი 1848 წ., გვ. 79.

ეს ის ბელსკია, რომელთანაც მეფე ივანე მრისხანე ჭადრაკის თამაშის დროს გარდაიცვალა), ორტელიუსის „კოსმოგრაფია“ და სხვ. აღნიშნული ლიტერატურა ემყარებოდა ძველ თვალსაზრისს, ე. ი. გეოცენტრიზმს, რადგან მ. კოპერნიკის ჰელიოცენტრისტული სისტემა რუსეთში მხოლოდ XVII ს-ში გახდა ცნობილი. რაც შეეხება ასტროლოგიის განვითარებას რუსეთში და იმ პროფესიონალ პირთა სიას, სადაც ჩამოთვლილია ის პირები, რომლებიც ამ მეცნიერებას სწავლობდნენ, აქ მხოლოდ იმ ცნობებით დავკმაყოფილდებით, რომლებიც მითითებულ წიგნშია და აგებულია ავტორის ბოლო გამოკვლევებზე. ამ „მეცნიერების“ განვითარება განსაკუთრებით XVI ს-ში შეინიშნება. ასტროლოგიის ხაზით მუშაობდა ვასილ III-ის სამეფო კარის ექიმი, ასტრონომი, ასტროლოგი და მთარგმნელი ნიკოლოზ ლიუბჩანინი. მის წინააღმდეგ ილაშქრებდა მაქსიმ გრეკი, რომელსაც ასტროლოგია თაღლითთა მეცნიერებად მიაჩნდა. ივანე მრისხანის დროს ცნობილი იყო ასტროლოგი ელისეი, რომელიც იმ პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სწორედ ამ პოპულარობამ მოუღო ბოლო მას და ციხეში გარდაიცვალა. რჩევის მიზნით ბევრჯერ მიუმართავს მისთვის მეფეს, რომლის კარზედაც ელისეი ექიმად მუშაობდა. ბორის გოდუნოვი ძლიერ იყო დაინტერესებული ასტროლოგიით და ბევრჯერ შეკითხვია ასტროლოგებს, თუ რატომ ჩანს დღისით პლანეტა ვენერა. რუს მემატიანეთა თანახმად, კომეტის გამოჩენასთან ერთად (1618 წ.), მოსკოვში ამ ფაქტის ასახსნელად მოწვეული იყვნენ ასტროლოგები. ასტროლოგიისადმი ინტერესი არც XVII ს-ში შენელებულა, პეტრე პირველის მამის, ალექსანდრე მიხეილის ძის მეფობაში. ამ საუკუნის გამოჩენილი ასტროლოგი არის 1656 წელს საქსონიიდან გადმოსახლებული ა. მ. ენგელგარდტი. ცნობილია აგრეთვე, როგორც ასტროლოგი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე პოლოცკი. ის ძალიან ბევრს წერდა ასტრონომიაზე და ჰოროსკოპიც კი შეადგინა ახალშობილ პეტრე პირველისათვის. ზემოჩამოთვლილთა გარდა ცნობილია სვიმეონ პოლოცკის მოწაფის სილვესტრ მედვედევის და დიმიტრი სილინის სახელებიც. ისინი აწამეს 1691 წელს, როგორც რუსეთისათვის პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მომუშავე ეკლესი-

ისაგან შევიწროებული ასტროლოგთა ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა, XVII ს-ის მეორე ნახევარში უკვე ოფიციალურად (საელჩოს ბრძანებებში) გატარებულია საზღვარგარეთის ასტრონომ-ასტროლოგიური კალენდრების თარგმანები. ერთ-ერთი მათგანი 1670 წელს განეკუთვნება, რომელზედაც მოგ-ვიანებით პეტრე პირველის შენიშვნებია გაკეთებული.

კოპერნიკის მეცნიერული აღმოჩენები მხოლოდ XVII ს-ში იქცა რუსი ხალხის საკუთრებად. ეპიფანე სლავინეცკი ორ ბერ-თან ერთად 1645 წელს თარგმნის ბლეუს „კოსმოგრაფიას", საღაც ლაპარაკია კოპერნიკის სისტემაზე. რუსულმა თარგმან-მა ასეთი სახელწოდება მიიღო: „სამყაროს სარკე". სამწუხა-როდ ეს ნაშრომი მხოლოდ მცირედის ხვედრი გახდა და რუსე-თის საზოგადოების ფართო წრეებისათვის ხელმიუწვდომელი და უცნობი აღმოჩნდა.

პეტრე პირველის პროგრესული რეფორმების ეპოქაში მეც-ნიერებისადმი ლტოლვამ დიდი გაქანება მიიღო. ამ პერიოდში იწყება ასტრონომიის მეცნიერული ათვისება და მისი პრაქტი-კაში გამოყენება მეტეოროლოგიის, ნავიგაციისა და სხვა დარ-გებში. პეტრე I-ს კარგად ესმოდა ამ მეცნიერების მნიშვნე-ლობა და ცდილობდა მის განვითარებას. 1726 წელს დაფუძნ-და რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ასტრონომიული ობსერ-ვატორიით. პეტრე დარწმუნებული იყო კოპერნიკის სისტემა-ში და არ სწამდა ასტრონომიული წინასწარმეტყველებისა; დამახასიათებელია მისი ბრძანებულება თ. გოლოვინისადმი, რომელიც 1705 წლის მზის დაბნელების წინ არის დაწერილი. „ბატონო ადმირალო, მომავალი თვის პირველ დღეს იწყება უდიდესი მზის დაბნელება. ამასთან დაკავშირებით მოვითხოვ გაავრცელოთ ჩვენს ხალხში, რომ იგი სასწაულად ზარ მიიჩნი-ონ. აუხსენით, რომ თუ ხალხმა წინასწარ იცის, რა უნდა მოხ-დეს, ეს უკვე სასწაული აღარ არის-თქო". ამ მატერიალისტურ საუკუნეში თითქმის სავსებით უგულვებელყოფილია ასტროლო-გიური სამუშაოები რუსეთში. პეტრეს თანამოაზროვნის ი. ვ. ბრიუსის (1670 — 1735 წწ.) სახელი, ასე თუ ისე, მაინც ცნო-ბილია XVIII ს-ის (და XVII ს-ის ბოლოს) რუსული ასტროლო-გიის ისტორიაში. ბრიუსი პეტრესდროინდელი გამოჩენილი მოღვაწეა, იგი ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდა და

გამოსცა ვარსკვლავთა რუკა (1707 წ.), რედაქტორობდა აგრეთვე ასტრონომიულ-ასტროლოგიურ კალენდარს. ეკლესია ცდილობდა მასზე ათასგვარი ჭორის გავრცელებას, კერძოდ, რომ ის მისანი და ჯადოქარია, მაგრამ არავითარ მისნობას ბრიუსი არასოდეს მისდევდა. წიგნებით, რუკებით, გლობუსებით და ათასნაირი ასტრონომიული საგნებით გამოტენილი მისი ოთახი ამ ჭორების გავრცელებას კიდევ უფრო უწყობდა ხელს.

ბრიუსის სახელი ასტროლოგიასთან „ასწლიანი კალენდრის" გამოცემით არის დაკავშირებული. იგი პირველად 1709 წელს გამოვიდა. კალენდარი გამოტენილი იყო 1710 — 1821 წლებში გავრცელებული ასტროლოგიური ცრურწმენებით. მეორე გამოცემა 1740 წელს ეკუთვნის. მოგვიანებით, XVIII — XIX საუკუნეებში უამრავი კალენდარი გამოდიოდა. ბრიუსის სახელთან ისინი მხოლოდ ტრადიციით არიან დაკავშირებული. ამგვარი გამოცემები მეფის რუსეთში 1916 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე გამუდმებით იბეჭდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ „გასართობი" ლიტერატურათა რიცხვში შედიოდა ისეთი წიგნები, როგორიცაა: პროტასოვის „იმქვეყნიური სამეფოს საიდუმლოებანი", ა. ტროიანსკის „ასტროლოგიური ლექსიკონი", „მაგიური ქვები" (თარგმანი), პარაცელსის „უმაღლესი მაგია" და სხვ. ისტამბებოდა ჟურნალები, რომლებიც სავსე იყო თეოსოფიური „ჭეშმარიტებებით" (მაგ. ჟურნალი „იზიდა", რომელიც გამოდიოდა ყოველთვიურად და მასში იბეჭდებოდა სტატიები კულტის შესახებ) და მრავალი ამ სახის გამოცემები.

XX საუკუნის დამდეგს სახელი გაითქვა თეოსოფოსმა ქალმა ელენე ბლავაცკაიამ ეჩ-პი-ბის სახელით ცნობილმა ავანტიურისტმა, რომელიც ევროპისა და ამერიკის თეოსოფიურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. ბლავიცკაიას გარდაცვალების დღეს უწოდეს „თეთრი ლოტოსის დღე" და მთელი მსოფლიოს მისტიკოსებმა აღნიშნეს. მისი ცხედარი დაწვეს, ხოლო ფერფლი სამ ნაწილად გაჰყვეს და ინახებოდა ლონდონში, ნიუიორკსა და ადიარში.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ, შეიძლება ასეთი დასკვნა



ნაწყვეტი ფურნეველის პოემიდან „დე ვეტულა“ (ასტროლოგიური კავშირი ჭადრაკთან, XIII ს.)

გამოვიტანოთ, რომ ასტროლოგიას რუსეთში არასოდეს არ ჰქონია ისეთი ძალა და დიდება, როგორც მას ძველ აღმოსავლეთსა და შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ერგო.

ჭადრაკის კავშირი ასტროლოგიასთან საკმაო დამაჯერებლობით ვლინდება იმ მცირედი ფაქტებითაც, რომლებიც დღეისათვის არის ცნობილი ევროპელ მკვლევართათვის. ესაა შუა საუკუნეების პერიოდის ლიტერატურული მონაცემები, კერძოდ, ჩინეთის, ტიბეტის, ინდოეთის, ირანის და არაბეთის სიმბოლიკა, რომელიც გამოხატულია სათამაშო ფიგურების ასტროლოგიური ფორმების სახით. ფაქტებით დასტურდება, რომ ჭადრაკს ჩინეთსა და ტიბეტში იყენებდნენ მკითხაობის თვალ-

საზრისით და ა. შ. ახლო და შორეული აღმოსავლეთი ითვლება. ამ თამაშობათა თავდაპირველ სამშობლოდ. სავარაუდოა, რომ მომავალში უფრო საინტერესო მასალას წავაწყდებით უძველეს არქივებში.

ფილოსოფიისა და მათემატიკის ელემენტები ძველ თამაშებში

ჭადრაკი ინდოეთში ჩვენი წელთაღრიცხვის V — VI საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება. იგი უფრო ძველ თამაშობათა სინთეზს წარმოადგენდა და თითქოს აგვირგვინებდა ამ სახეობაში ყველაფერს, რაც კი ადამიანის გენიას შეუქმნია...

ჭადრაკი იმ პერიოდში ჩნდება, როცა საბოლოოდ რთულ სისტემად ყალიბდება ასტროლოგია, რომელმაც დაიმორჩილა ადამიანის გონება და გრძნობები. ეს იყო ერთდროულად ასტროლოგიის მეცნიერებისა და კულტურის განვითარების უდიდესი ხანა.

ახალი ერის პირველი საუკუნეები განვლილ ეპოქათა სარწმუნო ხანაა, რომელმაც წარსულის გამოცდილებაზე ახალი კულტურა ააგო. ჭადრაკიც ახალი ერის ადრეული პერიოდის აღიარებაა, ასე ვიტყოდით, უდიდესი აღიარება, რადგან უმნიშვნელო ამქვეყნად მოკვდავია და ქრება, ხოლო უდიდესი საუკუნეთა გამოცდას უძლებს. ჭადრაკმა 14 საუკუნეს გაუძლო და ჩვენამდე ახალი, შეურყვნელი და უსაზღვროდ ამოუცნობი მოვიდა. ისტორია გვეუბნება, რომ ჭადრაკი, როგორც ადამიანთა სიბრძნის ძირი, თავიდანვე დიდ იდეალებს, ასტრალურ კულტს — კოსმოსურ მნათობებს ემსახურებოდა.

ჩატურანგის დაფა, ფიგურები პლანეტებისა და ზოდიაქოს თანავარსკვლავედების მფარველობაში შევიდა.

ადრეულ ჭადრაკში ორი აზრია ჩაქსოვილი — ასტრალური თეოლოგია და მათემატიკა. პირველი თვით ჭადრაკის ციურ მნათობთა გავლენის ფორმულირებაშია, ხოლო მეორე — თამაშის გამოთვლით მეთოდებში, რომლებიც ძველად მნათობთა მოძრაობის სფეროს არ სცილდებოდა.

პრაქტიკული აზროვნების სიდიადემ მეცნიერული ახსნა ჰპოვა ჯერ კიდევ ძველ ბერძენთა მეცნიერებაში.

ზოგიერთი ფრთხილი კრიტიკოსი ეჭვის თვალით უყურებდა იმ აზრს, რომ ჭადრაკი ინდოეთის კულტურის ნაყოფია და

ამის დასამტკიცებლად ინდოეთის უძველეს დოკუმენტებს იშველიებდა, სადაც არაფერია ნათქვამი ჭადრაკის თაობაზე.

ეს ფაქტი სინამდვილეა, მაგრამ ხომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სხვა ხალხების შემდეგდროინდელ მოწმობას ირანელების, არაბების და სხვათა სახით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ინდოეთზე, როგორც ჭადრაკის სამშობლოზე. ჭადრაკის გამოთვლითი შესაძლებლობანი უთანაბრდება უსასრულო რიცხვთა გამოთვლას. მაგალითად, თუ „რი-გვედში" გვხვდება ისეთი რიცხვები, რომლებიც 100 000 არ აღემატება, შემდეგი ეპოქის ინდოეთის დამწერლობაში ისეთ ფაქტებს ვაწყდებით, როცა რიცხობრივი მონაცემები ათ მილიონამდე („იაგურ-ვედი") და 1017-მდეც აღწევს (მაჰაბჰარატა). ეს კი იმის მტკიცების უფლებას გვაძლევს, რომ ძველ ბრამინებსა და თვითონ ბუდასაც სცოდნიათ 1054-მდე რიცხვი (500 წელია ჩვენს წელთაღრიცხვამდე). აქედან კი დასკვნა, რომ უდიდეს რიცხობრივ მონაცემებსა და გამოთვლაზე დამყარებული თამაში ინდოელების გამოგონილია. ალბათ ამის შედეგია ლეგენდა ხორბლის მარცვალსა და ჭადრაკზე, რაზედაც მოგვითხრობს X საუკუნის ინდოელი ფილოსოფოსი გალაიუდა. ჭადრაკის მეორე მხარე (თეოლოგიური) მთლიანად ძველ ინდური ფილოსოფიის ასტროლოგიური ფორმულირებიდან მომდინარეობს: „უცველელი არსების ბრძანების შედეგია, რომ მყარად დგანან მზე და მთვარე, მყარად დგანან დღეები და ღამეები, ნახევართვეები, თვეები, წლის დროები და წლები[1]", „პირველ ყოვლისა ყოველდღიურ შეწირვას ვუძღვნით სინათლის ორივე წყაროს, დღისას თუ ღამისას. დილის მსხვერპლი დღეს ეწირება, საღამოსი კი აგნიას, ღამეთა მზეს"[2]. აი ფორმულები, რომლებმაც ჭადრაკის თეოლოგიური მხარე ჩამოაყალიბეს და მთელი რვა საუკუნით დაატყვევეს.

შეიძლება თუ არა ჭადრაკის მისტიკა შევუდაროთ თუნდაც „ნავარტაშირის" მისტიკას და ამის საფუძველზე ვამტკიცოთ მათი ანალოგია? რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია და აბსურდია. თუ „ნავარტაშირში" ასტროლოგიის გავლენის ქვეშაა თამაშის მთელი პროცესი, ფიგურების მოძრაობა, ბედ-იღბალზე

[1] ბრამანას „ასი ბილიკი".

[2] იხ. ბ. ოლდენბურგი „ბუდა".

თამაში, ბედნიერი შემთხვევა, რომელშიც ფიგურათა სვლა სათამაშო ძვლების მისტიკურ ძალაზე იყო დამოკიდებული, ჭადრაკში წმინდა გარეგნულ მხარეთა გარდა, ფიგურათა მფარველობა ცის მიერ, ფიგურათა ყველა სვლა ადამიანის გონების თანხმობითა და აზროვნების შესაბამისად მიმდინარეობდა.

ეს იყო არა შემთხვევით ბედნიერებაზე დამყარებული, არამედ ასე თუ ისე უკვე ჩამოყალიბებული თამაში. აქ ასტროლოგიური მოტივები არსებობდნენ როგორც რაღაც საერთო, ანუ როგორც ადამიანი და ყოველი სულიერი, რომლებიც ზეცაზე არიან დამოკიდებული, ასევე თამაშიც მთლიანად მნათობთა უდიდეს სიბრძნეს ექვემდებარება.

მოვიტანოთ ფირდოუსის ნათქვამი: „შენ ხომ მნათობთა ტრიალმა დაგღუპა, თორემ ქარი ხომ ვერ მოგაკვდინებდაო“.[1]

ჭადრაკის პრაქტიკული მხარე როგორც მოქმედება, რომელსაც გონება მართავს, სავსებით ზუსტად არის განსაზღვრული ძველ ირანულ დოკუმენტში. ჭადრაკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გონებასთან შეთანხმებით მოიპოვებს გამარჯვებას — გონების იარაღს პირველობა ეთმობაო!

ძველინდური ჭადრაკი, ანუ ჩატურანგა[2], განკუთვნილია ოთხი კაცისათვის. ნახატზე ფიგურების საწყისი განლაგებაა. კომპლექტი მარცხნიდან ქვევით წითელი ფერისაა, მარცხნიდან ზევით — შავი, მარჯვნიდან ზევით — ყვითელი და მარჯვნიდან ქვევით — მწვანე. ყვითელი და წითელი ფიგურები თამაშობენ მწვანე და შავი ფიგურების წინააღმდეგ.

სათამაშო დაფები წარმოადგენენ „სამართლის კვადრატთა“ საომარ ველს. აქ ვლინდება შემოქმედებითი ძალა გონებისა, სადაც ბატონობს „მნათობთა ღვთაებრივი გავლენის“ მფარველობითი ძალა. ასეთ განმარტებას აძლევდნენ ძველ დროში სათამაშო დაფას.

დაფები ეს არის საომარი ველი, სადაც ყველაფერი ომის სულით სუნთქავს. სტრატეგიისა და ტაქტიკის ხელოვნება, გაანგარიშების სიღრმე, გამარჯვება და დამარცხება! ეს ორი განსაზღვრა ხსნის ყველა სახისა და ფორმის დაფას. ისე როგორც კოსმოსი სავსეა საიდუმლო (მაშინდელი ეპოქისათვის) მნათობებით, სათამაშო დაფაც უხვია საიდუმლო შესაძლებლობებით.

---

[1] „შაჰ-ნამე“.

[2] „წიგნი ჩატურანგზე“ VIII ს. (XIII საუკ. რედაქციით).

დაფისა და ფიგურების ძირითადი იდეები

(64-უჯრედიანი) საჭადრაკო დაფის შესახებ

თავდაპირველი საჭადრაკო დაფები 8×8-ზე ერთი ფერის შეუღებავ უჯრედებიან დაფას წარმოადგენდა. რა მიზეზებმა შეუწყვეს ხელი, რომ სწორედ კვადრატის ფორმის 64 უჯრედისაგან წარმოქმნილიყო იგი?

ამაზე პასუხს ისევ უძველესი შუმერულ-ბაბილონური მისტიკის არსენალში ვიპოვით, რომელიც შემდგომ ბერძნებმა და ინდუსებმა დაიმკვიდრეს.

კვადრატი, როგორც ითქვა, არის სიმართლის სიმბოლო ხოლო რიცხვი „64“ ჯერ კიდევ ძველი ბაბილონის ლიტერატურის საშუალებით იქნა ახსნილი. ქ. ნინევიის ნანგრევებში ნაპოვნ თიხის ტაბულაში ჩამოთვლილი იყო პირველიდან 64-მდე ღვთაება. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველი დროის ასტროლოგები მეექვსე ათეულის რიცხვებს. შემდგომ უკვე მეცნიერული ცოდნის პერიოდში ეს რიცხვი დაედო საფუძვლად დროისა და კუთხეების დაყოფას (საათი, წუთი, წამი). ამის გამო, თხის რქის თანავარსკვლავედს, რომელსაც ეძღვნება ჭადრაკი მთლიანად, ვარსკვლავების იმდენივე რაოდენობა აქვს, რამდენიც სათამაშო დაფაზე არსებულ უჯრედებს. თხის რქის თანავარსკვლავედი ასტროლოგების განმარტებით იწვევდა ქარიშხალს, ბრძოლებს, ომებს, ე. ი. მოვლენებს, რომლებიც ახლოა ჭადრაკის თამაშის პრინციპთან, გამოთვლის ბაბილონური სისტემა[1] განსაკუთრებით ინდოეთში

---

[1] იხ. ა. ვასილიევი, „რიცხვთა ცრუ რწმენები“ და „მთლიანი რიცხვები“. ძველ ეგვიპტეში რიცხვი „ვი“ ძალიან სიმბოლური და მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქურუმები და მისნები ცას ვი სფეროდ (ცერტად) ყოფდნენ, სადაც ბატონობდა სიტყვის ღმერთი. გნოსტიკოსებსაც რიცხვი „ვი“-ის რწმენა ჰქონდათ. ამაზე მოგვითხრობენ ფილოსოფოს-გნოსტიკოსები ბაზილიდე და ვალენტინი. ბაზილიდე ამ რიცხვს ეონას ანდა პლერომას, ანუ აბსოლუტური ყოფის სისრულეს უწოდებს. იგივე რიცხვი გვხვდება მზის ანტიკურ კულტსა და ამ კულტისაგან წარმომდგარ სისტემებში.

ასეთივე ანალოგია შეიმჩნევა ალექსანდრიული სკოლის მიმდევართა შორისაც.

განვითარდა. ბაბილონელ ასტროლოგთა ციფრობრივმა ცრურწმენებმა, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰპოვეს, ერთი მხრივ, პითაგორელთა სკოლების იდეებსა და მეორე მხრივ, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. აქედან 8×8=უჯრედიანი ჭადრაკის დაფის ჰიპოთეზას სისწორე უკვე აღიარებას ჰპოვებს.

არაბები თანდათან სრულყოფდნენ ასტროლოგიას, ჭადრაკს, მათემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას და სხვა მეცნიერებას, რომლებიც ნასესხები ჰქონდათ ნაწილობრივ ინდოეთიდან და ნაწილობრივ საბერძნეთიდან (პტოლემეოსის სისტემა).

ჭადრაკის განვითარება, ანუ ჭადრაკის პირველი თეორიის დაფუძნება არაბი ოსტატების (ალიების) მიერ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალიფების ეპოქასთან. კერძოდ, ბლმანძორთან, გარუნ ალ-რაშიდთან და ალ-მამუნთან. მათი სახელები კარგადაა ცნობილი ჭადრაკის ისტორიაში. ჭადრაკის თეორიის განვითარება არითმეტიკისა და მათემატიკის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა. მაგრამ, არც ერთი და არც მეორე არ განთავისუფლებულა ასტროლოგიური გავლენისაგან. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ისეთი ნაშრომები როგორიცაა: „სიბრძნის მიზანი“ (ავტორია ალმადშრიტი), ანდა მუჰამედ ხორეზმის მათემატიკური ნაშრომი, რომელიც ხალიფა ალ-მამუნის ბრძანებით იყო შესრულებული. ორთავე ნაშრომი ნახევრად მათემატიკური, ნახევრად მისტიკური ხასიათისაა. არაბებმა სპარსეთის დაპყრობის შემდეგ შეითვისეს ყველაზე ძვირფასი, რაც კი შენახული ჰქონდათ სპარსელებს თავიანთი ძველისძველი კულტურისაგან და განავრცეს და სრულყვეს იგი.

ასევე მოხდა ჭადრაკსა და ასტროლოგიაშიც.

პრაქტიკული თვალსაზრისით პირველად არაბებმა დაამუშავეს და დააზუსტეს ჭადრაკის თეორია, ამასთან, ჭადრაკის ამოცანათა კომპოზიცია და თამაშის ხელოვნება უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს.

მათვე მისცეს მსოფლიოს ამ ხელოვნების მთელი რიგი გამოჩენილი ოსტატები, რომლებმაც გადასცეს ევროპას ინდოეთის უდიდესი გამოგონება. ამით მათ გაამდიდრეს ასტროლოგიის სისტემაც, რომელიც აღიქვეს ერთის მხრივ, აღმოსავლეთის ხალხებისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, უძველესი საბერ-

ძნეთიდან. არაბებმა ჭადრაკი საოცარ მისტიკურ ბურუსში გახვიეს და ამით თვით ირანულ ზოროასტრიზმსაც კი გადააჭარბეს. არაბები გულმოდგინედ ინახავდნენ თქმულებას ჭადრაკის ინდოეთიდან წარმოშობაზე. ამაზე მიუთითებენ სწავლულნი მასუდი, ალ-ბირუნი, ტაბარი, საალიბი და სხვები. ზოროასტრიზმის ძველ ირანულ კულტს და საერთოდ, ინდურ-ირანულ კულტურას არაბები მთელი სერიოზულობითა და ღრმა პატივისცემით მოეკიდნენ და ამიტომაც ვერ შეძლო ისლამმა მისი მოსპობა. უდიდესი არაბი მოღვაწეების უმეტესობა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე ქედს იხრიდა ძველი ირანული კულტურის წინაშე, ასეთია გამოჩენილი პოეტი დაყიყი და ხორასანის უდიდესი მკვიდრი აბულ-ყასიმ ფირდოუსი, ადამიანი, რომელიც ისლამის ეპოქაშიც ცხოვრობდა. საკმარისია დასასაბუთებლად იმის მოტანა, თუ რა სიყვარულით იხსენიებს იგი ხოსრო ანუშირვანსა და მის ეპოქას თავის ცნობილ პოემა „შაჰ-ნამეში". ასტროლოგიურ ელემენტთა გამოყენებაზე მიუთითებს „შაჰ-ნამეს" საჭადრაკო სიუჟეტიც.

არაბული შატრანჯი ბიზანტიაში შეიჭრა X საუკუნეში, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპაშიც გადავიდა და თან შეიტანა ამ უკანასკნელის ასტროლოგიური ტრადიციები.

ბიზანტიასა და ევროპაში ეკლესია ჭადრაკს ბოროტად შეხვდა, რადგან სწამდათ, რომ იგი წარმართული წარმოშობის „ქალდეური" თამაშია, რომელმაც ქრისტიანობისათვის მტრული ძველი სარწმუნოების ასტროლოგიური ფანტაზიები მოიტანა.

ზემოთ უკვე ითქვა ჭადრაკსა და მათემატიკას შორის იმ ღრმა კავშირზე, რომელთა დახმარებით, ე. ი. რიცხვთა ცრურწმენების მეშვეობით ინდოეთსა და არაბეთში და უფრო მოგვიანებით ევროპაშიც ჭადრაკის გამოთვლათა საფუძველზე უცდიათ ამოეხსნათ უამრავი პრობლემა. ჭადრაკის ეს მხარე უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე იდეურ-ასტროლოგიური საიდუმლოებანი. ამ საკითხს შემდგომში არაერთხელ დაუბრუნდნენ უკანასკნელი საუკუნეების გამოჩენილი მათემატიკოსები: ეილერი, როჟემი, ჰაუსი, მოონი, შუავრი, გ. პუანკარე, კ. იანიში, ნ. ბუგაევი და სხვა მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ ამოეცნოთ 64 უჯრაზე განლაგებული 32 ფიგურის უსასრულო მათემატიკური შესაძლებლობები. შედეგი

მეტად რთული აღმოჩნდა, რადგან 64 უჯრაზე განლაგებულ ფიგურას შეუძლია იმ რაოდენობის კომბინაციების ჩატარება, რაც დაახლოებით აღემატება 75346863123161225327 × 10^{33}. განა ასეთ უსასრულო ციფრს არ შეიძლება ეწოდოს ცრუმორწმუნეობა?!

ეგვიპტურ თამაშობათა ტაბულისათვის

ეგვიპტურ უძველეს თამაშობათა შესასწავლად განსაკუთრებული ინტერესი ენიჭებათ უტყუარ დოკუმენტებს, პაპირუსებს, რომლებიც აღმოჩენილია ფარაონთა და მაღალი წრის მსახურთა სამარხების გათხრისას.

ასეთი მონაპოვარი მრავალი არ არის და მასში მოცემული ახსნა-განმარტებაც საკმაოდ ბუნდოვანია.

სანამ საუბარს ამ პაპირუსებზე დავიწყებდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას თვით თამაშობებზე. როგორც ამ ტაბულიდან ჩანს, ჩვენთვის მხოლოდ ორი სახის თამაშია ცნობილი: თამაში სიგრძივი დაფით 3 × 10-ზე და 2 × 3-ის კვადრატზე და ციური სფეროების მსგავსი მრგვალი დაფით. სიგრძივ დაფებზე ყველა ათი ფიგურა (შავიც და თეთრიც) ერთნაირი მოყვანილობისაა (ფიშკები), მრგვალ დაფაზე კი სხვადასხვა სახის ფიგურებია: ლომები, ძაღლები, ტურები და ა. შ., ესენი უძველეს ურას სამეფოს სამარხში ნაპოვნ სათამაშო ფიგურებს მოგვაგონებს. ამ თამაშის ორივე სახე მისტიკურია და კულტის ხასიათს ატარებს, რაც თამაშებზე დართული პაპირუსის ტექსტიდანაც დასტურდება. ტექსტის შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა მიცვალებულთა დარიგება, როგორ წარმართონ თამაში იმქვეყნიურ ავსულებთან. საესებით გაუგებარია ის გარემოება, რომ ასეთი დარიგებები იწყება დაფის მე-15 უჯრიდან და არა პირველიდან. ამოუცნობია ისიც, თუ რატომ თავდება ამ სახის დარიგებები 27-ე უჯრაზე?! შეიძლება შემდგომმა მონაპოვრებმა მოგვცეს ამისი ახსნა. თამაშობები სიგრძივ დაფებზე უფრო ჩვენი შაშის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს.

ეგვიპტურ თამაშობათა ასტრალურ კავშირზე რომ უფრო დამამტკიცებელი საბუთები მოგვეპოვებოდეს, მოვიტანთ საინ-

ტერესო ნაწყვეტს ცნობილი ეგვიპტური ხელნაწერიდან, „მკვდართა წიგნი“ (თავი XVII), სადაც ლაპარაკია შაშზე, რომელსაც ღმერთები თამაშობდნენ. ეს ლეგენდა უფრო იმითია საინტერესო, რომ უძველეს ხანას განეკუთვნება, კერძოდ, პირველი დინასტიის მეფობას. ამით უფრო მეტად დასტურდება, რომ შაში უძველესი თამაშია.

„რეას (ქალღმერთ ნუტას) საიდუმლო კავშირი ჰქონდა სატურნთან (სებთან), მზემ (რამ) შენიშნა ეს და ისეთ ჯადოსნურ ქსელში გაახვია, რომ მან მთელი წლის ვერც ერთ თვეში ვერაფრით ვერ მოიმშობიარა. მაგრამ ღმერთმა ჰერმესმა (ტაუტმა), რომელიც ქალღმერთს ეტრფოდა მთვარესთან შაშის თამაში დაიწყო და მოუგო მას მესამოცედი ნაწილი დღისა, რომელიც თანდათან ხუთ დღემდე შეივსო. აი ეს 5 დღე დაემატა 360-ს“[1], კოსმოსურ სამყაროსთან დამოკიდებულების მესამე სტადია გამოიხატა კოსმოსურ ღვთაებათა პანთეონების შექმნაში და მისდამი ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნაყოფის ყველაზე საუკეთესოს და ბრძნულის მიძღვნაში.

პერიოდმა, რომელმაც შექმნა ცრუმორწმუნენი და განუსაზღვრელი ფანტასტიკა, წინ უძღოდა ზუსტი მეცნიერებების შეცნობილ სათავეებს. ამ პერიოდში მომწიფდა ასტროლოგიის სისტემა, დედამიწისა და ზეცის ურთიერთკავშირის სისტემის ფორმულა. ამ პერიოდში, ანუ 3—4 ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ანუ ისტორიული პერიოდი, უფრო ძველი, წინაისტორიული პერიოდისაგან განსხვავებით) ჩაეყარა საფუძველი არითმეტიკასა და მათემატიკას და ამავე პეიროდში გადაიდგა ნაბიჯები ასტრონომიულ, ბუნებისმცოდნეობისა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა შესაქმნელად. ადამიანთა გამომგონებლობითი აზროვნება გამოვლინდა აგრეთვე ბრძნულ თამაშობათა შექმნის დროსაც, რომელიც დამყარებული იყო მათემატიკის, ფილოსოფიისა და ნაწილობრივ რელიგიის ერთობლიობის ღრმა პროცესზე. ამ შერწყმაში ხედავდნენ ჩვენი წინაპრები ზეცის ნებასურვილს და შეჯიბრების სარბიელს, ანუ დაფას შეჯიბრების ელემენტებთან — ფიგურებთან ერთად მისტიკურ კავშირთა დამახასიათებელ თვისებებს აწერდნენ.

[1] ეს ნაწყვეტი პლუტარქედანაა მოტანილი.

მაგალითისათვის ავიღოთ ძველი თამაშობების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ჯერ კიდევ ჭადრაკის აღმოჩენამდე არსებობდნენ. ეს თამაშობები გავრცელებული იყო მთელი სამყაროს სხვადასხვა კუთხეში: ბაბილონში, ეგვიპტეში, ირანში, ჩინეთში, მექსიკელ აცტეკში და ბოლოს ინდოეთში — ჭადრაკის სამშობლოში. რა იდეოლოგიურ მოძღვრებებს ემყარება დაფების მოყვანილობა და მათი ფიგურები?

ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ ის დრო, რომელმაც ერთი თამაში მეორისაგან განასხვავა, მაგრამ იმ ხანის საერთო მონაკვეთი, რომელიც უძველესი ურას თამაშობებიდან ასტროლოგიურ შუა საუკუნეთა ჭადრაკამდე ვრცელდებოდა, შეგვიძლია ზუსტად 4 ათასი წლით განვსაზღვროთ.

რაც შეეხება დაფათა მოყვანილობას, უპირველესად აღსანიშნავია მცირე სხვადასხვაობა მათ ფორმაში: კვადრატული, წრიული, სწორკუთხოვანი, ჯვრისებური — ეს არის უძველეს თამაშობათა დაფების ძირითადი ფორმები.

რა როლი შეასრულა ასტროლოგიამ ამ ფორმათა ჩამოსაყალიბებლად? ან რას ნიშნავს კვადრატი, ჯვარი, წრე, სწორკუთხედი ასტროლოგიურ შეჯიბრებებში?

ესენია გეომეტრიული ფორმები, რომელთაც ასტროლოგია ამა თუ იმ მისტიკურ ახსნას აძლევდა. ავიღოთ კვადრატი — სათამაშო დაფების, ჭადრაკისა და შაშის უფრო მეტად გავრცელებული ფორმა.

ასტროლოგიური ფილოსოფიის მიხედვით, რომელმაც ფორმებისა და კვადრატის რიცხვს მისტიკური ახსნა მისცა, კვადრატი წარმოადგენს ტოლი ფერდებისაგან შემდგარ სხეულს და ასახიერებს სამართლის ველს. ასეთი განსაზღვრა შესანიშნავად ესადაგება სათამაშო დაფის აღწერილობას.

ურას სამეფოში მიკვლეული სათამაშო დაფა ორი კვადრატისაგან, ანუ ორი უჯრისაგან შედგება: ერთია დიდი და მეორე მცირე.

ოთხწვერა ჯვარი, ჯერ კიდევ ასტრალური კულტის ადრეულ საუკუნეებში ითვლებოდა შესალოც ნიშნად, ანუ თილისმად, ავი სულებისაგან მფარველ სიმბოლოდ; სათამაშო დაფების ფორმა: „პაჩოლი“, „პაჩიზია“ და „ჩაფურა“ აგებული იყო თამაშთა მფარველის სიმბოლოს მნიშვნელობის შესაბა-

მისად და იგი ავი სულისაგან იცავდა მოთამაშეს. დიდ ინტერესს იწვევს ეგვიპტური მრგვალი დაფა, რომელსაც აშკარად ასტრალური მნიშვნელობა ენიჭება. ეს თამაში უნდა ყოფილიყო მოგვიანო ხანის ბიზანტიისა და XIII საუკუნის მრგვალდაფიანი ჭადრაკის (ასტროლოგიური ჭადრაკის) პროტოტიპად. ეს სამი მაგალითი იმისი მაუწყებელია, რომ დაფების მრგვალი მოყვანილობა უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, „მარადიული წრის" ასტრალური სიმბოლოთი და მეორე მხრივ, კოსმოსური ცენტრით — მზით.

რაზე მიგვითითებენ დაფაზე გამოსახული ასტრალური ნიშნები და რა ანალოგიები გვხვდება სხვადასხვა ისტორიული ეპოქის სხვადასხვაგვარ დაფაზე?

ამ ნიშნების არსი, მათი იდეა მჭიდრო კავშირშია ასტროლოგიურ მოტივებთან, სალოცავ ფიგურებთან, რომლებიც ცნობილია ძველი რწმენის სიმბოლურ არსენალში. მაგალითად, ექვსქიმიანი ვარსკვლავები გამარტივებული ფორმებია ცნობილ ექვსქიმიანი ვარსკვლავის „დავითის ფარისა", წრე — მარადისობის სიმბოლოა, ჯვრები, რომლებიც საფუძვლად დაედო ზოგიერთი დაფის აგებულებას, არის ასირიულ-ბაბილონური ნიშანი ზეცისა, ანუ ღმერთი იანუსი. ირანული „ნევარტაშირის" ასტროლოგიური მნიშვნელობა ამ თამაშის VIII საუკუნის ფეხლევური ხელნაწერის „მატიკანი და ჩატრანგის" აღწერისას ირკვევა. ეს ხელნაწერი ჩვენამდე მოღწეულია XIII საუკუნის რედაქციით.

„ნევარტაშირის" დაფას მე ვამსგავსებ სპანდარმედის მიწას; ოცდაათ ქვას მე ვამსგავსებ ოცდაათ დღესა და ღამეს; თხუთმეტ შავსა ვამსგავსებ ღამეს და თხუთმეტ თეთრსა ვამსგავსებ დღესა. ყოველ ძვალს (გარდანაკს) ვამსგავსებ ვარსკვლავთა მოძრაობას და ცის მოძრაობას. ძ ვ ა ლ ზ ე ე რ თ ს ვ ა მ ს გ ა ვ ს ე ბ ი მ ა ს თ უ რ ო გ ო რ ი ე რ თ ი ა ნ ი ა ო რ მ უ ზ დ ი (ყ ო ვ ე ლ ი კ ეთილი მან შექმნა), ორს ვამსგავსებ ცასა და მიწას. სამს ვამსგავსებ პირველ სფეროს, მეორე სფეროს, მესამე სფეროს, აზროვნებას, მეტყველებასა და მოქმედებას. ოთხს ვამსგავსებ ოთხ ტემპერამენტს, რომელნიც ადამიანები არიან, როგორც სამყაროში ოთხი მხარე: აღმოსავლეთი და დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. ხუთს

ვამსგავსებ ხუთ მნათობს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავს, ცეცხლს, ციალს, რომელიც ციდან მოდის და დღე-ღამის ხუთ დროს. ექვსს ვამსგავსებ ვასანბარას ექვს დროში მოძღვრების ქმნილებას.

ნევარტაშირის განლაგებას დაფაზე ვამსგავსებ იმას, თუ ღმერთმა ორმუზდმა როგორ მისცა სამყაროს ყოველი ქმნილება.

ქვების მოძრაობას იქით და აქეთ მიმართულს, ვამსგავსებ ადამიანთა სულის კავშირს მნათობებთან. დადგება დრო და ქვები ერთიმეორეს ამარცხებენ, დევნიან და, როცა ძვლის მოძრაობით ყველა გაიდევნება, მაშინ ისინი როგორც ხალხი, დედამიწის ზედაპირიდან უნდა წავიდნენ. როცა ქვებს ხელმეორედ აწყობენ, მაშინ როგორც ხალხი, მკვდრეთიდან აღდგომის დროს, ყველანი ცოცხლდებიან".

ძველი ტექსტის ციტირებისას განგებ ვუსვამ ხაზს აბზაცის იმ გამოთქმას, სადაც იკითხება — **„ერთს ვამსგავსებ იმას, თუ როგორი ერთიანია ორმუზდი"**, რომელმაც შექმნა ამქვეყნად ყველაფერი კეთილი ე. ი. „ერთიანს". „მთლიანს" მიეწერება მნიშვნელოვანი, გამაერთიანებელი!

რატომ ეძლევა ასეთი დიდი მნიშვნელობა რიცხვთა ამოსავალ, საწყის ერთიანს? ეს სულაც არ არის შემთხვევითი. აქ ჩვენ ვაწყდებით რიცხვთა მისტიკის ფილოსოფიურ ფაქტს, რომელიც დაწესებული იყო ჯერ კიდევ ქალდეურ ასტროლოგიაში. ერთიანს („ერთს") განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც „საწყისს საწყისთა შორის". „ერთიანი" ეს არის გონება, სიკეთე ჰარმონია, ბედნიერება და ამავე დროს დრო: მატერია, უკუნი, ქაოსი. ის აერთიანებს თავის თავში წყვილსა და კენტს, მამაკაცურს და დედაკაცურს. ასეთივე აზრი აქვს გატარებული ფილოსოფიაში „თალმუდის" წინამორბედს ალექსანდრიელ ფილონას (30 წ. ჩვ. წ-მდე და 41 წ. ჩვ. წ-ით). რიცხვთა ცრურწმენების მოტივები გვხვდება აგრეთვე ნიკოლოზ კუზანელის, ჯორდანო ბრუნოს, კეპლერის, პარაცელესის, მიხეილ სტიფელისა და სხვათა ნაშრომებში. ერთ-ერთი უძველესი ბერძნული წყარო, რომელიც ქალდეანელთა რიცხვთა მოძღვრებაზე მოგვითხრობს არის ნიკომაქე გეზარიელის „ღვთისმეტყველების არითმეტიკა"[1].

---

[1] ამ თემას ეხვდებით ჰეგელის დიალექტიკასა და ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგში".

ალფონს ბრძენი კულტურის უდიდესი გამოჩენილ მოღვაწეთა იმ პლეადას განეკუთვნება, რომლებმაც შუა საუკუნეებში, გზა გაუკვლიეს კაცობრიობას ჭეშმარიტი ცოდნის, მეცნიერების სიყვარულისა და სამყაროს მატერიალისტურად ათვისების საქმეში. მეფე ალფონსი მიაჩნიათ ტოლედოს აკადემიის დამაარსებლად. თავისი დროის გამოჩენილი ასტრონომი და მათემატიკოსი, არაბულ და ევროპულ კულტურათა ღრმა მცოდნე ავტორია მაგიდის თამაშობათა ისტორიისა აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. „მაგიდის თამაშობათა წიგნი“ ე. წ. ესკურიალური ხელნაწერი დაწერილია 1283 წელს, ამ დაწვრილებით გამოკვლეულ და მდიდრულად გაფორმებულ წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ჭადრაკს.

კასტილიის მეფე ალფონს ბრძენი (XIII ს.)

ალფონს ბრძენი იძლევა ამ თამაშის სახეობათა ღრმა ანალიზს და განიხილავს ჩატურანგას, ორმაგ ჭადრაკს (ორი მოთამაშისათვის განკუთვნილს), აგრეთვე 100 და 144-უჯრედიან ჭადრაკს, გარდა ამისა, დაწვრილებით აღწერს მრგვალ დაფაზე სათამაშო ასტროლოგიურ ჭადრაკს, აგვიწერს თამაშის მთელ პროცესს და მის ურთიერთდამოკიდებულებას პლანეტებისა და თანავარსკვლავედის მოძრაობასთან. ეს ნაშრომი ნაწილობრივ გამოყენებული აქვთ აკად. ი. ორბელსა და კ. ტრევერსს წიგნში „შატრანგი“. ალფონს ბრძენის ნაშრომი სრულად არ გამოცემულა და ხელნაწერის სახით ინახება ესპანეთის ქალაქ ესკურიალში.

ქვემოთ ვიძლევით ჭადრაკის ფიგურების იდეოლოგიურ ქრონიკას, რომელიც განხილულია ძველ ასტროლოგიურ მითოლოგიასთან ერთად. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ჭადრაკისა და ფიგურების სხვადასხვაობა მჭიდროდ არის დაკავშირე-

ბული უძველესი დროის ასტროლოგიურ სახეებთან: მზისა და მთვარის კულტებთან, კოსმოსთან, პლანეტებისა თუ თანავარსკვლავედების სამყაროსთან და აგრეთვე ხალხის მიერ საუკუნეებით შექმნილ მითოლოგიურ სახეებთან.



ჰადრაკის ფიგურები და მათი წარმომავლობა

ე ტ ლ ი

ასტრალური კულტის უძველეს სახეობად ითვლება მთვარის კულტი, მისი შუქის საიდუმლო ციალი ღამის სიბნელეში, მთვარის ამოსვლისა და ჩასვლის სიდიადე, ნელი მოძრაობა, რომელიც მოსრიალე ნავს გვაგონებს, ყველაფერი ეს ადამიანებს შიშსა და პატივისცემას უნერგავდა ამ საიდუმლო ციური ნავის წინაშე.

ჰადრაკის ისტორიაში ასეთი მითითებაა, რომ ყველაზე უძველეს ფიგურად (ტურა-ეტლი) ითვლებოდა ეტლი-ნავი, რომელიც განსაზღვრულ მიმართებაში იყო ციურ ნავ-მთვარესთან. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ცნობილ პოემა „De Vetul"-ში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ამ ფიგურამ მოგვიანო ხანის სპარსულ „რუხში" მაინც შეინარჩუნა იდეოლოგიური უძველესი კავშირი თავის მფარველ მთვარესთან. საინტერესოა, რომ ინდოეთის გარდა ჰადრაკის ეს ფიგურა ნავის სახით მხოლოდ რუსეთში დამკვიდრდა, სადაც ეს სახელი დღევანდლამდეა შემორჩენილი თანამედროვე ჰადრაკის კლასიკურ ტერ-

მინოლოგიაში. რამდენხანს შემოინახა ეს ტერმინი ინდურმა „ჩატურანგამ“, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ ჭადრაკის წარმოშობის თარიღად V — VI საუკუნეებს მივიჩნევთ, მაშინ ამ ტერმინის დამკვიდრება ძლიერ მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან ჭადრაკის გადანაცვლებამ ინდოეთიდან ირანში ტერმინი „ნავი“ შეცვალა „რატჰათი“ (Ratha), ე. ი. ეტლით.

უფრო სარწმუნოა ვივარაუდოთ, რომ ამ ტერმინების შეცვლა უნდა მომხდარიყო ინდოეთის ლაშქარში საბრძოლო ეტლის შემოღების დროს.

ტერმინის შეცვლამ ასტრალური კავშირის შეცვლაც გამოიწვია. ახალი ფიგურა დამზადებული იყო დიდი დათვის თანავარსკვლავედის პატივსაცემად, რომელიც თანმიმდევრობით განლაგებული ვარსკვლავების მდებარეობით ძლიერ წააგავდა ეტლს. ინდური ჭადრაკი დამკვიდრდა ირანში ან შუა აზიაში (უცნობია სად უწინ მოხდა) და სულ მალე ტერმინი „Ratha“, როგორც ადგილობრივი იდეოლოგიისათვის უცხო, გაქრა (ირანელთა ლაშქარს არ ჰქონდა საბრძოლო ეტლი). ტერმინმა ეტლმა ახალი სახე „რუხი“[1] მიიღო (იხ. სურ. 1.). ახალი ტერმინის აზრობრივი არსი ძალზე რთულია და მისი ფესვები უძველესი დროის მითოლოგიურ სიმბოლიკაში უნდა ვეძებოთ.

ფრინველი რუხი ლეგენდარული ფრინველის სახეა, რომელიც გმირებს მფარველობდა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახლო აღმოსავლეთის ხალხებს შორის შუა საუკუნეების მთელ მანძილზე. როგორც პროფ. კუფტინი ამბობს, შესაძლოა ეს სახე წარმოქმნილიყო აზიის მთაგორაზე ოდესღაც ძალზე გავრცელებული უზარმაზარი არწივის პატივსაცემად. სიტყვა „ორბი“ ბიბლიაშიც არის ცნობილი და ალბათ უნდა ეთანხმებოდეს ურარტულ ტერმინ „არიბის“ (ārībi), რომელსაც ანალოგია აქვს ებრაული „ôrêb“-სა და სომხურ „Rog“-თან (სპირატული ნაირსახეობა ასტრალური ცხენ-ფრინველ რაშისა). იგი აზრობრივად შეესაბამება ეგვიპტურ „Ru“-ს (veneillus cristatus).

ამ სახის ერთიანობა მოცემულია აგრეთვე ქართულ ხალხურ

[1] იხ. რუხის აღწერა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში.

ლიტერატურაშიც, განსაკუთრებით, ფშაურ ეპოსსა და ფოლკლორში („იასა და ვარდზე“).[1]

რუხის სახემ, როგორც უზარმაზარი და მძვინვარე ფრინველის, რომელიც მტრის ღვიძლით იკვებება, ჭადრაკში ძალიან დიდხანს, თითქმის ცხრა საუკუნეს გაუძლო. ამ სახითვე იყო გავრცელებული იგი ადრეულ არაბულ შატრანჯშიც.

მაგრამ ყურანის გავლენით, რომელიც კრძალავდა სულიერი არსების გამოსახვას, რუხმა არაბებში ფრინველის სახე დაკარგა და მხოლოდ ფრთების პირობითი მოხაზულობა შეინარჩუნა.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების ჭადრაკის ფორმა ზოგიერთ თანამედროვე ხალხსაც შემორჩა.

რუხი გვხვდება აფხაზურ ზღაპარ ნართაში სასირხვოზე და უზბეკურ ზღაპრებში, დიდი ფირდოუსი „შაჰ–ნამეში“ გვიხატავს რუხისა და მარკო პოლოს სახეებს.[2]

ევროპულ ჭადრაკს, რომელიც არაბებისაგან არის ნასესხები, რუხი XV საუკუნემდე შემორჩა. შემდეგ იგი შეიცვალა ევროპისათვის უფრო ახლო მდგარ ტერმინ „Latour“-ით (ტურა კოშკით). მაგრამ მანამდე რუხი აქ აღიქვეს არა თავისი პირდაპირი, აღმოსავლური მნიშვნელობით, არამედ როგორც „ციცაბო კლდე“ (Roccus, Rocc, Rocca).

გამონაკლისს წარმოადგენს ქართული ჭადრაკი, რომელმაც დღემდე უცვლელად შემოინახა თავისი ძველთაძველი ტერმინოლოგია. ეტლს აქ მუდამ „ბედის ვარსკვლავის“ ასტრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა (იგი ემთხვევა სხვა ხალხებთან გავრცელებულ საბრძოლო ეტლის მნიშვნელობასაც). ამაში არ შეიძლება არ შევნიშნოთ გარკვეული კავშირი ძველინდურ ტერმინ „Ratha“-სთან.

ძველი ქართული ჭადრაკის ფიგურა ეტლი, რომელსაც სფეროსებური მოყვანილობა აქვს (XII ს-ის ეტლი) პირვანდელი სახით არ შემონახულა.

სიმბოლური ფრინველის მეორე სახეს ვხვდებით შუა საუკუნეების 144-უჯრედიან ჭადრაკში. ფრინველ „ანკაზე“ ლაპარაკობს ალფონს ბრძენის ესკურიალური ხელნაწერი.

---

[1] იხ. თ. რაზიკაშვილი, „ფშაური ზღაპრები“, 1909 წ.

[2] მოგზაურობა XIII საუკუნეში.



დიდი დათვის თანავარსკვლავედი, რომელიც საფუძვლად დაედო „რათბასა“ და „ეტლის“ ტერმინოლოგიას.

თავისი აზრობრივი მნიშვნელობით ავტორი „ანკას“ „რუხზე“ მაღლა აყენებს (თუმცა მიზეზს არ ხსნის) ანკას, როგორც მითოლოგიურ სახეს შეესატყვისება ინდური მეფე-ფრინველი გარუდი და ირანული სიმურგა. ინდოეთის საკულტო მითოლოგიაში და ზოდიაქოს ნიშნებში მზის ღმერთი, ვინუ გამოსახული იყო ფრინველ გარუდზე მჯდომი[1].

ანკას სახე მომდინარეობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 11 ათასწლეულით. მას უამრავი და ძალზე რთული იდეოლოგიური განშტოება აქვს. ანკასა და რუხის სახეობებს ერთი საწყისი (ერთიანი სახე) უნდა ჰქონოდათ (საწყისი ფორმები განვითარებულა სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტებში).

ჯერჯერობით ამოუცნობია, თუ მიგრაციის რომელი გზით მოხვდა რუხი (არაბული ტიპი) XI — XII საუკუნეთა რუსულ ჭადრაკში, ანდა უკიდურეს ჩრდილოეთსა და ალიასკის მცხოვრებლებთან?

ასევე ამოუცნობია შემდეგი კითხვაც — რატომ არ შემოვიდა ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში ძველი ეპოსის ასეთი პოპულარული სახე.

ტერმინი Ratha თავისი ძველი ტრადიციით თანავარსკვლავედი „დიდი დათვი“.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ჭადრაკის უძველესი ფიგურის, ეტლის სახელწოდება ინდურ ჩატურანგაში იყო რატჰა. ამ ტერმინის იდეოლოგიური სემანტიკა ორი წყაროსაგან წარმოდ-

[1] იხ. „რიგ-ვედები“ და ზღაპარი „ქილილა და დამანა“.

.ვა: 1. კავშირი ასტრალურ-საკულტო თანავარსკვლავედ — „დიდ დათვთან“ — ვარსკვლავთა თანმიმდევრული, ერთმანეთზე მიყოლებული განლაგებით ეტლს მოგვაგონებს და 2. მოგვიანო დროის ანალოგია ძველინდურ ლაშქართა საბრძოლო ეტლთან. საინტერესოა, რომ ეს ტერმინი დავიწყებული იყო უკვე VII—VIII სს-ში და მხოლოდ მონღოლეთის ძველისძველი ჭადრაკის კომპლექტიღა გვხვდება (ტერმინი „ტერგე“).



მხედარი

ყველა ხალხის ჭადრაკში მხედრის, ანუ ცხენის ფიგურა (გამოვრიცხავთ ცენტრალური აზიის ზოგიერთ ხალხებს) უცვლელი რჩებოდა და არავითარ იდეურ ცვლილებას არ განიცდიდა. მას ორი ძირითადი სახე გააჩნდა: ცხენიანი მხედრისა და უმხედრო ცხენის, რომელსაც განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონდა ქართულში კერძოდ, „მხედარი“, რუსულში — „Конь-всадник“ ევროპულ ენებში „Hiles“, „Cavalier“, „Ritter“ და ა. შ. ამ სახეებს ძალიან ძველი წარსული და ჰეტად რთული კავშირი აქვთ ასტროლოგიურ მითოლოგიასთან. რომელი უფრო ადრეულია აღმოსავლურ ჭადრაკში, ძნელი სათქმელია, რადგან არ გაგვაჩნია უძველეს ჭადრაკთა გამოსახულებები. ამ მხრივ ძვირფას ცნობას წარმოადგენს შემთხვევით ნაპოვნი ჭადრაკის ფიგურა ცხენოსანი მხედრისა, რომელიც მიკვლეულია შუა აზიის განათხარებში და ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნით თარიღდება[1] (იხ. სურ. 2).

---

[1] დაწვრილებით ამ უნიკალურ ფიგურაზე იხ. ი. ორბელისა და კ. ტრევერის „შატრანგი“

ცხენიანი მხედრის იდეის წყაროა მზის უძველესი ასტრალური კულტი, რომელმაც მას სიკეთის ღვთაების — მზის მოციქულის სახე მისცა. ამ სახის გართულებასთან ერთად, რომლის სათავეც უძველესი ხალხის ტოტემურ რწმენებში უნდა ვეძებოთ, ამ სახეს მთელ რიგ იდეებს უკავშირებს. კერძოდ, ცხენი—ირემი—გველი—ელვა. წარსული დროის ადამიანების წარმოდგენების ერთმანეთთან დაკავშირება და შერწყმა სულ ახალ-ახალ სახეებს ქმნიდა, რომელიც ხშირად თავის პირვანდელ მნიშვნელობას კარგავდა.

ეს გარემოება აზრობრივ ახსნას გვაძლევს ცხენ-მხედრის, როგორც მზის კულტის ელემენტისას.

ცხენის პირთან გამოსახულია მზის სიმბოლო — კონცენტრული წრე. ცხენს გავაზე ფრინველი აზის — ცის მახარობლის სიმბოლო—შუამავალი ზეცასა და ადამიანის სულს შორის.[1]

ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებში ეს სახე თავის პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს და ცხენოსანი მეომრის რეალურ მნიშვნელობას იძენს.

ამავე მნიშვნელობით შევიდა ეს ფიგურა შუა საუკუნეების ადრეული ხანის (X — XI სს.) საჭადრაკო კომპლექტში (თუმცა, როგორც გამონაკლისი უფრო მოგვიანო ეპოქაშიც გვხვდება). ამ ისტორიული პროცესიდან უნდა გამოვრიცხოთ ქართული ჭადრაკი, რომელშიაც არსად და არც ერთ ეპოქაში არ ვხვდებით ცხენ-მხედარს, თუმცა ცხენის გამოსახულება იქვნეულად ინახავს უძველეს ტერმინ „მხედრის“ პირვანდელ მნიშვნელობას.

უმხედრო ცხენი

უმხედრო ცხენის გამოსახულება გვხვდება შუა საუკუნეების თითქმის ყველა ჭადრაკში, რაც მის ისეთსავე უძველეს საკულტო წარმომავლობაზე მიგვითითებს, როგორიც ცხენ-მხე-

---

[1] ცხენ-მხედრის სახე ცნობილი იყო ძველი ეგვიპტის საკულტო სიმბოლური ღვთაების გორას ნიანგთან მებრძოლის სახით.

დარია. ტროადან მოტანილი სახე: ცხენი-მხედარი, -ცხენი-პეგასი და ზოგადად ცხენი ეს არის ძველისძველი სიმბოლო—წყარო, საიდანაც წარმოიშვა ჭადრაკში ცხენის (მხედრის) ფიგურა[1].

ცხენი-პეგასი უმეტესად ძველბერძნულ, ურარტულ და ევროპულ სიმბოლიკაში გვხვდება. საქართველოში კი ეს სახე ნაკლებად არის გავრცელებული.[2]

შუა საუკუნეების ინდოეთის ჭადრაკში ცხენს ეწოდებოდა „ასვა" (რატნაკორის მიხედვით XI ს.). ეს ტერმინი იდეურ კავშირში იყო ცხენის მისტიკურ მნიშვნელობასთან „ასვა-ბედხას", ანუ მსხვერპლშეწირვის საკულტო წეს-ჩვეულებასთან.

საინტერესოა, რომ ცხენთან დაკავშირებული ასეთივე რიტუალები არსებობდა საქართველოშიც. მეფეთა დაკრძალვისას პროცესიას მიაცილებდა 10 მხედარი, რომელთაც უნაგირები შებრუნებულები ჰქონდათ. ცხენის ასტროლოგიური განმარტება დაყვანილია დღისა და ღამის მნიშვნელობამდე, სადაც დღე თეთრი ცხენია, ღამე კი — შავი. შესაძლოა, ისიც, რომ ადრეულ „ჩატურანგას" და ზოროასტრიზმის ირანულ ჭადრაკში ცხენს (თეთრსაც და შავსაც) მართლაც პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონოდა ამ მოვლენასთან[3].

XIV ს-ის ბოლოს ცხენმა ევროპულ ჭადრაკში საბოლოოდ დაკარგა კავშირი ასტრალურ იდეებთან და იგი საბრძოლო ცხენის რეალურ სახედ (ფიგურად) იქცა. ამ სახით მოაღწია მან ჩვენს დრომდეც.

---

[1] საქართველოში ცხენის კულტს ზეცის მახარობლის მნიშვნელობა ენიჭება: და იგი ჩვ. წ.-ის პირველი საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლებში გვხვდება. მაგ. არმაზისა და ბორის თასებზე.

[2] ცნობილია მხოლოდ ორი გამოსახულება: ერთია კოლხური მონეტა ჩვ. წ.-მდე VI ს-ისა და მეორეც XVI — XVII ს-თა კახეთის დროშა (ვახუშტის გეოგრაფიული ატლასის მიხედვით).

[3] ასეთივე თეთრი და შავი ფიგურებია „ნავარტაშირშიც". ამ ღვთაების წარმოშობის იდეის ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია. მისი ანალოგები გვხვდება შუმერებთან (III ათას წლეული ჩვენს წ.-მდე), საბერძნეთში, მცირე აზიაში, კვიპროსზე, ჩინეთში, ციმბირის ძველ ხალხებსა და სხვ.

თავისი არსებობის თოთხმეტი საუკუნის მანძილზე ჭადრაკის ამ ფიგურამ უამრავი იდეური მნიშვნელობა მოიპოვა.

| მერკური (ღვთაება ტირი თუ ტური სომხურ წარმართულ პანთეონში), კუ (საქართველოში ციხე-სიმაგრის ალყის დროს იყენებდნენ ხოლმე ამ სახელის მატარებელ იარაღს), სპილო (ინდოელები და ირანელები ამ ფიგურას ან პირდაპირ სპილოს იერს აძლევდნენ ადრეულ ეპოქაში, ანდა შემდგომი სტილიზაციის შედეგად სვეტის სახით წარმოგვიდგენდნენ). არაბებთან (ისლამის ეპოქაში) ეს ფიგურა სვეტის სახით იყო წარმოდგენილი, რომელსაც წვერი ოდნავ ჰქონდა წამახული.

დასავლეთ ევროპაში მას „Bishop"-ს. ანუ ეპისკოპოსს, „Alte" მოხუცს, ან ბრძენს და სხვა სახელებს არქმევდნენ.

ჭადრაკის კუ და პლანეტა მერკური ითვლებოდა ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველად. მისი ეპითეტები იყო:

სამკუთხედი ერთ-ერთი უძველესი წარმართული ნიშანია, რომელიც უძველეს დროში ღმერთ ტირის (მერკურის) სიმბოლურ ემბლემად მიაჩნდათ. „sckiba" (მწერალი) და „sapiens" (ბრძენი). ამ სიმბოლოებითაა შემკული მისი ტაძარი ბირს-ი-ნიმრუდში. შემდეგში ეს ნიშანი ლურსმულ დამწერლობაშიც დამკვიდრდა.



მერკური—ტირი.

თავს უფლებას ვაძლევთ და ვაღიარებთ, რომ ჭადრა-

კის ეს ფიგურები ნამდვილად სომხურია. ვინაიდან იგი უნდა მომ-
დინარეობდეს რომელიღაც განსაზღვრული უძველესი ტრადიცი-
იდან, რომელიც სათავეს სომხური ღვთაებების წარმართული
პანთეონიდან იღებს. მაგრამ საიდან უნდა დასესხებოდა სომხე-
თი თვით ტირი-მერკურის იდეას, რომელიც ქალდეური სიმბო-
ლიკის ანსამბლიდან, ანდა პირდაპირ ინდოეთიდან მომდინარე-
ობს და, რომელსაც სომხები უძველეს დროშიც იცნობდნენ?
ამაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელდება. როგორც ჩანს,
ნიშანი-სიმბოლო ტირი, ანდა ამ ნიშნის იდეა ფართოდ იყო გავ-
რცელებული მახლობელ აღმოსავლეთის ხალხებსა და, კერძოდ,
ამიერკავკასიაში. მაგალითად, ირანელებთან ტირ-სირიუსის ვარ-
სკვლავს წარმოგვიდგენდნენ ოქროს ხარის ცხენად გარდასახ-
ვის მომენტში. აქ თვით გარდასახვა-ცვალებადობა მთლიანად
ემთხვევა ამ პლანეტის ასტროლოგიურ დახასიათებას, კერძოდ,
რომ იგი „ცვალებადია“ და ა. შ.

უძველესი ქართული კალენდრის ტერმინოლოგიაშიც ვხვდე-
ბით ასეთ სახელწოდებას. მაგალითად, თირისდენი და სხვ.

გარდა ამისა, სომხეთში 150 წელს ჩვენს წ-მდე და 302 წელს
ჩვენი წელთაღრიცხვით, არსებობდნენ ინდუს ღვთაებათა გისა-
ნესი (კრიშნა) და დემეტრას (ბელერამა-ხაბად არუ) ტაძრები.
ამ სიმბოლიკიდან ხომ არ ისესხეს სომხებმა ტირის ძველთაძვე-
ლი იდეა?

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა. ამის პარალელურად
ტირმერკურის იდეას უხსოვარი დროიდან იცნობდა ტიბეტური
საკულტო სიმბოლიკა ბოდისატვი მანდუშრის (მეცნიერებისა
და ხელოვნების მფარველის) სახით.

ადრეულ შუა საუკუნეებში ირანელებთან ჭადრაკის კუს გა-
მოსახულება რეალისტური სახითაც გვხვდება (იხ. სურ. 4).

ადრეული ირანული ჭადრაკის ეს ფიგურა ნამდვილად ინ-
დური წარმოშობისაა, რადგან ის მცირე დრო (სულ 200 წელი),
რომელიც ამ ფიგურას ინდოეთში ჩატურანგის წარმოშობის
პერიოდთან ჰყოფს, სავსებით დასაშვებად ხდის იმ აზრს, რომ
მას შეეძლო თავისი პირვანდელი ტრადიციები სპარსულ ჭად-
რაკშიც შემოენახა.

XII საუკუნეში კუს ფიგურა პლანეტა იუპიტერის პატივსა-
ცემად შეიქმნა.

პლანეტა იუპიტერის ასტროლოგიური დახასიათება ძალიან ახლოა ამ პერიოდის ჭადრაკის კუს ფიგურის იდეასთან. განსაკუთრებით ტერმინი „Alte“ „იუპიტერი მართავს სიმართლით, იგია მფარველი ფილოსოფოსთა და ბრძენთა“ ...

ლაზიერი

ლაზიერი — ვენერა

ძველაღმოსავლურ ჭადრაკში ლაზიერი განასახიერებდა მეფის ბრძენ მრჩეველს, დასტურს (ფეხლევურ ენაზე). VI—VIII საუკუნეთა უძველეს ირანულ საჭადრაკო ლიტერატურაში სიტყვასიტყვით ასეა: „ბრძენთა მოაწყო ბრძოლის ველი. მის სიღრმეში შაჰს სადგომი მოუმზადა, მარცხნივ და მარჯვნივ რაინდთა მწკრივები მოაწყო, შაჰს გვერდით დაუყენეს ბრძენი-დასტური, რომელიც ბრძოლის ველს მართავს“. ასეთსავე როლს ანიჭებს ლაზიერს ფირდოუსიც თავის „შაჰ-ნამეში“, როდესაც აღწერს ბრძოლას ჰავასა და ტალხანზე. მას ლაზიერი მამაკაცის სახით აქვს წარმოდგენილი, რომელიც შაჰის ბრძენი მრჩეველი, ანდა ვეზირია (ასე უწოდებდნენ ისლამის ეპოქაში). ამ სახითვე ვხვდები ამ ფიგურას ჩინეთის ჭადრაკშიც. თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლაზიერი დედოფლის სახით პირველად ევროპულ ჭადრაკში გვხვდება და ისიც IX ს-ის ბოლოსა და X ს-ის დასაწყისში. ჩვენამდე არ

მოუღწევია ადრეული ხანის ინდურს და ირანულ ცნობებს პლანეტების პატივსაცემად ჭადრაკის შეწირვის თაობაზე (ამაზე მოგვიანო დროის არაბული ლიტერატურა მიგვითითებს), ამიტომაც შეუძლებელია იმისი თქმა, რომელი პლანეტის პატივსაცემადაა ლაზიერი გამოყვანილი ბრძენ-დასტურის სახით. იქნება იუპიტერის, სიბრძნის მფარველის? ამ ფიგურას ქალის გამოსახულებით, რომელიც პლანეტებს შორის მშვენიერი ვენერას პატივსაცემად შეიქმნა, პირველად ა. ნეკამასთან ვხვდებით. მას ასეთი ტერმინი აქვს გამოყენებული „Regina" („დედოფალი"). ამ შემთხვევაში არ შევეხებით თითქმის მთლიანად ბურუსით მოცული საკითხის, ტერმინ „La dame"-ს (მანდილოსანი) გაიგივებას ძველ შუმერულ ქალღმერთ დამკანასთან. საინტერესოა ლაზიერის სხვა ტერმინის ახსნა. „Virgo"-ში (ქალწული), ბევრი ვარაუდობს, რომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ტრადიციულ დამოკიდებულებას მომდინარეს რომაული მინერვადან, კერძოდ „Virgo bellica"-დან, ანდა პირდაპირ „Virgo"-დან, რომაულ ასტროლოგიაში ამ სახელით იხსენიებენ თანავარსკვლავედ ქალწულის ყველაზე დიდ ვარსკვლავს.

არსებობს მეორე აზრიც: ამ ტერმინს კავშირი აქვს საფრანგეთის ნაციონალური გმირი ქალის, ორლეანელი ქალწულის (ჟანა დარკის) ისტორიულ სახესთანო.

ყოველ შემთხვევაში, ლაზიერის ტერმინის ეს ადრეული პერიოდი ჯერჯერობით კვლავ ამოუცნობია და ბურუსითაა მოცული.

ლაზიერის უკანასკნელი ტერმინი ევროპაში იყო „Regia", ანუ დედოფალი, თავისი პირდაპირი და კონკრეტული მნიშვნელობით. თანამედროვე საერთაშორისო საჭადრაკო ტერმინოლოგია კვლავ დაუბრუნდა აღმოსავლურ ტერმინ „ფერზს" (მამრობითი სქესის სახელს), მაგრამ მან ჩვეულებრივი სათამაშო ფიგურის სავსებით დაკონკრეტებული მნიშვნელობა მიიღო. სომხურ ჭადრაკში ლაზიერი მდედრობითი სქესისაა და ნიშნავს დედოფალს. გაუგებარია ქართული ტერმინის „ლაზიერის" წარმოშობა. იქნება იგი არაბული „ვეზირის" ადგილობრივი სახესხვაობაა?



— მეფე—მზე

მეფე

პლანეტების დახასიათების დროს, შუა საუკუნეების ასტროლოგიაში ნათქვამია: „მზე მანათობელია მეფეთა და მმართველთა“.

აი, რატომ იყო ჭადრაკის ფიგურა მეფე შეწირული მზის სადიდებლად („Rex est Sol“ ...).

ამ ფიგურის უძველესი ტერმინი იყო „შაჰი“, ანუ მეფე. ეს სახელი ირანულიდან მომდინარეობს, თუმცა ჭადრაკის შემოსვლამდე ირანში თვით ინდოეთში მას „რაჯა“ ეწოდებოდა, რასაც ჩვენ მიერ მოტანილი IX ს-ის ტაბულაც (ავტორი რატნაკარა) გვიდასტურებს. ინდური ტერმინი „რაჯა“ ცნობილია მხოლოდ სპეციალისტებს შორის, იგი ვერ გასცდა ინდოეთის საზღვრებს. „შაჰი“, როგორც თვით ფიგურის სახელწოდებამ ევროპაში ფეხი ვერ მოიკიდა და მხოლოდ თამაშის პროცესში მეფის სვლის მანიშნებლად დარჩა. კერძოდ, მეფისათვის საშიშროების გამოცხადების სახით — „შაჰი“ (ქიში მეფეს, ანდა „შაჰია“) ქიშია, ფრთხილად!“

რატომ მაინცდამაინც მეფე აირჩიეს მზის კულტის პატივსაცემად?

უხსოვარი დროიდანვე კაცობრიობისათვის ცნობილია, რომ

უმზეოდ არ არსებობს სიცოცხლე, მზე იძლევა სინათლესა და სითბოს, მზის წყალობით ხარობს დედამიწაზე პური თუ ნაყოფი. მზე არის თავი და თავი, ე. ი. საწყისი ყველაფრისა! ამ, წმინდა მატერიალური თვალსაზრისიდან წარმოდგა მზის რელიგიური კულტი, რომელმაც (კულტის სახით) რელიგიურ ცრუ რწმენებზე მეცნიერების გამარჯვებამდე გასტანა. თავისი ძველისძველი ტრადიციის გამო კოსმოსური სისტემის უმთავრესმა მნათობმა ადამიანთა აზროვნებაში ისეთი ძალა მოიხვეჭა, რომ ყოველგვარი დიადის სინონიმად იქცა. მას უდარებდნენ მმართველებს, ბელადებს, მეფეებს და ა. შ.

IX — X საუკუნეთა ევროპულ ჭადრაკში „შაჰი" იქცა „Rex, Re,"-სად, „Rey, Roy, King"-ად. ამ ტერმინმა გაუძლო მსოფლიოში უამრავი ქვეყნის მონარქიას.

თვით მეფეთა გვირგვინის კბილანები — სხივები სხვა არაფერია, თუ არა მზის სიმბოლო. სხივები კი სიმბოლოა მზის . გვირგვინისა, ანუ სინათლის წყაროსი მზის დისკოზე.

პაიკი

ასტროლოგია ამ საჭადრაკო ფიგურას პლანეტა სატურნს უმორჩილებს. ძნელი სათქმელია, რა იდეურ კავშირს ხედავდნენ ძველი დროის სწავლულნი ამ ფიგურასა და იმ პლანეტას შორის, რომელიც მფარველი იყო „მოხუცების, მღვდელებისა და ბერებისა", მაგრამ ეტყობა, რაღაც კავშირი მაინც ყოფილა. უფრო ხშირად პაიკებში ხედავდნენ 16 ფეხოსან მებრძოლს, მაგრამ სხვაგვარადაც ხდებოდა. პაიკები სოფლის მწყემსებს აღნიშნავდა. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოულწევია ინდოეთისა და ირანის უძველეს ჭადრაკს და ამიტომ შეუძლებელია ვიმსჯელოთ, რა სახე ჰქონდა პაიკს. მაგრამ, თუ ისევ ძველი ლიტერატურული ძეგლებით ვიმსჯელებთ („წიგნი ჩატურანგზე", „შაჰნამე"), პაიკებს მაშინაც მეომრების სახე უნდა ჰქონოდათ.

„ძველი ქურუმები პლანეტა სატურნს ისე უყურებდნენ,
რომელსაც სიბნელის და უბედურების
მეტი არა მოაქვს რა" — (ფლამარიონი).

მრავალუჯრედიანი ჭადრაკი

ჩატურანგა ანუ ჭადრაკი განკუთვნილი ორი ან ოთხი მოთამაშისათვის (64-უჯრედიანი დაფა) ძირითადი სახეა ჭადრაკისა, რომელიც დამყარებულია გონებასა და გაანგარიშების პრინციპზე.

ჭადრაკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გონება იმარჯვებს, ასეა ნათქვამი ირანულ წიგნში, რომელიც ჭადრაკისადმია მიძღვნილი (VIII ს.).

ამ სახის ჭადრაკისაგან მომდინარეობს საერთაშორისო თანამედროვე ჭადრაკიც.

ასეთი ჭადრაკის გარდა ძველ ინდოეთში არსებობდა ჭადრაკი უფრო დიდი დაფებით, კერძოდ, 100 და 144-უჯრედიანი, რომელსაც „დიდ ჭადრაკს", „ათეულობით ჭადრაკსა" და „ასტროლოგიურ (ანდა ასტრონომიულ) ჭადრაკს" უწოდებდნენ. მაგრამ ჭადრაკის ეს სახეობანი არ შეიძლება მივაკუთვნოთ „გონებაზე დამყარებულ თამაშობებს", ვინაიდან ეს თამაშობები, როგორც მას სწორად უწოდეს, „ბედ-იღბალზეა" დამყარებული. ძვლები წერტილოვანი ნიშნებით, ნარდის კამათლის მსგავსად, ფიგურათა სვლებს განსაზღვრავს. მასუდი ამბობდა, რომ ამ სახის აზარტული თამაშობები ძლიერ იყო გავრცელებული ინდოეთში და ადამიანები სრულ გაკოტრებამდე მიჰყავდა. ეს განსაკუთრებით დიდსა და ათეულობით ჭადრაკზე ითქმის.

რაც შეეხება ასტროლოგიურ ჭადრაკს (რომელზედაც უკვე იყო საუბარი), არსი მის მისტიკურობაშია, რადგან ფიგურათა სვლა მზის მსგავს მრგვალ დაფაზე მიმდინარეობს და განისაზღვრება ცის სფეროთა რაოდენობით, პლანეტებითა და ზოდიაქოს ნიშნებით.

ნათელია, რომ დიდდაფიან ჭადრაკზე უფრო მეტი ფიგურებიც ეტეოდა. ათეულობით ჭადრაკში კი (100-უჯრედიან) ძვლების მოყვანილობაც ასტრალური იყო და იგი აპოტროპეას შვიდკუთხედს ემსგავსებოდა, რაც სავსებით შეესაბამებოდა 7 დღის, ან კვირის გამომსახველ ასტროლოგიურ ნიშანს.

თუ გონების ჭადრაკი სამართლიანი ორთაბრძოლაა, მრავალუჯრედიანი წარმოადგენს „ბედ-იღბლით" თამაშს, ანუ პირო-

ბას მომავლის საიდუმლოებაში გასარკვევად. ამით ისინი ემსგავსებიან ტიბეტურ საკულტო ჭადრაკს, რომელსაც სამკითხაოდ იყენებდნენ ხოლმე მთვარის ბუდისტურ დღესასწაულებზე. ამ თამაშში ჩატრანგასათვის დამახასიათებელ ხელოვნებაზეც კი ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომ საჭიროდ არ ვთვლით მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. ყურადღებას გავამახვილებთ ერთ 144-უჯრედიან ჭადრაკის ფიგურა „ანკაზე" და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერ რთული, ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელიც დაკავშირებულია მითოლოგიურ არსებებთან. მისი სახე ორეულია (ერთი მთლიანი) ლეგენდარული რუხისა, უძლიერესი ლეგენდარული ფრინველისა, (ანდა ზეფრინველისა). კულტის მხრივ ანკას ასეთივე მსგავსება შეინიშნება ცხენთან — ზეცისა მახარობელთან და სამოთხის ნახევრად ფრინველ სირინოზთან, რომელიც ფართოდ იყო ცნობილი კავკასია-ირანის მითოლოგიაში: საქართველოში, სომხეთში, მცირე აზიასა და მესოპოტამიაში. ანკასა და სირინოზის მსგავსება ჯერ კიდევ შესასწავლი და დასაზუსტებელია.

ძველისძველმა ქალდეურმა ასტროლოგიამ ღრმა კვალი დაამჩნია კაცობრიობის უძველეს და შუა საუკუნეების კულტურას, რომელიც აღმერთებდა მზეს, მთვარეს, პლანეტებს და მათ რაღაც ზებუნებრივ ძალასა და მნიშვნელობებს ანიჭებდა. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი ერი მსოფლიოში, რომ ამ მნათობთა კულტებს არ შეხებოდეს. ჩვენს მატერიალურ საუკუნეშიც ამ მნათობებმა დედამიწაზე მცხოვრებთათვის როდი დაკარგეს მნიშვნელობა, მაგრამ საბოლოოდ კი განთავისუფლდნენ მისტიკისაგან. ასევეა ჭადრაკშიც. მან თავიდან მოიშორა საიდუმლო მისტიკა და დღეს იგი მხოლოდ მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის ელემენტად იქცა.

ამ ნაშრომის დასასრულს საინტერესოა მოვიშველიოთ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა აზრები, სადაც ასახულია მზისა და მთვარის კულტისადმი თაყვანისცემა.

ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, რომ მკითხველს გავაცნოთ ოდესღაც ხალხთა შორის გავრცელებული ასტროლოგიური რწმენანი, რომლებიც გავლენას ახდენდნენ უძველეს თამაშობებზე.

მემუარული ჩანაწერებიდან

წლები ელვის სისწრაფით გარბიან და თან მიაქვთ ერთხელ განცდილი თუ გადატანილი. თანდათან ვიწროვდება მეგობართა და ახლობელთა წრე და მხოლოდ მოგონებებითღა ცოცხლობ. ასე გიჩნდება მემუარების წერის სურვილი, რომელიც ზოგჯერ ოჯახური არქივისათვის, ხოლო ზოგჯერ საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი. თუ ამ მოგონებათა უმეტესობა ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ ამბებთან და ისტორიისათვის არცთუ ისე უინტერესოა, მაშინ იძულებული ხარ მისთვის წერო. ჩემი ჩანაწერებიც ეხება თბილისელთა საჭადრაკო ცხოვრებას, იმ წრეს, იმ სამყაროს, სადაც მე ვტრიალებდი. მსურს მოგითხროთ, იმათზე, ვისთანაც ურთიერთობა მქონია ჭადრაკის სამყაროში. იმთავითვე ვცდილობდი ძველ ქართველ მოჭადრაკეებში მემუარების წერის სურვილი გამეღვიძებინა. მაგრამ სმოროდსკი, გოგლიძე, სოროკინი, აღამალიანი და მრავალი სხვა, გაურბოდნენ ამ თემას და თავიდან იცილებდნენ ამ საჭირბოროტო საქმეს. სმოროდსკი დროის უქონლობას იმიზეზებდა, გოგლიძე კი მხოლოდ დაპირებებით მკვეპავდა და ბოლოს თავმობეზრებულმა ასე განმიცხადა: მოგონებების წერა უფრო ადვილია, ვიდრე სინამდვილის შენება, რადგან პირველს შეუძლია ლოდინი, ხოლო მეორე გარბის და ვერავინ დაეწევაო. აღამალიანი სიტყვამოსწრებული კაცი იყო და, როგორც სკეპტიკოსებს სჩვევიათ, ჩემს დაჟინებულ თხოვნას ასე უპასუხებდა ხოლმე: გაფრინდა სამი ბატი და ზღაპარიც მას გაჰყვაო. მაგრამ ხუმრობა ხუმრობად დარჩა, ჩვენს რიგებს კი ჩამოსცილდნენ სმოროდსკიც, გოგლიძეცა და აღამალიანიც. დღემდე სიჩუმეს არჩევს სოროკინიც, რომელსაც უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია, რათა აღადგინოს თბილისის მოჭადრაკეთა დიდება.

ჭადრაკს დიდი ხანია მივეკედლე. ჯერ კიდევ ათი წლისა ვიყავი, როცა მას ვეზიარე. 1914 წელს პირველად ვიხილე პეტერბურგის საერთაშორისო მატჩ-ტურნირი ლასკერის, კაპაბლანკას, ალიოხინის, მარშალისა და სხვათა მონაწილეობით.

მაშინ უფრო მეტად ჭადრაკის ვარსკვლავები მიტაცებდა, ვიდრე თვით თამაში. ღვთაებასავით შევცქეროდი ლასკერის

პროფილს, მის კეხიან ცხვირს, ამაყი და გენიალური კუბელის შემართებას, შესანიშნავ აღნაგობას, რომელიც მოდების ჟურნალიდან ამოღებულ სურათს წააგავდა; მარშალის ჯიბის საათს, რომლის ძეწკვი მინიატურული ზომის ჭადრაკის ფიგურებისაგან შედგებოდა. განსაკუთრებული, პატრიოტული გრძნობით შევყურებდი ახოვან ალიოხინს, რომელსაც სამართლის დამცველ მოხელეთა მუნდირი ეცვა. ერთი სიტყვით, მას შემდეგ ჭადრაკი ჩემი ოცნება და კულტი შეიქმნა და მისი სიყვარული უკვე 50 წელიწადზე მეტია თანა მდევს.

სმოლენსკიდან თბილისში 1924 წელს ჩამოვედი. ამ დროისათვის არცთუ ცუდად ვთამაშობდი ჭადრაკს და საკმაო პრაქტიკაც გამაჩნდა. ჯერ კიდევ 1922/25 წლებში მონაწილეობას ვიღებდი სმოლენსკის ტურნირებში, სადაც საკმაოდ გამოჩენილი ოსტატები ვიგოდჩიკოვი, კაპლანი, ბელავენეცი (ცნობილი ოსტატის ს. ბელავენეცის მამა) მონაწილეობდნენ. მომავალ უმუშევარ მხატვარს, აღფრთოვანებულს საკუთარი წოდებით, გულმა თბილისისაკენ გამიწია. თბილისში იმდროისათვის თავმოყრილი იყო მოჭადრაკეთა ბოჰემა და მოდაში იყო სანაძლეოზე თამაში. სმოლენსკში მოპოვებულმა წარმატებებმა და უდიდეს მოჭადრაკეთა ბიოგრაფიებით გატაცებამ საკმაოდ თავხედური თვითდაჯერება ჩამინერგა და თბილისში „ნაძლევზე" შეხვედრების მომავალმა მონაწილემ თავი გამარჯვებულად წარმოვიდგინე.

თბილისში ჩამოსულმა ძლივსძლივობით მოვნახე საჭადრაკო კლუბი, რომელიც ამ დროს მიხაილოვის (ახლანდელი პლეხანოვის) პროსპექტზე მდებარე სასტუმრო „ნოეს" (რუსთაველის). პაწაწინა ოთახში იყო მოთავსებული. მაგიდები ცარიელი იყო. მხოლოდ ერთ კუთხეში მოეყარა თავი რამდენიმე კაცს. ისინი ლუდს შეექცეოდნენ და დაბალ ხმაზე ჭადრაკზე საუბრობდნენ. თავშეყრილთა შორის ბოხი ხმითა და ხმამაღალი ხარხარით გამოირჩეოდა გამხდარი გრძელთმიანი და ეკზალტიკური შესახედაობის მამაკაცი (როგორც შემდეგში გამაცვნეს იგი მოჭადრაკე მებურნუთოვი ყოფილა), რომელსაც ჩვეულებად ჰქონია პატარა მიზეზზეც კი გულიანი ხარხარი, იქვე იდგა მეორე მამაკაცი ნახევრად მელოტი სათვალიანი. ეტყობოდა, კლუბს ძალიან ცოტა მომსვლელი ჰყავდა და ამიტომაც ჩემმა გამოჩენამ

მაშინვე მიიპყრო დამსწრეთა ყურადღება. მებურნუთოვმა ხელ-კავი გამომდო და ცინიკურად მომმართა: „ვფიქრობ, მონავ კაისისავ, თქვენ ღია და დახურულ დებიუტებს შორის სხვაობას მაინც გაარჩევთ?!“ შეიტყვეს თუ არა რომ სმოლენსკელი ვარ, სიტყვა მაშინვე ვიგოდჩიკოვზე ჩამომიგდეს. „ნება მომეცით, — დაიბუხუნა მებურნუთოვმა, — შევამოწმო სმოლენ-სკელი. მე, ჭაბუკო, ადგილობრივი ორგანიზაციის „სასინჯი ქვა“ ვარ. ნუ დაირცხვენთ, ნურც ჩემი ნათქვამი შეგაშფოთებთ ცხოვრებაში ძალიან კეთილი ვარ, მაგრამ ჭადრაკში საოცრად ძუნწი და დაუნდობელი“. იგი გამუდმებით სიტყვამახვილობდა და თან ნერვიულად ისროდა თავისი გრძელი და ჩამოქნილი თითებით ჭადრაკის ფიგურებს. წამდაუწუმ თავს აქნევდა. „ვართან მიხაილოვიჩ, თქვენ ჩემი გენიალური თამაშის მოწმე გახდებით. 1. e2 — e4, კენჭი ვყაროთ და კეისარმა რუბიკონი გადალახოს“. ჩვენს მაგიდას ჩუმად უთვალთვალებდნენ. რამდენიმე სვლის შემდეგ „კეისარმა“ მხედარი შემომწირა და სულ მალე პარტიაც წააგო. ასევე წაგებული გამოვიდა მეორე პარ-ტიაშიც, როცა მეფის გარბიტის მწვავე ვარიანტში ლაზიერი დაკარგა, იქ მსხდომთ სიცილი დააყარეს. მებურნუთოვმა კი ფიგურები არია და წარმოთქვა: „მავრმა თავისი საქმე გააკეთა და გტოვებთ, მაგრამ თქვენ, უმაწვილო შეეწირებით ჩემს დაშ-ნას“! იგი აღამალიანმა შესცვალა. მალე იძულებული გავხდი საათი მომეთხოვა. „ჩვენ მხოლოდ ერთადერთი საათი გაგვაჩ-ნია და იმისი აქ მოტანა დაუშვებელია, რადგან იგი ჩვენი კლუბის სიმბოლოა“ — მიპასუხეს. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი გენერალი არჯევანიძე მე მემხრობოდა, ეს პარტია ღამის 12 სა-ათზე ჩემი დამარცხებით დასრულდა. რამდენიმე დღის შემდეგ აქვე გაიმართა ტურნირი ელვისებურ თამაშში. საათის უქონ-ლობის გამო ამ მოვალეობას ნახევრად მძინარი ახალგაზრდა ასრულებდა, რომელიც ჯოხის კაკუნით გვამცნობდა სვლის დროს: „ერთი, ორი, სამი სვლა“! აი, ასე გამოიყურებოდა თბილისის საჭადრაკო ცენტრი იმ შორეულ წარსულში.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, კლუბმა, სანამ თავის საბო-ლოო ადგილს დაიმკვიდრებდა, ადგილი ბევრჯერ გამოიცვალა, იყო სამხედრო ქუჩაზეც, საიდანაც დროებით გადავიდა, ერთ-ერ-თი შენობის ფოიეშიც (დღევანდელი ცენტრალური უნივერმა-



საქართველოს 1925—30 წწ. ჭადრაკის პირველადი ორგანიზაციის აქტივისტები.

დგანან: ე. გოგლიძე (მარცხნიდან მეორე), როსტოვცევი, მ. კურისი, რ. მაკაბარიანი. ა. ებრალიძე (მარცხნიდან მეშვიდე).

სხედან: რაკანტი, ტალვიკი, ოსტატი სმოროდსკი, ჰეინე, ბეტრაკოვსკი, ოსტატი ილინ-ჟენევსკი, ნ. სოროკინი ვ. მაკაგონსკი.

ქვემოთ: მარცხნივ აბრამიანი და ბოლოში ბალუნცევი.

ლის შენობის ფოიე). აქ, წინა სამყოფელთან შედარებით მეტი კომფორტი იყო და, რაც მთავარია, საჭადრაკო საათებიც გაგვიჩნდა, რომელიც თავისი ფორმით საბარგო ვაგონს წააგავდა. საბოლოოდ კლუბმა თავისი სახლობა ეკლესიაში იზეიმა. ეკლესია საჭადრაკო კლუბს მთელი თავისი მოწყობილობით ერგო: საკურთხევლით, სალოცავებით, ხატებითა და სხვა მრავალით. ბევრი დავიდარაბა დაგვჭირდა, სანამ მას მოჭადრაკეთა შეხვედრებისათვის ვარგის შენობად გადავაქცევდით.

ჩემი ვარაუდი „სანაძლეოთი 'გავმდიდრებულიყავი" — არ გამართლდა. პურის ფულის საშოვნელად სამხედრო ნაწილს მივაშურე და იქ მხატვრად დავიწყე მუშაობა. აქვე შემომთავაზეს ჭადრაკის წრის ხელმძღვანელობაც. სულ მალე სული მოვითქვი და საშუალება მომეცა საჭადრაკო კლუბის ხშირი სტუმარი ვყოფილიყავი (მაშინ კლუბი ჯერ კიდევ უნივერმალის ფო-

იეში იყო მოთავსებული). აქ გავეცანი ჭადრაკის ვარსკვლავებს. მაშინდელ კლუბში ჰეგემონობდნენ მ. კურისი, ა. სმოროდსკი, ნ. სოროკინი, ვ. აღამალიანი და ტალვიკი. ჭადრაკის პატარა ვარსკვლავებად კი ვ. მიკრტუმოვი, ძმები იცკევიჩები, მარტიროსოვი, ა. ებრალიძე, ჰ. კასპარიანი, ბ. ვეიზური, რაკანტი, ა. ფალავანდიშვილი, მ. შიშოვი, ასოვსკი და სხვები ითვლებოდნენ. ქალთა შორის გამოირჩეოდნენ ვ. ზარგარიანი და ე. ზაუტაშვილი.

ზაფხულის დღეებში საჭადრაკო ცენტრი ვაჭრობის მუშაკთა ბაღში იყო (სადაც ახლა წიგნის სასახლეა). ყოველ საღამოს იმართებოდა ელვისებური თამაში, სადაც ბატონ-პატრონად მოუსვენარი მიშა კურისი გვევლინებოდა, თუმცა ახალგაზრდებიც აღარ ჩამორჩებოდნენ და პირველობას არჩილ ებრალიძე, ჰ. კასპარიანი, მ. შიშოვი, ვეიზერი და სხვები ეცილებოდნენ. ჩვენი წრის იშვიათი სტუმრები იყვნენ სმოროდსკი და სოროკინი, ისინი მუდამ განსაკუთრებულ თავშეკავებას იჩენდნენ ხოლმე. პირველი ეგვიპტურ სფინქს მოგაგონებდათ, რომელიც თავშეკავებას არჩევს და ტოლს არ უდებს ბოჰემას იმის გამო, რომ ამ ქვეყნად ჭადრაკის უამრავი მოტრფიალე უნახავს და ბევრიც უთამაშია. „მაესტროს“ ტიტული მან ჯერ კიდევ სრულიად რუსეთის ოსტატთა ტურნირის (1913 — 1914 წწ.) შედეგად დაიმსაკუთრა და ისიც სიამაყით ატარებდა მას, რითაც მეტოქეებშიც პატივისცემას იმსახურებდა.

ნ. სოროკინი ერთი შეხედვით შერლოკ ჰოლმსს წააგავდა. ისიც „წარსულის მქონე“ მოჭადრაკე იყო. მას ოდესღაც ცნობილი მოჭადრაკის, ალიოხინის ძმასთან და ყოფილ ვარსკვლავ ალექსანდრე ევენსონთან ჰქონია შეხვედრები და საკმაო სახელი მოუხვეჭია. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა მუსიკოსი ტალვიკი. მას თხასავით წვერი და გაბუტული მოსწავლის შეხედულება ჰქონდა. წრეში გამოჩენილი ადგილი ეკავა კიდევ ორს. ერთ-ერთი, სოლიდური შეხედულების, ბუდიონისებური ულვაშა ტიმოფეევი იყო, რომელთანაც მე ოფიციალური შეჯიბრება მქონდა (ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ — „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე) და იგი ფრედ დასრულდა, ხოლო მეორე ვიქტორ გოგლიძე იყო. ვიქტორ გოგლიძეს პირველად 1925 წ. ზაფხულში წითელი არმიისა და ფლოტის სახლში შევხვდი. ამ

დროისათვის მე უკვე თბილისის გარნიზონის ჩემპიონი ვიყავი. ვიქტორზე, როგორც მოჭადრაკეზე, ბევრი რამ მსმენოდა, მას თან ახლდნენ საშა ფალავანდიშვილი და რეზო მაჭავარიანი. მორიდებული მანერა, ლამაზი, შავგვრემანი სახე, მაღალი შუბლი და შავი გრუზა თმები უნებლიედ გიზიდავდნენ. მისი მოსვლის დროს პარკში კურისიც აღმოჩნდა. ჩემი მსაჯობით კურისმა და გოგლიძემ რამდენიმე პარტია გაითამაშეს. ვიქტორმა მხოლოდ ერთი პარტია დაასრულა ყაიმით. დანარჩენი კი მოიგო. როცა იგი წავიდა, ანთებულმა კურისმა ველარ მოითმინა და განაცხადა, რომ გოგლიძემ თამაში არ იცის და ამას მოკლე ხანში დაგიმტკიცებთო. ამის დამტკიცება, რა თქმა უნდა, ვერ შეძლო და მისი ვარსკვლავიც ჩაესვენა. გოგლიძის გამოჩენამ ქალაქის საჭადრაკო ცხოვრება გამოაცოცხლა. დრო გვიწინასწარმეტყველებდა, რომ პირველი საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში (1925 წ.) თბილისელთათვის ძალიან მშფოთვარე და ამაღელვებელი იქნებოდა. ყველგან, ბაღებში თუ დაწესებულებებში ერთმანეთს ეპაექრებოდნენ და ცდილობდნენ ამ ტურნირისათვის უძლიერესები შეერჩიათ. მეც გაწამაწიაში ვიყავი და ყოველნაირ ფანდს მივმართავდი, რათა სამხედრო ნაწილებიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან საუკეთესო გადმომებირებინა და ისე დამეკომპლექტებინა გარნიზონის გუნდი. სამხედროებს შორის უძლიერეს მოთამაშეთა (ობოზოვი, რენიოვი, ატამასი, კოშემანსკი და სხვები) გარდა ჩვენს მხარეზე გადმოვიბირეთ არჩილ ებრალიძე, ლევიტასი, კარლინსკი და ყველაზე კარგ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მოგვიანებით მე აღამალინის, რაკანტის, მისი ვაჟის — ისაკისა და სიძის — ჰეიმანის „მითვისებაც“ შევძელი. თადარიგში მყავდნენ აგრეთვე რუბენ მიკირტუმოვი და ბეიდემანი. ამგვარად ჩვენი წრე ვაჭრობის მუშაკთა კლუბის მთავარ მეტოქედ იქცა. ჩვენი წრის საინტერესო მატჩებიდან აღსანიშნავია სამი: მატჩი ცენტრალურ კლუბთან (პირველ დაფაზე ვიქტორ გოგლიძე თამაშობდა, ხოლო ჩვენგან ჰეიმანი), სადაც საერთო ჯამში ფრე აღინიშნა. მეორე მატჩი 36 დაფაზე უნივერსიტეტთან დაინიშნა (პირველ დაფაზე თამაშობდა რენეგატი აღამალიანი, ხოლო ჩვენგან ა. ებრალიძე). ამ მატჩში გამარჯვებას მივაღწიეთ ერთი ქულის უპირატესობით. მესამე მატჩი გაიმართა ვაჭრობის მუშაკთა კლუბის წევრებთან (პირველ და-

ფაზე ტიმოფეევი ბატონობდა, მეორეზე — კურისი). ეს თამაში ჩვენ სამარცხვინოდ წავაგეთ (ერთადერთი მოგება ტიმოფეევს ხვდა წილად). საქალაქო საჭადრაკო აქტივი 1925—27 წლების პერიოდში ახალი ძალებით შეივსო. ესენია: უნგრელი იოჰანი, რომელმაც უძლიერესთა რიგები დაიკავა, ჩეხი ვახეკი, რომელსაც კლუბის წევრებმა ხუმრობით „შახიკ-მაესტრო ვახეკ“ შეარქვეს, საკმაო ტალანტის მქონე ახალგაზრდა კ. ღამბარაშვილი, დ. წერეთელი, მედვედევი, მალუნცევი, სერედა, შ. ცინცაძე, ა. ფირცხალავა და სხვები. ახალგაზრდების ჯგუფიდან უნდა გამოვყოთ ა. ებრალიძე, ჰ. კასპარიანი და მ. შიშოვი, რომლებიც სულ მალე დაწინაურდნენ და ძველი თაობის მოთამაშეთა საშიშ მეტოქეებად იქცნენ. ზედმეტად მიმაჩნია იმ ტრიუმფების აღნიშვნა, რომლებიც მათ თამაშს ახლდა, მე მხოლოდ იმ დიდ სიხარულს აღვწერ, რომელიც ამ ტრიომ განმაცდევინა.

მოჭადრაკეთა შორის ყოფნის პერიოდში ბევრჯერ დავკვირვებივარ ქართველთა საზოგადოებას, რომელიც უაღრესად დიდ რეაგირებას ახდენდა ხოლმე საჭადრაკო მოვლენებზე. საჭადრაკო კლუბში ხშირად შევხვედრივარ განთქმულ ქართველ პოეტს პაოლო იაშვილს. ერთხელ მე და პაოლომ საუბარი ჩამოვაგდეთ ჭადრაკის მომავალზე, მის შემდგომ ზრდასა და განვითარებაზე და ასეთი შეკითხვა მივეცი: რა გზით უნდა წარმართულიყო ჭადრაკი მომავალში? იაშვილი ცოტახანს ჩაფიქრდა და დინჯად მიპასუხა: „ქართველები დიდი ტემპერამენტის, საღი ჭკუისა და გატაცების ხალხია, მაგრამ ზარმაცია და ეს გვიშლის ხელსო, აი, შეხედეთ, თუნდაც ვიქტორი და არჩილი ნამდვილი ტალანტის მქონე მოჭადრაკეები არიან და გზაც ხსნილი აქვთ, მაგრამ მე მაინც ეჭვი მღრღნის, შეძლებენ კი...?“

ეს ეჭვი ნაწილობრივ გამართლდა. გოგლიძემ გაკვალული გზა შესანიშნავად გააგრძელა, პირველმა მიიღო საქართველოს დამსახურებული ოსტატის წოდება და ითვლება საქართველოში ჭადრაკის, როგორც მასობრივი სპორტის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ა. ებრალიძემ კი მხოლოდ ოსტატობას მიაღწია. საშიშმა სენმა დარია ხელი და ვერ შესძლო თავისი ნიჭის მობილიზება. იგი თავქვე დაეშვა და ჭადრაკისათვის ბოლოს გამოუსადეგარი შეიქმნა, თუმცა ლიტერატურულ სარბიელზე ბევრი რამის გაკეთება კი მოასწრო. მან თავისი თარგმანებით ბევრი

სიკეთის მოტანა შეძლო. რა სიზარმაცეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არჩილი ამ თარგმანებზე დღე და ღამეს ასწორებდა. იგი ჩემი ხშირი სტუმარი იყო და საოცრად განიცდიდა საკუთარ დაცემას. რომ არ დავლიო, არ შემიძლია, სამუშაო კი ყელამდე მაქვსო, მეტყოდა და წამოხტებოდა, წამოავლებდა ხელს თავის უშველებელ ჩანთას, ჩიბუხს გაიჩრიდა და ამაყად თავაწეული გარბოდა.

აი, ასეთი იყო თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ეს საოცარი ადამიანი. შევყურებ მის სურათს და უნებლიედ წარმომიდგება მაქსიმ გორკის ბარონი „ფსკერიდან", რომელიც ასე ძლიერ წააგავს 20-იანი წლების არჩილს, ასე მოხდენილს, თავშეკავებულსა და მორიდებულს. — და განა მორიდებულობა ეს დანაშაულია?! მაგრამ ის მაინც სისხლით ხორცამდე მოჭადრაკე იყო, მოჭადრაკე, რომელსაც გატაცებით, მთელი გრძნობით უყვარდა საჭადრაკო სამყარო.

ახლა 1972 წელია, 48 წლის ცვალებადობისა და პროგრესის გზა საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებაში. ადამიანები კი მიდიან, რომელთაც ასე შევეწყვე, შევიყვარე და ვეთაყვანები. მე მოვალე ვარ ჩემი წვლილი მივუზღო მათ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჭადრაკის აღორძინებას საბჭოთა საქართველოში. წინამდებარე ნარკვევი მხოლოდ ესკიზია მომავალი მემუარებისა, რომელიც გააზრებული მაქვს და მხოლოდ ქაღალდზე გადატანას ელოდება.

1960 წლიდან სხვადასხვა ვითარების გამო (ასაკი, ლიტერატურული მუშაობა, მხატვრობა) თითქმის სრულიად ჩამოვშორდი ჭადრაკს, თუმცა ძველ თაობასთან კავშირი არ გამიწყვეტია. დიდი მეგობრობა მაკავშირებდა ნ. სოროკინთან, მ. შიშოვთან, ვ. აღამალიანთან, ვ. გოგლიძესთან, მაგრამ ეს შეხვედრებიც სამწუხაროდ შენელდა, ხოლო ზოგიერთთან სამუდამოდ შეწყდა.

ბევრი და როგორღაც ერთიმეორის მიყოლებით მოგვტაცა სიკვდილმა: ა. ებრალიძე, ვ. გოგლიძე, ა. ფალავანდიშვილი, ვ. აღამალიანი, ვ. ქარსელაძე, მანამდე კი ა. სმოროდსკი, ე. ტალვიკი, ვ. ზარგარიანი და სხვები. დანარჩენები კი თითქმის ჩამოსცილდნენ ჭადრაკს და სხვა სარბიელზე გავიდნენ (მალუნცევი, ვეიზერი, კურისი, ლევიტასი, გუგუნავა, ცინცაძე, ა. გამრეკელი და სხვები).

აქვე მინდა მოვიხსენიო ძველი ენთუზიასტის აწ განსვენებულ ხ. ი. გრიგორიანის გატაცებული სიყვარული ჭადრაკისადმი, რის გამოც მ. მ. ბოტვინიკმა მას ხუმრობით „გულშემატკივართა შორის მსოფლიო ჩემპიონი“ უწოდა.

ვფიქრობ მოგონებათა ეს პატარა ფურცელი ამ პერიოდის ქართულ ჭადრაკზე უფრო ვრცელ მოგონებათა თემად გამოდგეს.

ჭადრაკის მოყვარული
გამოჩენილი ადამიანები

მეფე ივანე IV მრისხანე

(გარდაიცვალა 1584 წ.)

ცნობილია, რომ ჭადრაკის თამაში ძალიან უყვარდა ივანე მრისხანეს, რომელსაც სიკვდილმა ჭადრაკის დაფასთან მოუსწრო.

ინგლისის ელჩი რუსეთში ჯერომ ჰორსეი, რომელიც რუსეთში 1572 წელს ჩამოვიდა და დაჰყო თვრამეტი წელი, თავის წიგნში „ჩანაწერები XVI საუკ. მოსკოვის შესახებ“ მეფე ივანეს გარდაცვალ ების შესახებ წერს:

„გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მეფემ უბრძანა თავის საყვარელ როდიონ ბირკინს მოეტანა საჭადრაკო მაგიდა და თვითონ დაიწყო ფიგურების განლაგება, მაგრამ ჭადრაკის მეფეს ვერაფრით ვერ დგამდა თავის ადგილას. მეფის ახლობელნი მაგიდას გარსშემოერტყნენ, როცა მეფე უეცრად გარდაიცვალა“.

არის აგრეთვე ცნობები, რომ მეფე ივანე, თვითონ თამაშობდა რა კარგად ჭადრაკს, თამაშს ასწავლიდა მალიუტა სკურტოვს. ჰორსეის გადმოცემა ისტორიაში.სავსებით სწორ ამბავადაა მიჩნეული.

ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე მომდევნო მეფეთა შორისაც. ჩვენამდე მოაღწია მეფეების: თეოდორე იოანის-ძის, გოდუნოვის, შუისკისა და პეტრე I მამის, ალექსი მიხეილის-ძის ქონების აღწერამ, რომლებშიც სხვა განძეულთან ერთად მოხსენებულია რამდენიმე ძვირფასად ნაკეთები ჭადრაკის ფიგურა და დაფები; მასში ჩამოთვლილია ჭადრაკები ბროლისა და ქვისა ოქროს ძირებით, ჭადრაკი სპილოს ძვლისაგან, დაფები ოქროთი, ვერცხლით და სხვა საღებავებით დაწერილი...

მეფე ალექსი მიხეილის ძის სასახლეში ჰყავდათ ხელოსანთა სპეციალური შტატი, რომლებმაც იცოდნენ საჭადრაკო ფიგუ-

რების გამოთლა და შეკეთება. ასეთ ოსტატებს „შახმატნიკებს“ უწოდებდნენ, რომელთა რიცხვში რუსები და უცხოელებიც იყვნენ.

პ ე ტ რ ე I
(1672 — 1725 წწ.)

პეტრე დიდი ჭადრაკისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. მ ისი დღიურის ჩანაწერები გვიამბობენ პეტრე I საჭადრაკო შეხვედრებზე. პეტრე I ესმოდა ჭადრაკის აღმზრდელობითი მნიშ ვნელობა და სავალდებულო სათამაშოდ ხდიდა საზოგადოებრივ საღამოებზე. ამ საღამოებზე ხშირად მას თვითონ უყვარდა თავის ახლობლებთან ან უბრალო უცხოელ მეზღვაურებთან ჭადრაკის ან შაშის თამაში.

„იურნალში“ (ჟურნალი) არის პეტრე I ჩანაწერი: „ვითამაშე ჭადრაკი მღვდელ ბიტკასთან (1714 წ. 18 აგვისტო).

პეტრე ზრუნავდა, რომ მის ვაჟიშვილს ალექსისაც შეყვარებოდა ჭადრაკი. ცნობილია მისი განკარგულება მეფის წულის ალექსისათვის დაფისა და ფიგურების დამზადების შესახებ, „... გაკეთდეს და ოქროთი დაიწეროს საჭადრაკო დაფა, არშინის ზომისა და ამ ზომისვე სიგანისა“.

ა. მ ე ნ შ ი კ ო ვ ი
(1678 — 1729 წწ.)

ა. დ. მენშიკოვი პეტრე I სახელგანთქმული თანამებრძოლია, რომელიც ჭადრაკით დიდად იყო გატაცებული. ღრმა მოხუცებულობაშიც უყვარდა მენშიკოვს მეგობრებთან ჭადრაკის დაფასთან დროს გატარება: ჯარისკაცები, რომლებიც მის დასაპატიმრებლად მივიდნენ (ციმბირში გადასახლების წინ) გაოცებულან—მენშიკოვი დამშვიდებულად ჭადრაკს თამაშობდა.

ე კ ა ტ ე რ ი ნ ე II
(1729 — 1796 წწ.)

შემონახულია საკმაოდ ბევრი ისტორიული წყარო, რომელშიც მიუთითებენ, რომ იმპერატრიცა გატაცებული იყო ჭადრაკით. მას უყვარდა ოთხეულთა ჭადრაკი, სადაც ოთხი კაცი თა-

მაშობს ერთ დაფაზე (დაფა შეიცავს ჩვეულებრივზე მეტ უჯრებსა და ფიგურებს). ასეთი თამაში ფართოდ იყო გავრცელებული XVIII საუკუნეში. ეკატერინე ცდილობდა შეეყვარებინა ჭადრაკი თავის შვილის პავლესათვის, რისთვისაც შეიძინა სათამაშოს იშვიათი, მხატვრული კომპლექტი. ეკატერინე II დროს მიეკუთვნება რუსეთში ცოცხალი ჭადრაკის თამაშის გამართვა, რომელიც 1796 წელს მოეწყო შვეციის მეფის გუსტავ IV რუსეთში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

გუსტავ IV და ეკატერინე II პირადად ესწრებოდნენ თამაშს, რომელიც შედგა ლ. ნარიშკინასა და თავად სტროგანოვს შორის.

ე. დაშკოვა
(1743 — 1810 წწ.)

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი ე. დაშკოვა თავის დროისათვის საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე იყო. ცნობილია, რომ დაშკოვა ჭადრაკს მიწერ-მოწერით ეთამაშებოდა ევროპის გამოჩენილ ადამიანებს, მაგალითად, ვოლტერს.

ი. ბეცკი
(1704 — 1795 წწ.)

ეკატერინე II დროის პროგრესული სახელმწიფო მოღვაწე, სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, ი. ბეცკი ჭადრაკის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ისტორიული ცნობები და აგრეთვე მისი საკუთარი წერილები ახასიათებენ ბეცკის როგორც კარგ მოჭადრაკეს.

გ. პოტიომკინი
(1739 — 1791 წწ.)

ეკატერინეს დროის სახელგანთქმული ფელდმარშალი ჭადრაკის გატაცებული მოთამაშე ყოფილა. თურქებთან ომში მთავარსარდლად ყოფნის დროს პოტიომკინმა ტულიდან გამოიწვე-

რა ძლიერი მოჭადრაკე და იგი ომის დამთავრებამდე არ გაუშვია. პოტიომკინს ჩამოყვანილ მოჭადრაკესთან ცხარე ბრძოლები ჰქონდა, ზოგჯერ ფელდმარშალი მას ღამითაც ეთამაშებოდა.

პოეტმა დერჟავინმა პოტიომკინის შესახებ თქვა:

„ცალი ხელით იგი ჭადრაკს თამაშობს, მეორე ხელით ხალხებს იპყრობს“

კ. რაზუმოვსკი
(1728 — 1803 წწ.)

უკრაინის გეტმანს უყვარდა ჭადრაკის თამაში. თავისუფალ დროს მისი სალონი საღამოობით ყოველთვის მოთამაშეებით იყო სავსე. მისი სახლის კარები ყოველთვის ღია იყო ნაცნობი და უცნობი მოჭადრაკეებისათვის.

ნ. გოლოვინა

XVIII საუკუნის რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი მხატვარი ქალი ნ. გოლოვინა ჭადრაკის თამაშის დიდი მოყვარული იყო. ჭადრაკი მას მიაჩნდა გონივრულ და სასარგებლო სათამაშოდ.

იმ საათების შესახებ, რაც მას გაუტარებია საჭადრაკო დაფასთან გოლოვინა მოგვითხრობს თავის „მოგონებებში“.

ი. ლიტა
(1769 — 1839 წწ.)

ეკატერინე II დროის მდიდარი თავადი. ჭადრაკის დიდი მოყვარული და მეცენატი. ლიტას XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში თავისი საკუთარი სალონი ჰქონდა, სადაც ყოველდღე იკრიბებოდნენ დედაქალაქის მოჭადრაკეები და ძლიერთა თამაშის საყურებლად ჭადრაკის რიგითი მოყვარულები. მის სალონში ყოფილან იმ დროის უძლიერესი რუსი მოჭადრაკე ალექსანდრე პეტროვი, პ. შილინგი (მოჭადრაკე და ელექ-

ტრომაგნიტურ ტელეგრაფის გამომგონებელი), აქ სტუმართა შორის ხშირად ყოფილა პუშკინიც, რომელიც ერთ დროს ჭადრაკით ძალიან ყოფილა გატაცებული.

ლიტას სალონმა რუსეთში ჭადრაკის თამაშის განვითარების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა.

პ. შ ი ლ ი ნ გ ი
(1786 — 1837 წწ.)

პ. შილინგი, პირველი ელექტრომაგნიტური ტელეგრაფის გამომგონებელი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა.

ი. კ რ უ ზ ე ნ შ ტ ე რ ნ ი
(1770 — 1846 წწ.)

სახელგანთქმული მეზღვაური ცნობილი იყო მაშინდელ მოჭადრაკეთა შორისაც. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ იგი თავის მამულში ცხოვრობდა და ჭადრაკის პოპულარიზაციას ეწეოდა მეზობელ მემამულეთა შორის. ხანდაზმული ადმირალი ესწრებოდა მოჭადრაკეთა კრებებს, სადაც ამელუნგს, კლინგერს, ცნობილ ასტრონომს შუბერტს და სხვ. ძლიერ მოჭადრაკეებს ხვდებოდა.

ე. ვ ი რ ტ ე მ ბ ე რ გ ე ლ ი

პრინცი ვირტემბერგელი (შემდგომში 1812 წლის ომის გმირი) ახალგაზრდობაში ესწრებოდა პეტერბურგის მოჭადრაკეების კრებებს, სადაც იმ დროს ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა, ამელუნგის გარდა, მოხუცი გენერალი კლინგერი.

ერთხელ კლინგერმა რამდენიმე პარტია წააგო ევგენი ვირტემბერგელთან და ძალიან გაბრაზდა.

„თუ კი თქვენ ახალგაზრდას ასე შეგიძლიათ ბრძოლის მოგება, მაშინ თქვენ უნდა დაინიშნოთ მთავარსარდლად ნაპოლეონის წინააღმდეგ“ — თქვა მოხუცმა.

ა. პუშკინი
(1799 — 1837 წწ.)

დიდებული პოეტი ჭადრაკს გაეცნო ლიცეუმში სწავლის დროს. ერთ პერიოდში, როცა პუშკინი დიდად გაიტაცა ჭადრაკმა, დაიწყო თამაშის თეორიის შესწავლა გამოჩენილი ფრანგი მოჭადრაკის ფილიდორის „Analis des sches" სახელმძღვანელოს მიხედვით. ამასთან გამოიწერა ფრანგული ჟურნალი „Palamede". გრაფ ლიტას სალონიდან პუშკინი იცნობდა რუსეთის პირველ საჭადრაკო ოსტატს. ა. პეტროვს, რომელმაც მას თავისი სახელმძღვანელო მიართვა. პოეტი ნ. ვოლფის ხშირი სტუმარი იყო. დადიოდა მისი მეგობრის ა. ვოლფის მკვიდრ ბინასთან, სადაც ბევრს თამაშობდა. არის ცნობები აგრეთვე იმის შესახებ, რომ კიშინიოვში ცხოვრების დროს პუშკინი გატაცებული იყო ჭადრაკით. მის პარტნიორებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მ. შჩურბინინი, პ. კავერინი, გენერალი ინზოვი, მ. ველეგორსკი და სხვ.

მისი შემოქმედების მრავალ ძეგლში შესულია საჭადრაკო მოტივები.

ი. პასკევიჩი-ერევანსკი
(1782 — 1856 წწ.)

ფელდმარშალი ი. პასკევიჩი-ერევანსკი საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე იყო. პოლონეთში მეფის ნაცვლად ყოფნის დროს პასკევიჩი ხშირად ეთამაშებოდა ცნობილ რუს ოსტატს ა. პეტროვს, რომელიც 1840 წლიდან ვარშავაში ცხოვრობდა და მის ხელქვეითად მსახურობდა.

პასკევიჩი დიდ პატივს სცემდა პეტროვს და ხშირად მას მატერიალურადაც ეხმარებოდა. 1852 წელს პასკევიჩი პეტერბურგის საჭადრაკო კლუბის საპატიო წევრად აირჩიეს.

მ. ლერმონტოვი
(1814 — 1841 წწ.)

გამოჩენილი რუსი პოეტის მეგობარი ა. შან-გირეი თავის მოგონებებში მ. ლერმონტოვზე წერს: ჩვენ ხშირად ჭადრაკს ვთამაშობდითო.

გ. კუშელევ-ბეზბოროდკო
(1832 — 1870 წწ.)

XIX საუკუნის დამდეგს გ. კუშელევ-ბეზბოროდკო პეტერბურგის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა. ა. პეტროვისა და კ. ამელუნგის გარდაცვალების შემდეგ შეჯიბრებებში კარგ ადგილს იკავებდა. იგი თავის გარშემო საეკეთესო მოჭადრაკეებს იკრებდა და ამით ძალიან უწყობდა ხელს რუსეთის საჭადრაკო მოძრაობას. გ. კუშელევ-ბეზბოროდკო იყო პეტერბურგში პირველი საჭადრაკო კლუბის გახსნის მთავარი ინიციატორი. კლუბი გაიხსნა მის საკუთარ სახლში 1853 წლის 27 მარტს. კლუბის ხშირი სტუმრები იყვნენ მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწენი: მწერლები ი. ტურგენევი. ლ. ტოლსტოი, ი. პოლონსკი, პანაევი და სხვები.

ი. ტ ურ გ ე ნ ე ვ ი
(1818 — 1883 წწ.)

გამოჩენილი მწერალი ძლიერი მოჭადრაკე იყო. იგი კარგად იცნობდა ჭადრაკის თეორიასა და წარმატებით თამაშობდა თავისი დროის ძლიერ მოჭადრაკეებთან, მაგალითად გ. კუშელევ-ბეზბოროდკოსთან, შუმოვთან, დიუბუასთან და სხვ. მოგვყავს ნაწყვეტი პოეტი პოლონსკის მოგონებიდან:

„...საღამოობით ჩვენ ზოგჯერ ჭადრაკს ვთამაშობდით. ტურგენევი კარგი მოჭადრაკე, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. იგი სწავლობდა ამ თამაშს და მიუხედავად პრაქტიკის დიდი ხნის უქონლობისა, ლაზიერს მაძლევდა და მიგებდა“.

ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო ი
(1828 — 1910 წწ.)

დიდი მწერალი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დიდ ყურადღებას უთმობდა ჭადრაკის თამაშს. ლიტერატურაში შემონახულია მეტად საინტერესო სარეკომენდაციო წერილი, რომელიც XIX საუკუნის ცნობილმა მოჭადრაკემ თავადმა ურუსოვმა ი. კირეევსკისთან გაატანა ლევ ტოლსტოის.

კოლეევსკის სახლში იმ დროს იკრიბებოდნენ პეტერბურგის ძლიერი მოჭადრაკეები. წერილში ურუსოვი წერდა: „გიკზავნით შესანიშნავ ლიტერატორსა და ჭადრაკის მოთამაშეს, ჩემს მოწაფეს გრაფ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის“.

იასნოე პოლიანაში ტოლსტოი ხშირად თამაშობდა ჭადრაკს, ხან თავის მდივან ჩერტკოვთან, ხან კიდევ მრავალრიცხოვან სტუმრებთან, რომლებიც მასთან ჩამოდიოდნენ. გამოჩენილი პიანისტის ა. გოლდენვეიზერის ცნობით, რომელთანაც ტოლსტოიმ 15 წლის მანძილზე შვიდასამდე პარტია ითამაშა, მწერალმა არ იცოდა თეორია, მაგრამ ყოველთვის ძალზე მწვავედ, შემტევი სტილით თამაშობდა. ტოლსტოი ამტკიცებდა, რომ ჭადრაკი არ ღლის, უფრო ასვენებს.

„მე მიყვარს ჭადრაკი იმიტომ, რომ იგი კარგი დასვენებაა: ჭადრაკი გაიძულებს იმუშაო თავით, მაგრამ რაღაც [მეტად თავისებურად“ — ამბობდა დიდი მწერალი“.

ნ. ჩერნიშევსკი
(1828 — 1889 წწ.)

დიდ მწერალს, ფილოსოფოსს და რევოლუციონერ-დემოკრატ ნ. გ. ჩერნიშევსკის უყვარდა თავისუფალი წუთების დათმობა ჭადრაკის თამაშისათვის. იგი იყო რუსული კულტურის ერთ-ერთი მოღვაწეთაგანი, რომელიც ჭადრაკს ანიჭებდა აღმზრდელობით მნიშვნელობას და მიაჩნდა გონებრივი დასვენების საუკეთესო საშუალებად. ჩერნიშევსკი 1860 წ. პეტერბურგის საჭადრაკო კლუბის წევრად ირიცხებოდა.

ა. გერცენი
(1812 — 1870 წწ.)

გამოჩენილი რუსი საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერ-დემოკრატი ჭადრაკით იყო გატაცებული.

გერცენის გვარი გვხვდება 1862 წლის რუსულ საჭადრაკო მოძრაობაში, რომელიც მეფის მთავრობამ გამოიწვია პეტერ-

ბურგში საჭადრაკო კლუბის დახურვით. მაშინ გერცენმა მკაცრად გაიცხა მთავრობის გადაწყვეტილება.

ა. ფეტი
(1820 — 1892 წწ.)

XIX საუკუნის თვალსაჩინო რუსი პოეტი ა. ფეტი ჭადრაკის დიდი მოტრფიალე იყო. როცა ფეტი ეზიარა ჭადრაკს, მისმა მეგობარმა მწერალმა ი. ს. ტურგენევმა მისწერა მას: „ეს კარგია, რომ თქვენ შეხვედით მოჭადრაკეთა კეთილშობილურ საამქროში“... შემდგომში ტურგენევი და ფეტი შერკინებიან საჭადრაკო დაფასთან, როცა ტურგენევი ესტუმრებოდა ხოლმე სახელოვან პოეტს, მის მამულ „ნოვოსელკაში“.

ი. პოლონსკი
(1818 — 1898 წწ.)

XIX საუკუნის გამოჩენილი პოეტი ჭადრაკის დიდი თაყვანისმცემელი იყო. მან ჟურნალ „ნივას“ 1884 წლის № 5-ში დაგვიტოვა მოგონებები დიდებულ მწერალ ი. ს. ტურგენევთან საჭადრაკო შეხვედრების შესახებ, პოლონსკი ტურგენევს ხშირად ხვდებოდა საჭადრაკო დაფასთან.

ლ. მეი
(1822 — 1862 წწ.)

XIX საუკუნის ცნობილ პოეტ ლ. მეის ჭადრაკი იტაცებდა. იგი ხშირად ესწრებოდა გ. კუშელევ-ბეზბოროდკოს საჭადრაკო საღამოებს. 1856 წელს მეი პეტერბურგის საჭადრაკო კლუბის წევრი იყო.

სხვათა შორის მეის დაწერილი აქვს ჭადრაკის სახელმძღვანელო, რომელიც არ გამოცემულა.

ნ. ოგარიოვი
(1813 — 1867 წწ.)

გერცენისა და ბაკუნინის თანამებრძოლი, XIX საუკუნის გამოჩენილი პოეტი და პუბლიცისტი ნ. ი. ოგარიოვი ჭადრაკის მოყვარული იყო.

იგი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ფართოდ ცნობილ პეჩკინის კაფეს, სადაც სალაპარაკოდ და ჭადრაკის სათამაშოდ თავს იყრიდნენ მაშინდელი მოსკოვის ლიტერატორები.

მ. ბაკუნინი
(1814 — 1876 წწ.)

პოეტი ნ. ოგარიოვი მის შესახებ ლაპარაკობს: „როცა ბაკუნინი მარტოა, იგი მთლიანად ეფლობა ჰეგელის ფილოსოფიაში, ხოლო თუ ვინმესთანაა, იგი ისეთი გატაცებით თამაშობს ჭადრაკს, რომ არ ესმის რასაც მის გარშემო ლაპარაკობენ“. ბაკუნინი ი. ვ. კირეევსკის საჭადრაკო წრის წევრი იყო.

ნ. კოსტომაროვი
(1817 — 1885 წწ.)

XIX საუკუნის ისტორიკოსი ნ. კოსტომაროვი რევოლუციონერ-დემოკრატისა და ფილოსოფოსის ნ. გ. ჩერნიშევსკის მუდმივი პარტნიორი იყო ჭადრაკში.

ი. რეპინი
(1844 — 1930 წწ.)

ი. რეპინისა და ლ. ტოლსტოის შეხვედრები საჭადრაკო დაფასთან აღწერილი აქვს ნ. სევეროვს 1910 წ. გამოცემულ „ინტიმურ ფურცლებში“. (Н. Северов „Интимные страницы“— СПБ, 1910 г.).

ნ. ბუგაევი
(1837—1903 წწ.)

პროფესორი ნ. ვ. ბუგაევი იყო გამოჩენილი რუსი მათემატიკოსი, მოსკოვის მათემატიკური საზოგადოების ორგანიზატორი და პრეზიდენტი. თავის დროზე ის ჩიგორინის სკოლის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა.

ბუგაევს ეკუთვნის პრიორიტეტი სადებიუტო სისტემაში, რომელიც 1. b2 — b4 იწყება. სხვათა შორის ამ დებიუტით 1896 წელს ბუგაევმა მოუგო პარტია მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ვ. სტეინიცსა და 1899 წელს მსოფლიოს მეორე ჩემპიონს ე. ლასკერს.

პროფესორ ბუგაევს არაერთხელ უცდია მათემატიკური ანალიზის აპარატით გადაეწყვიტა რთული საჭადრაკო საკითხები. 1878 წ. „მათემატიკური კრებულის" მე-3 გამოშვების IX ტომში გამოქვეყნდა მისი შრომა „ერთი საჭადრაკო საკითხის გამოკვლევა რიცხობრივი ფუნქციის საშუალებით".

ვ. ვერეშჩაგინი
(1842 — 1904 წწ.)

გამოჩენილი რუსი მხატვარი და მოგზაური ვერეშჩაგინი ინდოეთში, ტიბეტსა და მონღოლეთში მოგზაურობის დროს იკვლევდა ჭადრაკის თამაშის განვითარებას ცენტრალური აზიის ხალხებს შორის.

ილია ჭავჭავაძე
(1837 — 1907 წწ.)

ილია ჭავჭავაძის საყვარელი გასართობი თამაში იყო ჭადრაკი. ილიასთან გამართულ საჭადრაკო საღამოებს იგონებს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვასო ედილაშვილი: ჭადრაკში დიდი პოეტის პარტნიორები იყვნენ: ნიკო ხიზანიშვილი, გიგო ყიფიანი და სხვ. ილია ჭავჭავაძეს ჭადრაკის თამაშის სიძლიერით უტოლდებოდა ვანო მაჩაბელი.

აკაკი წერეთელი
(1840 — 1915 წწ.)

აკაკი წერეთელს ჭადრაკის სიყვარული მისმა მამამ როსტომ წერეთელმა ჩაუნერგა, რომელიც თავის დროზე შესანიშნავი მოჭადრაკე ყოფილა.

აკაკის სახლში ხშირად თავს იყრიდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ვანო მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.

როგორც ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, რუსუდან ნიკოლაძე იგონებს, აკაკის სახლში ჭადრაკის თამაშს ხშირად მთელი საღამოები ეთმობოდა. დიდი მეუღლის მუდმივი პარტნიორები იყვნენ: კოტე მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.

მ. ფრუნზე
(1885 — 1925 წწ.)

გამოჩენილი მხედართმთავარი მიხეილ ფრუნზე ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს იგი გატაცებით თამაშობდა გიმნაზიელ ამხანაგებთან. შემონახულია ამ პერიოდიდან ერთ-ერთი პარტია, რომელიც ჭაბუკმა ფრუნზემ კარგად მოიგო. შემდგომშიც წითელ არმიაში ხელმძღვანელ პოსტზე ყოფნისას ფრუნზე არ ივიწყებდა ჭადრაკს.

ა. მენდელეევი
(1834 — 1907 წწ)

გამოჩენილი მეცნიერი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის წლებში ძალზე გატაცებული იყო ჭადრაკით. ამ პერიოდში მისი ხშირი პარტნიორი იყო მ. პაჩკოვი. მეცნიერის მეუღლე ა. ი. მენდელეევა გვიამბობს, რომ მენდელეევი-

ვეტად მტკივნეულად განიცდიდა ჭადრაკში თავის წარუმატებლობას. თამაშის დროს იგი ღელავდა, ნერვიულობდა ფიგურის გადადგმისას, ხელი უკანკალებდა, მაგრამ თამაშობდა კარგად და ხშირადაც იგებდა. ხშირი შეხვედრები ჰქონდა მას მხატვარ კუინჯისთან. მენდელეევი მცირე შესვენების დროსაც კი თავის ლაბორანტებთან ჭადრაკს თამაშობდა.

იმერეთისა და კახეთის მეფე არჩილი
(1647 — 1713 წწ.)

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე თავის თხზულებებში არაერთხელ ლაპარაკობს ჭადრაკზე, როგორც გავრცელებულ თამაშზე იმდროინდელ საქართველოში, აი მაგალითებიც:

ჭადრაკის მღერა, ნარდისა და სხვა რაც რამა ყუმარი,
ხარდიორდა და ჩალიჩი, სევდისა დასადუმარი,
ხტომა, ქვის გდება, რკინობა, მოგვერდი, ფანდიც რამ არი,
ის კაცსა ბევრჯელ უკუჰყრის, ვინც კარგი ხუმარი არი".
(„საქართველოს ზნეობანი")

„მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართმით მღერა,
მხეცთა სვრა და ნადირობა, თავი ლაღად მომეღერა;
ბურთობა და მინდორობა, კელავ ნადიმი, ჭადრაკ-მღერა,
უხობა და გასაცემი, სრულ ვითა ვთქვა, მომეღე რა?".
(„სიტყვა სანათლისღებო")

სულხან-საბა ორბელიანი
(1658 — 1725 წწ.)

გამოჩენილი ქართველი მწერალი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი ჭადრაკის დიდი პატივისმცემელი იყო. მისი ლიტერატურული შრომებიდან ჩვენ ვგებულობთ ბევრ საინტერესო ამბავს, რომლებიც დაკავშირებულია ჭადრაკის ისტორიასთან საქართველოში. ამიტომ არაა შემთხვევითი, როცა „სიბრძნე სიცრუეში" ერთ-ერთ არაკში ჭადრაკის ხსენებას ვხვდებით. აი ეს ამონაწერიც:

„ერთგნით ტაბლა ყოვლის სანოვაგით სავსე, ერთგნით ღვინო და ერთგნით ჭადრაკი და ნარდი, რომელსაც იგი კაცი მოინებდა, მას იქმოდა: სმას ჭამას, ძილსა თუ შექცევას“.

ბატონიშვილი იოანე გიორგის ძე
(1708 წ.)

კარგად იცოდა ჭადრაკის თამაში და მისი მნიშვნელობა. თავის „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილი წერს:

„... ხოლო კვლად სათამაშო კარგი და გამოსაცდელი არის ჭადრაკი“.

თ ე ი მ ურ ა ზ II
(1762 წ.)

მეფე თეიმურაზ II კარგად იცნობდა ჭადრაკის თამაშს. ერთ-ერთ თავის ლექსში მან დიდი ოსტატობით ჩააქსოვა ალეგორიკო ფიგურების ქართული სახელები.

„ნიჭად რაკი-რუკი მესმა კართა ზედან კენჭის ცემით.
მეფერების თავი შენი, შემიბრალე ხმის გაცემით,
აქ სულა ზი, ერიდები კაცთა, სტირი გარდაცემით,
უკუნითი მოგცე თავი, რომ გამხეთქო თუ უნდ ცემით.

მომხედარის კაცის თვალმა შემიწყალა, დამრთო ნება,
ეტლი მქონდა მას დღეს კარგი, აღარ მქირდა ცეცხლთა დება,
აბა იკიელებს აღარა, არ უარობს, არცა მწყრება,
არ უხილავს თვალთა ჩემთა მისებრივი ბრწყინვალება.

სისხლის რუ კარგად დამწყვიტა, აღარ მადინა თვალითა,
არ ქიშპად იყო ჩემზედა. იწოდა ჩემის ბრალითა,
თამაშა მათი მინდოდა ნაჭიდებით და ძალითა,
მე ვაქო სიამოვნითა, ვისგანაც ვიწვი ალითა“.

ქართველი ხალხის საყვარელი მგოსნის აკ. წერეთლის მამა, რ. წერეთლის ჭადრაკის თამაშის შესახებ ა. წერეთელმა მოგვითხრო წიგნში „ჩემი თავგადასავალი“. მოგვყავს ნაწყვეტი, რომელშიც ჭადრაკზეა ლაპარაკი:

„მამა ჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით გენერლის შტაბის ოფიცრები იყვნენ მონდომებული, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდნენ. ერთხელ ღენერალ-გუბერნატორს გ. ერისთავს, მ ემოეთვალა თბილისიდან: „ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და თუ დრო გაქვს, მოდი, ჩემთან არისო. აბა შენ იცი, თუ შენებურად გვასახელებ ქართველებსო!“ მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოპირდაპირე ახირებულად ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო — კუთხის პაიკი რა ხელმოსაკიდებელი იყოო?

— თეორია რა არის? — ეკითხება მამაჩემი.

— სხვადასხვა სათამაშო კანონები.

— ჩვენ ქართველებმა ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

— ეგ მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება.

— არ ამიხსნით მაინც რა არის თეორია?

— სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკის ნათამაშევი, რომელიც სხვებისათვის სამაგალითო კანონად დარჩენილია.

— ჰო, ისემც კარგი დაგემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მიწისშვილები იქნებოდნენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდნენ? ახლა ჩემს თამაშსაც უგდეთ ყური და თუ მოგეწონოთ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდეც წააგო. შეწუხდა და სთქვა: „აშიბკაო“. ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და სთქვა: „აშიბკაო“. მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან იძახის: „აშიბკა, აშიბკა“, მამაჩემს გაეცინა და უთხრა: „პოლკოვნიკო ტყუილად ნუ ფიქრობთ რომ მოიგო! სანამ ეგ ვიღაც „აშიბკა“ გადაგიდებია,

მაგას თავიდან არ მოიშორებო!“ ეს ხუმრობა მის მოპირდაპირეს ეწყინა. შეურაცხყოფად მიიღო და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო, ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებას ვადგივარო, და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშნაო! გაჯავრებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვარდა გარეთ“.

აბულ-ყასიმ ფირდოუსი
(934(941) — 1020 წწ.)

X საუკუნის გამოჩენილი ტაჯიკი პოეტი აბულ-ყასიმ ფირდოუსი პოემა „შაჰ-ნამეს“ ავტორია, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჭადრაკის წარმოშობის ძველ ლეგენდას.

თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი
(1334 — 1405 წწ.)

მონღოლი მრისხანე დამპყრობის ბიოგრაფი ლაპარაკობს თემურლენგის ჭადრაკისადმი სიყვარულზე. ლაშქრობების დროსაც თემურლენგი ნახულობდა დროს ჭადრაკის სათამაშოდ. არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ ანგართან თურქებზე გამარჯვების შემდეგ, როცა მისმა შვილმა ტყვედ წამოიყვანა ბაიაზეთის სულთანი, თემურლენგმა თავის ვაჟიშვილს საჭადრაკო სახელი — შახრუხი — მისცა. შახრუხი ნიშნავს მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ფიგურის დატყვევებას (შახი ნიშნავს მეფეს, რუხი — ეტლს, რომლებიც იმ დროს უძლიერეს ფიგურებად ითვლებოდნენ).

ჭადრაკის მკვლევარი H. Lk. Muray („A. Historuof chess“) აგრეთვე ჟურნალი „Palamede“ (1836 წ.) ასახელებენ თემურლენგის პარტნიორებს. ესენი არიან ირანელი მოჭადრაკე ალი შატრანჯი და ალადინი ტაბრიჟი. თემურლენგს მიაწერენ ერთი საჭადრაკო ამოცანის შედგენას.

მ. სერვანტესი
(1547 — 1616 წწ.)

დიდმა ესპანელმა მწერალმა თქვა:

„ცხოვრება — საჭადრაკო პარტიაა და სინამდვილეში პარტიის დამთავრების შემდეგ მეფეები და უბრალო პაიკებიც ერთსა და იმავე ყუთში ლაგდებიან“.

ლ. კონდე
(1621 — 1686 წწ.)

გამოჩენილ ფრანგ სარდალს ყოველთვის უყვარდა ჭადრაკი. ლაშქრობის დროსაც, ბრძოლის მძიმე წუთებში ფრიბურგთან, როკრუსთან იგი ჭადრაკის თამაშით გართული უნახავთ.

„სანამ გახდები კარგი გენერალი, უნდა ისწავლო ჭადრაკის კარგი თამაში“ — ამბობდა კონდე.

მარი დე რაბიუტენი — შანტალ დე სევინი

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი, რომელიც ძლიერად თამაშობდა ჭადრაკს, თავის განთქმულ „წერილებში“ ეხება მის თანამედროვე ქალთა ჭადრაკის თამაშს.

კარლოს XII
(1682 — 1718 წწ.)

შვედების მეფესა და სარდალს კარლოს XII ძალიან უყვარდა ჭადრაკი. თავის დროზე ის ძლიერ მოთამაშედაც ითვლებოდა.

ვოლტერის ცნობით („კარლ XII ცხოვრება“) მეფე ჭადრაკის იმდენად დიდი მოყვარული ყოფილა, რომ ტყვეობაშიც არ ივიწყებდა მას. მისი მუდმივი პარტნიორები თავადი პონიატოვსკი და გრატჰაუზენი იყვნენ. ერთხელ თურქები გარსშემოერტყნენ სახლს, რომელშიც კარლოს XII ცხოვრობდა, მიუხე-

დავად საშიშროებისა მეფე მშვიდად ეთამაშებოდა ჭადრაკს თავის ხაზინადარს.

ვ. ლაიბნიცი
(1646 — 1716 წწ.)

გამოჩენილი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი ჭადრაკის შესახებ ლაპარაკობს საერთოდ თამაშების შესახებ დაწერილ დისერტაციაში, რომელიც 1710 წელს ბერლინში დაიბეჭდა.

ფ. ვოლტერი
(1694 — 1778 წწ.)

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ვოლტერი ძალიან ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა. ზოგჯერ ის მიწერ-მოწერით თამაშობდა, მაგალითად, პრუსიის მეფე ფრიდრიხ II, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტ გრაფინია დაშკოვთან და სხვ.

ცნობილია, რომ როცა ვოლტერი ჭადრაკის თამაშში ერთობოდა, არაფერს არ შეეძლო მისი ყურადღების მოწყვეტა. მწერალი ხშირად ეთამაშებოდა ჭადრაკს პრელატ მამა ადამს.

ვოლტერი პარიზში ყველა ფრანგულ საჭადრაკო შეკრებულობას ესწრებოდა.

ჟ. ჟ. რუსო
(1728 — 1778 წწ.)

გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, რომელსაც ჭადრაკი ძლიერ უყვარდა.

თავის „აღსარებაში“ რუსო ლაპარაკობს ჭადრაკის თამაშით გატაცების შესახებ. აგრეთვე იმაზე, რომ მიუხედავად ჭადრაკისადმი დიდი სიყვარულისა, იგი არასოდეს არ თამაშობდა კარგად. ჭადრაკის თამაში მან ისწავლა საკმაოდ სუსტი მოთამაშისაგან, რომელსაც მალე წინ ეტლს აძლევდა. ამ ხანმოკლე წარ-

მატებებმა გაიტაცეს იგი. მან ხელი მოჰკიდა საჭადრაკო თეორიის ფილიდორისა და სტამბის სახელმძღვანელოებით სერიოზულად შესწავლის საქმეს. ერთ-ერთმა საჭადრაკო პარტიამ, რომელიც რუსოს მონტე-ტრავერში აბატ რომანთან უთამაშია, ჩვენამდე მოაღწია აბატის საჭადრაკო პოემის IV სიმღერის აღწერაში.

რ ო ბ ე ს პ ი ე რ ი
(1758 — 1794 წწ.)

რობესპიერი ცნობილია, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის (1789 წ.) თვალსაჩინო მონაწილე. ფურნე თავის ქრონიკებში (1864 წ.) მოგვითხრობს შემდეგ საინტერესო ფაქტს.

რობესპიერი, რომელიც ჭადრაკის სათამაშოდ ხშირად დადიოდა კაფე დე რეჟანსში, ერთხელ დაფასთან შეხვდა უცნობ ახალგაზრდას, რომელმაც მოულოდნელად მას ორი პარტია მოუგო. ამან გააბრაზა რობესპიერი, რომელმაც გაცხარებით წარმოსთქვა: „ჩვენ რაზე ვთამაშობთ?“ „კაცის თავზე. მე იგი მოვიგე და მომეცით იგი მე“ — უპასუხა უცნობმა. რობესპიერმა მაშინვე დაწერა ბრძანება კონსერჟერის ციხიდან ახალგაზრდა გრაფ რ-ს განთავისუფლების შესახებ.

უცნობი ახალგაზრდა, რომელმაც მოუგო რობესპიერს, იყო გადაცმული ქალიშვილი განთავისუფლებული გრაფის საცოლე.

ფ რ ი დ რ ი ხ II
(1712 — 1786 წწ.)

მეფე ფრიდრიხ II ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში. ზოგჯერ იგი სხვადასხვა ქვეყნის ჭადრაკის მოყვარულებს მიწერ-მოწერით ეთამაშებოდა. ცნობილია მისი პარტია მიწერ-მოწერით გამოჩენილ ფრანგ მწერალსა და ფილოსოფოს ფრანსუა ვოლტერთან. მეფის ინიციატივით და მისი დახმარებით ბერლინში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. ფრიდრიხმა შეიძინა კემპელენის საჭადრაკო ავტომატი, რომელმაც თავის დროზე დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ I
(1769 — 1821 წწ.)

დიდ ფრანგ მთავარსარდალს და იმპერატორს ჭადრაკის თამაში მიაჩნდა გონებრივი დასვენებისა და გართობის საუკეთესო საშუალებად.

მას ძალიან უყვარდა ჭადრაკი. თავისი მომავალი მეუღლის ჟოზეფინას საღამოებზე ხშირად დროს ატარებდა ჭადრაკის დაფასთან. უკვე კონსულად ყოფნისას, ნაპოლეონი პარიზის კაფე დე რეჟანსის ხშირი სტუმარი იყო, სადაც დიდი გატაცებით თამაშობდა. კაფეში საჭადრაკო მაგიდას, რომელზედაც ნაპოლეონი თამაშობდა, დღესაც უჩვენებენ მნახველებს.

ისტორიკოს ტიერს „იმპერიისა და საკონსულოს ისტორიის“ IV ტომში მოჰყავს ნაპოლეონის მიერ ნათამაშები პარტია დე რემიუზას წინააღმდეგ, რომელიც შემდგარა მალმეზონში ჰერცოგ ენგიენსკის საქმის ძიების დროს.

ეგვიპტეში ლაშქრობის დროს ნაპოლეონი სხვადასხვა პირებს ეთამაშებოდა ჭადრაკს, მაგრამ ყველაზე ხშირად ეთამაშებოდა აღმოსავლეთის არმიის კრიგს — კაპიტან პუსველგს, მეტად ძლიერ მოჭადრაკეს და ამად ჟობერს.

რუსეთში ლაშქრობის დროს ნაპოლეონის ხშირი მეტოქეები იყვნენ მარშალი მიურატი, ბურენი, ბერტე, და სხვ. კუნძულ წმიდა ელენეზე გადასახლების დროს ნაპოლეონი ყოველდღე თამაშობდა ჭადრაკს, უპირატესად ბერტრანთან.

ბ. ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი
(1706 — 1790 წწ.)

დიდებულმა მეცნიერმა ჭადრაკის შესახებ დაწერა თხზულება „ჭადრაკის თამაშის მორალი“, რომელიც 1797 წელს ლონდონში გამოიცა.

დ. დ ი დ რ ო
(1718 — 1784 წწ.)

პირველი გამოჩენილი ფრანგი ენციკლოპედისტი დენი დიდრო XVIII საუკუნეში პარიზში ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა. იგი ფრანსუა პროკოფის საყავესთან გახსნილ პარიზის საჭადრაკო

კლუბის პირველი წევრია. რუსოს, ვოლტერისა და იმ დროის უძ-ლიერეს მოჭადრაკე ფილიდორთან ერთად დიდროც იყო.

ავსტრიის დედოფალი მარია ტერეზა
(1717 — 1780 წწ.)

XVIII საუკუნის გამოჩენილ მოჭადრაკედ იყო აღიარებული.

ა. ამპერი
(1775 — 1836 წწ.)

გამოჩენილი მეცნიერი ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა. ცნობილია, რომ ამპერი საჭადრაკო დაფასთან შეხვდა ჭადრაკის ძლიერ მოთამაშეს, ელექტროტელეგრაფის გამომგონებელს პ. ლ. შილინგს, რომელიც ამ პარტიას თვალახვეული თამაშობდა.

ი. გოეთე
(1749 — 1832 წწ.)

დიდი გერმანელი პოეტი ჭადრაკს ახასიათებდა როგორც „პრაქტიკული გონების სასინჯ ქვას".

თ. ბოკლი
(1821 — 1862 წწ.)

სახელგანთქმული ინგლისელი მეცნიერი „ინგლისში ცივილიზაციის ისტორიის" ავტორი თომას ბოკლი მეტად ძლიერი მოჭადრაკე იყო. დიდი მეცნიერული მუშაობის პროცესში დასვენებისათვის გამოყოფილ მცირე დროს იგი ჭადრაკს უთმობდა.

„ჭადრაკი და სეირნობა — აი გართობანი, რომლის ნებას იგი თავს აძლევდა".

მხოლოდ გარდაცვალებამდე ცოტათი ადრე ავადმყოფი ბოკლი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ჭადრაკისათვის, ისიც ექიმების მოთხოვნით.

შინაარსი

ავტორისაგან . . . 2
ჭადრაკის ისტორიის საკითხისათვის 3
ინდოეთი 6
ირანი 16
შუა აზია 22
ჭადრაკი არაბებში . 25
ჭადრაკი შორეულ აღმოსავლეთში 29
ჩინეთში 29
იაპონიაში 31
ტიბეტში . 33
ჭადრაკი მონღოლეთში 38
ჭადრაკი ბიზანტიაში . 41
ჭადრაკი დასავლეთ ევროპაში . 42
ჭადრაკი შუა საუკუნეების ლიტერატურაში 52
კემპელენის საჭადრაკო ავტომატი 53
ჭადრაკი რევოლუციამდელ რუსეთში . . 55
საჭადრაკო ფიგურები პოლონურ და რუსულ ჰერალდიკაში 63
XIX საუკუნის რუსეთის საჭადრაკო ლიტერატურის შესახებ . 64
რუსული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი მ. ჩიგორინი . 67
ჭადრაკი საბჭოთა კავშირის ხალხებში 77
ჭადრაკი საქართველოში 81
ჭადრაკი სომხეთში 99
ჭადრაკი აზერბაიჯანში . . 101
ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის 102
საბჭოთა საჭადრაკო მოძრაობა . 124
ავტოგრაფი, როგორც პიროვნების სიმბოლო 130
უძველესი ფიგურების ნიმუშები 132
ჭადრაკი და ასტროლოგია 136
ჭადრაკის ასტროლოგიურ კავშირთა ანალიზის ცდა . . . 140
ფილოსოფიისა და მათემატიკის ელემენტები ძველ თამაშებში 166
დაფისა და ფიგურების ძირითადი იდეები 169

ეგვიპტის თამაშობათა ტაბულისათვის 172
ჰადრაკის ფიგურები და მათი წარმომავლობა 175
ეტლი 178
მხედარი . . . 182
უმხედრო ცხენი 183
ლაზიერი 187
მეფე 189
პაიკი 190
მრავალუჯრედიანი ჰადრაკი 191
მემუარული ჩანაწერებიდან . . 193
ჰადრაკის მოყვარული გამოჩენილი ადამიანები 203